საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

ეროვნული ბიბლიოთეკა

480/2

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მოამბე

1

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE
ET DE CULTURE MATÉRIELLE

XI

თბილისი
1941

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.10.1941
ანაწყ. ზ. 7×11; ქაღალდის ზ. 70×105
ბეჭდ. ფორმ. რაოდ. 12; საავტ. ფ. რ. 15
შეკვ. № 941; უე 41731; ტირაჟი 1000

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა
ა. წერეთლის ქ. № 7

ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

ეროვნული
ბიბლიოთეკა

BULLETIN

DE L'INSTITUT MARR DE LANGUES, D'HISTOIRE ET DE CULTURE MATÉRIELLE

XI

ÉDITIONS DE L'ACADÉMIE DES SCIENCES DE LA RSS DE GÉORGIE

Тбилиси 1941 Tbilissi

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

მოამბე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ и МАТЕРИАЛЬНОЙ
КУЛЬТУРЫ им. акад. Н. Я. МАРРА

3343

XI

XI

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი 1941 Тбилиси

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

რედაქტორი გ. ჩიტაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. ალ. რობაქიძე, რაჭაში მივლინების ანგარიში (1939 წ. 10.VII—7.VIII) . . . . . 1—10
2. ნ. რეხვიაშვილი, რაჭაში მივლინების მოკლე ანგარიში . . 11—20
3. რ. ხარაძე, პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარიში . . . . . 21—42
4. ლ. ბოჭორიშვილი, ქიზიყში მივლინების მოკლე ანგარიში . 43—48
5. გ. ჩიტაია, პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მივლინებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში . . . 49—56
6. გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში . . . . . 57—66
7. ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში (დღიური) . . . . . 67—182

СОДЕРЖАНИЕ

1. Ал. Робакидзе, Отчет о командировке в Рачу . . . . . 1—10
2. Н. Рехвиашвили, Краткий отчет о командировке в Рачу . 11—20
3. Р. Харадзе, Предварительный отчет о командировке в Пирикитскую Хевсуретию . . . . . 21—42
4. Л. Бочоришвили, Краткий отчет о командировке в Кизикию 43—48
5. Г. Читая, Краткий отчет о работе этнографической экспедиции, командированной в ущелья Малой Лиахви и Меджуды . . . . . 49—56
6. Г. Читая, Краткий отчет о работе Тианетской этнографической экспедиции . . . . . 57—66
7. В. Бардавелидзе, У Иорских пшавов (дневник) . . . . . 67—182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

TABLE DES MATIÈRES

1. Al. Robakidzé, Compte-rendu de la mission en Ratcha . . . 1—10
2. N. Rekhviachvili, Un court compte-rendu de la mission en Ratcha 11—20
3. R. Kharadzé, Compte-rendu préliminaire de la mission en Pirikhithe-Khevsouréthie . . . . . 21—42
4. L. Botchorichvili, Un court compte-rendu de la mission en Khizikie . . . . . 43—48
5. G. Tchitaïa, Un court compte-rendu du travail de l'expédition etnographique, envoyée aux défilé de la Petite Liakhvi et de la Médjouda . . . . . 49—56
6. G. Tchitaïa, Un court compte-rendu du travail de l'expédition etnographique de Thianéthi . . . . . 57—66
7. V. Bardavélidzé, Chez les Pchaves de l'Iori (journal) . . . 67—182

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების 1939 წლის სამეცნიერო მივლინებათა და ექსპედიციების

ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. როგბაძიძე

რაჭაში მივლინების ანგარიში

(1939 წლის 10.VII—7.VIII)

მივლინება მიზნად ისახავდა 1938 წელში კოლექტიური ნადირობის გარშემო შეკრებილი მასალის დაზუსტებას და შევსებას. ამის მიხედვით მივლინება შემდეგი მარშრუტით იყო შესრულებული: ტფილისი—ამბროლაური—წესი—ჯავისა—ლიხეთი—ურავი—ამბროლაური—სადმელი—რიცეულა, ქვემო-კრიხი—ამბროლაური—საკაო—ხიდაში—ამბროლაური—ონი—გლოლა — ჭიორა — ღები —უწერა—თბილისი.

მივლინების შედეგად შეკრებილია შემდეგი მასალა:

1. ნადირობის ბუნებრივი გარემო. ნადირის ჯიშების განსაზღვრა მათთვის მახასიათებელი ნიშნების მიხედვით და მათი სახელწოდებანი ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე.

მაგალითად: რაჭაში ანსხვავებენ დათვის სამ ჯიშს: **ბაური დათვი, ღორდათვა** და **ქედანი დათვი.**

ბაური დათვი—სხეულით დანარჩენ დათვებზე დიდია და მძიმე, ფერით წარუხო, ხანდახან წაბლის ფერი გადაჰკრავს. უყვარს კლდიანი ადგილები (ფრჩხილები წაცვეთილი აქვს კლდეზე სიარულით), მეტად ავია, ძალიან ეტანება ხორცეულს, „მუშაობს ჯოგებზე".

ქედანი დათვი—საშუალო სიდიდის სხეული აქვს. ფერით რუხია, ხოლო ყბა-კისერზე თეთრი ზოლი მოსდევს. ადგილსამყოფლად ხშირსა და მაღალ ბუჩქნარს ირჩევს. იკვებება მცენარეულობით, ხშირად აფუჭებს სიმინდს.

ღორდათვა—ტანით ორივე დათვზე მომცროა. სიავით ბაურს არ ჩამოუვარდება. ფერად უფრო შავია. იმყოფება ტყიან ადგილებში. საერთოდ იკვებება მცენარეულობით. ეტანება ხორცეულს თუ „დაგერშილია".

კვერნა ორგვარი იცის.

ალა-რკვენა—ფერად ერთობლივ შავია; მკერდი აქვს მხოლოდ ხასხასა თეთრი. კაწარი მუქი-შავი ფერისა აქვს. ღინღლი ტრედის ფერი. ტანით მომცროა. ზამთარში კლდეში სცხოვრობს, ზაფხულობით ტყეს ეტანება. იკვებება გარეული ხილეულით.

მთის რკვენა—ტანით უფრო მოზრდილია, ფერად შავი. კაწარს წაბლის ფერი გადაჰკრავს, ხოლო ღინღლი მოშავო აქვს. იშვიათად მასაც აქვს თეთრი

1. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქა მკერდზე; ხოლო ღინღლით ცხადად განირჩევა დალა-რკვენისაგან. ბმ-ყოფება ტყეში უმთავრესად ხის ფულუროში.

რაჭველები ჯიხვის ორ სახეობას არჩევენ: **კომარა** და **ლაფური**. ფერით ესენი არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორივე ჯიშის ჯიხვი წაბლის ფერია; ხოლო შემოდგომაზე იყრის ჯიხვი ფერს და შავდება.

კომარა ჯიხვი—ტანმოკლეა შედარებით, საერთოდ ლაფურზე დიდი. მოკლე, სხვილი და **დაჩორჩქვილი** რქები აქვს ძლიერად გადაღუნული.

ლაფური ჯიხვი—უფრო მომცროა, ტანი წვრილი აქვს. შედარებით წმინდა, გაგრძელებული და ნაკლებ გადაღუნული **შუბიკა** რქები.

ჯიხვის წლოვანებას მისი რქების **ნაზარდულების** რაოდენობის მიხედვით საზღვრავენ.

განსხვავებულია აგრეთვე ორი სახის არჩვი—**ტყის არჩევი** და **შიშვლის არჩვი**; მელიის სამი სახეობა—**რუხი მელა, წითელი მელა** და **მოშავო მელა**; მგლის ორი სახეობა—**მინდვრის მგელი** და **ტყის მგელი** და სხვა.

ირემი და შველი რაჭაში უკვე გადაშენებულია, თუმცა XVIII ს-ის 80-ანი წლებისათვის გ ჯ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ცნობით იგი მახასიათებელი ნადირი ყოფილა რაჭის დაბლობისათვის[1].

ჯიხვი და არჩვი ეხლაც მოიპოება მდ. რიცეულას, ლუხუნის, საკაოს და რიონის ზედადინების ზოლში.

დამოწმებულია სახელწოდებათა ჩამოყალიბებული სისტემა ნადირის ჯიშისა, სქესისა და ჰასაკის მიხედვით. ასე მაგალითად: მამალ ჯიხვს—**ვაცი** ეწოდება, დედალს—**თხა ჯიხვი**, ერთ წლამდე განურჩევლად სქესისა—**თიკანი**, ერთი წლიდან სამ წლამდე—დედალს **წალა**, ხოლო მამალს—**ბოიკი**. რვა-ათი წლის ჰასაკის შემდეგ ჯიხვი დაჰკარგავს რა განაყოფიერების უნარს განზე გადგება, ჯოგში არ ერევა და მას **მემარტვიეს** უწოდებენ.

2. **ნადირობის მატერიალური ბაზა.** მონადირის ჩაცმულობას რაჭაში დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩაცმულობის ყოველი ელემენტი გარკვეულია და მტკიცედ დადგენილ ფუნქციას ასრულებს. განსაკუთრებით ჯიხვზე და არჩვზე მონადირენი ეხლაც საუკუნეების განმავლობაში მწარე გამოცდილებით შემოწმებულ ტანსაცმელს ხმარობენ და მიაჩნიათ რა სახიფათო ექსპერიმენტად, ახალ ჩაცმულობას ერიდებიან.

ტანსაცმელის კომპლექსში ფეხსამოსს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რადგან მონადირეს ნადირის დევნის დროს ხვდება ქარაფიანი კლდეები, თოვლით ამოვსებული ხევები, შვეულად დაქანებული ბალახოვანი ფერდობები, გადასახტომი ნაპრალები და საერთოდ კლდეში და ღრეში უვალი ადგილები. ამის მიხედვით შემუშავებულია მონადირის ფეხსაცმლის ტიპი და მისი დამხმარე, დამატებითი ელემენტები.

---

[1] I. Güldenstäd, Reisen durch Russland u. im Caucasischen Gebürge, St. Petersburg 1787, B. I, გვ. 400.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გუდა, მუჟირა და ₹რიაპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხსამოსად ხმარობენ ე. წ. **კოლოტურ** ან **ლებურ** ქალამანს, რომელსაც ერთი ნაკერი აქვს მხოლოდ და რომლის ქობა კოჭებამდეა ასული. ქალამანი ხარის ან ძროხის ტყავისაგან არის შეკერილი. შესაკრავად იმავე ტყავის თასმას ხმარობენ, რომელსაც **ჭაპი** ეწოდება. ხმარებაშია მეორე ტიპის ქალამანიც სახელწოდებით **ბანდული**, რომლის ძირი ამოქსოვილია ტყავისავე ღვედებით. ბანდულით შემოსილი ფეხი ციცაბო კლდეებზე და ბალახოვან ფერდობებზე არ სცურავს. ქალამანში შიგნით ჩაფენილია ერთგვარი მთის ბალახი—ე. წ. **თომი**, რომელშიაც, თუ იგი დატკეპნილი არ არის, ჰაერის ფენა ინახება, რაც ტემპერატურის იზოლაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

ამას გარდა მონადირეს თან მიაქვს თხილის ტოტებისაგან ორმაგად „დაღვლერჭილი“ **წრიაპები** და აგრეთვე თხილის ტოტებისაგან შემზადებული **თხილამურები**.

ფეხი კოჭიდან მუხლამდე დაფარულია **პაიჭებით**, რომელნიც დამაგრებულნი არიან მასზე **წვივსაკონით**. ღრმა თოვლში სიარულის დროს **სამუხლეებსაც** ხმარობენ, რომ პაიჭებში თოვლი არ ჩავიდეს. ტანზე იცვამენ შალის შარვალსა და ჩოხას. ყინვების დროს ზედა ტანზე ჩასაცმელად **ტყავსა** ხმარობენ. წელზე შემოკრული აქვთ ტყავის **ღვედი**, რომელზედაც ეკიპირების სხვადასხვა ელემენტებია დამაგრებული.

მონადირის შეიარაღება მტკიცედ არის განსაზღვრული. იგი შესდგება შემდეგი ელემენტებისაგან: **თოფი, მუჟირა, კვეს-აბედი, ყათარ-ვაზნა, საპირის-წამლე, საკვესაბედე, ქილები, ხანჯალი, მილიონი** და ხანდახან **ნაჯახი** და **ნიჩაბი**.

შეიარაღების ამ კომპლექტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუჟირას. მრავალმხრივ საინტერესო იარაღია იგი. მუჟირა შესდგება ხის კეტისაგან სიგრძით 1,5 მეტრამდე, რომელსაც ბოლოზე რკინის წვეტი აქვს გაკეთებული. მუჟირას მეორე ბოლო (ხელის მოსაკიდებელი) **ქანჩით** თავდება. ფუნქციების მრავალფეროვან და რთულ კომპლექსს ასრულებს მუჟირა. იგი გამოყენებულია ყინულში საფეხურების ამოსაკვეთად, სროლის დროს თოფის ლულის გასადებად, დასაბჯენად; ნადირთან შებრძოლების დროს იგი საჩხვლეტ იარაღადაც არის გამოყენებული. რადგან საბავშვო თამაშობაში დაცულია მისი სროლა, საფიქრებელია, რომ ოდესღაც მუჟირა სასროლ იარაღსაც წარმოადგენდა. შესრულებული ფუნქციებითა და ფორმალური ნიშნებით იგი შუბის ტიპის იარაღს უნდა წარმოადგენდეს.

მახე-ხაფანგების თოთხმეტი სახეობაა აღწერილი. მათ შორის ორი რკინისაგან ნაკეთები, ხოლო თორმეტი ქვისა, ხისა და ჩელტისაგან შემზადებული. კვერნის დასაჭერად იხმარებოდა **კოდი, გობი, ფაფი, ფწკალა**, მელა-კურდღლის დასაჭერად **ისხლეტი, სირენჭკა**, წავის დასაჭერად—**ჩელტი**, დათვის დასაჭერად **ფიცრის ხაფანგი** და **მაკრატელა**, მგლის დასაჭერად **მოწნული ხაფანგი**, ჯიხვის დასაჭერად—**ხუნდა** და სხვა.

ზემოხსენებული ხაფანგების ერთი ნაწილი **სარეგველას** პრინციპზეა აგებული, მეორე—**სირენჭკას** პრინციპზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოწმებულია აგრეთვე **თოფის დაგების** საინტერესო წესი, რომელიც თოფისა და სირენჭკას კომბინაციას წარმოადგენს.

თოფების სხვადასხვა სისტემათა შორის არჩევენ: **ხირიმულს, შავ თოფს, ერეჯიბს, ხაჯი მუსტაფას.** თოფი ძირითადად შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: **თათი**, რომელშიაც **ლულის კუდია** ჩამაგრებული; სასროლი მეხანიზმი შედგება: **ფეხისა, ჩახმახისა, შვილდისა, ყურისა, საფიცხობელისა, კვესისა** და **საცემლისაგან.** მთავარ დინამიურ ძალას შვილდი წარმოადგენს.

რაჭაში თოფის წამლის დამზადებაც სცოდნიათ. თოფის წამალს ამზადებდნენ ნახშირისა, გვარჯილისა და გოგირდისაგან. არსებობდა გვარჯილის დამზადების ორი განსხვავებული წესი.

ა) სოფ. ხიდაშში—საქონლის რამდენიმე ხნის განმავლობაში ნადგომს ცოცხით გადააცლიდნენ შარდსა და ნაკელს. მეორე-მესამე დღეს გადაწმენდილი ადგილი რთვილის მაგვარ თეთრ კრისტალებს მოისხამდა—**გვარჯილას**, რომელსაც **ბალნიანი ცოცხით** (არყის ხის ტოტებისაგან შეკრული ცოცხია) **მოფალავადნენ** მიწიანად და ჩაჰყრიდნენ ხის კოდში. კოდის ძირი წვრილად იყო დასვრეტილი და მას დაფენილი ჰქონდა ხელის სისქეზე **თომი**. შემდეგ მას დაასხამდნენ მდუღარე წყალს, რომელიც გახსნიდა გვარჯილას და გაიტანდა მას კოდის ქვეშ შედგმულ ქვაბში. ამის შემდეგ დაიწყებდნენ მის მოდუღებას და ადუღებდნენ იქამდე ვიდრე ერთი ფუთი გვარჯილანარევი წყალი ხუთ-ექვს გირვანქამდე დავიდოდა, დადუღებულ წყალს ხის ფართე **გობზე** დაასხამდნენ და საჭირო იყო, რომ გვარჯილის დამზადების ეს სტადია შესრულებულიყო მოწმენდილ, სუსხიან დღეს. ფართე გობზე დასხმული წყალი შრებოდა და იღებდა კრისტალის სახეს.

ბ) სოფ. გლოლაში—**გვარჯილას** ამზადებდნენ უცეცხლოდ. კერძოდ მოფალულ შარდნარევ მიწას ხის ფართე გობში დაჰყრიდნენ და ზედ დაასხამდნენ ცივ წყალს. ასე ამყოფებდნენ მას იქამდე, ვიდრე მიწა, ჭუჭყი და გარე მინარევი გობის ძირზე არ დაილექებოდა. ამ ხნის განმავლობაში გვარჯილაც იხსნებოდა წყალში. გობის პირზე მომდგარ გვარჯილანარევ წყალს გადაიღებდნენ მეორე გობში ისე, რომ ნალექი არ გადაჰყოლოდა თან. ორი-სამი დღის შემდეგ გობის შიდა კედლები **მიითვისებდა** სუფთა და დაწმენდილ გვარჯილას, რომელსაც დააგროვებდნენ ცალკე ჭურჭელში.

ნახშირს ამზადებდნენ ერთგვარი წესით. ნახშირის დასამზადებელ ნედლეულად ხმარობდნენ **ხეშავს** (ს. ღები) ან თხილის **ნორდ** ტოტებს (ს. ხიდაში). ხეშავის ან თხილის ტოტებს კანს გადააცლიდნენ და ტოტებს დააპობდნენ. თხილის ტოტის გაპობისას ყურადღებას აქცევდნენ, რომ ტოტი სწორად გაპობილიყო—ამგვარი ტოტისაგან დამზადებული თოფის წამალი ფ ი ნ თ ი ხ ს სწორად მოიტანსო. დაპობილ ტოტებს გულს გამოაცლიდნენ, გაახმობდნენ, მას და ნახშირად აქცევდნენ.

დამზადებულ ნედლეულს ნაყავდნენ ე. წ. **საცეხველში**, მეტის-მეტად პრიმიტიულ ხელსაწყოში, რომელიც მთლიანად ხისა, ქვისა და ღვლერჭისაგან შედგებოდა. საცეხველის მთავარ ნაწილს ურო წარმოადგენდა ხის ტარითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქვის ყუით. ქვის ყუა ჩამაგრებული იყო ტარის გაპობილ ნაწილში **ღვლერ-ჭებითა** და **სოლებით**. ზემოხსენებულ ეროს ფეხებით ამუშავებდნენ. ვინაიდან თოფის წამლის დამზადება სტადიალურად მეტად დაცილებულია ამგვარი ტიპის იარაღისაგან, საფიქრებელია, რომ რაიმე სამეურნეო მიზნით ხმარებული საცეხველი შემდეგში გამოყენებული იყო თოფის წამლის დასანაყად. ამას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ საცეხველს არც ერთი რკინის ნაწილი არ ჰქონდა, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა თოფის წამლის დამზადების პროცესში.

არსებობდა სპეციალური წესი იმის დასადგენად თუ რამდენად მზადაა თოფის წამალი ხმარებისათვის. ამისათვის აიღებდნენ ორი თითით ცოტაოდენ წამალს, დააყრიდნენ მას თეთრ ქაღალდზე და წაუკიდებდნენ ცეცხლს. იმ შემთხვევაში თუ თოფის წამალი უცბად იფეთქებდა და ქაღალდზე ნამწვს არ დასტოვებდა თოფის წამალი ხმარებისათვის მზად ითვლებოდა, საწინააღმდეგო შემთხვევაში განაგრძობდნენ მის დანაყვას.

თოფის წამლის დამზადების განსხვავებული წესი სვანეთშია დამოწმებული [1].

სცოდნიათ აგრეთვე **ფინთიხის** დამზადება, რისთვისაც არსებობდა ე. წ. **ყალიბი**, რომელსაც ღებში **დარიჯაგი** [2] ეწოდებოდა. ყალიბს ამოკვეთილი ჰქონდა **კალაპოტი**, რომელშიაც **თვალის** საშუალებით ასხამდენ გამდნარ ტყვიას. რამდენად უსწორო ზედაპირი ჰქონდა ამ წესით დამზადებულ ფინთიხს იქიდანაც ჩანს, რომ თოფის დატენის დროს საჭირო ყოფილა მისი გახვევა **ბერკლში** (ჩვარია), რათა ჩვარს ამოევსო თოფის ლულის შიდა კედელსა და ფინთიხის ზედა პირს შორის დატოვებული სივრცე.

3. **ნადირობის ორგანიზაცია**—ახლად შეკრებილი მასალა საშუალებას გვაძლევს ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეობათა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციის დასადგენად. ასეთი კლასიფიკაციის საფუძვლად მიჩნეული უნდა იყოს ამათუიმ სახით ნადირობის დროს უპირატესად გამოყენებული წესი, რომელიც არსებითად ძირითად მიმართულებას აძლევს ნადირობის მთლიან პროცესს. ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეები დღეს უმთავრესად ნადირობის ხერხების სხვადასხვა კომბინაციაზეა დამყარებული. ამის მიხედვით ირკვევა, რომ რაჭაში კოლექტიური ნადირობის სამი ძირითადი სახე არსებობდა: **მოსაჭირავი**, **მოსარეკი** და **საკვალიე**. უკანასკნელი ა. კ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი ს რატომღაც გამოტოვებული აქვს ამიერ-კავკასიაში დამოწმებული ნადირობის სახელწოდებათა ჩამოთვლის დროს [3].

ა) **მოსარეკი** — გულისხმობს უმთავრესად ტყის ნადირის ხმაურობის საშუალებით მილალვა-მიდენას წინასწარ გამიზნულ ადგილისაკენ, სადაც მო-

---

[1] Т е п ц о в, Сванетия, Географический очерк, СМОМПК, X, გვ. 28.

[2] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა და პროფ. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, ტფ., 1928 წელი, სიტყვასთან „დარიჯაგი“ ნათქვამია „ყალიბი“.

[3] А. К а л и н о в с к и й, Очерк кавказской фауны и кавказских охот, Тиф 1900 г., გვ. 52.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნადირეთა მეორე ჯგუფია ჩასაფრებული. ასეთ ადგილად ჩვეულებრივად ირჩევდნენ ღრმა შუროსა ან თოვლით დაფარულ ღელეს.

ბ) **მოსაჭირავი**—გულისხმობს უმთავრესად კლდის ნადირის სავალი ბილიკის გადაჭრას და **ჩასახუნდრებას**. მონადირეთა ჯგუფი აქაც ორ დასად არის დაყოფილი.

გ) **საკვალიე**—გულისხმობს უმთავრესად მეჩხერი ტყის, ხშირი ბუჩქნარის ნადირის კვალის მიგნებას, კვალში ჩადგომას და კვალდაკვალ დევნას.

მონადირეთა ჯგუფს შორის დამოწმებულია ფუნქციების განაწილება. ასეთია მაგალითად მორეკვით ნადირობის დროს **მრეკალი და მესაფრე**, მოსაჭირავის დროს — **მეძირე, მეწვერე** და **მესახუნდრე** საკვალიეს დროს—**მემკვლე** და სხვა. დამოწმებულია მონადირეთა ჯგუფში ე. წ. **თანამტანი** ან **მზარეული**, რომელიც ნადირობის პროცესში უშუალო მონაწილეობას არ იღებს, მხოლოდ დამხმარე ფუნქციებს ასრულებს და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მტაცებელ ნადირზე „ნადირობის" ისეთი წესი, რომელიც აგრეთვე მორეკვით ნადირობის პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ რომელიც ნადირის მოკვლას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მის განდევნას სოფლის ახლო-მახლო მიდამოებიდან.

ყურადღების ღირსია ე. წ. **ჯელგაობა**, რომელიც მასიურ ნადირობას გულისხმობს მთელი სოფლის მონაწილეობით და რომელიც აგრეთვე მორეკვით ნადირობის პრინციპზეა დამკვიდრებული. მას აწყობდნენ დიდი თოვლობის დროს ზამთარში და მისი ცალკეული ნიშნები საახალწლო დღესასწაულთან ამყლავნებენ კავშირს.

ნადირობის ყველა ზემოხსენებული ტიპი დამყარებულია სანადირო ხერხების სხვადასხვა კომბინაციით გამოყენებაზე, ნადირისა და მისი ადგილსამყოფელის თვისების ზედმიწევნით ცოდნაზე, და, რაც მთავარია, ნადირობის მონაწილეთა მჭიდრო ჯგუფში განმტკიცების უნარზე.

4. **ნანადირევის განაწილება**—დამოწმებულია ნანადირევის მონადირეთა შორის განაწილების სხვადასხვა სახეები:

ა) ნანადირევის აბსოლუტურად თანაბარი განაწილება რაიმე განსაკუთრებული ნაწილის გამოღების გარეშე;

ბ) ნანადირევის განაწილების ისეთი წესი, რომელიც ჯგუფში ჰასაკით ყველაზე უფროსს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს;

გ) ნანადირევის ისეთი განაწილება, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული ნაწილების გაღებას მონადირის ცოდნა-გამოცდილებისა თუ შეიარაღების საფუძველზე.

ინტერესს იწვევს განაწილების მეორე ტიპი. მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს პირველი სროლის უფლება ყველაზე უფროსს ეკუთვნოდა. ამავე დროს არსებული პირობის მიხედვით ნადირის მ ა მ კ ვ ლ ე ლ ა დ ის პიროვნება ითვლებოდა, რომელიც ს ი ს ხ ლ ს მ ო ა დ ე ნ დ ა ნადირს ე. ი. პირველად დასჭრიდა მას. მიუხედავად იმისა პირველი ჭრილობა მხოლოდ სისხლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადენდა ნადირს თუ სასიკვდილოდ დასჭრიდა მას, მომკვლელად მაინც ის იგულისხმებოდა, ვინც პირველად დასჭრიდა ნადირს. ასეთ პირობებში ყველაზე უფროს მონადირეს უზრუნველყოფილი ჰქონდა საპატიო, განსაკუთრებული ნაწილი. გვგონია, რომ ამ შემთხვევაში განაწილების პირობები გარკვეულად ამჟღავნებს ჰასაკობრივ პრინციპს, თუმცა ეს უკანასკნელი აღარ ატარებს წმინდა სახეს იმდენად, რამდენადაც სისხლის მოდენა მაინც აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს საპატიო ნაწილის მისაღებად.

ნანადირევის განაწილებაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო მონადირენი, არამედ **ნადირის უდევარნიც**, ის მონადირენი, რომელთაც რაიმე მიზეზით ვერ მიიღეს მონაწილეობა ნადირობაში, მეზობლები და სხვა. ყველაფერი ეს კოლექტიური მოხმარების გადმონაშთს წარმოადგენს შედარებით კარგად დაცულს ნადირობასთან დაკავშირებულ სხვა წესჩვეულებაშიაც. ასეთია მაგალითად **ოჩხარის** გამართვის წესი, რომელიც წინამივლინების ანგარიშში იყო აღწერილი და ე. წ. **ჯორმა**-ს დამზადება, რომელიც ადგილზე უნდა ყოფილიყო შეჭმული ყველა მონადირეთა მიერ სათანადო რიტუალის შესრულებით. ჯორმას ამზადებდნენ შემდეგი წესით: დახოცილი ნადირის შიგნეულს დასჭრიდნენ წვრილად და შეახვევდნენ მისივე **ფუუში**. ამას მაგრად გადაუჭერდნენ ნადირის ნაწლავებს. ასეთი სახით მას ან ცეცხლთან ახლოს ჩამოჰკიდებდნენ ან ორმოში ჩასდებდნენ, რომელსაც ზემოდან ცეცხლი ჰქონდა დანთებული. იმ ცალკე ნაწილებს, რომელთაც ურიგებდნენ სხვადასხვა პირებს ეწოდებოდა **საუმფროსო, საისრე, სახელადო, სანამეტნაო, სამომკვლელო** და სხვ.

5. **ნადირობასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი.** ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა პირველი და მნიშვნელოვანი ჯგუფი სრული სიწმინდის დაცვის აუცილებლობაზე იყო დამკვიდრებული. სანადირო ადგილი „წმინდანიანად“ იყო მიჩნეული, ხოლო ნადირი „წილიანად“. ამ შეხედულებიდან გამომდინარე მონადირე ნადირობის წინა დღეებში ერიდებოდა ლანძღვა-გინებას და უშვერ სიტყვების წარმოთქმას, ქალთან კავშირს და მიახლოებასაც კი მისი მენსტრუაციისა და ორსულობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ღორის ტყავის ქალამანი საუკეთესო ქალამანად იყო მიჩნეული, ცრუმორწმუნე მონადირე ერიდებოდა ღორის ტყავის ქალამნით სანადიროდ წასვლას; ყოველ შემთხვევაში, ღორის ტყავის ქალამანით შიშველ კლდეზე, იქ, სადაც ჯიხვი ეგულებოდა, მონადირე არ ავიდოდა.

ამავე რიგს ეკუთვნის აგრეთვე მონადირეთა შორის გავრცელებული წესჩვეულება, რომლის მიხედვით ნადირის ძვლის გადაგდება აკრძალული იყო. ზოგ შემთხვევაში, ნადირის ძვალს ცეცხლში სწვავდნენ, ზოგ შემთხვევაში წყალში ჰყრიდნენ, ხოლო უმთავრესად მიწაში მარხავდნენ მას.

თოფის გაბრუნდებასთან დაკავშირებით სცოდნიათ **თოფის მოწამვლა** ან მისი **შერცხვენა.** პირველის ქვეშ იგულისხმება თოფის ლულაში გველის მოთავსება და ამგვარად მისი დაცლა, ხოლო მეორე შემთხვევაში თოფის საღორეში დამარხვა ან დედაკაცის ქვედა საცვალში გატარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოფის შერცხვენასთან დაკავშირებული ცერემონიის შესრულებაში ორი პიროვნება იღებდა მონაწილეობას. ერთი მათგანი ამბობდა:

—არც ეხლა მოხვდები? არც ეხლა მოხვდები?

მეორე უპასუხებდა:

—ოღონდ აქედან გამომიყვანე—მოვხვდები.

ხელის ასახსნელად შინაური ფრინველის თოფით მოკვლას მიმართავდნენ ხოლმე.

ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სიზმარს. ცრუმორწმუნე მონადირე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაემგზავრებოდა სანადიროდ, თუ მისი შეხედულებით ხელსაყრელ სიზმარს ნახავდა. ხელსაყრელ სიზმრად მიჩნეული იყო კარგად გამოწყობილი ქალი მხარზე ყმაწვილით, ცნობილი მონადირე, შეკაზმული ცხენი, შეჭურვილი მხედარი და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წესჩვეულებათა ის ჯგუფი, რომელიც პირველ ნადირობასთან იყო დაკავშირებული. პირველად მოკლული ნადირის სისხლის წაცხება შუბლზე, თოფის ლულის ტუჩის შეღებვა მისი სისხლით და სხვა, შესაძლებელია მივიჩნიოთ, როგორც მონადირეთ ზიარების გადმონაშთი.

ცრუმორწმუნე მონადირეთა მიერ სრულდებოდა აგრეთვე თ ო ფ ი ს დ ა მ ა რ ხ ვ ი ს წესი, რომელიც მაგ. ფშავშიაც არის დამოწმებული და რომლისაგანაც რაჭაში დამოწმებული წესი გარკვეულად განსხვავდება.

რაჭაში თოფის დამარხვა სცოდნიათ იმ შემთხვევაში, თუ მონადირე ათას ნადირს მოკლავდა. თოფის დამარხვის შემდეგ მონადირეს აღარა ჰქონდა ნადირობის უფლება. ფშაური ა ზ ა რ ი კი გულისხმობდა ყოველი ათასი ნადირის მოკვლის შემდეგ თოფის პერიოდულ დამარხვას[1]. ამ შემთხვევაში როგორც ვხედავთ მონადირეს სამუდამოდ კი არ ეკრძალებოდა ნადირობა, არამედ დროებით.

ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ე. წ. **თავრიელს.** ნადირის თავ-კისერი (და თუ იგი რქიანი იყო—რქაც) წარმოადგენდა თავისებურ ტროფეის, ხოლო მეორე მხრივ გამოყენებული იყო, როგორც ხატზე შესაწირავი. რაჭის ეკლესიებში (და როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა საქართველოს სხვა კუთხეების ეკლესიაშიც) დამოწმებული ყოფილა მრავალი შენაწირი რქა განსაკუთრებით ირმისა, ჯიხვისა და არჩვის.

ტროფეის როლს დათვის თავრიელიც ასრულებდა, რომელსაც მისი მომკვლელი მონადირე ეზოში ამისათვის სპეციალურად მოწყობილ მარგილზე მოათავსებდა.

ამასთან დაკმვშირებით საინტერესოა თავრიელისა და მტრის თავის წაკვეთის მნიშვნელობის ურთიერთობა. ხოლო რომ მტრის თავის წაკვეთის პრაქტიკა ძველად ქართველი ტომებისათვის უცხო არ იყო ცნობას გვაწვდიან

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, აფხუშოობა, ი ვ ე რ ი ა, 1886 წელი, № 141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქსენოფონტე[1] და არისტოტელე[2]; უამრავი ცნობა მოიპოვება ასევე სახებ „ქართლის ცხოვრებაში“[3], ქართული ხალხური შემოქმედების საგანძურში[4] და სხვ.

საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს, რადგან უახლეს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ტროფეის სახით დამოწმებულია აგრეთვე მტრის ხელის მტევანი[5].

ადგილზე მუშაობის დროს უდიდეს დახმარებას გვიწევდნენ მონადირეთა კავშირის ამბროლაურისა და ონის რწმუნებულები, რაიალმასკომი და სოფლის საბჭოები, რომელთაც უდიდეს მადლობას ვუძღვნით. ექსპედიციის დროს გადაღებულია ათამდე ფოტოსურათი.

---

[1] В. В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, ტ. I, СПБ, 1890, გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 383.

[3] ჯუანშერ ჯუანშერიანი, ქართლის ცხოვრება, მარიამისეული, ექ. თაყაიშვილის გამ., გვ. 132; ქართლის ცხოვრების მეორე გაგრძელება, იგივე გამოც., გვ. 901, 923 და სხვ.

[4] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, ტფ. 1937 წელი, გვ. 152, შაქრო, პანკისის ხეობა, ივერია, 1887 წელი, № 21 და სხვ.

[5] ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, ტ. I, ხევსურული, ტფ. 1939 წ., გვ. 20.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. რეხვიაშვილი

რაჭაში მივლინების მოკლე ანგარიში

1939 წ. ზაფხულს ათი ივლისიდან 10 აგვისტომდე მივლინებული ვიყავი რაჭაში ენიმკი-ს მიერ მეორედ მჭედლობის შესახებ მასალების შესაგროვებლად.

მუშაობა მიზნად ისახავდა რაჭის მჭედლობის მთლიანი სურათის გათვალისწინებას და ამ ნიადაგზე 1938 წელს შეკრებილი მასალის შევსება-შემოწმებასა და შეჯერებას უფრო ვრცელ გეოგრაფიულ არეზე.

ამის შესაბამისად სამუშაოთა მარშრუტი შეიცავდა, როგორც ზემო- ისე ქვემო-რაჭას: რიცეულას, ლუხუმის, საკაურას, ჯეჯორის, კრიხულას და რიონის ხეობებს. მათგან სამი პირველი მდინარე რიონს მარცხნიდან ერთვის, ხოლო ორი შემდგომი—მარჯვნიდან.

დასახელებულ ხეობათა თითოეული კუთხე განსაკუთრებულ ლანდშაფტით და ზოგიერთი ეთნოგრაფიული თავისებურებებით ხასიათდება. სხვადასხვაობა თავს იჩენს საცხოვრებელი და სამეურნეო „შრამელის“, ტანისამოსის, ავეჯის, ზნეჩვეულებისა და ენობრივი მონაცემების მხრით.

ხეობათა გაყოლებით, მთებისაკენ, მცხოვრებნი უპირატესად მკვიდრ და მყარ სახლ-კარობას და ამასთანავე მჭიდროდ დასახლებას არჩევენ; უფრო ბარისაკენ მცხოვრებნი—იმერული სახის მსუბუქ შრომალეობას და გაშლილ დასახლებას ამჯობინებენ.

პირველთ დღემდე შემოუნახავთ ჩაცმა-დახურვის და ტანისამოსის შინამრეწველური დამზადების ძველი წესები. კიდევ ცოცხლობენ მათში გადასულ დროთა საყოფაცხოვრებო ზნეჩვეულებანი: ქალის დაწინდვა აკვანშივე, საგვარეულო-სათემო დღეობები, „მიწის სუფრა“ მიცვალებულისათვის, დიასახლისის არჩევა ქალების მიერ წლიდან-წლამდე (ჩვეულებრივად ეს იწყება ბარბალობას), სათიბსა და სახნავ-სამკალში ერთ დათქმულ დროს გასვლა და სხვ. ამასთანავე თითოეული ხეობა განსხვავებულ კილო-კავზე ლაპარაკობს. ამ მხრით ძალიან საყურადღებოა ს. ს. გლოლა, წედისი, ღები, უწერა და სხვა.

რაჭა უმთავრესად მიწარობის ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის ეს დარგი აქ საკმაოდ განვითარებული ჩანს. გაუმჯობესებული სამუშაო იარაღის დამზადება, მიწის დასვენება, მიწის მოპატივება, თესლ-მონაცვლეობა, ზოგიერთი ენდემიკური ხორბლეულის: ხულუგოს, ზანდურის და სხვათა გავრცელება

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მრავალი ჯიშის ვაზის კულტურა ამასვე ადასტურებს. ამ საქმეში მჭედლობას თავისი წილი უდევს. ამ მხრით მისი მნიშვნელობა და როლი უთუოდ საგრძნობია.

მელითონეობა, კერძოდ რკინის მჭედლობა მთელ რაჭაში გვხვდება. ვერ ნახავთ სოფელს, თუ ნასოფლარს, სადაც არ ჩანდეს მჭედლობის კვალი და მის შესახებ შემონახული სხვადასხვა ცნობები. სრულიად განაპირა მთებსა და ტყეველებში სამჭედლოების მრავალი ნაკვალევი მოიპოება. მაგ.: შქმერის მთაში, ძეგლევის მთაში, ურავში და ლოღორას.

რაჭის მჭედლობა სამი განაყოფის სახითაა წარმოდგენილი:

1. ქვაბის მჭედლობა, ანუ „მექვაბეობა“,
2. ნალბანდობა, ანუ „ხარის მჭედლობა“ და
3. რკინის მჭედლობა, ანუ რკინის ოსტატობა.

მექვაბე ამზადებს სპილენძის ჭურჭელს: ქვაბს (კარდალს), ტაფას, თუნგს, ტასტს და სხვ. თავადვე ამზადებს ამ ნივთებისათვის საჭირო რკინის ნაწილებს. „მექვაბეები“ მუშაობენ ამჟამად ონში და ამბროლაურში, მაგრამ ორივეგან გადაშენების გზაზე სდგას ეს ხელობა. კარდალი კეთდება ფართო და განიერ ძირიანი, სხვები კი ჩვეულებრივი სახისა.

ნალბანდი ამზადებს: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნალ-ლურსმანს. ყურადღებას იქცევს ხარის კოპიანი ნალი, ყინულზე სავალად, რომელიც საგანგებოდაა შეხამებული ადგილობრივ პირობებთან. ნალ-ლურსმანის გაკეთებას ეწოდება ნალ-ლურსმანის მოჭრა, რასაც ყალიბის საშუალებით აწარმოებენ. გასარჩევად ფაბრიკული ნაწარმისა, რომელსაც საერთოდ „რუსულს“ ეძახიან, საკუთარ ნაწარმს „ქართულ“ ნალ-ლურსმანს უწოდებენ, მითი ჭედავენ ხარებს, ცხენებს და იშვიათად ჯორებსა და ვირებს. თუ მუშაობას საკმაო სარგებლობა მოაქვს ნალბანდისათვის, მაშინ იგი ამ ხელობით კმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ამავე დროს რკინის მჭედლობასაც მისდევს.

რკინის მჭედელი, ოსტატი ამზადებს ნაირ რკინეულს, „ხელადს“: სახლის ავეჯი—საქვაბე, სამკვრე, ზესადგარი, შამფური, ასტამ-საკეცური და სხვ.; ოსტატის ხელჭურჭელს: სატეხე, ჩაქუჩი, კვერი, მარწუხი, ხოწი, ეჩო, ჩქუთი, საწვავე და სხვა; სამეურნეო-სამუშაოს და გამჭრელს: ბარი, თოხი, რკინის კეტი, წერაქვი, ცული, წალდი, დანა, საკოდელი, ცელი და სხვა.

წარმოების ტექნიკური წესების მიხედვით ზემო- და ქვემო-რაჭის შორის პრინციპული სხვადასხვაობა არ არის, თუმცა მათ შორის, ამ მხრივ, თავს იჩენს ხოლმე, ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი განსხვავება. ზემო-რაჭის რკინეული—„ხელადი“—გამოირჩევა თავისი გამძლეობით, ამტანობითა და ფხით; ქვემო-რაჭული „ხელადი“ სამაგიეროდ უფრო კოხტა, სანდომიანი და ლამაზი მოყვანილობისაა. ამასთანავე ქვემო-რაჭის მჭედლების მიერ მზადდება სხვადასხვა ზომის, მაგრამ ერთნაირი მოყვანილობის ნაჯახი, ანუ „ფთიანი“ ცული, ზემო რაჭაში, ამასთან ერთად, „ქართული ცული“, რომლის ბადალი დღევანდელმა ქვემო-რაჭამ არ იცის. ამ მხრივ ზემო-რაჭა და ქვემო-რაჭის ზოგიერთი სოფელი (წესი, ურავი, საკაო) ისე როგორც იმერეთიც სახელწოდება „ცული“-სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ცული



ეროვნული ბიბლიოთეკა

და „ნაჯახი“-ს ქვეშ გულისხმობენ სხვადასხვა სიდიდის ერთდაიმავე მოყვანილობის იარაღს—„ფთიან ცულს“: დიდს—ცული ეწოდება, პატარას—ნაჯახი. ზემო-რაჭის მთიანი ზოლის მთელ რიგ სოფლებში—ღები, ჭიორა, გლოლა, უწერა, წედისი, ქვედი, ძეგლევი—ცულს და ნაჯახს განასხვავებენ არა სიდიდით, არამედ ფორმით. „ცულს“ ვიწრო, მაღალი და სოლისებრი მოყვანილობის ტანი აქვს, რომელიც პირისკენ ოდნავ განიერდება, ისე, რომ წინა ნიღრი წაწვეტებულია სიმაღლეზე, უკანა ნიღრი კი გამოშვერილია სიგანეზე. ყუა კუთხედი და სქელსაგვერდულიანი აქვს. ზოგიერთს უკანა გვერდზე ჩაჭრილი აქვს იღლია და ჰქმნის კუწუბს. ნაჯახი უიღლიოა. ამ ადგილიდან მისი ტანი საგრძნობლად დიდზე წარზიდულია—უკანისკენ კუთხედად, რომელზედაც ეყრდნობა ხის ტარი. ნაჯახის ეს ნაწილი, რომელსაც ფრთა ეწოდება, აგანიერებს ნაჯახის პირს და ხდის მას მარჯვე და მოხერხებულ სახმარ იარაღად. განსხვავებას ვამჩნევთ აგრეთვე ნახშირის დაწვასა და შერჩევაში. ქვემო-რაჭაში უპირატესად მაგარი ხის ნახშირს ხმარობენ და მის დასაწვავად ქვით ამოშენებულ სანახშირე ორმოებს იყენებენ, ზემო-რაჭა ამჯობინებს კონტრასტულ, მაგარი და რბილი ხის ნახშირს—ერთდროულად, რკინის თვისება და გახურების ხარისხი უჩვენებს, თუ რა დროს რომელი მათგანი იხმაროს. ხოლო სანახშირე ორმოს სახელდახელოდ აკეთებენ—ამოუშენებლად.

არსებობს ორმოში ნახშირის მოშრეტის რამდენიმე წესიც: ზემო-რაჭაში ქართლისებურად ზემოდან, თავიდან შრეტავენ (აქრობენ) ორმოს მასზე წაფარებული ნედლი ხის ტოტების გამონაჟური წყალის და ზედვე წაყრილ მიწის საშუალებით, რასაც „სულის მოგუბვას“ უწოდებენ. ქვემო-რაჭაში—ძირიდან, სასულედან ასხამენ წყალს, რომლის შედეგად მაღლა ავარდნილი ოშხივარი (შრიოლი) ვერ ჰპოებს გასავლელს, უგუბავს სულს და შრეტს ცეცხლს ორმოში.

შეიძლებოდა დასახელებულიყო კიდევ ზოგიერთი თავისებური მოვლენა შედარების თვალსაზრისით ზემო- და ქვემო-რაჭის მჭედლობის შორის, რომელნიც ძირითადი მონაცემებით ერთურთს ავსებენ და ერთი მეორის შესატყვისნი არიან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რკინის მჭედლობას რაჭაში, როგორც ეს წინა საანგარიშო მოხსენებაშიც იყო ჩვენ მიერ აღნიშნული, ჰქონდა თავისი ნედლეულის კერები, რომლებიც დამოწმებული იყო ზემო-რაჭაში—წედისსა და ქვედში. წელს ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა, სიტყვიერი წყაროებით, ამგვარი კერების არსებობა ქვემო-რაჭაშიც; სახელდობრ სადმელის და ხონჭიორის მთებში. მჭედელ ესტატე შაუთიძისა და მონადირე პ. ჯაფარიძის ცნობით „ნამჭედლურას“ მთაში, სადმელს, დღესაც არის დაცული ჩამონგრეული ძველი მაღარო და მის წინ სამჭედლოს კვალი. ძველებიდან მათ გაუგონიათ, რომ აქ უმალ რკინას ამუშავებდნენ თურმე. გეოლოგ დავით წერეთლის მითითებით რიცეულას ხეობაში, რომელიც სადმელის მთებიდან გამოდის, მართლა მოიპოება რკინის მადანი. ეს ფაქტი ნათელს ფენს რკ. ლითონის შესახებ ზემოხსენებულ სიტყვიერ ცნობებს და ერთგვარად სარწმუნოდა ხდის მათ. სამწუხაროდ ამ ცნობების შემოწმება ადგილზე არ მოხერხდა, ამიტომ მათ შესახებ რისიმე გადაჭრით თქმა შეუძლებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის მანძილზე დამოწმებული და ფიქსირებული იქნა ზოგიერთი საყურადღებო ფაქტები, რომელთაც ამა თუ იმ მხრით დიდი მნიშვნელობა აქვთ რაჭის მჭედლობის ზოგიერთი მოვლენის გასარკვევად. რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდ გავრცელებულია ორთავიანი, ორპირიანი სამუშაო იარაღი, რომელიც სამი სახითაა წარმოდგენილი. პირველ წყებას განეკუთვნება ის იარაღები, რომელთაც ორივე პირი, ანუ თავი ერთნაირი მოყვანილობისა და ერთი მეორის შესატყვისია თავისი ფუნქციით: წისქვილის საკოდელი ორწვერი (ქვის სათლელი), ორრქიანი გრდემლი, ხოწი. მეორე წყებას განეკუთვნებიან ისინი, რომელნიც განსხვავდებიან, როგორც თავების მოყვანილობით, ისე ფუნქციით: კვერი, დუმიანი გრდემლი, ცალწვერი წერაქვი, უჩარდა, ტარაღი, საშალი. მესამეს—სხვადასხვა იარაღის კომბინირებული, ცალგნით შეერთების გზით მიღებული ფორმა: თოხ-წერაქვა, ბარ-თოხა, ვარცლის ხოწი, თორნის ასტამი და სხვ.

კომბინირებული იარაღის ნაქნარი ასევე სიტყვა კომპოზიტით აღინიშნება. მოთოხწერაქვება, მობართოხება, მოხართოხება და სხვა.

ამრიგად ძირითადად მზადდება „გამჭრელი „მუშა“ და „დამნგრევი“ იარაღი და მასთან ერთად სხვადასხვა წვრილმანი ნივთები, ავეჯი და ხელჭურჭელი.

როგორც ძველი, ისე ახალი „ხელადი“ რკინა შანთი იჭედება.

ცივად მჭედლობა, რომელსაც „ცივ-კვერვას“ უწოდებენ, დამოწმებულია მხოლოდ სოფ. ძეგლევში (ზ.-რაჭა).

მჭედლობა ორ მხარეს შეიცავს: ძველი რკინეულობის შეკეთებას, რომელშიაც შედის რკინის რკინაზე წამატება—დასადებლება, რკინაზე ფოლადის დართვა—დაფოლადება, მოპირვა, გადაბმა, გადაკერვა, გატეხილის შედუღება და ახალი რკინეულის გაჭედვა. ორივე ხასიათის რკინეულის ნაწარმს საერთო სახელი „ხელადი“ ეწოდება. ურთერთისაგან გასარჩევად უმატებენ გამსაზღვრელ სიტყვას: ძველი „ხელადი“, ახალი „ხელადი“.

ახალი „ხელადი“-ს სამუშაოები მჭედლების მიერ ორ წყებად სრულდება. პირველად ნივთის გამოკოპიტება, დაგვარება ხდება, მეორედ მისი დამზადება და საბოლოოდ მოთავება. ადამ კიკვაძე ამბობს: „ჩვიდმეტ-ჩვიდმეტი ასი თავი რკინა მქონდა ხოლმე გამოკოპიტებული, მერე გამოვიყვანდით სუყველას ერთად. გამოყვანაში შედიოდა: გამოპირვა, გაჩალხვა, გალესვა, წრთობა და გაფერვა“.

ცალკეული ნივთის კეთება საკუთარ მიდგომასა და დახელოვნებას მოითხოვს ამა თუ იმ მჭედლისაგან, რაც დამოკიდებულია მის პირად უნარსა, საზრისსა და მიხვდომაზე. ამ მხრით, რაჭის მჭედლებს შორის რკინეული პროდუქციის გაკეთებაში ერთგვარ ინდივიდუალურ ხაზებს და ორიგინალურ ხერხებს ვამჩნევთ. მაგ., ხაფანგის დამზადებას მჭედლები სხვადასხვა გზით აღწევენ. ერთი მათგანი ასე მოგვითხრობს: „ხაფანგის გაკეთება ყველას არ შეუძლია. სხვაგვარი წრთობა უნდა, თვარემ გატყდება, ან კიდე არ გაიღვერება კაა... ჯერ უნდა გახურდეს თეთრფერამდის და მერე ერთბაშად ცივ წყალში უნდა ჩაუშვათ გაციებამდე. მერე ავიღებთ და ცხელ ღადარში გავახვევთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცლით სანამ წასმული ჯოხი ნაფწკიალებს არ გაყრის, შემდეგ ჰაერზე ეკიდება ვაციებთ და კარგია“ (არჩილ სალყვაჩარის ძე მელაშვილი).

საინტერესოა, რომ ძველი ცული, რომელსაც ღები, ჭიორა გლოლა და წედისი უძველესად მიიმჩნევს, ამჟამად იშვიათად იხმარება როგორც ქვემო- ისე ზემო-რაჭაში. მას იცნობენ ნაირსახელით: „ნაჯახი“, „ნიღვრიანი ცული“, „ცულაფთა“, „მთიულულა“ და სხვა.

საბა აფთს განმარტავს:—მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი, რაც არ უდგება ცულის მოყვანილობას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მჭედელი, როგორც ეს ლეჩხუმსა და სხვაგან იყო, წლიურად ურიგდებოდა გარკვეულ კოლექტივს, სოფელს ძველი „ხელადის“ შეკეთებას. კოლექტივი გასამრჯელოს ორი სახით უხდიდა: ნატურით ან სამაგიერო მოხმარებით. ეს საზოგადო წარმოების გადმონაშთს უნდა შეადგენდეს—ისე როგორც ნადი და შეამხანაგება. წედური რკ. დამუშავების სინამდვილეში ამ მოვლენას „კალაფორია“ ეწოდებოდა, რაც უაღრესად საყურადღებოა.

„...მჭედელს წლიურად ურიგდებოდით, ზოგს გამოგვიპირავდა, ზოგს ფოლადს მოსდებდა, ზოგს გალესავდა, ზოგს წვერს ან რამეს გაუსწორებდა, სამაგიეროდ გადასახადს ვაძლევდით, ან ქვე თუ უშველიდით ჩვენც“ (ს. სადმელი, დიანოზ შარაშიძე).

წარმოების ტექნიკის თვალსაზრისით რკინეული „ხელადის“ ავკარგიანობა ჯერ გადულებაზეა დამოკიდებული და შემდგომ წრთობაზე. არც ერთი და არც მეორე სასურველ შედეგს ვერ აღწევს იმ შემთხვევაში, თუ შესაფერისი ნახშირიც ხელს არ უწყობს ამ საქმეს. დულილის დროს რკინა იწმინდება მთელი რიგი ნაერთობევი ნივთიერებისაგან. დაწმენდა-დახალასების ნორმალური მსვლელობა დამოკიდებულია ნახშირსა და რკინეულის მკეთებელზე. მკეთებელი, მოხელე მჭედელი გახურების ხარისხით ატყობს, თუ როგორ მიმდინარეობს დულება. გამოცდილებით იცის, თუ გახურებული შანთი რკინა, როდის რა ფერს გამოსცემს. ფერის საშუალებით მშვენივრად იცის, რამდენად წესიერად და მართებულად მიდის დულილი და რადარა დროს უნდა გადმოიღოს და დაკვეროს შანთი.

რაჭის მჭედლობაში რკინის შერიგისად დულებას მთავარი ყურადღება ექცევა. ამ მხრით ზოგიერთი საყურადღებო დაკვირვებანი აქვთ. მაგ., როცა რკინა ცეცხლში ხურდება, მისი კანი და გული არა თანაბრად, სხვადასხვა ხარისხით ხურდება; კანი რომ „მოსულია“, „გული“ უმი რჩება. ამ შემთხვევაში მიმართავენ შემდეგ საშუალებას: მომზადებული აქვთ წინასწარ გაცრილი სილა, რომელსაც დააყრიან ნაწილობრივ გახურებულ რკინას. უკანასკნელი სიმხურვალეში ადვილად მიიკრავს ამ სილას და შემდგომ განაგრძობენ საჭირო ხარისხამდე გახურებას. სილა იცავს გარე კანს ჭარბი გახურებისაგან და გულისა და კანის თანაბრად ადულების საშუალებას იძლევა. რკინის სადულარ საშუალებად გამოყენებულია ამასთანავე „ქვამარილი“, ისე როგორც ეს ქართლშიაც იციან (სახელდობრ ბორჯომის ხეობაში).

ამ მიმართებით ნახშირის როლი დიდია, რადგანაც სხვადასხვა ხის ჯიშის ნახშირი სხვადასხვა გვარად მოქმედებს რკინის დულების ფიზიკო-ქიმიურ მოვლენებზე, ამიტომ ნახშირს საგანგებოდ სწვავენ და არჩევენ. მასზე ბევრად არის დამოკიდებული რკინის „ხელადის“ ხარისხი. რკინეულის ტანმთელობა და ვარგისობა შერიგისი დულებისა და ნახშირის საქმეა, ხოლო ფხა და სიმტკიცე, ამასთანავე წრთობაზეა დამოკიდებული. ხარისხიანი რკინეული პროდუქტის დამზადების საქმეში წრთობას უპირველესი ადგილი უჭირავს რაჭის მჭედლობაში. წრთობა თავის მხრით მოითხოვს გარკვეულ წესებს: 1. წყალში ჩაშვების ხერხი, 2. სიხანგრძლივე, 3. გახურების ხარისხი, 4. მღვრიე და წმინდა წყალი. ეს წესები გამოიყენება თავის ადგილას იმისდა მიხედვით, თუ რას აკეთებენ და რა მიზნით.

II

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წედისის რკინის წარმოებაში ქვემორაჭა, როგორც ცნობებით ირკვევა, გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდა, როგორც უმი ლითონის, ისე მზა „ხელადის“ მიღების სახით. სიტყვიერი ცნობებით, კიდევ უფრო ადრე მათ საკუთ. რკ. ნედლეულის კერებიც ჰქონიათ. ეს გარემოება გვაფიქრებიებს, რომ მჭედლობის დარგი რაჭაში, ეყრდნობოდა რა საკუთარ ნედლეულის კერებს, ძველიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული. რაჭას თავისი რკ. პროდუქტი გაჰქონდა იმერეთში, ქართლში და ლეჩხუმში.

ს. ორბელში მჭედელმა ყურაშვილმა გარკვეულად მიგვითითა, რომ ძველად ჩვენს მამა-პაპათ რკინა რაჭიდან მოქონდათო. ეს ცნობა მეორე მხრივაცაა საყურადღებო. რაჭიდან რკინის უჭედურად გატანა თვით რაჭაში ვერ დავამოწმეთ.

რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა შემდეგმა შემოწმებამ უნდა ნათელყოს.

მჭედლობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს წედისის რკინის დამუშავების ცალკეული მომენტები. მას შემდგომ, რაც „ქვაწითელას“ მაღარო ჩამონგრეულა და იქიდან ლითონის გამოტანა შეწყვეტილა, დაუწყიათ რკინის დამზადება ძველი რკინეულიდან. აგროვებდნენ ძველ ნამტვრევ რკინეულს, მას გაურევდნენ ცოტას „ღილს“ (ქვაწითელას ლითონის ნადნობს) და საწურ ქურაში დაადნობდნენ და გამოყავდათ რკინა. ამ წესით დამზადებულ რკინას „ნაჭდი“ ეწოდებოდა, ხოლო თვით დამზადებას—„მონაჭვდა“. ამ მიზნით უტილ-ნედლეულს შეგროვების გეოგრაფიული რადიუსი ქართლს აღწევდა („მეჯვრის ხევამდი მივდიოდით, ნაკვეცი რკინა ჩამოგვქონდა იქიდან“, ს. მაისურაძე).

ამ გარემოებას ნიშანდობლივად უნდა ასახავდეს ერთი საყურადღებო თქმულება, რომელიც ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობის დროს აღნიშნულ იქნა ს. მერეთში. მიხეილ ზაქარიას ძე ელიაშვილმა, რომელიც ურემს უძღოდა, კამეჩების დაღლასთან დაკავშირებით ასეთი თქმა გამოიყენა:

„ჰე, შე კაცო, წედისი დაიწვა, რაც იმას ბერვა ჰქონდა“. ძველი ანდაზა არის, უმანდელმა ხალხმა იცოდა. რო ვეტყოდით კაცს—საწყალი რათა

2. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარო გვეტყოდა—ჰე შე კაცო, წედისი დაიწვა, რაც იმას ბერვა ჰქონდაო, დიდი გაჭირვება გამომივლია და მა რა მომივიდოდაო". ეს საინტერესო თქმა, ანდაზად ქცეული, საყურადღებოა, როგორც რაჭა-ქართლის ურთიერთობის ისე წედისის რკინის დამუშავების საკითხის გასარკვევად.

წედისში დამოწმებულ იქნა კიდევ რამდენიმე რკ. ლითონის ჯიში, მაგ.: „კობიჭი", „შავი ლითონი" და სხვ. პირველი იყო ყვითელი ფერის, მაგრამ „გორგინდა"-საგან განირჩეოდა თვისებით და ფერით. „მეორე კი იყო წმინდა ლითონი, რომელსაც ყველაფერი თავისი ყოფნიდა. ამას გარდა წედისის თავზე იყო „სამიწალები მადანი". იმითი ჩოხებს და შალებს ვღებავდით, ჯერ დავაყვითლებდით ვაშლის და თხემლის კანში და მერე იმათში შავად ვღებავდით. ეს ლითონი მთელ რაჭას და რა ვიცი ვის არ მიქონდა"[1] (100 წ. თაზო მაისურაძე).

უკანასკნელ მადნის გარდა ს. ქვედის ადგილებში ყოფილა ერთი დიდი მაღარო, საიდანაც ძველად გამოჰქონდათ ერთგვარი მიწა, რომელსაც „საპირი მიწა" ეწოდებოდა. ამ საპირი მიწას ნაყავდნენ და მითი კალოებს პირს უსწორებდნენ. „სამი დღის ნაწვიმარი რომ ყოფილიყო ერთ საათში შრებოდა მით პირმოგებული კალო" (სპილო მაისურაძე).

კალოს მომიწვასთან დაკავშირებით რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია „კალოს მოპირვის" საინტერესო წესი, რომელიც ლეწვასთანაა დაკავშირებული. ვიდრე ლეწვას იწყებდნენ ორი დღით ადრე საქონლის ახალ პატივს გადაწმენდილ კალოზე წყალში გახსნიან და ცოცხით ან ნიჩბით ამ ხსნარს „მოაროინიებენ" მთელ კალოზე. ხსნარი ავსებს ოღრო-ჩოღრო ადგილებს, პირს უკრავს და უსწორებს კალოს, რითაც კალოზე მარცვლის დანაკლისს ამცირებს. ამ პროცესს ეწოდება „მოპიტვლა", ხოლო ხსნარს „პიტელი". მოპიტვლა ძირითადად ისე, როგორც მოყინულზე ლეწვა, მიზნად ისახავს ლეწვის დროს მარცვლის დანაკლისის მინიმუმამდე დაყვანას.

ფაქტიური სინამდვილეა, რომ რაჭაში, ისე როგორც მრავალ სხვა კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებში, ერთი გვარის რამდენიმე ოჯახისათვის—„განაყოფის", „ჩვენიანი"-სათვის შერქმეული აქვთ წინაპრის სახელი და როცა სურთ ამა თუ იმ პირის ჩამომავლობითი განსაზღვრა პირველ რიგში იხსენიებენ ამ სახელით და არა გვარით: ყაყეენი, ცირაენი, მამუჩიკაანი, მჭედლიანი და სხვა.

ამათგან ჩვენ გვაინტერესებს „მჭედლიანი". მჭედლიანნი არიან: ღებს, გლოლას, ჭიორას, უწერას, ქვედს, წედისს, ძეგლევს, საკაოს და მრავალ სხვა სოფელში. საყურადღებოა, რომ მათ მიაკუთვნებენ ჩამომავლობით მჭედელს. ჩვენი ძველი იყო მჭედელი და ამიტომ მჭედლიანთ გვეძახიანო.

---

[1] საღებავებში აღსანიშნავია აგრეთვე ხის ტუტუნი, რომელსაც ეწოდებოდა „კალიქვა". ხე რომ დაფუტუროვდებოდა შეუნთებდნენ ძირიდან ცეცხლს და იმ ხიდან იღვენთებოდა ერთგვარი წვენი, რომელიც გაცივების შემდგომ მაგარ და ჩონჩხიან სხეულად იქცეოდა. ნაცრის ფერი და ხორკლებიანი იყო. ამას იყენებდნენ საღებავის დასამზადებლად. ჭურჭელში გახსნიდნენ და შემდეგ იდვა ჩაკვეთილი „დედასავით", ანუ „ძირად".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოვლენა საინტერესოა ჩვენთვის, როგორც საერთოდ გვართა გენიალოგიისა, ისე საკუთრად მჭედლობის, როგორც ფართოდ გავრცელებული ხელობის, ზოგიერთი საკითხის გასარკვევად.

იმ გარემოებას, რომ მჭედლებს მთელი სოფელი ან მცხოვრებთა ერთი ჯგუფი წლიურად ურიგდებოდა, ხოლო მეორე მხრით ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ მჭედლობის საქმეში ამათუიმ სახით—მჭედლობის საყოველთაო ხასიათისა და კოლექტიური წარმოების საწყისებამდე მივყავართ.

სოფელ ჭიორას უკანასკნელ წლებამდე შემორჩა ჩვეულება სახალხო დღეობის სახით, რომლის დროსაც, საღამოს ჟამს მთელი სოფელი კომლზე ერთ დიდ ნაკოდ შეშას გამოიტანდა სოფლის შუა ადგილზე, „სანახშოზე". შეშას დაციხავდნენ გარდიგარდმო. თითოეული ნაკოდის მომტანი გუნდური შეძახილების „დალოცოს" შემდგომ დადებდა ნაკოდს და თავადაც მიერთოდა ხალხს, ანუ გაერეოდა ჯარში. მოტანის პროცესი გრძელდებოდა ვახშმობამდე, შემდგომ კი ვისაც ძალა შესწევდა, მამაკაცთაგან შეგროვდებოდნენ და დაუვლიდენ კარი-კარ სოფელს და „დიდება ბძანეს" იტყოდენ. დასალოცავი გამოჰქონდა მცხოვრებს ღვინის და ფულის სახით. ამრიგად შეგროვებულ ღვინოსა და პურს დაიმარაგებდნენ. განთიადისას შეშის ხორას ცეცხლს წაუკიდებდნენ და მეორე დღემდე გიზგიზებდა ვებერთელა' კოცონი. ცეცხლს გარშემო მოუსხდებოდნენ და იყო ერთი ქეიფი. მეორე დღეს დაცვენილი ნახშირი მიჰქონდა მხოლოდ მჭედელს, სხვისთვის „არ ვარგია" იყო.

შესაძლებელია ამ ჩვეულებაში შემონახული გვქონდეს გადმონაშთის სახით მჭედლობის საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენების ფაქტები, რომლებიც შეიძლება სიმბოლიური ანარეკლნი იყვნენ იმ რეალური პროცესებისა, რომლებიც წედისის რკინის საზიარო დამუშავებაში და ნახშირის დაწვაში გვხვდება ხოლმე.

რაც შეეხება მჭედლის საზოგადოებრივ მდგომარეობას, მოცემული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში მჭედლობა რომელიც უმთავრესად ნატურალური მეურნეობის შინამრეწველურ წესებს ემყარებოდა, ძირითადად გამოყოფილი არ იყო მეურნეობის სხვა დარგთაგან, ამდენად მჭედელი საზ-ივ ორგანიზაციაში ასრულებდა დამხმარე როლს, საზოგადოების მიერ ის როგორც მოხელე მცოდნე კაცი ფასდებოდა და პატივსცემდნენ, ზოგიერთ შემთხვევაში მიაჩნდათ იგი „ზეკაცური" ძალისა და უნარის მქონედაც. მისი სიტყვა და მოქმედება რატომღაც ჩვეულებრივ ადამიანზე უფრო მეტად სჭრიდა. ყველა ცდილობდა საწყენად არ გაეხადა მასთან საქმე და როგორმე მადლიერი ჰყოლოდათ იგი. მისდამი მოკრძალება და რიდი იმავე რიგის მოვლენად მიგვაჩნია, როგორიცაა გლახა თვალის, გლახა ფეხის, გლახა, ანუ უბედური ნათქვამის კაცისადმი განწყობა, რომელიც ზოგიერთ რწმენებზეა დამყარებული.

პირველ შემთხვევაში მჭედლისადმი თავის სიყვარულს და პატივისცემას საზოგადოება იმით გამოხატავდა, რომ მას სათემო დღეობების დროს უგზავნიდნენ მოსაკითხს, ძღვენს და თან უსურვებდნენ დღეგრძელობას; ჩვენი მჭედელი ხარ, გაამოსო, ეტყოდნენ ძღვენის მიმტანნი. ძღვენი შესდგებოდა—ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყანწი ღვინისა, ხაჭაპურისა და ხორცის ნაჭერისგან. სხვა მხრივ მას საზოგადოებრივ ვითარებაში რაიმე უპირატესობა არ ეკუთვნოდა.

მეორე შემთხვევაში მჭედლის მიერ უბრალ გაჭედილი რკინეული მაგიური ძალისა იყო და მას ამულეტად იყენებდნენ. მჭედლის ნათქვამი გაფრთხილება—„დაუცდელი“ იყო, უთუოდ აუსრულდებოდა მას, ვიზედაც და რაზედაც ის დაჟინებით რამეს იტყოდა; ხოლო მჭედლის „გადაცემული“ კაცი თავის დღეში ვერ გამოვიდოდა ამ რისხვისაგან და მამიდან შვილზე გადადიოდა. იშვიათად მაგრამ მაინც მჭედელს აქა-იქ კუდიანობასაც სწამებდნენ და მას „მამნებელს“ უწოდებდნენ. იმას ერთი სული და ხორცი არ უდგასო—იტყოდნენ. მჭედელი მიუხედავად ამ თილისმური ძალის ქონებისა, თავადაც დაშინებული და უძლური იყო სხვა „მჩხიბავთაგან“ თვალნაცემისა და ნათვალყბისაგან, ავი ფეხის და ავი თვალისაგან, ხელნაქცევისა და ხელნაკრავისაგან. „დამზნილი“ ქონდა, როდის ვისი ნათქვამი, წინდახდომა და ფეხი და თვალი, რას უქადდა. ამიტომ საწინააღმდეგო საშუალებებს მიმართავდა. აარიდებდა თვალს ყველა ამათ, რამდენადაც ეს მოსახერხებელი და შესაძლებელი იყო. თუ ეს არ გასჭრიდა და ხელი „გაუდგებოდა“, ხელის მოსაბრუნებლად ეჭვმიტანილი კაცის ტანისამოსს წაგლეჯდა, ჩუმად მოპარავდა, „ხელს უქცევდა“ და მით გააბათილებდა იმ ძალას, რომელმაც მას ხელი შეუკრა. თუ ესეც არ გასჭრიდა, მიმართავდა „გამკითხავ“-ს და მისი რჩევისამებრ მოიქცეოდა. ჩვეულებრივად იცოდნენ „თვალის შელოცვა“, რომელსაც ასრულებდა ვინმე ცნობილი მოხუცი ქალი.

მჭედლებს ჰქონდათ თავისი დღეობა ბოსლობა ღამეს.

ამასთანავე საჭიროა დასახელებულ იქნას ზოგიერთი საყურადღებო მოვლენა, რომელიც შემონახულა რაჭაში. ასეთი არის ძველი წესი დიდი ქვის, ლოდების დაპობა, ანუ დახეთქა გახურებისა და შემდგომ მასზე წყლის დასხმის საშუალებით. როდესაც ქვა ზომაზე დიდი იყო და მას არსებული უბრალო იარაღებით ვერაფერს დააკლებდნენ, ამ შემთხვევაში მიუნთებდნენ ცეცხლს, გაავარვარებდნენ და ერბაშად ამსხვრევდნენ წყლის დასხმით.

ასევე საყურადღებოა მეორე ფაქტიც.

ს. გლოლაში და სხვაგანაც ზ.-რაჭაში სცოდნიათ კოლექტიური ურო-საცემის გაკეთება, რომელიც რამდენიმე კაცის ძალის გაერთიანების პრინციპზე იყო აშენებული. ოროს სახელად „საბერავი“ ერქვა. იგი წარმოადგენდა მუხის მრგვალ მორს, რომელსაც თავებზე ჩაბმული ჰქონდა გრძელი ღვლეჭის სახელურები. ამგვარი ოროს შემწეობით ადვილად აპობდნენ დიდ ხეებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რ. ხარაძე

პირიქით ხევსურეთში მივლინების წინასწარი ანგარში

8 ივლისს გავემგზავრეთ თბილისიდან ბარისახოში, პირიქით ხევსურეთში გადასასვლელად.

ჩვენი მიზანი იყო 1938 წელს პირაქეთ ხევსურეთში დაწყებული ხევსურული რჯულისა და კერძოდ მასთან დაკავშირებული ნათესაური ურთიერთობის შესწავლა.

ბარისახოში მისვლის პირველ დღესვე მოვხვდით მიცვალებულის რიგებზე. ხევსურეთის ზოგიერთ სოფლებში აქა-იქ ჯერ კიდევ მიცვალებულის რიგები და დატირება ძველი, დრომოჭმული წესით ტარდება.

მიცვალებულის სახლში ბანზე, ხდება ტალავართ დატირება. ტირილში მხოლოდ დედაკაცები იღებენ მონაწილეობას, მრგვლად უსხედან გაშლილ ტალავარს და გარიგებულ სუფრას. სოფლის ქალ-ზალს ტალავართ დატირების დროს, მძივებით მორთული არაყიანი ბოთლები მოაქვთ, რომლებსაც იქვე ტალავართან სდგამენ. ხმით მატირალი ხმალზე დაბჯენილი იწყებს მოთქმას. ეს უკანასკნელი მორიგეობით იცვლება და ვისაც მატირლები დაასახელებენ, ხმალიც მას უნდა გადასცენ.

მიცვალებულის ახლობლები: დები, შვილები, ჩვეულებრივად არ არიან ხოლმე ხმით მატირლები. ცოლი კი საერთოდ ვერ დაიტირებს ქმარს. ის მატირლებში ვერც-კი დაჯდება და მოსულების პატივისცემას და კერძოდ არაყის დარიგებას უნდება.

ტალავართ დატირების დროს იწყება დოღიც. დოღში უნდა გარიონ ცხენი დედი-ძმებმა, დედით და მამით შინშებმა, მეზობლებმა, ნარევებმა. მიცვალებულის ცხენს შეკაზმულს ამ დროს ტალავართან მიიყვანენ, გარიგებული ტაბლიდან რძეს შეასმევენ, პურს შეაჭმევენ, არაყს დაალევინებენ და შემდეგ სხვა ცხენებში გაურევენ. ამ ცხენზე შეჯდომა მამად-კაცობიდან ერთერთს შეხვდება.

დოღის ცხენი უბელოა, ღვედი აქვს მოსართავის მაგივრად შემოჭერილი. ფაფარი დაწნულია წვრილ-წვრილ ნაწნავებად და ბოლოები შეკრულია წითელი ფერის ნაჭრებით.

რიგების დროს ფოტოგრაფიულად გადავიღეთ ყველა მომენტი, მაგრამ წვიმის გამო ზოგი მათგანი და კერძოდ დოღი ვერ გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 ივლისს ისევ მკვდრის რიგებზე ვიყავით და მხოლოდ 10 ივლისს, დამთავრებულმა ზრუნვამ პირიქით ხევსურეთში გასამგზავრებლად, შესაძლებელი გახადა 11-ში დილით ჩვენი ბარისახოდან გასვლა.

სურ. 1. სოფ. ბარისახო, აპარეკა არაბულის „რიგების“ სუფრა.

მარშრუტი ავირჩიეთ შემდეგი:

ბარისახოდან ველკეთილის გადასავლით ლებაისკარში. აქედანვე შემოვიარეთ სოფ. ჭეჭყეთი და კისტანი.

სამივე ეს სოფელი ჯინჭარაულებითაა დასახლებული.

ლებაისკრელნი ძველ მამად მამისაურებად იწოდებიან და თავის შიგნით კიდევ ახალ მამებად იყოფიან: ა) ბოსელანი და ბ) გვიანაურნი. ჭეჭყეთელნი ერთ მამად კაცებს შეადგენენ და ბაბკიაურებად იწოდებიან, ხოლო კისტნელნი ძველ მამათა მიხედვით ობოლაურებად ითვლებიან და ახალ მამად კი შემდეგნაირად იყოფიან: ა) ბულეთაურნი, ბ) ათანდილანი, გ) ივანიკანი, დ) მგელიკანი, ე) ჯუღურანი.

ლებაისკრიდან გადავედით გიორ-წმიდაში, რომელიც უკვე გოგოჭურების სამოსახლოს წარმოადგენს. გიორ-წმიდა ცალკე უბნებისაგან შედგება; ტბათანა, სადუცე, ორწყალი, ამუგა, ხოლისკალუა, დენილა, ხორუ და ქვენ-ბოსელი. სოფ. გურო, რომელიც გიორ-წმიდიდან 7—8 კილომეტრითაა დაშორებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორ-წმიდელების ძველ სამოსახლოს წარმოადგენს და ამიტომ გიორ-წმიდელებს გუროელებსაც უწოდებენ.

გუროელი გოგოჭურები ძველ მამათა მიხედვით იყოფიან:

A. ბაჩაყაურად და B. ახურად. თათუანი, წიქანი და ბათირანი ახურათა ქერხოსანების ჯგუფის ახალ დაყოფებს წარმოადგენენ. სადარანი, დევანი, ბათაკიანი, კანათანი და თამარისძენი ახურათა სუიკანების ჯგუფს ეკუთვნიან. ბაჩაყაურნი კი თავის შიგნით აღარ იყოფიან.

გიორ-წმიდელები წლის განმავლობაში საქონლის საძოვრებზე გადაყვანასთან დაკავშირებით ორჯერ იცვლიან ბინას: ივნისის შუა რიცხვებიდან დაწყებული, აგვისტოს შუა რიცხვებამდე საზაფხულო ბინაზე არიან, დანარჩენ დროს კი საზამთრო ბინაზე ატარებენ.

ახალ-მამად დაყოფის მიხედვით გიორ-წმიდელების საზამთრო და საზაფხულო ბინადრობა შემდეგ სურათს იძლევა:

1. თათუანი—ზამთარში დენიღაში და სადუცეში, ზაფხულში—ისართღელეში;

2. წიქანი—ზამთარში სადუცეში, ზაფხულში ხორნაულთაში;

3. თამარისძენი—ზამთარში ორწყალში, ზაფხულში ვიროანაზე;

4. სადარანი—ზამთარში ორწყალში, ზაფხულში ვიროანაზე;

5. დევანი—ზამთარში ორწყალში, ზაფხულში ვიროანაზე;

6. ბათირანი—ზამთარში ამუგასა და ხოლისკალუაში, ზაფხულში—ვიროანაზე და გუროში;

7. ბათაკიანი—ზამთარში ამუგას და ხოლისკალუას, ზაფხულში—ვიროანაზე და გუროში;

8. კანათანი—ზამთარში დენიღაში, ზაფხულში—ვიროანაზე;

9. ბათაკანი—ზამთარში ხორუში და ქვენ-ბოსელში, ზაფხულში—გუროში;

10. ბაჩაყაურნი—ზამთარში ქვენ-ბოსელში, ზაფხულში—გუროში.

საერთოდ მთელი საგოგოჭურო შედგება: გუროელებისა, ჭორმეშიონთა, ატაბიონთა და ბუჩუკურლებისაგან, რომლებიც ძვალ-გვარად იწოდებიან, ხოლო ჯაჯაბოელნი, ბისოელნი და ჯაკმატიონნი ჯარ-ქვაბით შამაყრილებად ითვლებიან.

გიორ-წმიდაში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დაგვემოწმებია ლიტერატურაში უკვე ცნობილი ე. წ. საღმერთოს გადახდა (შდრ. გაბუური, წელიწდეული, ტ. I, 1923—24 წ.).

ვაჟი რომ 3 ან 5 წლის გახდებოდა საღმერთოს გადაუხდიდნენ. ბავშვის პატრონი ლუდს ადუღებს, არაყს გამოსწურავს, ჯარ-კურეტს დაამზადებს. მამით და დედით ნათესავები, ფიც-ვერცხლ ნაჭამი ძმობილი, ყველანი ემზადებიან ამ დღისათვის, არაყს ხდიან. „ჭელცარიელი ვერ მიოლ თავს ხპარსავს ვაჟასაო“ იტყოდნენ. ხუცესი კურატს ან წვრილფეხა საკლავს დაკლავდა და სისხლის ჯვარს გაუკეთებდა ბავშვს შუბლზე, ცხვირზე და ლოყებზე. შემდეგ დალოცავდა: „მაგცას წყალობა უფალმა. შენ სამხვეწრო შაიწიროს, შენ სამეშვლო იყოს; უფალმა კაის ბედის დავლათის მაგიხდინოს, კიდევ გაძმიანას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა მაგცას წყალობა“. ბავშვს თავზე წყალს დაასხამდნენ და უცოლო ვაჟს სამართებლით ქოჩორს მოაპარსვინებდნენ. შემდეგ დანარჩენ თმას უკვე დუქარდით გადაუღებდნენ. ამ თმას დედა შეინახავდა სიკვდილის შემდეგ მას სამარეში ჩააყოლებდნენ. საღმერთო გარკვეული რიტუალური მნიშვნელობის მქონე მომენტებით, ბავშვის სქესსა და ჰასაკთანაა დაკავშირებული. ამ დროს ხდებოდა ოჯახში ახლად შეძენილი მამრობითი სქესის წარმომადგენლის საღმერთოდ შეევედრება და მისი ნაწილების სახით თმის შეწირვა.

გიორ-წმიდაშივე, უბ. ამუგაში, გადავიღეთ მკვდრისად დალოცვილი წყარო. ასეთი წყაროები ხევსურეთში მგზავრს თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა, ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიპყრო წყაროს გვერდით ჩარჭობილმა ფიჭვმა, რომელიც სხვაგან არ შეგვხვედრია. მკვდრისად წყაროს დალოცვას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ. ისეთ კაცზე, რომელმაც ეს ვერ შეუსრულა თავის გარდაცვლილ ნათესავზე, იტყოდნენ: „ბეჩავია, ჯერ სახელი არ დაუდებ მკვდართაო. მაგის სიცოცხლე რაითა ღირს, წყალნი კიდევ ვერ დაულოცნა მკვდარსაო“. გააკეთებდნენ წყაროს, დაუგებდნენ ღარს და თავზე ბროლებს შემოაწყობდნენ. წყაროსთან დანიშნულ დროს საკლავს მიიყვანდნენ, ტაბლას მიიტანდნენ, რომელზედაც დადგმული იყო: ერთი ხელადა არაყი, ერთი პატარა ქვაბი ადუღებული რძე, ქადის კვერები, კეცეულები და ერბოიანი ჯამი. ამას ყველაფერს იმის სახელს დაუდებდნენ ვისთვისაც წყაროა დალოცვილი: „ღმერთო დიდება შენდა, ღმერთო მადლი შენდა, ღმერთო შენგანა გაჩენილი ხვეწება კაცისაჲ, ბარება სულისაჲ, სად ქრისტე პურობენა, ანგელოზნი ჟამობენა, ცოდვილნი გაინანებენ, მართალნი გაისვენებენ. საცა შენ სულ მოიხსენება (სახელს იტყვიან მკვდრისას) შენ ანდაბია, შენ სამყოფოია, შენამც მაგივა, შენამც მაგეკმარება, დაყენებული ეს საკლავი, გაკეთებული ეს წყაროი: შენამც განათრიელებს, შენამც გაიაღებს, ცოდოსამც მაგხდისა, სასჯელსაც მაგარიდებს, ენი ნათქვამსა, ჭელი ნაქნარსა, ყური განაგონარსა, თუალი ნანახსა. ეს წყაროი შენიმც საკუთნოია, უწყლოთამც ნუ დარჩები! წყაროჩი წილ უდები ნუ იქნები! ამ საკლავითაც იმკვიდრებ და ისაკუთრებ! ზე დამრჩოთ ღმერთმა მარჯე ნუღარა დააღიროს! შენ ღმერთმა მაგაკმაროს ეს წყაროიც, ეს საკლავიც, ეს სუფრაიც, ეს სასმელიც! შაგინდნას მაგახმაროს ღმერთმა“! თუ იმ მესაძმოეთაგან, რომლის სახელზედაც წყაროა აგებული, მოკვდებოდა ვინმე, მაშინ საკლავის დაკვლა აღარ იყო საჭირო. ტაბლას გააწყობდნენ, არაყს გამოხდიდნენ და იმავე წყაროს ღარს გამოუცვლიდნენ; ფიჭვს კაპებს ჩამოსჭრიდნენ, დაამოკლებდნენ, თავზე კიკარჩხას გაშლილს დაუტოვებდნენ, და იქვე გვერდით წყაროსთან ჩაარჭობდნენ.

ამის შემდეგ ხელახლა დალოცავდნენ კვდრისად წყალს. უცხო კვდრისათვის კი ძველი წყაროს დალოცვა არ შეიძლებოდა.

ჩვენ მიერ გადაღებული წყარო პირველად კანეშა გოგოჭურის სახელზე აგებული და დალოცვილი ყოფილა, შემდეგ ხელახლა მისი შვილის გიგოს სახელზე დაულოციათ, ხოლო მესამედ—მისი მამად შინშის ბათირას სახელზე და ფიჭვიც მაშინ ჩაურჭვიათ. ამგვარად, წყალნი გარკვეული მკვდრის სახელზე ილოცებოდა, წყარო კი რჩებოდა მთელი საძმოს მკვდართა მოსახსენებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სურ. 2. სოფ. გიორ-წმიდა, „მკვდრისად დალოცვილი წყარო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი ჩვენი მარშრუტი სოფ. შატილისაკენ მიიმართებოდა (იხ. სურ. შატილი, სურ. 3). შატილი ძირითადში ჯინჭარაულებითაა დასახლებული, რომლებიც თავის შიგნით შემდეგნაირად იყოფიან:

ძველ მამებად: 1. უთურგაულნი და 2. გილიკაურნი. უთურგაულნი ახალ მამებად: ა) ჯალაბაურნი, ბ) გილიკაურნი, გ) ბილაურნი, დ) შაბურანი, ე) მანგიანი.

გილიკაურნი: ა) გოგოთურანი, ბ) ბაგრატაულნი, გ) ბეკოურნი და დ) თიაყაურნი. ყველანი საჯინჭარაულოს შატილიონთა ჯგუფს შეადგენენ.

ჯინჭარაულების გარდა შატილში სახლობენ ანატორელნიც, რომლებიც ლიქოკელებისაგან წამოსულებად ითვლებიან. მათთან არის დაკავშირებული გადმოცემა ანატორის ეკალდამების გაჩენის შესახებ.



სურ. 3. სოფ. შატილის საერთო ხედი.

გადმოცემის მიხედვით ანატორელნი ლიქოკიდან გადმოსახლების შემდეგ სოფ. ანატორში სახლობდნენ. ჟამიანობის დროს ყველანი გაწყვეტილან და მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი გადარჩენილა, რომელსაც თავი შეუფარებია ჭონეს მთავარ ანგელოზის ხატში.

შემდეგ ის თუშეთში გაქცეულა და იქიდან შატილელ კაცს ისევ თავის ნასახლარზე მოუყვანია. მის ნაშიერად ითვლებიან ეხლანდელი ანატორელნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატორში ჩვენ დავათვალიერეთ სამი ეკალდამა; ერთი მათგანი (იხ. სურ. 4) გზის პირად მდებარეობს და ამიტომ ტურისტების დათვალიერების მუდმივ ობიექტადაა ქცეული და საკმაოდ განადგურებულიცაა.

ეკალდამა სავსეა ჩონჩხის ძვლებით, რომლებზედაც შემხმარია ხორცისა და ტანსაცმლის ნაწილები. ჩონჩხის ძვლები ეკალდამის შიგნით ორ რიგად გაკეთებულ ქვის საწოლებზეა დაწყობილი, ზოგჯერ მოკრუნჩხული და ზოგჯერ გაშლილი ჩონჩხის სახით. ინვენტარი, რომელიც ჩვენ ამ აკლდამიდან ამოვიღეთ შეიცავს: ხის აკვანს (იხ. სურ. 5), ხის 2 ჯამს, ბავშვის ჩითის



სურ. 4. ანატორი, „ეკალდამა“.

კაბის ნაგლეჯს, ჯვალოს ტანსაცმლის ნაგლეჯს და შავი ტყავის ფეხსაცმლის-ჯღანის ცალს. მეორე აკლდამა-ასევე ქალისა და ბავშვის ჩონჩხის ძვლებისაგან უნდა შედგებოდეს, სადაც ასევე აღმოჩნდა ხის ორი აკვანი (იხ. სურ. 6). მესამე აკლდამა მამაკაცთა სამარხს უნდა წარმოადგენდეს, საიდანაც ჩვენ წამოვიღეთ მამაკაცის მომწვანო ფერის ჯვალოს პერანგის ნაგლეჯები.

ძვლების უმრავლესობა ერთმანეთში არეულია. საერთოდ, როგორც ჩანს, აკლდამები არაერთხელ ქცეულა გადაჩხრეკის საგნად, რათქმაუნდა, უცხო პირების მიერ, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მათ ახლოს არ ეკარება. ამავე აკლდამებიდან ადგილობრივ მასწავლებელს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმისათვის გადაუცია მთელი რიგი ნივთები, რომელთაგან თითონ ასახელებს სამაჯურს, აკვანს, ჩონგურს და სხვას.

მთლიანობისათვის სხვა აკლდამების აღწერაზედაც აქვე შევჩერდებით.

მუცოს ძირში დავათვალიერეთ 4 აკლდამა, რომლებიც უზღარაულთა ეკალდამებად ითვლება. 2 მათგანი სარკმლიანია, 2 სრულიად დახურული, უსარკმლო. აკლდამების თანმიმდევრობა ტერასულია. პირველ აკლდამაში (ქვემოდან) ჩონჩხებისა და თავის ძვლების ნამტვრევების გარდა არაფერია. ინვენტარიდან შეგვხვდა მხოლოდ ერთი ხის ჯამი. მეორე სარკმლიან აკლდამაში, რომელიც ტერასული თანმიმდევრობით მეოთხე იქნება, ვნახეთ ერთი თავის ქალა ტრეპანაციის ნიშნით. აქვე ვიპოვეთ ხის ჯამის პატარა ნატეხი.



სურ. 5. ანატორი, I აკლდამიდან ამოღებული აკვანი.

არდოტის აკლდამების უმრავლესობა ჩაქცეულია და სპეციალურ გათხრებს მოითხოვს ისე, როგორც ყველა სხვა აკლდამა, რომლის სიღრმეში შეიძლება იყოს ნაპოვნი საინტერესო ნივთები, რადგანაც დროთა ვითარებაში და მუდმივ გადაჩხრეკაში აკლდამის ინვენტარი არეულია და მიწითა და ქვებითაა დაფარული.

ჯონის-ჭალელი მცხოვრები როსტომ გაგასძე შეთეკაური შემდეგს გადმოგვცემს აკლდამების შესახებ:

„სადაც კი ძველად მოსახლეობა იყო, ეკალდამა ყველგან უშენებიათ, რადგან ძველ დროჩი მიწაჩი არ უმარხავთ. ჟამიანობა ძველად 7 წელჩი ერთხელ ყოფილა და დამმარხავი რომ არავინ დამრჩალა, ამიტომ ეკალდამეებში ცოცხლებ შესულან. მერე უთქომ, რადგან ჩვენი მამა-პაპა აქ მარხიაო, კვდრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც აქ უზიდნავ. ჯამებით საჭმელი უზიდნავთ, ბავშვებიც აკავანით [illegible]. აი ძველ დროჩი ჩემს ხსოვნობაში დედა ყოფილა აკავანზე გადაწოლილი, ძუძუ ბალღისათვი პირჩი მიცემული და ისე გაშეშებული. ჩონგურიც ყოფილა, გვამებიც დაუშლელ, სუდარში გახვეული იყო. ეკალდამეები ანატორში, მუცუში, არდოტში არის. გამიგონავ არხოტშიც იყოო. მითხოში მგონი ორასი ეკალდამაც უნდა იყოს.

ძველ დროჩი ფარჩას ვხმარობდით სუდარზე, დედა ჩემს სამი ფერის ფარჩა, თეთრის, წითლისა და ლურჯის ფერისა ჰქონდა შენახული. აქედან სამ პერანგს შეკერავდნენ და შიგნით ჩააცმევდნენ: საკვამში შეჰქონდათ და მერე ჰხურავდნენ საკვამს".

არდოტელი მეიდა მურლოე ეკალდამეების შესახებ შენიშნავს: „არდოტის ეკალდამეები, სანამ მურლოვები და ზვიადაურები დასახლდებოდნენ, მანამდე ყოფილა აშენებული, შემდეგ იქ ჩვენებსაც უმარხავ. სანამ ზვიადა და ლაგაზა ბარჩი არ წასულა, ერწოს ყოფილან, და მერე, რომ მოსულან, უთქომ, ტყუილად შეგაქვთ კვდარი ეკალდამებში, მიწაჩი უნდა დამარხოთო".



მიცუელთა განსახლების სქემა

ასეთია ზოგი ხევსურის მიერ გადმოცემული ცნობა აკლდამების შესახებ.

შატილიდან შემდეგი ჩვენი მარშრუტი იყო მუცო ანუ მიცუ. ძველი მუცო ამჟამად მხოლოდ ნასახლარს წარმოადგენს. ამ 30-35 წლის წინათ დაწყებულა იქიდან გადმოსახლება, რის შედეგადაც ძველი მუცოს მახლობლად ახალი სოფლებია გაშენებული: ჯონის-ჭალა, ვარლე, წუქვიო, სამღორი და პირდაპირი (იხ. სქემა).

ძველ მუცოში ქისტების მოსახლეობაც ყოფილა, რომელიც შემდეგში გამრავლებულა და მუცოდან გადასახლების შემდეგ ბაყაწეხში, ენარში და ხონეში დაბინავებულა. ამჟამად, ძველი მუცოს ერთადერთ მოსახლეს ქისტი სუხი ბორჩაძე წარმოადგენს. ქართულად კარგად ლაპარაკობს. საერთოდ მუცოს მცხოვრებმა ქისტებმა ქართული არ იცოდნენ, ხოლო იქაური ხევსურები კი ყველანი ლაპარაკობდნენ ქისტურად, ქალებიც კი. საზამთრო ბინები მუცოელებს ქისტებთან ერთად ხონეში აქვთ აშენებული. ათენგენობის დღესასწაულზე (რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც ჩვენ 28 ივლისს დავესწარით) ყველა მორწმუნე ერთად იკრიბება ჯონეს მთავარ ანგელოზის ჯვარში. ქისტებს თავისი საკლავი მოჰყავთ ხევსურების ჯვარში



სურ. 6. ანატორი, II აკლდამიდან ამოღებული აკვანი.

და ხევსურის დასტური სწირავს მას ხატს (იხ. სურ. 7, 8). დაკლულ ბატკანს ქისტები უკვე თითონ ატყავებენ და ხორცსაც თითონ ხარშავენ. მუცოს მცხოვრები ქისტი ბორჩაძეები თავიანთ თავს ქისტეთიდან, სოფელ მაესტიდან, მოსულებად სთვლიან. მთხრობელი სუხი ბორჩაძე აღნიშნავს, რომ „მაესტში სრუ მარტო ბორჩაძეები ვართ"-ო.

არამარტო ქისტები, არამედ მიცუელი ხევსურებიც თავიანთ თავს ლეკეთიდან გადმოსახლებულად სთვლიან. მაგალითად, დაიაურების წარმოშობის შესახებ ასეთი გადმოცემა არსებობს: განთქმული გმირი თორღვაჲ ქართველი თავადისა და ქისტი ტყვე ქალის შვილი ყოფილა. ერთხელ ქისტებთან ბრძოლის დროს თორღვას ტყვე წამოუყვანია და მუცოში დაუსახლებია. მის შთამომავლობას ხევსურეთში ყაჩაღობა დაუწყია. არდოტელებს, მიცუელებს და ხახაბოელებს ისინი დაუხოციათ და მხოლოდ ერთი ფეხმძიმე ქალი ღა გადარჩენილა, რომელსაც ხახაბოში დედიძმები ჰყოლია. დედიძმებს ქალი თავის სახლში წაუყვანიათ. აქ ქალს ვაჟი შესძენია. ეს ბავშვი რომ დავაჟკაცებულა, მიცუში თავის მამა-პაპათ ძველ ნასახლარზე მოსულა, იქ დასახლებულა და მის შთამომავლობას, როგორც დისაგან გამრავლებულს, დ ა ი ა უ რ ი დარქმევია.

მიცუელებიც საჯინჭარაულოში შედიან, მაგრამ თავის შიგნით ისევ ნარევ გვარს წარმოადგენენ, რომლებიც სამ მამად იყოფიან: შეთეკაურნი, დაიაურნი და გიონი, რომლებიც სხვადასხვა წარმოშობის არიან (იხ. სქემა).

შემდეგი ჩვენი მარშრუტი იყო არდოტი.

არდოტი შედგება ძველი არდოტისა და შემდეგ გაშენებული სოფლებისა ანდაქისა და არჭილოსაგან. გადასახლება ამ ორმოცდაათი წლის წინათ დაუწყიათ. ძველ არდოტს გამოყოფილი აქვს უბნის სახით ე. წ. აიეხი. საზაფხულო ბინა არდოტელებს კიდევ უფრო მთა ადგილასა აქვთ მოწყობილი, რომელსაც ბახაოს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდოტის მოსახლეობას მურღოელნი და ზვიადაურნი შეადგენენ. მურ-ღოელნი საჯინჭარაულოს არდოტიონთა ჯგუფს წარმოადგენენ, რომლებიც თავის შიგნით კიდევ ატარებენ ახალ მამად სახელს—ბაისერანს. ყველანი, ორი მოსახლის გარდა, რომლებიც ამ ბოლო ხანებში ანდაქში გადასულან, ძველ არდოტში ცხოვრობენ.

სურ. 7. კონეს მთავარ-ანგელოზის ჯვარში ქისტების მიერ მოყვანილი საკლავი.

ზვიადაურები გიგაურების ჭარ-ქვაბით შაყრილები არიან, რომლებიც თავის თავს ფშავიდან სოფ. მუქოდან წამოსულებად სთვლიან; სახლობენ ძველ არდოტსა და არჭილოში.

ჩვენი მოგზაურობის უკანასკნელ პუნქტს ჭაჭაბო წარმოადგენდა.

სოფ. ჭაჭაბო იყოფა ორ ნაწილად: ზენ-უბანი და ქვენ-უბანი. ჭაჭაბოელნი საგოგოჭუროს ნაწილს შეადგენენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათთან ჭარ-ქვაბით შაყრილები არიან და თავის შიგნით შემდეგ მამებად იყოფიან:

ა) ხოსიაურები, ბ) მინდიკაურები, გ) ხახიაურები, დ) მამიაურები.

ჭაჭაბოდან განზრახული გვქონდა მათურას გადასავალით ფშავში ჩასვლა, რათა შეგვემოწმებია გადმოცემები ხევსურული გვარების ფშავიდან გადმოსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების შესახებ. კერძოდ, გოგოჭურებისა—ჩარგალიდან, გიგაურებისა—ბოლნისიდან, ლურთიდან, ზვიადაურებისა—მუქოდან და სხვა, რომელთა მრავალი ვარიანტი ჩაწერილი გვაქვს, როგორც პირაქეთ ისე პირიქით ხევსურეთში. მაგრამ ამ-

სურ. 8. კონეს მთავარ-ანგელოზის ჯვარში ქისტების მიერ მოყვანილი საკლავის შეწირვა.

გვარი მუშაობა უფრო დიდ დროს მოითხოვდა და მხოლოდ გზად გავლით ამის საბოლოო შემოწმება ვერ მოხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათესაური ურთიერთობის შესწავლა პირიქით ხევსურეთში შემდეგ საკითხ-
რათს იძლევა: აგნატიკური ნათესაობის ყველაზე ფართო ცნების გამომნატვე-
ლი ხევსურეთში იყო გ ვ ა რ ი.

თითოეული გვარი შედგებოდა ნათესაური ჯგუფებისაგან. იმ ნათესაურ დაჯ-
გუფებას, რომელიც გვართან შედარებით უფრო ახლო წინაპარის სახელს ატა-
რებდა, მამად დაყოფა ეწოდებოდა. ეს ნათესაური ჯგუფი თავის შიგნით კიდევ
იყოფოდა ახალ მამებად.
ასეთ შემთხვევაში სამგზის
დაყოფასთან გვაქვს საქმე,
სადაც ასხვავებენ ძველ და
ახალ მამებად დაყოფას. ტერ-
მინი ძირი, რომელიც დამო-
წმებული გვქონდა არხოტსა
და პირაქეთ ხევსურეთში აქ
არ შეგვხვედრია. განსახლების
პრინციპი ძირითადში გვაროვ-
ნული იყო და ამიტომ ტერი-
ტორიალური ერთეული ხში-
რად ემთხვევოდა ნათესაურ
ერთეულს. უმრავლეს შემთხვე-
ვაში თითოეული სოფელი და-
სახლებული იყო მხოლოდ
ახლო ნათესაური ჯგუფით.

ასე მაგალითად, ლებაის-
კარში სახლობდნენ მამისაუ-
რები, კისტანში ობოლაუ-
რები, ჭეჭყეთში ბაბკიაურები
და ასე სხვა.

ამგვარად, ტერიტორია-
ლური პრინციპის გაიგივება
სოციალურ ერთეულთან იძ-
ლევა სრულ შესაძლებლობას,
რომ ეს უკანასკნელნი ტოპონიმიკურ სახელსაც ატარებდნენ.

სურ. 9. მთხრობელი.

ძირითადში გვარი სისხლითი ნათესავებისაგან შემდგარ ერთეულს წარ-
მოადგენდა; მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მცირერიცხოვანი—უკაცური
გვარი, უერთდებოდა მრავალრიცხოვან—დიდ გვარს. ასეთ შეერთებას გ ვ ა რ ის
შ ა მ ო ყ რ ა ს უწოდებდნენ.

ასე მაგალითად, გადმოცემით პირიქითელ ჯინჭარაულთა გვარეულობაში
ლებაისკრელნი, შატილიონნი, კისტნელნი და ჭეჭყეთელნი ძვალ-გვარს წარმოად-
გენენ, ე. ი. სისხლით ნათესაობას შეადგენენ, არდოტელნი და მიცუელნი
კი ჯარ-ქვაბით შამოყრილები არიან. მიცუელებთან ბოლო ხანებში „ძმობა“
გაყრილი აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ძმად შამოყრილები უფლებრივად გათანაბრებულ ლი იყვნენ სისხლის ნათესავებთან, დასახელებისას მაინც ასხვავებდნენ ძვალ-გვარს, ჯარ-ქვაბით შამოყრილებისაგან. შაყრა ხდება მხოლოდ გვარებში, არც საძმოებში ე. წ. მ ა მ ა დ კ ა ც ო ბ ა შ ი, არც ცალკეულ ოჯახებში არ ხდება შაყრა. ამიტომ, შაყრილი გვარები მამად დაყოფაში თავის საკუთარ სახელს ატარებენ, გვარს კი იცვლიან. ჯარ-ქვაბით შამოყრის მიზეზს თითონ ასე განმარტავენ: „შაიყარეს, რომ სისხლის კენჭს არ ეძღოლის ცოტაისგან და ამიტომ გაბევრებულან; მემრ გვარ ცოტა რო იყო, ჭმლის დროს ჩაგრავდა. რო დასხდებოდეს ძველებ კაცებ იტყოდეს, ჩვენ ცოტ-ცოტაებ ვართ, სამან ჩავდგათ, გვარი შავყარნოთო, ჯარსაც და ლუდსაც ის გვარი მოიტანს, რომელსაც შაყრა სურს, ჯარსაც ის დაკლავს და ლუდსაც დაამწყალობნებს“ (სოფ. გიორწმიდა, ბიძურა გოგოჭური).

სურ. 10. მთხრობელი.

ჯარ-ქვაბით შაყრილობის დროს მხოლოდ გვარის მცირერიცხოვანებით ხელმძღვანელობდნენ. ტერიტორიალურ გაერთიანებას ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცეოდა, ამის საინტერესო მაგალითს შატილის მოსახლეობა წარმოადგენს.

როგორც დავინახეთ, შატილის მცხოვრებთა უმრავლესობას ჯინჭარაულები შეადგენენ, მათთან ერთად ანატორელნი სახლობენ, რომლებიც ლიქოკელების მოგვარეები არიან და ჯინჭარაულებთან მხოლოდ მეზობლურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ამგვარად, კაცრიელ გვარს, უკაცური გვარი ჯარ-ქვაბით შაეყრებოდა და ძმობა განმტკიცდებოდა. ამის შემდეგ სისხლ-მესისხლეობაში ანუ თავ-მეთავეობაში ჯარ-ქვაბით შამოყრილები ისეთსავე მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ძვალ-გვარნი. ექსოგამიის დაცვა გვარის შეკავშირების ერთერთი ძირითადი მომენტია, რომლის დარღვევა, როგორც ჯარ-ქვაბით შამოყრილ გვართან, ისე ძვალ-გვართან, საძმოს გაყრას იწვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარ-ქვაბით შამოყრილობის საკითხი ჩვენთვის ამჟამად კვლევის ობიექტია თადი საგანია. სპეციალურ გამოკვლევაში მას დაწვრილებით აღვწერთ და ამიტომ აქ მაზე აღარ ვჩერდებით.

სპეციალურადვე გვაქვს დამუშავებული ხევსურული რჯულის თავ-მეთაოობისა ანუ სისხლ-მესისხლეობის საკითხი, რის გამოც ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ, ამ უკანასკნელსაც საანგარიშო მოხსენებაში მხოლოდ გაკვრით შევეხოთ. გვარების შაყრის აღწერისას ჩვენ აღვნიშნავდით, რომ მიზანი შეერთებისა „სისხლის კენჭში“ თანაბარი მონაწილეობის მიღება, ანუ სისხლ-მესისხლეობაში ურთიერთ დახმარების გაწევა იყო.

სურ. 11. მთხრობელი.

სისხლ-მესისხლეობაში ხევსურული რჯული ითვალისწინებდა შემდეგი სახის საურავს:

1. მიწად-შეი საკლავი;
2. საგვარო (ანუ სალაშქრო) რიგი;
3. სადედო (ანუ სალაშქრო) რიგი;
4. სახლის რიგი;
5. საძმო რიგი;
6. სადო და სამამიდო რიგი;
7. სამაჯნაო რიგი.

ყველა ამას თან სდევდა ჯარიმისა და ზედმეტი გადასახადის სახით კიდევ ე. წ. ჯურუში და არბითი.

სისხლის საურავის თითოეული, აღნიშნული სახე მოითხოვდა მ ე კ ე ლ ი ს ა და მისი გვარისაგან სისხლიან მსხვერპლს ხარისა და ცხვრის შეწირვის სახით, ლუდის გარკვეულ რაოდენობას და „ვარიგებულ ტაბლებს“.

როგორც მეთავე ისე მეკელე, ე. ი. როგორც დაზარალებული ისე დამზარალებელი წარმოდგენილი იყო ნათესაური ჯგუფებისა და არა ცალკეული პირების სახით.

მეკელეს ოჯახს მიცვალებულის დასაფლავების წინ უნდა დაეკლა მ ი წ ა დ-შ ე ი ს ა კ ლ ა ვ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას მოყვებოდა მ ე თ ა ვ ე ს ა და მეჯელეს გვარების ურთიერთ გარიგება. ჯ ე ლ ე ს გვარის შუაკაცები საკლავებით გზაშივე უხვდებოდნენ მ ე თ ა ვ ე ს გვარს და აჩერებდნენ მას მსხვერპლის შეწირვით. თუ საკლავის დაკვლა დაუგვიანდებოდათ, მეთავეს გვარი მეჯელეს გვარს დახოცვითა და განადგურებით ემუქრებოდა. საგვარო რიგს გვარი საერთო ხარჯზე უყენებდა მეთავეს გვარს. „სისხლის კენჭში“

სურ. 12. მთხრობლები.

მეჯელეს გვარის თითოეულ წევრს თანაბარი მონაწილეობა უნდა მიეღო. ამგვარად, საგვარო რიგს, რომელსაც აგრეთვე ს ა ლ ა შ ქ რ ო რ ი გ ი ც ეწოდებოდა, გ ვ ა რ ი ს მ ო ბ რ უ ნ ე ბ ი ს შესაძლებლობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში აგნატიკური ნათესაობა მოითხოვდა გვარის დაკარგული სისხლის ანაზღაურებას, ე. ი. სისხლში—სისხლს. ამას მოჰყვებოდა ს ა დ ე დ ო რ ი გ ი, სადაც დედის გვარი ანუ კოგნატიკური ნათესაობა მოითხოვდა ქალის შთამომავლობის სისხლს. კოგნატიკური ნათესაობის უფლებები ამ შემთხვევაში თითქმის არ განსხვავდებოდა მამის ნათესავების უფლებებისაგან.

სადო, სადედით-შინშო და სამამიდო რიგი, საძმო რიგის მსგავსად ამ საფეხურის ნათესაობის მატრილოკარულ უფლებებს ამჟღავნებს, ხოლო საძმო რიგი ამ საფეხურის ნათესავების უფლებებს საწინააღმდეგო პატრილოკალური ნათესაობის ხაზით გამოხატავს. საყურადღებოა ამ შემთხვევაში ისიც, რომ თუ საძმო რიგი გულისხმობს, რომ მას იხდის მეჯელეს გვარი ან გვარის გარკვეული ნაწილი, უახლოესი ნათესაური ჯგუფის სახით, მის მიღებაშიც, მეთავეს მხრიდან ამავე ტიპის ნათესაობაა წარმოდგენილი. სადო რიგი ერთ უფროს დასთან იგზავნება, სადედით-შინშო—ერთ უფროს შინშთან, სამამიდო—ერთ უფროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამიდასთან. ეს კი თავის თავად გულისხმობს, რომ არსებობდა დედის-მხარეს ბისა და მამიდების ჯგუფები, რომლის შიგნითაც ხდებოდა მიღებული დრამის განაწილება.

ამგვარად, სისხლის გადა ხდასა და მიღებაში თანაბარი პარალელური უფლებებით სარგებლობდნენ მამისა და დედის გვარის წევრები, რის მიხედვითაც საგვარო რიგი შეესატყვისებოდა სადედო რიგს, ხოლო საძმო რიგი—სადო, სადედითშინშო და სამამიდო რიგებს. ზოგადი ხასიათისაა მიწად-შეი საკლავი და სამაჯნაო რიგი.

სურ. 13. მთხრობელი.

სისხლის რიგების რიტუალი გულისხმობს, რომ დამნაშავე მხარე სწირავს მსხვერპლს ჯარისა და ცხვრის სახით. ამზადებს პურებითა და საჭმელებით გაწყობილ სუფრას და ადუღებს ლუდს. თითონ რიგების სახელწოდება თავ-სისხლი, ან პირდაპირ სისხლი, უკვე გულისხმობს იმას, რომ მეთავე სისხლის ანაზღაურებას მოითხოვდა. საგვარო რიგი შეწირული ხარისა და ცხვრის სახით გამოლაშქრებულ მესისხლეს გზიდან აბრუნებდა.

ბანზე შესამჯდომლო საკლავი მოწინააღმდეგეს ბანზე შესვლის უფლებას ართმევდა, ბანიდან ჩამოსამჯდომლო საკლავი ბანს დანგრევისაგან იცავდა. გვარი არ დაბრუნდებოდა, თუ წინ არ შეაგებებდნენ ე.წ. მისაგებებელს საკლავისა და კუოატის სახით. სისხლიანი მსხვერპლი ხარისა და ცხვრის სახით ამ შემთხვევაში ადამიანის მსხვერპლის შემცვლელია და თითონ რიგის დაყენების უფლება უკვე ამგვარი მონაცვალეობის უფლების მინიჭებას გულისხმობს. ამას სთხოვდნენ მეთავეს შუაკაცები, როდესაც რიგის დაყენების ნებართვის მიღება უნდოდათ, როდესაც განრისხებული მესისხლე ემუქრებოდა მეჯელეს გვარს, მის საძმოს და ყველასაგან ადამიანის მსხვერპლს მოითხოვდა.

რიგის დაყენებით, როგორც ვთქვით, ხდება ადამიანის მსხვერპლის ხარისა და ცხვრის შეწირვით ანაზღაურება. ასეთია ფუნქციონალური გადასვლა ადამიანის მსხვერპლიდან ხარისა და ცხვრის შეწირვაზე. საინტერესოა ამ მხრივ ის გარემოებაც, რომ ჯევსურულ რჯულში საურავის გადახდის დროს, ამგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახეცვლის სხვა მომენტებიც გვაქვს. ასე მაგალითად, დრამის საფასურის ძირითადი ერთეული—ძროხა, შენაცვლებული იყო ცხვრებით. ამის გამო ასხვავებდნენ ჭელითსა და ფეჭით ძროხას. ჭელითი ძროხა 4 ცხვარს უდრიდა.

სურ. 14. მთხრობელი.

შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ აქაც სისხლის ფასის შესუსტებასთან გვაქვს საქმე და მსხვილფეხა მესაქონლეობის განვითარებასთან ერთად, როდესაც ძროხას მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა, სისხლის დრამა ძროხის ერთეულის მაგივრად ბატკნით შეიცვალა, გამოსაანგარიშებლად კი მაინც ძველი ერთეული დარჩა.

ხევსურული რჯულის მიხედვით მოკლულის დასაფლავება არ შეიძლებოდა მანამდე, სანამ მოწინააღმდეგეს სისხლი არ დაიღვრებოდა ან თუ ეს სისხლი არ იქნებოდა შეცვლილი საკლავით. მოკლულს საიქიოში მკვლელის სისხლი ან მისი შემცვლელი საკლავი უნდა უსწრებდესო. თუ მეკვლე ვერ მოასწრებდა დასაფლავებამდე მის შეწირვას, ეს მოკლულის მიმართ ჩადენილ დიდ დანაშაულად ითვლებოდა და ამიტომ მეთავე 5 ძროხით აჯურუმებდა მეკვლეს.

მიწად-შეი საკლავს, დაკვლის წინ, როგორც თითონ აღნიშნავენ, „მკვდრისად სახელს დაუდებდნენ". ეს იმას ნიშნავდა, რომ საკლავი განკუთვნილია მოკლულის სულისათვის, მას ეწირება. ამასვე მოწმობს სახელისდების ტექსტიც.

სახელისდება მდგომარეობდა მოკლულის სახელის ხსენებაში და იმის ვედრებაში, რომ შეწირული კურატი, ლუდი და ტაბლა მისი მოსახმარი იყოს, მისი საიაღებელი და ცოდვის მხდელი. დარჩენილი ნათესაობა ვალდებული იყო მოკლულის სულის გასანათლავად მკვლელს მსხვერპლი შეაწირვინოს, ან თითონ მკვლელი შესწიროს თავის მკვდარს. ამგვარად, შეწირვა უნდა მომხდარიყო ან დამნაშავის მოკვლით ან მისი შემცვლელი კურატისა და ბატკნის შეწირვით.

ამგვარად, რიგის გადახდის რიტუალური მხარე იმას ამჟღავნებდა, რომ ადამიანის მსხვერპლი შეცვლილა საკლავითა და გარიგებული სუფრით, რომელიც გარდაცვალებულის სულს ეწირებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლულის აუგად ხსენება ყველაზე ძნელ საქმედ ითვლებოდა ხევსურეთის რჯულში; შერიგების შემდეგაც თუ მას ადგილი ექნებოდა, შერიგების პირობა ირღვევოდა და მესისხლეობა ხელახლა იწყებოდა.

სურ. 15. მთხრობელი.

თუ მაგალითად მკვლელი დაუძახებდა—უნცროსიმც ხარო, რაც იმას ნიშნავს, რომ შენი მკვდარი საიქიოს ჩემს მკვდარს ემსახურებაო, დამნაშავე ვალდებული იყო გადაეხადა ჯურუმი 5 ძროხის რაოდენობით. სამაგნაო საკლავი ასევე ავალდებულებდა მეკვლის მთელ შთამომავლობას ხვნის დაწყებამდე მოკლულის სახელზე საკლავის შეწირვას.

მიცვალებულის კულტის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ არც ერთი ნათესაური ჯგუფი არ დათანხმდებოდა იმაზე, რომ სისხლის აღებისა თუ რიგის დაყენების გარეშე დაეტოვებინა ჩადენილი მკვლელობა.

ჯერ რიგის დაყენებაც თავისთავად სასჯელის შერბილებას გულისხმობდა. ამიტომ, მხოლოდ შუაკაცების მეშვეობით და მეთავეებისაგან მიღებული თანხმობის შემდეგ შეიძლებოდა რიგის დაყენება. იყო იძულებითი შემთხვევებიც, ე. წ. „ხატში შეჯდომის“ სახით.

ამგვარად, ხევსულული რჯულის ერთი ნაწილი თავ-მეთავობა ანუ სისხლ-მესისხლეობა წარმოადგენდა გვაროვნულ წყობილებაზე დამყარებულ ჩვეულებით მართლიერებას.

გვაროვნული წყობილების გამომხვატელ ძირითად ნიშნებად ამ შემთხვევაში შემდეგი მივგაჩნია:

I. მესისხლეების უფლება-მოვალეობანი დანაწილებულია ნათესაურ ჯგუფებად. ამის მიხედვით ვალდებულებათა სახეები შემდეგნაირად იყოფა: საგვარო, სადედო, საძმო, სადო, სადედით-შინშო, სამამიდო და სახლის რიგი. ამათგან სადედო, სადო და სამამიდო რიგების გადამხდელთა და მიმღებთა სახით წარმოდგენილი იყო უძველესი სახის—კოგნატიკური ნათესაობა, ხოლო დანარჩენი კი აგნატიკური ნათესაობის ურთიერთობის გამომხატველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. თითოეული ნათესაური ჯგუფი ვალდებული იყო სისხლი აეღო, ადამიანისა თუ კურატის მსხვერპლის შეწირვის სახით და ამით გარკვეული ვალი მოეხადა მოკლული ნათესავის წინაშე.

სურ. 16. მთხრობელი.

III. გვაროვნული წყობილების დროს ფიცში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ნათესავებს შეეძლოთ. რადგანაც, როგორც მოწამე, ისე ფიცის დამდები, მოწინააღმდეგის მტერი უნდა გამხდარიყო და ამით ახალი მესისხლეობა ჩამოვარდნილიყო სხვა გვარებს შორისაც.

სისხლ-მესისხლეობის მეორე სახის საურავად ხევსურულ რჯულში პატივის გადახდა უნდა ჩაითვალოს. პატივის გადახდა საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და მეკელისა და მეთავეს ნათესავების შეხვედრისას, მეკელისაგან ლუდისა ან არაყის მოტანას მოითხოვდა.

ამ სახის პატივის გარდა, არსებობდა აგრეთვე საკლავ-პატივიც, რომელიც უკვე სისხლიანი მსხვერპლის შეწირვას მოითხოვდა.

თუ პირველი სახე საურავისა (ს ი ს ხ ლ ი) სისხლის ანაზღაურების სახით, განკუთვნილი იყო თითონ მიცვალებულისათვის და კერძოდ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, პ ა ტ ი ვ ი მოკლულის ნათესავების სასარგებლოდ გადახდილი საურავია, რომელიც ჩადენილი დანაშაულის გამო, დამნაშავისაგან პატივისცემას და მორჩილებას მოითხოვდა. პატივის გადახდის გარდა მეკელეს ნათესავებთან მთელი რიგი აღკვეთები იყო დადებული და მეთავეს ნათესავებთან მთელ რიგ მორჩილებათა შესრულება მართებდა.

მესამე სახის საურავს ს ა მ ჯ ს ნ ე ლ ო ე ბ ი წარმოადგენდნენ, რომელთა გადახდაც მკვლელს ათავისუფლებდა მასზე დადებული მთელი რიგი აღკვეთებისაგან. ასეთ სამჯსნელოებს წარმოადგენენ:

1. წყალ-წისქვილის სამჯსნელო;
2. ჯვარ-ჯვარისკრის სამჯსნელო,
3. საფლავ-სამარხის სამჯსნელო. ყოველივე ამის გადახდა ამანათად გასული მეკელის სახლს ჰქონდა დაკისრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, მეჯელის ნათესაობის მთელი საქმიანობისა თუ ცხოვრების სხვა მომენტები:—ღვთის ვედრება, მიცვალებულის დასაფლავება და სხვ.—მეთავეს ხელში იყო, მისგან იყო დაკავებული, დ ა ბ მ უ ლ ი. მისი განთავისუფლება მოითხოვდა მეჯელისაგან სათანადო მსხვერპლის გაღებას, რასაც სამკსნელოს უწოდებდნენ. ასე ეხსნებოდათ, მაგალითად, დადებული აღკვეთა წისქვილზე, წყალზე, სასაფლაოზე და სხვ...

აქაც, მაშასადამე, მეთავეს მეჯელე სრულ მორჩილებაში ჰყავდა. მისი არსებობის აუცილებელ საშუალებებზე აღკვეთა იყო დადებული და განთავისუფლება თითოეულ კერძო შემთხვევაში შესაძლებელი იყო მხოლოდ საურავის გადახდით.

მივლინებაში სულ დავყავით 33 დღე. მასალები ხევსურული გვარებისა, რჯულისა და ქორწინების შესახებ შევკრიბეთ პირიქით ხევსურეთის ზემოთდასახელებულ ათ სოფელში. რჯულზე მუშაობისას ცნობებს ვაგროვებდით ისეთი პირებისაგან, რომლებიც რჯულის კაცებად ნამყოფი იყვნენ. განსაკუთრებული დახმარება გაგვიწიეს ამ მხრივ ქვემოთჩამოთვლილმა პირებმა: ხოტა ჯინჭარაულმა (სოფ. კისტანი); ბიძურა გოგოჭურმა (სოფ. გიორ-წმიდა); ლაგაზა, საყურა და ღთისო ჯინჭარაულებმა (სოფ. შატილი); გეჯურა დაიაურმა (სოფ. მიცუ); ლეკო მინდიკაურმა და ბაბო ხახიაურმა (სოფ. ხახაბო) და სხვებმა. ყველა ამ პირთ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ნაწილობრივ შეგროვილია მასალა ქორწინების წესების შესახებაც. რადგანაც ამ თემის ირგვლივ მუშაობის გაგრძელება მომავალი წლისათვის გვაქვს ნავარაუდევი, ამიტომ ამ საკითხზე აქ აღარ ვჩერდებით.

ფოტო-გადაღებები შესრულებულია სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის თანამშრომლის დოცენტ ქ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ბოჭორიშვილი

ქიზიყში ბივლინების მოკლე ანგარიში

ჩვენი სადისერტაციო თემის — „კახური კერამიკის“ დამუშავებამ, ჩვენთვის ადრევე ცნობილი ქიზიყური კერამიკის ზოგიერთი საკითხის გარკვევა მოითხოვა და დამატებითი ცნობების ადგილობრივ შეგროვების მიზნით, 1939 წლის აგვისტოს პირველს, ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ლ. ბოჭორიშვილისა და ე. ერისთავის შემადგენლობით) ქიზიყს გაემგზავრა.

დასასადგურებელ ცენტრად ექსპედიციამ ქ. სიღნაღი აირჩია და საველე მუშაობა კი სოფ. ანაგასა და უმთავრესად კი სოფ. ბოდბისხევში ჩაატარა. ექსპედიციის წევრთა სამოქმედო გეგმა მარტოოდენ განსახორციელებლად ნავარაუდევი კონკრეტული მიზნით (დამატებითი მასალების შეკრებით) არ შემოიფარგლა; ის კერამიკული წარმოების ყოველმხრივი შესწავლის გზით წარიძართა და ქიზიყელი ოსტატების მონათხრობის ჩამწერის დღიურებს, ერთი კვირის განმავლობაში, საკმაოდ ვრცელი და შინაარსიანი მასალა შეემატა.

ქიზიყური კერამიკის ირგვლივ მოპოვებული მასალის დაწვრილებითი გადმოცემით ჩვენ რათქმაუნდა საანგარიშო მოხსენებას არ დავტვირთავთ და ძლიერ მოკლედ მხოლოდ ზოგიერთი ცნობის შესახებ აღვნიშნავთ.

მრავალდარგოვანი ქიზიყური კერამიკა თვალსაჩინო ცხოველმყოფელობით შემონახულა, მაგრამ ბევრი რამ, როგორც ჩანს, მაინც შეცვლილა და წარმოების ცენტრთა რიცხვიც შესამჩნევად შემცირებულა. ჟამთა სვლის დაღი ყველაზე მკვეთრად მეჭურჭლეობა-მექვევრეობის გავრცელების არეალზე აღბეჭდილა: მრავალი სოფელი კერამიკის ცენტრების სიიდან უკანასკნელ ხანებში ამოშლილა და ჭურჭელ-ქვევრის წარმოებით სახელგანთქმულს, ეთნოგრაფიულ წყაროებში მოხსენებულ სოფ. ანაგასაც კი მათი ბედი სწვევია. ფართოდ წარმოდგენილი მეჭურჭლეობა ამ მხრივ იმთავითვე სახელმოხვეჭილ სოფ. ბოდბისხევს-ღა შეშოუნარჩუნებია და ქვევრები კი მხოლოდ ლაგოდეხის მხარეში მცხოვრებ იმერლებს-ღა უკეთებიათ.

ქიზიყის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მეჭურჭლეობა-მეთორნეობის, წყლის მილების მკეთებლობის, მექვევრეობისა და მეკრამიტეობა-მეაგურეობის არსებობა ერთხელ კიდევ დადგინდა და ქიზიყშიგნით კახეთის კერამიკის ერთგვარობაც საბოლოოდ დადასტურდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიზიყელი მეჭურჭლე წყლის მილისა და თორნის მკეთებლადაც ითვლება (თუმცა მეჭურჭლის ხელობის არმცოდნე მეთორნეც გვხვდება), მეკრამიტეს აგურის ჭრაც ევალება (მეაგურეს-კი მეკრამიტის როლის შესრულება ყოველთვის არ ეკისრება) და მექვევრის საქმიანობა-კი, ისევე, როგორც შიგნით კახეთში, უპირველესად თაღარ-ქვევრების კეთებით ამოიწურება. კერამიკული წარმოების სხვადასხვა დარგთა ურთიერთ დამოკიდებულება მათთვის განკუთვნილ ნაგებობათა ტერიტორიულ განლაგებაშიც აშკარავდება: ჭურჭლის საჭრელი ქ ა რ ხ ა ნ ა (წყლის მილიც ჭურჭლის ქარხანაში იჭრება) და თორნის ჩ ა რ დ ა ხ ი ერთ კომპლექსშია მოქცეული (თითქმის ყოველი მეჭურჭლე-მეთორნის ჩარდახი ქარხნის თავზეა დადგმული), ს ა ა გ უ რ ე („საგურე" ქ უ რ ი-ს, ჩ ა რ დ ა ხ ი-სა და კ ა ლ ო-ს კომპლექსს ეწოდება) აგურ-კრამიტის მოსაჭრელად არის განკუთვნილი და მათგან განცალკევებულად აშენებული ქვევრის ბ ი ნ ა-კი (ქიზიყელი მექვევრეები ქვევრის ქარხანას „ბინა"-ს ეძახიან) მხოლოდ ქვევრის გასაკეთებლად არის ნავარაუდევი.

ჭურჭლისა და თორნის გამოწვა ერთად ხდება (არამეჭურჭლე ოსტატის მიერ გაკეთებული თორნე რათქმაუნდა ცალკე გამოიწვება), წყლის მილიც (რომელიც ფართო მოხმარების საგანს არ წარმოადგენს და მხოლოდ წყლის გამოყვანის საჭიროების დროს მზადდება) ჭურჭელ-თორნის ქურაში იწვება („ქურა" კერამიკული ნაწარმის გამოსაწვავად განკუთვნილ ნაგებობას ეწოდება), ქვევრის გამოწვის პროცესიც საგანგებოდ ამ დანიშნულებისათვის განკუთვნილ ნაგებობაშიც ტარდება და მეკრამიტეობა-მეაგურეობასაც მხოლოდ აგურ-კრამიტის გამოსაწვავად აგებული ქურა ემსახურება. აგურის გამოწვა კრამიტთან შეამხანაგების გარეშეც შეიძლება, მაგრამ კრამიტის უაგუროდ ჩაწყობა და გამოწვა კი ვერ ხერხდება: ქურაში ჩალაგების დროს კრამიტს ძირში „სამი-ოთხი პირი" აგური მაინც თუ არ ჩაეფინა, ის დ ა ბ ლ ა ქ უ რ ი დ ა ნ (ს ა კ ე თ ე ბ უ ლ ი-დან) წამოსული ცეცხლის მძლავრ ალს ვერ გადაურჩება. ოსტატს, რომელსაც ხანდახან კრამიტის გამოწვა შეიძლება უფრო ეშურება, ძალაუნებურად გარკვეული რაოდენობის აგურის ჩაყოლებაც უხდება და მეკრამიტეობის მეაგურეობასთან ასე მჭიდროდ გადაჯაჭვა ნაწილობრივ ამ გარემოებითაც აიხსნება.

კახურ კერამიკურ წარმოებაში ტრადიციით დადგენილი წესების თანახმად, ქიზიყელი ოსტატებიც (შიგნით კახელთა მსგავსად) „ქურა"-ს „ქარხანა-ჩარდახის" ახლო აშენებენ და მეჭურჭლეები კი ამ ნაგებობათა დაახლოებას ზოგჯერ უკიდურესობამდეც ანვითარებენ (ბოდბისხევში ხშირად შევხვდებით ჭურჭლის ქარხნის ძირშივე მიდგმულს—შეშის შესაკეთებელი კარით ქარხანასთან შეერთებულ ქურას).

ქიზიყში (და კერძოდ სოფ. ბოდბისხევში) საყოველთაოდ გავრცელებული ოთხკუთხოვანი მოყვანილობის ჭურჭელ-თორნის ქურა („კუთხიანი ქურა"), როგორც ანაგის მეჭურჭლეთა გადმოცემითგან ირკვევა, შედარებით უკანასკნელ ხანში დამკვიდრებულა (თუმც შედარებით გვიან შემოსულ ოთხკედლიან ქურასაც, როგორც ჩანს, უკვე ათეული წლების ისტორია ჰქონია და ზოგიერთი ოსტატი სხვაგვარი ქურის არსებობას არც კი შესწრებია) და ძველად კი, ქიზიყური მეჭურჭლეობის მიერ ამჟამად თითქმის მთლად დავიწყებული მრგვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლოვანი ქურა („გრგვალი ქურა“) არსებულა; უწინდელი ჭურჭლის ქურა ახლანდელი ჭურჭლის ქურისა და აგურ-კრამიტის ქურის მსგავსად, მთლად მიწაში მჯდარა. თვით ამ ცნობის მომწვდელ ოსტატებსაც (სოფ. ანაგაში მცხოვრებთ: 70 წლის მოხუცს შაქრო იაშვილსა და მის ძმას—53 წლის ვანო იაშვილს), რომელთაც მეჭურჭლეობისათვის თავი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ მიუნებებიათ, ჭურჭლის გამოწვა მრგვალ ქურაში უწარმოებიათ. ჭურჭლის ჭრის ხელობა მიუვიწყებიათ, მაგრამ მათი მამა-პაპის დროს აშენებული ძველებური მრგვალი ქურა კი დღევანდლამდე შემოუნახავთ.

მთხრობელთა გამოკითხვამ დაგვარწმუნა, რომ მრავალ-სახეობათა შემცველი და მრავალგვარი დანიშნულების შემსრულებელი ქიზიყური ჭურჭელი (რომლის დაწვრილებითი აღწერილობა ჩვენ უწინვე მოგვეპოვებოდა) ძველად უფრო ნაირსახოვანი ყოფილა; დროთა ვითარებას მისთვის თავისი კვალი დაუჩნევია და ჩვენს დრომდე მას უწინდელი სისრულით არ მოუღწევია. კოკის, დიდი კოკურის, ხელკოკურის, ჩაფის, ხელჩაფის, ჩაფურის, ნიტრის (ლიტრის), ტოლჩის, ცალყურის, ძირის ქილის, ქოცო-ქილის, სადღვებელის (ქართული სადღვებლისა და თუშური სადღვებელის), დოქის, ხელადა-ჩარექის, სახაშის, ქათმისსაჭრელის, ჯამ-ჯამფილებისა და სხვა ჭურჭელთა კეთება ოდნავადაც არ შესუსტებულა, მაგრამ გარკვეული სახის ჭურჭლეული ადრევე გამქრალა და ზოგიერთის დამზადება-კი ჩვენს თვალწინ შეწყვეტილა: რამდენიმე წლის წინათ ფართოდ ხმარებული ძირგანიერი ხელადა და ჩარექა, საღვინე-გოზაური და სადუღარ-კოჭობი მოხმარების სფეროდან თანდათან გასულა და მოსაჭრელი ჭურჭლეულის სიიდანაც ნელ-ნელა ამოვარდნილა (ახლახან დასახელებული ჭურჭელი დღეს მეტად იშვიათ შემთხვევაში-ღა მზადდება).

მეჭურჭლეთა ნაამბობმა და პირადმა დაკვირვებამ, ქიზიყური მეჭურჭლეობის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული მასალა სხვამხრივაც გაამდიდრა და კერძოდ ჭურჭლის ჭრის ტექნიკაში, შიგნით კახური ჭურჭლის მკეთებლობისაგან განმასხვავებელი თავისებურებაც გამოააშკარავა: შიგნით კახეთის მეჭურჭლეობაში გაბატონებული წესი—ლამბაქ-ლანგრებისა, ჯამ-ჯამფილებისა და ჭიქლების სახით წარმოდგენილი წვრილი ჭურჭლეულის გუნდაზე მოჭრისა (ერთი დიდი გუნდიდან რამდენიმე ერთსახოვანი ჭურჭლის გამოყვანისა) ბოდბისხევურმა მეჭურჭლეობამ არ დაადასტურა. ჭურჭლის ყველა სახე ბოდბისხევში ამთავითვე თურმე „ცალად“ კეთდებოდა და ანაგაში კი, ისევე, როგორც შიგნით კახეთში, ჯამი დიდგუნდაზე იჭრებოდა. წარმოების ახლო გაცნობის წყალობით ჩვენთვის აქამდე ბურუსით მოცული სხვა საკითხებიც გაშუქდა და მათ შორის, ქიზიყური ჭურჭლის ჭრელებისათვის დამახასიათებელი თავისებურებაც გაირკვა: ბოდბისხევის მეჭურჭლეებიც, შიგნით კახეთის ოსტატთა მსგავსად, ჭურჭელს წერნაქი-თ აჭრელებენ („წერნაქი“ სახატავი მიწაა), მაგრამ მათგან განსხვავებით ეს უკანასკნელნი დაჭრელების დროს ჩარხს არ იშველიებენ („ჩარხი“ ჭურჭლისა და წყლის მილის საჭრელი ხელსაწყოა) და არც სველ-სველი ჭურჭლის მოხატვის წესს იცავენ. შიგნით კახეთის მეჭურჭლენი დაასრულებენ თუ არა ჩარხზე ჭურჭლის გამოყვანას, ჩარხის ტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალს არ შესწყვეტენ და მაშინვე მას წერნაქში ამოვლებული კალმით (ერისაგან გაკეთებული კალმით) მოხატავენ; ბოდბისხეველი ოსტატები კი ჭრელების პროცესსაც ჩარხზე ვერ ანვითარებენ, ჩარხიდან გადმოღებულ ჭურჭელს რამდენიმე ხნის განმავლობაში თავს ანებებენ და საკმარისად შეშრობის შემდეგ, წერნაქში დასველებული ნაბდის ფიჩვით აჭრელებენ.

მეთორნეობის ყოველმხრივი შესწავლის შედეგადაც, ჩვენს განკარგულებაში მყოფი თონის შენება-სთან დაკავშირებული ცნობებიც გაფართოვდა და ჩვენთვის მკრთალად ცნობილი საკითხების შინაარსიც დაზუსტდა. ქიზიყური მეთორნეობის განხილვას ჩვენ არ შევუდგებით, მაგრამ ორიოდე სიტყვით შიგნით კახური მეთორნეობისაგან განმასხვავებელ მხარეებს მაინც შევეხებით. თორნის გაკეთებისათვის საჭირო წრეხაზის შემოწერას (თორნის გაკეთების დაწყებამდე, მეთორნემ ჯერ წრე უნდა შემოხაზოს) ქიზიყელი მეთორნეები კავიანი ჯოხის დახმარებით ახდენენ (შ. კახეთის მეთორნენი კი მშვილდისებურ ფარგალს იყენებენ) და მუშაობასაც წრის შიგნიდან იწყებენ: თორნის შენების დროს ქიზიყელი ოსტატი თორნეში დგას და შიგნით კახელი-კი თორნეს გარედან უვლის გარს. ქიზიყური თორნე წვრილი და გრძელი ფილთით („ფილთა") შენდება და შიგნით კახური თორნე-კი მოკლე და მსხვილი გუნდით („გუნდა") კეთდება. ამ თავისებურებებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სხვა მხრივ ქიზიყური თორნის გამოყვანის ტექნიკა შიგნით კახურისაგან არაფრით განსხვავდება.

ქვევრის მკეთებლობის ირგვლივ შეკრებილი ცნობებიც მრავალმხრივ საყურადღებო აღმოჩნდა, ქიზიყურ მექვევრეობაში ქართული და კერძოდ შიგნით კახური მექვევრეობის თვალსაზრისით საგულისხმო წესების არსებობა დამოწმდა. ქვევრის გაკეთება-გაშრობისა და გამოწვის პროცესს ქიზიყის მექვევრეებიც შიგნით კახელთა მსგავსად წარმართავენ (მცირეოდენი თავისებურებით) და ამ პროცესთა ცალკეულ მომენტებსაც ერთნიცა და მეორენიც თითქმის ერთნაირი ტერმინებით გამოჰხატავენ (თუმცა ქიზიყელი მექვევრეები, ზოგჯერ, შიგნით კახეთის ოსტატების მიერ უკვე დავიწყებული ტერმინებითაც სარგებლობენ), ქიზიყურ მექვევრეობაში დადასტურებულ მცირერიცხოვან (და ამავე დროს არა განსაკუთრებული მნიშვნელობის) სპეციფიკურ ნიშანთა დახასიათებასაც ჩვენ აგრეთვე არ გამოვეკიდებით და რამდენიმე სიტყვას მხოლოდ ერთი, შედარებით არსებითად მისაჩნევი, შემოქნასთან დაკავშირებული გარემოების შესახებ ვიტყვით. ქიზიყ-შიგნით კახეთის მექვევრენი ქვევრის გაკეთებას ჩარხზე (ქვევრის ჩარხზე) იწყებენ, უკეთ რომ ვთქვათ ჩარხზე მხოლოდ ქვევრის ძირს აკეთებენ, ჩარხიდან გადმოღებული ქვევრის შენებას ქვევრის სკამზე აგრძელებენ და სამი შემოქნის შემდეგ კი მას დედამიწაზე ათავსებენ; მიწაზე დადგმულ ქვევრს რამდენიმე ხანში დაასრულებენ (ქვევრის გაკეთებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა გასაკეთებლად ნავარაუდევი ქვევრის მოცულობით ისაზღვრება) და გამოწვის დროს მოსვლამდე ადგილიდან არ დასძრავენ. შიგნით კახეთის მექვევრე-ოსტატები ქვევრს გრძელი და წვრილი გუნდების ე. წ. სორსოლების („სორსოლა") დახმარებით აკეთებენ და ქიზიყელნიც ამ უკანასკნელს ამგვარივე მოყვანილობის სროსოლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„სროსოლა“) ანუ სროსალებით („სროსალი“) აშენებენ. ქიზიყელი ოსტატ-ბიცა და შიგნით კახელნიც ყოველი შემოქნის შემდეგ ქვევრს ასვენებენ (ორი-სამი დღით), მაგრამ შემოქნის შინაარსს ისინი სხვადასხვაგვარად საზღვრავენ: პირველნი (ქიზიყელნი) თითო შემოქნაში სამი პირის შემოვლებას ანგარიშობენ და მეორენი კი (შიგნით კახელნი) მხოლოდ ორი პირის შემოვლებას ვარაუდობენ.

პატარა ქვევრს (ოც ჩაფამდე) ქიზიყშიც „ქოცო“-ს უწოდებენ და დიდი მოცულობის ქვევრს კი (ოც ჩაფზე მეტი საწყაოს შემცველს) საკუთრივ „ქვევრი“-ს სახელწოდებით აღნიშნავენ.

ქიზიყური მექვევრეობაც (შიგნით კახურის მსგავსად) ამჟამად მარტოოდენ ქუსლიანი ქვევრების დამზადებით შემოფარგლულა, მაგრამ ადამიანთა ხსოვნაში ჩარჩენილი გადმოცემები და ქიზიყელთა ოჯახებში დღევანდლამდე შემონახული—უწინდელი ოსტატების მიერ დამზადებული ბრტყელძირა ქვევრები აშკარად ჰღაღადებენ, რომ ძველი დროის ქიზიყში უქუსლო ქვევრების მკეთებლობაც არსებულა.

მთხრობელთა გამოკითხვამ ჩვენთვის ბუნდოვნად ცნობილი სხვა საკითხებიც საბოლოოდ ნათელჰყო და ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მექვევრის სამუშაო ადგილის—„ბინა“-დ სახელდებული ნაგებობის სახელწოდებამაც მიიპყრო. ტერმინ „ბინა“-ს ხმარება მხოლოდ ქიზიყურ მექვევრეობაში მოწმდება, კახური კერამიკური წარმოების სხვა დარგთათვის განკუთვნილ ნაგებობებს და შიგნით კახელი მექვევრის სამუშაოდ განკუთვნილ შენობასაც მათთან ერთად, ქარხანა ეწოდება. იქნებ ჭეშმარიტებას არ იქნებოდა მოკლებული თუ ვიფიქრებდით, რომ ძველად—სპარსული სიტყვა „ქარხანა“-ს შემოჭრამდე, ქვევრის ქარხანას შიგნით კახეთშიც „ბინა“ ეწოდებოდა და ეგებ არც იმის შესაძლებლობა იყოს გამორიცხული თუ ვივარაუდებთ, რომ „ბინა“ უწინ ყველა სახის კერამიკულ წარმოებაში დამოწმებულ ნაგებობათა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენდა.

მეკრამიტე-მეაგურეთა მონათხრობმაც საბოლოოდ განამტკიცა ქიზიყური მეაგურეობა-მეკრამიტეობის შესახებ ჩვენს მიერ შემუშავებული აზრის ჭეშმარიტება. ამ კუთხის მეკრამიტეობაც მხოლოდ ქართული კრამიტის მკეთებლობას იცნობს და მეაგურეობაში კი უკვე რუსული აგურა (ქიზიყში აგურს „აგურა“-ს სახელწოდებით აღნიშნავენ) ბატონობს. რუსული აგურა 30—40 წლის წინათ შემოსულა და ქართული აგურა-ს ხმარებიდან გასვლაც ამ დროიდან დაწყებულა. ქართული აგური ქიზიყში ამჟამად სრულიად აღარ კეთდება და ჯერ კიდევ ხმარებაში მყოფი ალიზი კი ისევ ქართული აგურის ყაიდაზე იჭრება. ქიზიყურ მეაგურეობაში ოთხაგურიანი ყალიბი-ს გვერდით ორაგურიანი ყალიბის არსებობაც დასტურდება, ორაგურიანი ყალიბის ფართოდ გამოყენება კერძოდ სოფ. ბოდბისხევის აგურის წარმოებაში მოწმდება. ქართული კრამიტის ბატონობა მართალია ოდნავადაც ვერ შერყეულა, მაგრამ მისი გარეგნობის თავისებური ცვლილება-კი მომხდარა: ძლიერ ღრმად მოხრილი კრამიტი უკანასკნელ წლებში შედარებით ნაკლებად მოხრილი კრამიტით შეცვლილა (სოფ. ბოდბისხევში მცხოვრები მეკრამიტის—გიგა

ჭაბაშვილის გადმოცემით, ძლიერ ღრმა კრამიტი დახურვის დროს ადგილს აგდებს“ და ოდნავ მოხრილი „კრამიტის თავები-კი ერთმანეთზე კარგად ეწყობა“).

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და ფრიად შეკვეცილი სახით წარმოდგენილ მოხსენებას შემდეგი გარემოების აღნიშვნით დავასრულებთ: დაწვრილებით აღიწერა ჭურჭლის, თორნის, წყლის მილის, ქვევრისა და აგურ-კრამიტის კეთება-გამოწვის რთული პროცესი (ჩანაწერმა ორასი გვერდი დაიკავა); გადაღებულ იქნა ოთხმოცდაათამდე ფოტოგრაფიული სურათი; დეტალურად გაიზომა ჭურჭლის ქარხანა, თორნის ჩარდახი, ჭურჭელ-თორნის ქურა და აგურ-კრამიტის ქურა-ჩარდახი.

ქიზიყის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მუშაობა, ჩვენის აზრით, ნაყოფიერი გამოდგა. ქიზიყური კერამიკის ძირითადი საკითხები მოკლე დროის განმავლობაში სათანადოდ დაზუსტდა და ჩვენს ხელთ არსებული მასალა ახალი ცნობებითაც გამდიდრდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაია

პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მივლინებული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში

1939 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ პატარა ლიახვისა და მეჯუდას ხეობებში მივლინებულმა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ იმუშავა შემდეგი მარშრუტებით:

1. მერეთი—ზარდიანთკარი—გუგუტანთკარი—კოშკა-კულბითი—დისევი,
2. მერეთი—ქსუისი—ზემო დმენისი—ვანათი,
3. მერეთი—ზემო ჭარები,
4. მერეთი—მეჯვრისხევი და
5. მეჯვრისხევი—კირბალი.

ექსპედიციის მიზანი იყო: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების კომპლექსის შესწავლა. გზადაგზა ექსპედიცია ჰკრებდა მასალებს მიწისმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერი მუშაკი გ. ჩიტაია, მხატვარი ნ. ბრაილაშვილი, არქიტექტორი მ. პოპოვი, მხატვარი დ. გველესიანი და ფოტოგრაფი ხ. ბაღდადლიშვილი.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა 17 დღე.

ექსპედიციის მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით: სოფლებში ზერტი, კირბალი, ბერშუეთი, აძვი, ჯარიანშენი, ქვეში, ქ. არცევი, ქიწნისი, ქერე, კოშკა, დისევი, კულბითი, მერეთი, დიცი, ქორდი, არბო, ფლავი, ფლავისმანი, ქ. ვილდა—ქართველებია (ქართლელები); ხოლო იქით ქოლოთი, ოლოფთა, ისროლისხევი, ციცაგიანი—„თიულები"; დუღუზანა, ვალიანი, ქარქინი, ჩხარაული, იკორთა, ზ. არცევი, გოიანთკარი, აძვისთავი, ქლივანი, ჯვარეთი, ღრომი, გორეთი, ანდორეთი, თელაგინა, თხინავალი, მახისი, ბიყარი, ხარუ, ახალისი, გენგიურები, არდისი, ციცაგიანი, ქუჯინი, აშატური, ჯორთა, წოლდი—ოსებითაა დასახლებული.

მოსახლეობის მოძრაობის პროცესი აქაც იგივეა, რაც ჩვენ მიერ დადგენილი იყო ქსნის ხეობაში, ე. ი. მთიდან მთის ძირში და შემდეგ ბარში [1]. არსებითად მოსახლეობის გადასახლების შესახებ ვახუშტის ცნობა მართლდება,

---

[1] ამას ამართლებს ჩვენ მიერ შეძენილი 1816—1819 წ. დოკუმენტიც: არზა-საჩივარი ბეგიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გაპარტახებულ ბარისა და მთის ძირის ზოლის ადგილებში გადმოსახლდნენ მთიულები, ხოლო ამ უკანასკნელთა ტერიტორიაზე ოსები დასახლდნენ. „ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაიდგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან“ (ვახუშტი, გეოგრ., ჯანაშვ. გამოც., გვ. 104). ამასვე ცხადად ამტკიცებს ზემომოყვანილი ოსებით დასახლებული ქართული სახელწოდების სოფლები.

ექსპედიციის სამუშაო რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის დასაზუსტებლად გარკვევას მოითხოვს საკითხი აქაური „თიულების“ შესახებ. რა ურთიერთობაში უნდა იქნას ნავარაუდევი ლიახვისა და მეჯუდის ხეობების მთიელები ქსნისა და არაგვის მთიელებთან და მთიულებთან. რა აქვთ მათ საერთო ყოფაში, კილოში და სხვა. ამ საკითხს ჩვენ ვსვამდით ქსნის ხეობაში მივლინებული ექსპედიციის მოკლე ანგარიშის განხილვის დროსაც. უნდა აღინიშნოს, რომ დასმული საკითხის გაფართოებაც შეიძლება. როგორც მოგეხსენებათ ღების, ჭიორის და გლოლის მოსახლეობის ტერიტორიას მთიულეთი ეწოდებოდა (ტერმინების მთიული და მთიულის შესახებ შეადარე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 301). დასმული საკითხი მოითხოვს სტაციონალურ მუშაობას და ყოველმხრივ შესწავლას. ზემოთქმულთან ერთად საყურადღებო გარემოებაა ის, რომ მეჯუდელების თქმით ლიახვს იქით ზემოქართლია, სადაც თითქოს კილოს უქცევენ და ყოფაშიც განსხვავებული ფაქტებია მოცემული: „სიმღერა იქ სხვა არის, ჩვენს სიტყვებს არ უდგება“—გადმოგვცა ალ. ბეგიაშვილმა (ს. მეჯვრისხევი). საჭიროა ამ მხრივაც გამახვილდეს ყურადღება.

აღსანიშნავია ის ვითარება, რომ „გეორგიანული ისტორიის“ ავტორი ალექსანდრე ამილახვარი ზემო ქართლად ლიახვის ზემოთა მხარეს მიიჩნევს. ის სწერს: „მას შემდეგ, რაც ქართლის მეფეს კახეთის და გარდაბანის პროვინციები ჩამოშორდა, მას მხოლოდ ორიღა შერჩა ზემოჩამოთვლილი რვა პროვინციიდან, თითო მათგანი ორადაა გაყოფილი, ასე ორის მაგიერად ოთხია შექმნილი. პირველი ნაწილი განიყოფება ორ პროვინციად, ზემო და ქვემო ქართლად. ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვარებისა და სხვა თავადთა გვარებისა... ამავე პროვინციაში მთავარი ქალაქებია: გორი, ცხინვალი, სურამი და ალი“ [1].

ადვილად დასაშვებია, რომ ხალხის მეხსიერებას შემონახული ჰქონდეს ქართლის ორ პროვინციად განაწილების ზემოხსენებული ვითარება.

ექსპედიციის სამუშაო რაიონი ეკუთვნის მთის ძირის ზოლს, ამიტომ ამ ზოლისათვის დამახასიათებელი მაჩვენებლები ძირითადში აქაც არის მოცემული. ეს ის ზოლია, რომელიც საქართველოში შემდეგი პუნქტებითაა წარმოდგენილი:

---

[1] ალ. ამილახვარი, გეორგიანული ისტორია, თარგ. გ. ქიქოძის მიერ, მნათობი, ტ. 8, 1939 წ., გვ. 128.



სოფ. შერეთი, ძველებური საქაღალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი,	სტალინირი,
ლაგოდეხი,	ჭიათურა,
ახმეტა,	ონი,
დუშეთი,	ცაგერი,
ლენინგორი,	ლია,
მეჯვრისხევი,	ჯვარი,
მერეთი,	სამურზაყანო და სხვა.

ადამიანის საცხოვრებელი ნაგებობის ძირითადი ტიპის გეგმა იძლევა ისეთ კომპლექსს, რომელიც ან ერთიანი სახის ნაგებობაა—მასში ცეცხლი (კერა), ადამიანის და საქონლის ბინა ერთადაა მოცემული, ან კიდევ მთლიანი ნაგებობა გადატიხრულია; ტიხრით გამოყოფილია ადამიანის საცხოვრებელი ბინა საქონლის სადგომისაგან, ხოლო ცეცხლის ადგილი ადამიანის სადგომშია მოცემული. მესამე სახის ნაგებობაში მეორე სახის სახლის კომპლექსთან ერთად ერთ ჭერქვეშ მოცემულია მარანიც.

ჩვენ მიერ შესწავლილი მარნები შემდეგი სახის ნაგებობას წარმოადგენს: მარანში საწნახელს გარდა მოთავსებულია მიწაში ჩაფლული დიდი და პატარა ქვევრები. საწნახელთან ყველაზე მახლობელს ქვევრს თაღარი ეწოდება. ზოგიერთ შემთხვევაში თაღარი[1] საგანგებო ფორმისაა. მის ფუნქციას შეადგენს ღარიდან გადმოდენილი ტკბილი მოიცვას. აქ დაგროვილ ტკბილს შემდეგ გადაიღებენ ქვევრებში. საყურადღებოა, რომ ქვევრებსაც საგანგებო სახელები ეწოდება იმის მიხედვით, თუ რომელი რომელ ხატისათვის იყო განკუთვნილი და რომელ დღეობაზე უნდა გაეხსნათ. ასე მაგ., სოფ. დისევში ქვევრებს ეწოდებოდა: საგერითო, საივნემახარობლო, სახთიშობლო, საუსანეთო, საკვირაცხოვლო, საანგელოზო. ზემოთაღწერილი მარნის პარალელი სხვათა შორის იხ. ბოღაზკიოის ნაგებობებში (K. Bittel und R. Naumann, Bogazköy, II, Brl. 1938, ტაბ. 17).

მეტად საყურადღებოა ჩვენი კვლევის რაიონში შესწავლილი სახლების ევოლუციის პროცესი გაშუქების მიხედვით. აქ დამოწმებული იყო: „უშუქო“ სახლი, რომელსაც შუქი მხოლოდ კარიდან შეუდის (ს. ზ. ჭარები); ერდოს შუქით (ს. ზემო ჭარები); სახლი, რომელსაც შუქი ზემოდან ჩაუდის, მაგრამ მისი ერდო განსხვავებულია ჩვეულებრივი ერდოსაგან. ამ შემთხვევაში ბანზე მოწყობილია ისეთი ნაგებობა, რომ შუქი გვერდიდან შედის და შემდეგ სახლში ჩადის. სხვა შემთხვევაში შუქისათვის კედელში მაღლა შუკუმია მოწყობილი. უკანასკნელად, სახლის კედელში ფანჯარაა გამართული. სახლის გაშუქების ამგვარივე სისტემები ჩვენ მიერ დამოწმებული იყო მესხეთში (ქვაბლიანის ხეობა)[2].

სახლის აგების ტექნიკურ პროცესებთან დაკავშირებით ზოგიერთ საყურადღებო ტერმინებს აღვნიშნავთ: უძრავი და საძრავი მიწა (ყანა), დედამიწა—მიწის იატაკს ეწოდება, საძირკველი, გარე და შიგნი პირების ამოყვანა, დარა-

[1] შდრ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების კოლექცია № 0359.

[2] გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში, მიმომხილველი, I, ტფ. 1926, გვ. 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი და ხურდა ქვა, მსხვილ ქვას—გორჯალი ქვა ეწოდება, კირის ჩასხმა, კუთ-ხის ქვა, გრძელი ქვა დასაკეტად, ცარიელა ქვა—ყორე, გონიო, თარაზო, შიმ-შა, ლარი, ჩაქუჩი || კვერი, ქაფჩა, მალა, მალის გასაფხეკი—პატარა ნიჩაბი, ხარაჩო, კიბე, თაბალი, საგორავი, ლომი, ქვატალახი, კედლის მეოთხე პირი აგურის წყობით გამაგრებული, კირი, კირწყალი, ნალი, ლაბიერი, კოჭები, დედაბოძი, დედაბოძი ქვა, ბანდუში, თავხე, ჭერი, ნაფოტი, ტალახი, აყრები, თახჩა, წალო || თარო.

სამეურნეო ნაგებობიდან შევჩერდებით ვენახის ქოხზე. მას აქვს: ბოძი (ყბებით), საგვერდული, ძირის ხე, წნული, დატალახებული მიწა „წყეულის გულითვინ", საყვავის ბოძი, თავხე, კავები, ლატანი, წალამი კონებად, ცეცხლი-სათვის ადგილი წინ მიწაზე (კერა აქ ეწოდება გრძელ ქვას, მუგუზლის თავის ჩამოსადებს).

სახლის ტიპებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დარბაზულ სახლს ჩვენი კვლევის რაიონში ერთობის სახლს ეძახიან. მასში, ისევე როგორც ქართლის სხვა ნაგებობებში, დიდი მნიშვნელობა ჰქონია დედაბოძს. იგი მნიშვ-ნელოვანია როგორც სახლის კონსტრუქციული ელემენტი, მაგრამ ამის გარეშეც მას საყოფაცხოვრებო ფუნქციებიც ჰქონია დაკისრებული. ყველა მონაცემების მიხედვით აშკარავდება, რომ დედაბოძი ქართლში კერის კულტის ერთერთი შემადგენელი ნაწილი ყოფილა. დედაბოძი ოჯახის ახალი წევრის ინკორ-პორაციის (მაგ. რძლის) ცერემონიალში მთავარ როლს ასრულებდა: ახლად-მოყვანილ პატარძალს სამჯერ უნდა შემოევლო დედაბოძის გარშემო. დედა-ბოძი ითვლებოდა ოჯახის ბურჯად იმდენად, რომ ძველად როდესაც ქალს ათხოვებდნენ, პირველად იმას იკითხავდნენ, სასიძოს როგორი დედაბოძი უდ-გას სახლშიო.

ზემოთქმულის მიხედვით ცხადია, თუ რატომ ექცეოდა დედაბოძის „მო-ქარგვას" დიდი ყურადღება. ექსპედიციამ შეაგროვა დედაბოძებზე გამოხატული მრავალი სიმბოლიური სახეები: მზე, ჯვარი, ხელი და მრავალი სხვა. ამ ორნა-მენტების მიხედვითაც ირკვევა თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დედა-ბოძებს, რადგანაც მათზე მოცემული ორნამენტები აპოთროპეული დანიშნულე-ბისა იყო; ისინი იცავდნენ კერას, სახლს და ოჯახს ავი თვალის ზედმოქმედე-ბისაგან.

მაგრამ დედაბოძის მნიშვნელობა მარტოდ-მარტო ზემოთქმულით არ განი-საზღვრება. იგი, როგორც ითქვა, კონსტრუქციულადაც მეტად დიდ როლს ასრულებდა. იგი იყო მთავარი საყრდენი სახლის ბანისა, სახლის გვირგვინიანი სახურავისა. ამის შესაბამისად იგი ღონიერი უნდა ყოფილიყო. მასვე ღონიერი ბულაური უნდა ჰქონოდა. დედაბოძი ბულაურის შემწეობით თავხეს იჭერდა. ამ უკანასკნელზე კი ბანი იყო დაწოლილი. დედაბოძი ჩვეულებრივად მთლიანი ხისაგან ითლებოდა და არაიშვიათ შემთხვევაში ბულაურთან ერთად ერთი ხისა-გან კეთდებოდა. უკანასკნელ შემთხვევაში დედაბოძის ზემო ნაწილი (ფთიები) ორ მეტრსა და მეტ განს იჭრიდა ხოლმე. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი კვლევის რაიონში მრავალი ვარიანტი იქმნა დამოწმებული დედაბოძის კომბინაციისა ბულაურსა და თავხესთან. ეს ნაირნაირობა პლიუს ნაირსახობა თვით დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოძისა უდავოდ ნაგებობის ამ კონსტრუქციული ელემენტის უძველეს კულტურაზე მიგვითითებს. ბევრ რამეში ქართულ ნაგებობების ეს ელემენტი ძველი აღმოსავლეთის ურარტული და ხურული (ჰილანების) სახლების სვეტებს უკავშირდება [1]. თუ ზემოთქმულს იმასაც დავსძენთ, რომ ახალი მონაცემების მიხედვით, თვით იონური კოლონები წინააზიური ურარტულ-ხურული წარმოშობისა უნდა იყვნენ [2], ჩვენთვის ცხადი იქნება, რამდენად მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ფაქტია, ქართული კულტურის საწყისების კვლევის თვალსაზრისით, ქართული დედაბოძი. ექსპედიციამ 22 სხვადასხვა სახის დედაბოძი ჩახატა, გაზომა და ფოტოგრაფიულად გადაიღო.

მიწის მოხვნის წესებიდან აღსანიშნავია ახლად ფიქსირებული ნაღარზე და ნაზურგზე ხვნა. ნაღარით ხვნა ყანის გვერდებიდან ოთხკუთხად შემოყოლებული ხვნაა, ხოლო ნაზურგით ხვნა სწორხაზოვანად ზედი-ზედ მიყოლებული ხვნაა. მიწა რომ ერთ წელიწადს ნაზურგზე მოიხვნება, მეორე წელიწადს ნაღარზე უნდა მოიხნას. ამას გარდა ჩვენს საკვლევ რაიონში ქართული ძველებური გუთნის გარდა დამოწმდა ამ გუთნის მუხრანული ვარიანტი. ეს უკანასკნელი ძველებური გუთნისგან განსხვავდება იმ მხრივ, რომ მას რკინაგადაკრული კბილა და ფრთა აქვს. ქართული გუთნის კომპლექსში შემდეგი ნაწილებია: გუთანი (ყელი, ბოლო), საჯამბარე, მანჭა (ველის მანჭა, კვალის მანჭა), სახელური, ფთები, კბილა, კაკაბი, ხმალი, სახნისი, საკვეთელი, ღერწკალა || ფამფალაკი, ღერძი, შოლტა, რჩხა, დიდი გოგორა (კვალის გოგორა), პატარა გოგორა (ველის გოგორა || ღირღიტა)—მორგვი, სოლები, ფერსი, საღვედე, აპეურები, ჩეკი. ამავე კომპლექსში შედიან: გუთნის-დედა, მეხრეები, გუთნის თავის მეხრე, საძირის მეხრე, საშუალო მეხრე, წინ მეხრე, გუთნის-თავის ხარები, ცანდის კამეჩები, საძირის ხარები, საშუალის კამეჩები, საშვიდუღლის კამეჩები, წინა საჯდომის ხარები, წინა ხარები. უღელი სამგვარია: საყევრის უღელი, საჯდომი უღელი და სადა უღელი.

ს. ჭარებში, რომელიც მთის ზოლს ეკუთვნის, შემონახული სახვნელი იარაღი ქსნური მთის გუთნის ტიპისაა. როგორც გარკვეულია სახვნელი იარაღის ეს ტიპი კარგადაა შეგუებული ფერდობების მოხვნასთან და ამდენად მთის ზოლის მიწის მოქმედებისათვის დამახასიათებელი. გავრცელების მხრით ეს სახვნელი იარაღი ჩვენ გვხვდება თეთრ არაგვზე, ქსანზე, ლიახვზე, დასავლეთით მისი დაწინაურებული ვარიანტი მოიპოება რიონზე, ცხენის-წყალზე და ინგურზე. არაგვის აღმოსავლეთით მთაში ფშაური და ხევსურული სახვნელი იარაღებია დამოწმებული, ხოლო თუშეთში სახვნელების თავისებური სახეა შემონახული. სახელდობრ საჯნეელი გულამოღებული ქუსლით პლიუს კავი, რომელიც ხვნის პროცესში დამხმარე როლს ასრულებს.

სოფ. მერეთში შეგროვდა ცნობები ოქოქას შესახებ. დღეს ეს სახვნელი იარაღი ხმარებაში არ მოიპოება. გლეხების თქმით ის მიწას ქექავდა. მის ნა-

---

[1] W. Belck, Bauten und Bauart der Chalder, Verh. d. Berl. anthr. Gesell. 1895, (გვ. 609—616), Br. Meissner, Babylonien und Assyrien, I, Heidelberg 1920, გვ. 281 შმდ.

[2] К. Леманн—Гаупт, Успехи изуч. др. ист. ets., ВДИ, ტ. I, 1938.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილებს შეადგენდნენ: შოლტა, ცანდი || ჩანდი, ოქოქა || ქუსლი (ფთებით), ხმალა, სოლი, ფარვაში, მანჭა და სახელური. აღწერილობის მიხედვით ეს იარაღი აღბულაღის რაიონში ჩვენ მიერ ფიქსირებული აჩაჩის ტიპისა ჩანს და განსხვავებულია ოქოქას იმ სახისაგან, რომლის სურათი ტყვიაველი მეურნის მიერ მეხსიერებითაა აღდგენილი [1].

ვაზის კულტურის ხაზით დადგენილია ვაზის მოვლის ძირითადი პროცესები: წიდნა, ბარვა, თოხვნა, ფურჩვა, შეწამლვა, რთველი და დაწურვა. ვაზის ჯიშები, რომლებიც გამოყენებულია დღესაც მეურნეობაში, შემდეგია: გორული (თეთრი, ყველაზე უფრო ძველი), მწვანე (თეთრი), ბუდეშური (თეთრი), თეთრი საფერავი, მსხვილ მარცვალა || განჯურა, საფერავი (შავი), ანდრიული (შავი), დანახარული, შავკაპიტო || თავკვერი (ანდრიული, დანახარული და შავკაპიტო გადმოცემით ადგილობრივი ჯიშებია), დილბული, იმერული და აბისური (ოდესა?). ველურ ვაზს აქ ბაბილო ეწოდება (შდრ. ს ა ბ ა, „ბაბილო—მაღალი ვაზი (ვენაჯი) (ხე). (ხის ვენახი, გინა გრძელი ვაზი, დობილო C) (7, 11 ფსალმ.)". გლეხების თქმით „მაღლარი" გვიჭამია და არ დაგვიწურია"-ო. ვაზის კომპლექსის ერთ-ერთ თვალსაჩინო კომპონენტს „საქაჯავი" წარმოადგენს. ის გამოყენებულია ჭაჭის საქაჯავად. ამ რაიონში იგი ორი სახისაა: ძველებური და ახლებური. ძველებურ საქაჯავს აქვს ქვის ძირი და ასაკიდი ქვა, ხოლო ახლებური დამზადებულია მთლიანად ხისაგან.

მისი ნაწილებია: ისარი, სადღობელი || ჭახრაკი, ჯაჭვი, წნელები, ფიცრები, ძარები და ბოძი.

თავისი აღნაგობის ძირითადი პრინციპის მიხედვით ეს იარაღი ზეთის სახდელ მოწყობილობას ემსგავსება. ძველ საქართველოში ზეთის კულტურას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. დღესაც მოიპოება თრიალეთში ძველებური ზეთის სახდელი ქარხნები გამოყენებული ახალი მოსახლეობის მიერ. ამავე რაიონში და აგრეთვე აღბულაღშიაც მრავლად არის საქაჯავის ძირა-ქვები. მერეთის მხარეში ჩვენ მიერ შესწავლილი საქაჯავის ტიპი—ენიმკი-ს ექსპედიციის მიერ ფიქსირებული იყო იმერეთში, მაიაკოვსკის რაიონში, 1937 წელს, ხოლო საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ექსპედიციის მიერ სტალინირში 1935 წელს.

ექსპედიციამ შეაგროვა მასალა აგრეთვე გადასაყვან და გადასაზიდ საშუალებების და ნადირობის კომპლექსის შესახებ.

ჩამოტანილია: 10 კომპლექსი განაზომებისა (გეგმები, ჭრილები, ტექნიკური დეტალები, გენერალური გეგმა), ჩანახატები (შინამოწყობილობა, დედაბოძები, მოაჯირის ორნამენტები, სოფლის ხედი) და ფოტოგადაღება 400 ცალი.

ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც მეჯვრისხევში იქნა შეძენილი საქართველოს მუზეუმისათვის, მეჯუთის ხეობის ქართველთ და ოსების აჯანყებას ეხება. ამ დოკუმენტში სწერია:

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონ. ისტორია, ტ. I², ტფ., 1930, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჯუთის ხეობის ქართველთ და ოსებს

არ იცის უფროსობამ მიზეზები, რამ გაქნევინათ თქ˜ნ თქ˜ნის ბატონების ერისთვის-შვილების ურჩობა, და ამასთანავე თქუენის მეზობლების ქართველთ გაცარცვასა და წახდენის გარდა გაბედეთ მათის იმპერატორებითის დიდებულების ძალიანისა და უძლეველის ჯარის დაუმორჩილებლობა; მგონია ამ ქცევაების მიზეზი არის და გაქნევინებსთ თქ˜ნი გულის-განზრახუა და იქნება შთაიგონებიან ამას თქ˜ნ ამისთანა კაცები, რლ˜თაც თქ˜ნი უბედურება ჰსწადიანთ და დაკარგუა; მეჯავრება მე თქვენი ასე საწუხარი ამბავი და მინდა შავიტყო თქ˜ნგან პირად სულ ყუელა თქ˜ნი საჩივარი და სამდურავი, და თუ მართალი არის სამართალს ვიზამ. ამასთან საგანგებოდ ვჰგზავნი მე თქ˜ნთან თავადს დავით თარხნიშვილს ამისთ˜ს, რომ ამ ჩემს მამაშვილურ'ს თქვენს სწავლებას გარდა შეგაგონოსთ ამან და ხათრი ჯამი გაგხადოსთ, რომ არაზედ შეგეშინდესთ და მოითხოოს ჩემთან თ˜ქნი უფროს უფროსნი კაცნი, რომ მაგათ მე თქ˜ნი საჩივრები მითხრან გორში რადგან ახლა მე აქ ვიმყოფები; კიდევ ამასთანავე გულს დაგაჯერებ, რომ ეგ თქ˜ნი უფროს უფროსნი კაცნი თუ მოხელენი ისევ წამოვლენ არცა რა თქ˜ნ და არცა რა მაგათ ევნებათ რამე; თუ არა იქთ ამას და უფროს კაცებს არ გამომიგზავნით, მაშინ მე—ჩაგაგდეთ თქ˜ნ შეწუხების უღირსად (недостойными сожаления) და მცრცუელად და ამკლებელად, და როგორც რიგია თქვენისთანა კაცებისა ისე გადაგხდებათ თუ ჩემს ბრძანებას ახლა ყურს არ მოუგდებთ და არ დაიჯერებთ ესეც იცოდეთ, რომ ამას გარდა მეორედ კაცს არ გამოგიგზავნით.—დაიწერა მშვიდობიანს გორის ქალაქს თებერვლის ბ. ქკ˜ს უჟე წლსა.

მათის იმპერატორებითის დიდებულების, ყ˜დ მოწყალის ჩემის ჭელმწიფის თოფხანის პოლკოვნიკი, საქართველოს მმართებელი და წმინდის ანნას მეორეს ხარისხის და წმინდის იოანე იერუსალიმელის ორდენების კავალერის მქონებელი—**თეოდორე ახვერდოვი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ჩიტაია

თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში

1939 წ. ივლისში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ თიანეთის რაიონში მივლინებულმა ექსპედიციამ იმუშავა შემდეგი მარშრუტებით:

1. თიანეთი—ჟებოტა—ამაღლება,
2. თიანეთი—ზ. არტანი,
3. ზ. არტანი—ღორღაში,
4. ზ. არტანი—ქუშხევი,
5. ზ. არტანი—თეთრაულები—სახევი,
6. ზ. არტანი—ხატხევი—ბაჩალი,
7. ზ. არტანი—კორსავი,
8. თიანეთი—იხინჭა,
9. თიანეთი—ზ. თიანეთი—ტუშურები და
10. თიანეთი—კვეტერა.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების და სარწმუნოებრივი გადმონაშთების შესწავლა. გზადაგზა ექსპედიცია ჰკრებდა მასალებს მიწისმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: უფროსი მეცნიერი მუშაკი გ. ჩიტაია, უფროსი მეცნიერი მუშაკი ვ. ბარდაველიძე, მხატვარი ნ. ბრაილაშვილი, არქიტექტორი ირ. ქავთარაძე და ფოტოგრაფი.

ექსპედიციამ ადგილობრივ იმუშავა—20 დღე. მუშაობის წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებამ და ავტოტრანსპორტის გამოყენებამ, ხოლო დააბრკოლა კინო-აპარატის (კინამოს) უქონლობამ.

ექსპედიციის მუშაობის შედეგად დადასტურდა რაიონში შემავალი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სიჭრელე. ექსპედიციის მუშაობის არეში ფშაველების გარდა დამოწმდნენ: „კახები“, ხევსურები და ქისტები (ს. ჟებოტაში — მათურელები). თუ დავეყრდნობით იმ ცნობებს, რომლებსაც გვაწვდის G. Radde თავის ნაშრომში „Chew'suren und ihr Land (Kassel 1878) თიანეთის რაიონის გარკვეულ ზოლში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ რაიონის ეთნიკური სიჭრელე უკანასკნელი 40—60 წლის მანძილზე წარმოშობილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Radde-სა და ჩვენს მიერ შეგროვილი ცნობები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ საგულისხმო განსხვავებებს გვაძლევს.

Radde-ს ცნობების მიხედვით სოფლებში:	ექსპედიციის მასალების მიხედვით სოფლებში:
1. S'chlowani, ფშაველები—8 კომლი	სხლოვანი, ფშ.—22 კ., 107 ს.
2. Lischo, ფშ.—58 კ.	ლიშო, ფშ.—39 კ., 137 ს.
3. Bodachewi, ფშ.—23 კ.	ბოდახევა ფშ.—18 კ., 102 ს.
4. Kuschchewi, ფშ.—26 კ.	ქუშხევი ‖ ქვაშხევი ‖ ქუშჴევი ფშ. —25 კ., 108 ს.
5.	თეთრაულები, ფშ. 3 კ., 17 ს.
6.	სახევი, ფშ.—12 კ., 73 ს.
7. Artani, ფშ.—73 კ.	ქვემო არტანი, ფშ.—20 კ., 102 ს.
8.	ზემო არტანი, ფშ.—30 კ., 116 ს.
9.	ღორღაში, ფშ.—8 კ., 18 ს.
10. Soplioni, ფშ.—19 კ.	სოფლიონი, ფშ.—20 კ., 102 ს.
11. Korsawi, ფშ.—13 კ.	კორსავი, ფშ.—5 კ., 22 ს.
12. Batschali, ფშ.—39 კ.	ბაჩალი, ფშ. და ხევსურები—10 კ., 56 ს.
13.	ხაშარი, ხევს.—11 კ., 55 ს.
14.	საშუბე, ხევს.—10 კ., 48 ს.
15. Kwara, ფშ.—42 კ.	ყვარა, ფშ.—6 კ., 33 ს.
16. Babchischewi, ფშ.—23 კ.	ბაბხისხევი, ხევს.—6 კ., 30 ს.
17. Dshablewi, ფშ.—17 კ.	
18. Chiliani, ფშ.—15 კ.	ხილიანა, ხევს., ახლახ გადასახლ.— 10 კ. 46 ს.
19. Chatchorchi, ფშ.—9.	
20. Chotchewi, ფშ.—2 კ.	

ზემოთ მოტანილი შედარებითი მონაცემები მრავალმხრივ არის საინტერესო. ირკვევა, რომ რადეს ცნობაში აღნიშნულ სოფლებიდან დღეს ზოგიერთი უკვე სოფლებად აღარ მოიხსენება (ჯაბლევი, ხატხორხი, ხატხევი), ხოლო ექსპედიციის მონაცემებით ზოგიერთი ახალი სოფელია შექმნილი: ზემო არტანი, ღორღაში, თეთრაულები, სახევი, ხაშარი და საშუბე. ჩანს აგრეთვე, რომ მოსახლეობა კომლობრივი რაოდენობის მიხედვით შემცირებულია. ნაცვლად რადეს დროინდელი 367 კომლისა, დღეს 246 კომლია ფიქსირებული. ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მოსახლეობაში სხვადასხვა ეთნიკური ერთეულია შერეული. ამ უკანასკნელი მიმართულებით უაღრესად საყურადღებო პროცესს აქვს ადგილი. ჩვენ მიერ დადასტურებულია, რომ ხევსური ხევსურეთიდან გადმოდის ამ რაიონში იმ ადგილებზე, რომლებსაც ფშაველები ტოვებენ. ეს უკანასკნელნი თავის მხრივ—კახეთში, ახმეტის მხარეში გადადიან ხოლმე. აქ თქვენ შეხვდებით ისეთ ხევსურს, რომელიც შატილიდან, მუცოდან და ხახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბაჩალი

ნეთისო ბურდულის სახლის გეგმა და ჭრილი









ბ. ქისტაურის სახლის გეგმა და ჭრილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდან არის გადმოხვეწილი სისხლის ძიების ნიადაგზე. უმეტეს შემთხვევაში თიანეთის მხარეში გადმოსახლებული ხევსური კიდევ უფრო ქვემოთ მიდის ან კვლავ უბრუნდება მის საყვარელ ხევსურეთს. ხევსურეთიდან გადმოსახლებული ხევსურები დასახლდნენ ს. ბაჩალში, მაგრამ ისინი აქაც არ დადგნენ და კახეთსა და ერწოში გადასახლდნენ.

ექსპედიციის სამუშაო რაიონში მოსახლეობის ამგვარი მოძრაობა-გადაჯგუფების შესახებ შეიძლება აგრეთვე სხვა მაგალითების დასახელება.

ქსნის ხეობიდან მოსულან ქსნელაშვილები, ხოლო ჭართალიდან ჭართალელნი. ჭართალელნი ჯერ ყვარაში დასახლებულან, შემდეგ თიანეთის მახლობლად გადმოსულან და აქედან შირაქში წასულან, სადაც ამჟამადაც უნდა ცხოვრობდნენ. ასევე, გადმოცემის მიხედვით, მათურელების—დარჩიაშვილების გვარი წამოსულა გურიიდან და არაგვის ფშავში, სოფ. მათურაში, დასახლებულა, ხოლო იქიდან ნაწილი ივრის ხეობაში გადმოსულა და სოფ. ჟებოტაში ამჟამადაც ცხოვრობს.

ექსპედიციის საკვლევი რაიონის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გასარკვევად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს ტოპონიმიკური სახელები.

I ჯგუფი: ლიშო, ყვარა, ხაშარი, ბაჩალი, კორსავი, ღორღაში, ხაიშო, ბუჭყინტა, ჟებოტა, ლახატო, ხოფცა.

II ჯგუფი: სხლოვანი, ხილიანა, სოფლიონი.

III ჯგუფი: ჭურჭელაურები, ბაღიანები, ძებნიაურები, კახოიანები, იარაჯულები, დულუზაურები, გოჯიანები, ტუშურები, არეულები.

IV ჯგუფი: შარახევი, ბოდახევა, ქუშხევი, ბაბხისხევი.

არა ნაკლებ საყურადღებოა, რომ „ქართლის მოქცევაში“ მოხსენებული „ყუარელთა“ ადგილმყოფელობის გასარკვევად საინტერესო მასალას იძლევა თიანეთის რაიონი. ექსპედიციის მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ „კახელი ყვარელელები თავს ივრის ხეობაში მდებარე ს. ყვარადან გადასახლებულად მიიჩნევენ [1]. კიდევ მეტის თქმაც შეიძლება, ყვარელელები ყოველწლიურად სალოცავად მოდიან ს. ყვარას მახლობლად მდებარე ხატკევში, სადაც მათი მთავარი ხატია: თამარი და ლაშარი. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ თამარისა და ლაშარის კულტი დღემდე შემონახული ნიშანდობლივი ელემენტებით სწორედ ყვარელელებს და მის მეზობელ სოფლელებს დაუცავთ. სახელდობრ: ყვარელელები ისევე როგორც ფშაველები თამარ-დედუფალს მიიჩნევენ მკურნალ-დედუფალად და მის სახელზე წლის მანძილზე აგროვებენ ფულს, რომლითაც შემდეგ იძენენ საკლავს და ხატკევში სწირავენ. კახელი მლოცველების თქმით, რომლებიც მრავლად იყვნენ ხატკევში სალოცავად, „ჩვენი მამა-პაპა აქედან გადასახლებულა კახეთში; ამიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით კახეთშიც ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდება“-ო. ისინი სხვა კახელებთან ერთად აღნიშნავენ—„აქედან წასულები რომ ვართ, ამიტომ გვამიზეზებს აქაური ხატი და ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო“[2].

[1] შდრ. ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, 1937, გვ, 144.

[2] იხ. ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, დღიური, ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთქმულს დავსძენთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, უფრო ზუსტად პირველ მეოთხედში, ყვარელელები ცალკე ეთნიკურ ერთეულს შეადგენდნენ, რასაც საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცული იმ ხანის სურათები ამტკიცებს. ამ მონაცემების მიხედვით მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ [1] ყვარელების ადგილსამყოფელის ივრის ხეობაში ლოკალიზაცია იქნებ დასაშვები იყოს.

აღსანიშნავია, რომ გადმოცემების მიხედვით რაიონის უძველეს მოსახლეებად ფშაველები „დევ-კერპებს“ წარმოიდგენენ. მათ ნასოფლარებს ბევრგან ასახელებენ (ქუშხევში, ყვარას თავზე და სხვაგან).

ქუშხევის ნასოფლარი შესანიშნავ ნაგებობათა კომპლექს შეიცავს. ექსპედიციამ დაითვალა დაახლოებით 21—23 შენობის კედელი და საძირკველი. ნაგებობანი დიდი ოსტატობითაა ნაშენები. უზარმაზარი ქვებისგან კედლების მშვენიერი წყობაა მოცემული. კედლის ქვების სიდიდის წარმოსადგენად ვასახელებთ ერთ განაზომს: ქვის განი—0,93, სიგრძე—0,69, სისქე—0,91. აქვე მოცემული კოპალას სახელობის ახალი ხანის ნაგებობები მდარე ხელობისაა.

ხალხურ თქმულებას შემოუნახავს დევ-კერპებისა და კოპალას ბრძოლის ეპიზოდიც. თქმულების მიხედვით, ოდესღაც იხინჭის მთაზე დევებს უცხოვრიათ, რომელთაც თურმე კოპალა ებრძოდა, მაგრამ ვერ დასძლია. იმ დროს თიანეთის ვაკე წყლით ყოფილა დაფარული. ხალხი თურმე საცხოვრებლად მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. ამ ხალხში ერია ერთი და-ძმა თინა და იორამი. ერთხელ მღვდელს კერაში ცეცხლი ჩაქრობია. გაუგზავნია დიაკვანი დევებთან და დაუბარებია—დევებს ცეცხლი გამოართვი და მომიტანეო. წასულა დიაკვანი იხინჭის მთაზე დევებისაგან ცეცხლის გამოსართმევად. დიაკვანს ყური მოუკრავს დევების საუბრისათვის. თურმე ერთი დევი ეუბნება მეორეს: ხალხი უჭკუოა, იმათ რომ ჭკუა ჰქონდეს იორამსა და თინას დაჭკლავდნენ, წყალში ჩააგდებდნენ და მაშინ ბოკონი (ადგილის, სოფლის სახელია) გაიხსნებოდა, ვაკეში დაგროვილი წყალი წავიდოდა და კოპალაც ჩვენ გვაჯობებდაო. დიაკვანს ეს ნათქვამი აუკრეფია და მღვდლისათვის გადაუცია. მღვდელს ხალხისთვის უცნობებია. მაშინ ხალხს გადაუწყვეტია დევების ნათქვამი შევასრულოთო. თინა და იორამი დაუკლავთ და წყალში ჩაუყრიათ. მაშინვე ბოკონი გახსნილა, წყალს გასავალი გაჩენია, ვაკე თანდათან წყლისაგან დაცლილა, მისგან მხოლოდ მდინარე-ღა დარჩენილა და მიწა გამოჩენილა. იმ დროს კოპალას დევებისათვის უჯობნია და სულ ამოუჟლეტია. ხალხი მთის ფერდობებიდან ბარად ჩასულა და იქ დასახლებულა. ასე გაჩენილა თიანეთი და იორი. თიანეთი იმ ადგილს თინასაგან დარქმეულა, ხოლო იორი მდინარეს—იორამისაგანო [2].

მუშაობის პროცესში ექსპედიციამ გაარკვია სოფლის დასახლების ტიპი. ის აქ მოცემულია მთლიანი კომპლექსის სახით. თითოეულ ტიპიურ

---

[1] ე. თაყაიშვილი, Опис. рук., II, გვ. 717.

[2] გაგონილია „თამარის კალოზე“ იხინჭას მახლობლად, როდესაც იხინჭობიდან „კულუხი“ პირიქითში მიემგზავრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსში მოცემულია საცხოვრებელი სახლი, გომური, ბეღელი, ბოსტანი და ყანის ნაკვეთი. სახლის ტიპების ხაზით დადგინდა: დარბაზეული, მიწური, საბძლური და ქორედი (დეფორმირებული) სახლები. გაირკვა დარბაზული ტიპის რაობა და მისი გავრცელების არეალი, აგრეთვე მიწური ბანიანის მიმართაც. ყველა მონაცემის მიხედვით ცხადია, რომ ეგრეთწოდებულმა საბძლურმა (ორწახნაგიანი სახურავით) შესცვალა ბანიანი სახლი. აღსანიშნავია ამავე დროს, რომ საბძლური სახურავითაა წარმოდგენილი ყველა საკულტო ნაგებობა. ხევსურული ქორედი სახლი დეგენირებული სახითაა მოცემული. ორი სართული ერთითაა შეცვლილი და ნაცვლად ბანისა საბძლური სახურავი ჰხურავს. რამდენადაც ჩვენს მიერ წინათ დადასტურებული იყო, რომ ხევსურეთში საბძლური სახურავი ფშავეთიდან შესული კულტურის ელემენტია, ამდენად გასაგებია ფშავში ხევსურული ქორედი სახლის ჰიბრიდული ფშავურ-ხევსურული ელემენტებით მოცემულობა.

ტიპიური საბძლური საცხოვრებელი სახლი აქ წარმოდგენილია შემდეგი გეგმით: დელფანი, საბარგო და სამყოფო. სახლის ტერმინოლოგიისათვის აღვნიშნავთ: ლიბო (იგივე საძირკველი დიდი ლოდებისაგან აგებული იმ სახით, რომ ხერხდება მასში ნიადაგის წყლის გატარება), მშრალად ნაგები კედელი და ქვითკირი, დირე, ბოძი, დასაყელოება, გამოწარბვა, სარტყლები, თავხე, კოჭები, ფარეშები, ჭერი, ნაფოტი, მიწა, საბძლის ბოძი, ყბა, კესი || საყოე || ისარი, შუალა ბოძი || დედა-ბოძი || ბოტიტანა, კავები, ჩხირები, ლასტები, ჩალა (ჭვავი || ყარტი), ლატნები, წნელები; შუაცეცხლი, კერა, სიპი, რკინის კერა, საალე ხეები; ქვა, ბოძი, დათვი (ბალიში, ბანდუში), თავხე, აყრები, საკომე; ბოძი, საყუნწური, ბასკა, სათაურა, საკედურა, ლოტნე || ზღვე, ბაგა, სანერწყელი, საძირ-გირკალი, ცივყორის კედელი, ბოყვი, ყადაღი, ბუხარი ძველებური, ფურნე ქართული, ხოხი ქვა (ფოლადი ქვა), კარის ქვა, კუთხის ქვა, ნალი, მარწუხები || მეშველები, ჭანჭიქი || ყადაღა, ნიადაგი; ჩხირები, საყუნჭური, კოჭაკი, სარტყელი, თირკმლები, ურდულის ალაგი, ურდული. გარეშა ოთახი, საჩეხი, საქარი, საქრის სვეტი, ბოძი-აფრა, საყოფის ბოძი.

საყურადღებო კომპლექსს წარმოადგენს ექსპედიციის მიერ შესწავლილი წისქვილი. ჩვენ მიერ ს. ზემო არტანში დამოწმებული იყო ტურბინული წისქვილი „ბუჭულა". სიდიდის მიხედვით წისქვილის ქვა ხელსაფქვავის ქვაზე ცოტათი მეტია. მხოლოდ ის წყლის ძალის გამოყენებაზეა აგებული და ამასთან დაკავშირებით გართულებული. (ფშავსა და ხევსურეთში, როგორც ჩვენ ვიცით, ჯარაების ასამოძრავებლად ხშირად წყალია გამოყენებული. ამგვარად ამოძრავებული ჯარა ფშაველ ქალს ზემო არტანში ჩვენი შესასწავლი ობიექტის წისქვილის არხის წყალზე ჰქონდა მოწყობილი).

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ლიტერატურის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით ტურბინული წისქვილი ძველ საბერძნეთსა და რომში აღმოსავლეთიდან არის შესული. ყველაზე უძველეს ცნობას ამ სახის წისქვილის არსებობაზე ურართული ტექსტები შეიცავს. ჩვენ მიერ ივრის ხეობაში შესწავლილი ბუჭულა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მისი ნაწილების ტერმინების უმრავლესობა ქართული სიტყვის ძირებიდანაა ნაწარმოები, რაც ბარული წისქვილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილების სახელებზე მხოლოდ ნაწილობრივ ითქმის. ამ კომპლექსში ნაწილების სახელები ჩვენ მიერ ფიქსირებულია: რუ, სარუე, ღარი, საღორე, ყორე, დირე, ბოყვები, ნაწარბი, ბოძი, ყბა, სათავე, კავები, კარი, ჩარჩო, კოჭაკი;—სამაქნის ხე, ფარცხი, კაჭკაჭი (რკინისა), კოჭი ანუ ასტამი, (კაჭკაჭს აქვს კოჭი), ღერძი, სალტე, მორგვი, ფთე, ბორბალო (მთლიანად), თოფი, სათოფე, ბოძი (ორი), კოდი, ჯიდი, სარეკელა, (ეს არის წისქვილის ქარხანა), ალატი, მჩვარი, ქრიჯა. კასრი (ასაწყავი)=8 კილოს ანუ ორ ლიტრას, მინდი, სამინდე ($1^1/_2$ კილო).

სახვნელი იარაღების ხაზით ჩვენს შესასწავლ რაიონში არსებითად ერთი ტიპის სახვნელი დადასტურდა: ეს არის ის ძირითადი სახვნელი იარაღის ტიპი, რომელსაც ჩვენ „ფშაურს“ ვუწოდებთ. კონსტრუქციულად ამ ტიპს ახასიათებს მხარი გაყრილი ხელნაში. საქართველოსა და კავკასიის სახვნელი იარაღების მიხედვით ეს სახვნელი იარაღი ის სახეობაა, რომელსაც „შეითან ჩიფთ“-საც უწოდებენ. ივრის ხეობაში იგი მოცემულია იქ, სადაც ვაკეა, ქართული გუთნის მსგავსად, ხოლო ფერდობებზე ადგილთან შეფარდებით მოკლე ან შედარებით გრძელი მხარითია წარმოდგენილი. ეს მოკლე და შედარებით გრძელი მხარით წარმოდგენილი სახვნელი იარაღი ქსნური მთის გუთნისგან და ორხელასგან განსხვავდება მხარის დაკავშირებით ხელნასთან.

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის სახვნელი იარაღი გავრცელების მხრივ დადასტურებულია საქართველოს მთაში ვიწრო ტერიტორიაზე: იორის, ფშავის არაგვისა და თეთრი არაგვის ხეობებში. ამათ დასავლეთით ქსნური მთის გუთნის სახის იარაღია გაბატონებული. ამავე დროს ეს იარაღი ქსნური გუთნისა და რაჭული სახვნელის მსგავსად ფერდობის დასამუშავებელი სახვნელი იარაღია. ივრის ფშაველების თქმით ეს სახვნელი ვაკეზე ვერ იმუშავებს, ის იქ მარტო კვალს გაავლებს რუსავით, ხოლო ფერდზე კი ბელტს მოსჭრის და გადააწვენს. ეს სახვნელი ამავე დროს ყევარს შეიბამს ხოლმე. საბას კლასიფიკაციის მიხედვით სახვნელი იარაღის ეს სახეობა „არონას“ უნდა წარმოადგენდეს. ეს ტერმინი დღეს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მხოლოდ მესხეთშია შემონახული. საბა სწერს: „(ერქვანს) ორის ჯარისასა ეწოდების ოქოქა და აჩაჩა, ყევრის ჯარისასა არონა“. ივრის ხეობაში სახვნელი იარაღის ზემონახსენებ ტიპს—აჩაჩა და გუთანი ეწოდება. მისი შემადგენელი ნაწილების სახელებია: „ქუსლი“, „საქუსლის ყურები“, „საშრაუე“, „მჯარი“, „ჩხირი“, „ასაბმელი“, „დასაბიჯები“, „ხორხი“, „საკვეთელი“ („პირი“, „ყუა“, „ღერი“), „სახნისი“, „სოლი“, „ხმალი“, „ვერქვანი“, „ტოტები“, „კუდის სოლი“, „უღელი“, „ქორაკი“, „საქედნავი“, „ტაბიკი“, „ტაბიკი თავი“, „სამალდე“. აღსანიშნავია აგრეთვე „გუთნის დედა“ და „მეხრე“.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ აქ მოდგამობას „ა მ ბ ა ზ ი“ ეწოდება. ამბაზში მონაწილეთა შრომა-დღის გამოანგარიშება სწარმოებს შემდეგი სახით:

I ვ ა რ ი ა ნ ტ ი

გუთნის-დედას	1	დღიური
სახნისს	1	დღიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვეთელს	$^1/_2$ დღიური
ჯამბარას, აპეურსა და უღლებს	$^1/_2$ დღიური
ღვედს	1 დღიური
12 უღელ ხარს	12 დღიური
4 დღის მეხრეს	4 დღიური
3 ღამის მეხრეს	6 დღიური
	26 დღიური

II ვარიანტი

გუთნის-დედას	2 დღიური
სახნისს	1 დღიური
საკვეთელს	$^1/_2$ დღიური
ჯამბარას, აპეურსა და უღლებს	$^1/_2$ დღიური
ღვედს	1 დღიური
ხარს	1 დღიური
ღამის მეხრეს	1 დღიური

ამ სახის გამოანგარიშებას ცალზე თვლა ეწოდება.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ სოფ. ტუშურებში შესასწავლილი ქართული გუთანი ამჟამად მომქმედი უკანასკნელი გუთანია ექსპედიციის მუშაობის ტერიტორიაზე.

გუთნის ნაწილები:

1. კბილი (იფანი)
2. საქლეში
3. ჭმალი
4. ფთის ჩხირი
5. ჭელკუდი
6. ჭელკუდის ჩხირი
7. კოფა
8. მანჭა დიდი
9. მანჭა პატარა
10. სოლები
11. ფთე
12. რვილი
13. საკვეთელი
14. საკვეთლის სოლი
15. საჯნისი
16. ფთე
17. ფთის წვერი
18. ყუა-ბუდე
19. ზალტე
20. ყოი
21. ფამფალაკი
22. ჯამბარა
23. ველის გორგოლა (ნეკერჩხალი)
24. ფამფალაკი
25. სოლი
26. ჩხირი
27. კოლი გორგოლა
28. ფერსო
29. ყადალა
30. რჩხა
31. შოლტყავი
32. კორაქი
33. ღვედი
34. ჭაპანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. კორაქები
36. საქედელი (ულლისა)
37. სამალდე

რვაულელა გუთნის ხარებისა და მეხრეების სახელები:

1. წინა ჯარი	წინა მეჯრე
2. საჯდომი ჯარი	
3. წასაკრავი ჯარი	წასაკრავის მეჯრე
4. საჯდომი ჯარი	
5. საშუალი ჯარი	საშუალის მეჯრე
6. საშუალი ჯარი	
7. გძელი ჯარი	
8. ღირღიტის ჯარი	ღირღიტი მეჯრე

გადასაზიდ და გადასაყვან საშუალებების ხაზით შესწავლილი კულტურის ელემენტებიდან მნიშვნელოვანია მარჯილი, რომელიც შემდეგ ნაწილებს შეიცავს: ყალი, ყალის თავი, საკოჭაკე, კოჭა, სადოთავე, დოთა, ნემსა, ჭელნა, წნელი, თავშაყრის წნელი, ჩხირი. ჯინი: ყალი, ჭირხლები, ჯინი, წნელი. კავი: სათარი, სამჩხირავი, კავი, თოკი ალახი[1]. გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებების დასამზადებლად საჭირო იარაღი: ცული, სატეხი, ჭვედა და შალაფი.

მესაქონლეობის კომპლექსიდან აქ შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ რაიონის მცხოვრებთ შირაქში ცხვარს გარდა ძროხაც მიუდიოდათ. წვრილფეხა საქონლის შირაქში გადაყვანის მარშრუტი იყო: ლეკოვანი—ბაჩალი—ხატხეურა—არტანი—ლიშო—თიანეთი—ჟებოტა, საბუე—ახმეტა—ქისტაური—წინანდალი—გურჯაანი—წნორი—წითელი წყარო—შირაქი.

დასასრულ ექსპედიციამ (შემსრულებელი უფროსი მეცნიერი მუშაკი, დოც. ვ. ბარდაველიძე) იშვიათი მასალა შეაგროვა რელიგიის გადანაშთების ხაზით[2]. კერძოდ, ექსპედიციას შემთხვევა ჰქონდა რამდენიმე ქადაგად დაცემული ენახა და მათთან ემუშავა, გადაეღო ფოტოსურათები, ჩაეწერა წესჩვეულებები და სხვა. სამწუხარო იყო, რომ ექსპედიციას კინო-აპარატი თან არ ჰქონდა, რომ ქადაგად დაცემის იშვიათი შემთხვევები კინო-აპარატით გადაეღო.

სხვათა შორის ექსპედიციამ დაადასტურა თამარისა და ლაშარის კულტი, რომელიც ყველა მონაცემების მიხედვით შეიცავს მეფეთა გაღმერთების ელემენტებს და ამით უძველეს ტრადიციებს ამჟღავნებს. ამ მონაცემებით ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში სადავოდ აღიარებული საკითხი (ნ. ურბნელი, ვაჟა-ფშაველა) არის თუ არა ფშაური ლაშარობის კულტში ლაშა-გიორგი საგულისხმებელი, უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს[3].

---

[1] საბას მიხედვით: „ალაკი—საცორავი (საცორავად დამაყენებელი A)“.

[2] იხ. ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში, აქვე.

[3] ივ. ბუქურაული, ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი, მოამბე, 1898, №№ 4 და 5; ნ. ხიზანაშვილი, ფშავ-ხევსურები, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ. 1940, გვ. 102; ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრ. წერილები, ტფ. 1937, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ აზრს მხარს უჭერს ის გარემოება, რომ მეფის გალმერთების თქმულებები სხვა ქართველ ტომებშიც მოიპოვება, სახელდობრ ხევსურებში. აი რა გადმოცემა არსებობს ხევსურებში ირაკლი მეფის შესახებ (მომყავს ალ. ოჩიაურის ჩანაწერი. ოჩიაურს ეს მასალა ჩაუწერია ბეწიკა ჭინჭარაულისაგან): „ხევსურებს მეფე ირაკლიც ისე მიაჩნდა როგორც ღვთაება და ეძახდნენ გუდანის ჯვარის მოძმეს. იგიც ამოდიოდა ხევსურში, ხევსურთ გუდანის ჯვარში მოუყრიდა თავს და თვითონ ბეღელში შევიდოდა. იქიდან ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი. ხევსურთ რწმენით გუდანის ჯვარს ირაკლი პირადად ელაპარაკებოდა: ჩვენ ვერ ვხედავთ გუდანის ჯვარს, რადგანაც საფარველი აქვსო. ხოლო ირაკლი როგორც ჯვარის მოძმე და თვითონაც წმინდა კაცი, როგორც ღვთაება, თვალით ხედავს და ერთად ბაასობენო. გამოვიდოდა ირაკლი ბეღლიდან და ხევსურებს გუდანის ჯვარის სურვილს გამოუცხადებდა. ირაკლი უფრო ასეთ შემთხვევაში ამოდიოდა, როცა ომი უნდა ყოფილიყო და ირაკლის სურდა ხევსურთა გაყვანა[1] ომში. ხევსურნი ერთხმად დაემორჩილებოდნენ გუდანის ჯვარისა და ირაკლი მეფის სურვილს და ხშირად ომიდან გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენო“[2].

---

[1] დედანში „ხევსურთა გაყვანისა“.

[2] ენიმკი-ს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ბარდაველიძე

ივრის ფშავლებში

(დღიური)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



10 ივლისი. თბილისიდან გავემგზავრეთ დილის სრულ 11 საათზე ენიმკი-ს საბარგო ავტომანქანით და ნაშუადღევის სრულ 4 საათზე უკვე სამუშაო რაიონის ცენტრში, ქვემო-თიანეთში, ვიყავით. ერწოზე გავლისას რამდენიმე წუთით ხევსურების სოფელ ღულელებში შევჩერდით. ამ სოფლის მცხოვრებნი, როგორც თვით აღნიშნეს, 80 წელიწადია რაც ხევსურეთიდან გადმოსახლებულან. საუბრის დროს თუ შენიშნავთ აქაური ხევსურების თავისებურ მთურ კილოს, თორემ სხვა მხრივ რაიონის ძველი მოსახლეობისაგან ბევრით არაფრით განირჩევიან. ასეთია პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ბადებს ღულელებლების გარეგნული იერი, კახური ჩაცმულობა, სოფლის ევროპული ყაიდის კრამიტგადახურული შენობები და სხვ. მხოლოდ შემდეგში, სოფელ ღულელებს რომ გავცდით, ხშირად ვხვდებოდით ხევსურულ ტალავარში გამოწყობილ კაცებს, ქალებს და ბავშვებს. თვით რაიონის ცენტრში, ქვემო-თიანეთში, რამდენიმე ხევსური ფარით შეჭურვილიც-კი ვნახეთ. აქ ხევსურ მანდილოსანთა მეტ ნაწილსაც ხევსურული ტალავარი აცვია, მაგრამ ამ სამოსს უკვე გარემო მოსახლეობის—კახებისა და, განსაკუთრებით, ფშავლების—ჩაცმულობის ზეგავლენა განუცდია. ახალგაზრდა ქალებს ფშაური ყაიდის ზედატნები ჩაუცვამთ და თავზე, სათაურას ზემოდან ან უსათაუროდ, პირდაპირ თმაზე, ფაბრიკული შალის ფერადი თავსაფრები მოუხვევიათ, მანდილის ნაცვლად. აგრეთვე ვაჟებსაც ხევსურული ქუდის მაგიერ კახური (თუშური) ან ბოხოხა ქუდები ხურავთ.

გამოვცხადდით რაიაღმასკომში, გავიცანით მისი თავმჯდომარე და სხვა თანამშრომელნი, მათ შორის რაიაღმასკომის საერთო განყოფილების გამგე შაქრო დედაბრიშვილი, რომლისგანაც მივიღეთ ცნობები რაიონის ეთნიკურად მეტად ჭრელი მოსახლეობის სამოსახლო პუნქტების შესახებ. შაქრო დედაბრიშვილი ქვემო-თიანეთის ყოფილი მასწავლებელია და ის რაიონის მცხოვრებლებს კარგად იცნობს. მისი დახმარებით ჩვენი ექსპედიციის (ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1939 წ.) მარშრუტებიც საბოლოოდ დავაზუსტეთ.

დედაბრიშვილმა სხვათა შორის გვაცნობა, რომ ივრის ხეობის მორწმუნე მოსახლეობა დიდ სამზადისშია დღეობა „იხინჭობისათვის", რომელიც მიმდინარე თვის მეორე ნახევარში ხუთშაბათ დღეს მოდისო.

დღეს გამოსასვლელი დღეა და ამიტომ რაიაღმასკომის მუშაკთა და განათლების განყოფილების გამგის გარდა სხვა დაწესებულებათა ოფიციალური პირების ნახვა ვერ მოხერხდა.



11 ივლისი. დილით ვინახულეთ თიანეთის შინსახკომის რაიგანყოფილების უფროსი და რაიკომის მეორე მდივანი. წარვუდგინეთ ჩვენი მანდატები და მოკლედ გავაცანით ექსპედიციის მუშაობის მიზანი და ამოცანები. მეტად თავაზიანად მიგვიღეს და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა და მუშაობაში ხელისშეწყობა აღგვითქვეს.

ამით მოთავდა საქმის ოფიციალური მხარე და ჟებოტელი ინტელიგენტი კოლმეურნის ლევან დოლიაშვილის (რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „აგრონომს“ ეძახის) და ქვემო-თიანეთის ძველი მასწავლებლის ვასო ჯიბლაძის თანხლებით სამუშაოდ სოფელ ჟებოტისაკენ გავემართენით.

სოფელი ჟებოტა მდებარეობს ქვემო-თიანეთის პირდაპირ, მდინარე იორის გაღმა, რაიონულ ცენტრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. სოფლის მოსახლეობა ნარევია: ძველიდანვე გადმოსახლებული ფშავლები, აბორიგენი ქართველები, რომელნიც თავის თავს „კახი“-ს უწოდებენ, და გაქართველებული ქისტების რამდენიმე მოსახლე. ქისტები ძ ე ბ ნ ი ა უ რ ი ს გვარისანი არიან. მათგან მიღებული ცნობით, ძებნიაურთ გვარი უკვე ხუთი-ექვსი თაობაა რაც სოფელ ჟებოტაში მოსახლეობს. ისინი, ჟებოტას სხვა მოსახლეებთან ერთად, თავის სალოცავად ამ სოფლის კოპალეს ხატს მიიჩნევდნენ, თუმცა ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ჩვენი მთავარი ხატი (რომლის სახელი და ზუსტი ადგილმდებარეობა მათ არ ახსოვთ) ოდესღაც კახეთში ყოფილაო.

კოპალეს ხატი (მას კოპალეს ნიშსაც ეძახიან) მოთავსებულია სოფელ ჟებოტას თავში, მდინარე იორის პირად, ე. წ. ძებნიაურთ უბანში. იგი ქვა-კირით ნაგები და ქართული კრამიტით გადახურული თაღიანი პატარა შენობაა, ამჟამად ნახევრად დანგრეული. აღმოსავლეთის კედელში მოგრძო და ვიწრო სარ-

კმელი აქვს, ხოლო სალოცავის ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელთან ერთი „ნიში“ და“ ხე დგას—იფნი და ნეკერჩხალი.

ჟებოტა მდიდარია საკულტო ძეგლებით. კოპალეს ხატის გარდა აქ მოიპოვება „კვირეას“ ორი ნიში, „ფურების ხატი“, „ამაღლების სალოცავის“ კომპლექსი და „საყდარანი“.

კვირეას ნიშები მოთავსებულია ერთი, სოფლის ზემო-უბანში და მეორე, ქვემო-უბანში. ქვემო-უბნის ნიში, სამწუხაროდ, ვერ ვინახულეთ. ამისათვის დრო აღარ დაგვრჩა.

ზემო-უბნის კვირეას „ნიში“ პატარა ვაკე ადგილია, სადაც ტყემლის ხე დგას, ამჟამად შუატანთან გადატეხილი. ეს ვაკე მოსახლის ყანაშია მოთავსებული. ყანის პატრონს საგანგებოდ მთის ბროლის ლოდი მოუტანია და წმ. ხის მახლობლად მოუთავსებია. არავითარი ნაგებობის ნაშთი აქ არ ჩანს.

კვირეას ნიში ივრის ხეობაში თითქმის ყველა ფშაურ სოფელში მდგარა. მისი სახელობის დღეობა აღდგომის სწორზე, კვირაცხოვლობას, მოდის. მლოცველებს შესაწირავად ცოცხალი მამლები და თიკნები მიჰყავთ. დაკლული მსხვერპლის თავებს იქვე სტოვებენ, დანარჩენ ნაწილს კი უკან აბრუნებენ, შინ ხარშავენ და შეექცევიან. კვირეას სახელზე ყმაწვილების ბერად შეყენებაც იციან. ასეთ ბავშვს ყელზე თეთრ ნაჭერს გაუკეთებენ, მიიყვანენ ნიშთან და კვირეას შეავედრებენ, შემდეგ ამ ნაჭერს მოხსნიან და წმ. ხეზე ჩამოკიდებენ.

სოფელ ჟებოტას ჩრდილოეთით მოსაზღვრე მთის ფერდობსა და ზურგზე რამდენიმე საკულტო ძეგლია მოთავსებული. მათგან ერთი, ე. წ. „ფურების ხატი“, განსაკუთრებით საყურადღებო სალოცავია. „ფურების ხატს“ ბებერ იფნის ხესა და მის ძირში აგებულ პატარა ნიშს ეძახიან. ნიში ოთხკუთხი ფორმისაა. შემონახულ ნაწილში იგი ნახევარზე ქვა-კირით არის ნაგები, ხოლო მას ზემოთ აგურია დალაგებული მშრალად. აღსანიშნავია, რომ ეს ნიში აღმართულია ძველ ნაგებობაზე, ქვა-კირის კვარცხლბეკზე, რომლის სიბრტყე მეტია ნიშის ძირის სიბრტყესთან შედარებით. ამჟამად ეს კვარცხლბეკი მიწის ზედაპირზე ოდნავ მოჩანს. გარდა ამ კვარცხლბეკისა იქვე, კვარცხლბეკის სამ მხარეზე (აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით), მიწის პირად მოჩანს ქვის ნაგებობა, რომელიც, ვგონებ, კედლის ნაშთი უნდა იყოს. ამ კედლის პარალელურად მიწის პირადვე მეორე, ვგონებ, აგრეთვე კედლის ნაშთი ჩასდევს. „ფურების ხატის“ მახლობლად ძველი შენობის ნანგრევები და ნამოსახლარი ადგილებიც არის.

„ფურების ხატს“ საქონლის მფარველობას მიაწერდნენ. როდესაც მოსახლეს საქონელი „გეეხიბლებოდა“, ოჯახის მანდილოსანი „ფურების ხატს“ მიმართავდა და ევედრებოდა—პირუტყვი „ცუდი შეხვეული ბრბოსაგან გამომიხიზნეო“.

„ფურების ხატის“ დღესასწაული წელიწადში ორჯერ მოდის: ზაფხულში, თიბათვის ერთ-ერთ ხუთშაბათ დღეს (ვარიანტით: შაბათს) და შემოდგომის გიორგობას. ხალხი აღნიშნავს, რომ ამ ოციოდე წლის წინათ სალოცავში ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის „სახე“ ბრძანდებოდნენ და როდესაც „ფურების ხატში“ სალოცავად მივდიოდით, შესაწირავების ნაწილს ამ წმინდანების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელზე ვტოვებდითო. „ფურების ხატის“ შესაწირავებია: კურატი (ხარი), ცხვარი, ქადა, ვერცხლის ფული.

ადგილობრივი მოხუცების გადმოცემით, ამ სალოცავში ჯვისბერებად

„ნაწმინდური“ (თვიურის წესს გადასული) დედაკაცები იყვნენ. საზოგადოდ მამაკაცებს და ახალგაზრდა ქალებს „ფურების ხატი“ ახლო არ იკარებდა. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოცავად მისული ხალხი შორი-ახლო ჩერდებოდა, იქ მას ჭევისბერები ხვდებოდნენ და შესაწირავებს უკურთხებდნენო.

ზოგიერთ მოხუცს ახსოვს, რომ მათ ახალგაზრდობაში „ფურების ხატს“ ხუთი ჭევისბერ მანდილოსანი ჰყავდა. ამჟამად კი არც ერთი ჭევისბერი იქ აღარ მოიპოვება. ჭევისბერის ფუნქციებს ახლა სოფლის მოხუცი მორწმუნე ქალები ასრულებენ. მთხრობლები აღნიშნავენ, რომ შარშანწინ „ფურების ხატს“ ქადები ქიზიყელამ (ქალის სახელია) დაუჭრაო.

ამ სალოცავის ჭევისბერებს, ხალხის ძველი რწმენით, თვით „ხატი“ აყენებდა. ის „დაიჭერდა“ დედაკაცს, „აუძღვებოდა მას, აუსევდა ან გველს, ან სხვა მავნეს. ყველაზე მეტად ასეთ დედაკაცს გველები ეესეოდა, დღისითაც ტანჯავდნენ, ღამითაც“. „დაჭერილი“ დედაკაცი შეევედრებოდა ხატს—შვება მომეცი და სიკვდილამდე გემსახურებიო. აღთქმის შემდგომ ის ჭევისბერად დგებოდა და მართლაც სიკვდილამდე ხატს ემსახურებოდაო.

69 წლის მიხეილ დარჩიაშვილი გვიამბობს: ჩემი „დიდია“ (ბებია) ქუბრიანთ ლეგას ცოლი იყო. ვინ არ იცნობდა ქუბრიანთ ლეგას! ოჯახი ბარაქით სავსე ჰქონდა, შეძლებული და გაგებული კაცი იყო, იმას ყველა პატივსა სცემდა, მაგრამ ის ქალქალზე გავიდა (ე. ი ქალიშვილები ეყოლა, ვაჟი არ შეეძინა) და სულ ამოწყდაო. ქუბრიანთ ლეგას ცოლს „აჩენია“ წითელთავა გველი, რომელიც სულ თან დასდევდა, აღარ შორდებოდა, მის ლოგინშიც კი იწევდაო. დაუნგრევიათ სახლის მახლობლად გაშენებული საქათმე, საღორე და სხვა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის სადგომები, მაგრამ ეს გველი მაინც ვერ მოუშორებიათ. ამ დროს მიხეილის „დიდია“ ლოგინად ჩავარდნილა და დიდხანს აღარც უცოცხლია. დიდიას სიკვდილის შემდეგ ქუბრიანთ ლეგას ოჯახი გაღატაკებულა—ქალის სიკვდილისთანავე ოჯახს ერთბაშად ოთხი ფურ-კამეჩი დახოცია და ამას სხვა ზარალიც დართვია. ბოლოს ოჯახი მთლიანად ამოწყვეტილა და გავერანებულა—ჯერ შვილები ამოხოცილან და მალე ოჯახის უფროსიც მომკვდარა. ქუბრიანთ ლეგა მიეულის გვერდზე დაუმარხავთ. როცა მის სამარეს თხრიდნენ, დიდიას საფლავიდან წითელთავა გველი ამოჩნდაო.

ეს გველი თვით მიხეილ დარჩიაშვილსაც უნახავს თავის ბავშვობაში. ის თურმე ერთხელ „ფურების ხატის“ მახლობლად ღორებს მწყემსავდა. იმ დროს უეცრად მიწიდან გველი ამომძვრალა, ერთ ბურვაკს მივარდნია, მისთვის გვერდი შეუნგრევია, მწვანე ბალღამი გადაუსხამს, იქვე სული გაუნთხევინებია და ისევ მიწაში ჩამძვრალა. მიხეილი განმარტავს—ის გველი ჩემი მკლავის სიგრძე და მტკავლის სიმსხო იყო, წითელი თავი ჰქონდა და ცეცხლივით ელავდა. სოფელში რომ ეს ამბავი განვაცხადე, ყველამ ის მითხრა—შენს დიდიას რომ წითელი გველი დასდევდა ეგ ის გველი ყოფილაო.

ცრუმორწმუნე მოსახლეობის აზრით გველი სხვადასხვანაირია. ზოგი ისეთია გზაში რომ შეხვდეს კაცს უკანასკნელი აუცილებლად რითიმე დაზარალდება. ზოგი გველი კი ადამიანის მახლობლად ცხოვრობს, სახლებში შედის, ხშირად ქათმებს რომ საკენკს დაუყრიან, ის ამ დროს გამოძვრება და საკენკს წაეტანება, მაგრამ თვით ადამიანს არასოდეს არ ერჩისო. ადგილობრივ ასეთ გველს არა ჰკლავდნენ. საზოგადოდ გველის მოკვლას, ავიც რომ ყოფილიყო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყველა ერიდებოდა: გველს თავისიანები ჰყავს და ისინი გველის მომკვლელს აუცილებლად მოძებნიან და სამაგიეროს გადაუხდიანო.

„ფურების ხატის“ პირდაპირ, მთის ქედის ზურგზე, გაშენებულია პატარა ბაზილიკი, ქვა-კირითა და აგურით ნაგები. მას „ამაღლებას“ უწოდებენ.

„ამაღლების“ ეკლესიის გვერდით დგას გუშბათიანი სამრეკლო. სამრეკლოს კედელში შიგნიდან გაკეთებულია ქვის ვიწრო კიბე, რომლის შუაზე კედელში ოთხკუთხი ფორმის წყვილი ორმოა დატანებული. ამ ორმოებში მოსახლეობა შიშიანობის დროს თურმე განძეულს—ქვაბებს, სინებსა და მისთ., ინახავდა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ამ სამრეკლოს „თათრების სალოცავს“ უწოდებენ.

მთის ზურგის აყოლება, „ამაღლების“ ეკლესიიდან დაახლოვებით $^1/_2$ კილომეტრის მანძილზე ორი მეტად პატარა ბაზილიკი დგას. თითოეულ მათგანს „საყდარა“-ს ეძახიან.

ამავე მთის ზურგზე კიდევ რამდენიმე საკულტო ძეგლს ასახელებენ. ისინი ამჟამად თითქმის სრულიად დაქცეულია.

მთის ქედი ამ ადგილიდან სამხრეთისაკენ უხვევს და სოფელ ჟებოტას აღმოსავლეთიდან კედელივით აკრავს. იგი აქ დაფენილია ტყით, რომელშიც, მოსახლეობის ჩვენებით, ძველი სამარხები მოიპოვება. ეს სამარხები უზარმაზარი გაუთლელი ქვებისაგან არის ნაგები და მათში ადამიანის ძვლები და ნივთები ჩნდებაო.

„ფურების ხატის“ ირგვლივ მოთავსებულია სოფლის სასაფლაო საყურადღებო საფლავის ქვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავის ქვები და მათზე მოცემული მხატვრობა სპეციალური დაკვირვების საგანს წარმოადგენს. ამ მუშაობის წარმოება საინტერესოა ქართული ხალხური ხელოვნების ერთ-ერთ დარგში ჩვენი ხალხის მხატვრული უნარიანობისა და გემოვნების თანამედროვე ვითარების გამოვლინების თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ეს ძეგლები ისტორიული წარსულის თვალსაზრისით. საფლავის ქვა დასაფლავების წესჩვეულებათა ერთ-ერთი კომპონენტია, ხოლო დასაფლავების ყოველგვარი წესჩვეულება, ყოველ შემთხვევაში კულტურული განვითარების ადრეულ საფეხურებზე, მიცვალებულის მიმართ საზოგადოების განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ასახავს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საფლავის ძეგლები მიცვალებულის კულტის ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი მატერიალური გამოსახულებათაგანია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიცვალებულის კულტი ქართველ ტომებში უხსოვარი დროიდან უაღრესად განვითარებული უნდა ყოფილიყო. ამ კულტის გადმონაშთები



ჩვენში დღესაც ძლიერია და სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გასაოცარი მრავალფეროვანებითა და არქაული ნიშნებითაა შემონახული. ამგვარი ვითარება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ თანამედროვე საფლავის ქვების მოხელეობაშიც ძველი ტრადიციების კვალი დაცული უნდა იყოს და მთელი რიგი საფლავის ძეგლებისაც, მათზე მოცემული ორნამენტებითა და მხატვრობით ხალხური ხელოვნების ძველ ფორმებსა და ძველი აზროვნების, ძველი რწმენის გადმონაშთებს უნდა ასახავდეს.

ჟებოტას სასაფლაოს ძეგლების გაცნობა უნებურად იწვევს იმ საფლავის ქვების მოგონებას, რომელთა შესწავლას 1937 წელს ენიმკი-ს ეთნოგრაფიული ექსდიცია იმერეთში (მაიაკოვსკის, ყოფ. ბაღდათის, რაიონში) აწარმოებდა. იმერეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავრცელებული საფლავის ქვები მიწის პირად დადგმული მხრიდან გულამოღარულია. ამის გამო ეს ძეგლები მსუბუქია, რაც მათ გადატანას შორეულ მანძილზე საგრძნობლად აადვილებს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამ კუთხეში ქვის გათლა-დამუშავებისა და აგრეთვე მათზე სახეების გამოყვანის ტექნიკა მაღალხარისხოვანი ჩანს. იმერეთის საფლავის ძეგლებისათვის დამახასიათებელია მცენარეულის, ფრინველთა და ცხოველების ორნამენტები, ე. წ. „ლაზური ტიპისა“ [1]. ეს ორნამენტები განსაკუთრებულ ყურადღებას თავისი უაღრესად დამუშავებული დეტალებით იპყრობს. ორნამენტებს შორის გამოირჩევა დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შესრულებული ვაზი, ტროპიკული მცენარეები და ცხოველებიდან ცხვარი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პოლიხრომული ორნამენტები ჩვენ იქ არ გვინახავს. ორნამენტის კეთების ტექნიკა ორგვარია: 1. ქვაზე ამოჭრილი ბრტყელი ჩუქურთმა და 2. პლასტიკური რელიეფი. ხშირად ორნამენტი მოცემულია ორმაგ და სამმაგ სიბრტყეზე და ერთსადაიმავე საფლავის ძეგლზე ორივე სახის ტექნიკით შესრულებული ორნამენტებიც გვხვდება.

სულ სხვა სურათს იძლევა ამ მხრივ თიანეთის რაიონის, კერძოდ, სოფელ ჟებოტას საფლავის ქვები. აქ უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს საფლავის ძეგლებზე ადამიანის სახის, ფიგურის, კიდურებისა და ჩაცმულობა-სამკაულის გამოხატვას. ცხოველებისა და, მცირე რაოდენობით მოცემული, მცენარეულის გამოსახულებანი ორნამენტში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მცენარეულიდან გვხვდება სტილიზებული ფოთლები და ვარდი, რომელიც მთავარი ფიგურის სამკაულის ნაწილს წარმოადგენს. ორ-სამ შემთხვევაში დავამოწმეთ მცენარეულის ორნამენტი თაიგულის სახით, როგორც ძეგლის ცენტრალური გამოსახულება, მაგრამ დეტალური გამოკვლევის შემდგომ გაირკვა, რომ ეს ძეგლები სხვა რაიონებიდან ყოფილა შემოტანილი. ცხოველები, ისევე როგორც თოფი, დუქარდი, მაკრატელი და მისთანანი, იხატება გარდაცვლილი ადამიანის საქმიანობის, ნიჭის, უნარიანობის, ხელობის დასახასიათებლად: გამოჩენილი ცხენოსნის საფლავის ქვაზე ცხენს გამოსახავენ, კარგ მეცხვარეს ცხვარს უხატავენ, მეოჯახე ქალის ძეგლს ძროხით ამკობენ ისევე, როგორც სახელგანთქმულ მეომარს თოფით ხელში გამოსახავენ, მეცხვარეს—დუქარდით, ხელსაქმის მცოდნე ქალს—მაკრატლით და სხვა. ქვა მასიურია, მძიმე. ორნამენტებს აკეთებენ უპირატესად დაბალი რელიეფით და შემდეგ მას სხვადასხვა ფერის საღებავებით აფერადებენ.

საფლავის ქვის გამოსახულებათა შორის მეორე ადგილი უჭირავს წარწერებს—მიცვალებულის გვარს, სახელს, მამის სახელს, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღს და მიცვალებულისადმი მიძღვნილ ტექსტს, რომელიც მეტწილად მიცვალებულის ხოტბას შეიცავს, ან მის გარდაცვალების მიზეზს გადმოსცემს ლექსად ან პროზით გამოთქმულს. წარწერა ქვაში ჩაჭრილია და შემდგომ შავად შეღებილი.

თითოეულ გამოსახულებას და წარწერას საფლავის ქვაზე სავსებით გარკვეული ადგილი აქვს განკუთვნილი. ადამიანის ფიგურა ქვის ზედაპირზეა მო-

[1] გ. ჩ ი ტ ა ი ა, „სიცოცხლის ხის“ მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკი-ს მოამბე, ტ. 3 თბილისი 1941 წ.

I
II
38
47
127
150 სმ.
22

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსებული, გვერდებზე წარწერა და ზოგჯერ ცხოველია მოცემული, თავით ჯვარია გამოსახული და ბოლოზე-კი კანდელი ან, იშვიათად, წარწერაა (როდესაც იგი გვერდების არეში ვერ ჩატეულა) გაკეთებული. ჩვეულებრივ ქვის ნაწიბურზე ირგვლივ ჩაჭრილია სწორი და სადა ზოლი ან ჩუქურთმიანი და შეღებილი არშია და მის შიგნით მთელი არე ადამიანის გამოსახულებას უჭირავს. გამონაკლისის სახით ვხვდებით ქვაზე გამოხატულ რამდენიმე კაცის სურათსაც. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ გამოსახულებათა ნაწილი ადამიანის ბიუსტებადაა მოცემული. ასეთია, მაგალითად, ჟებოტას სასაფლაოს ერთ-ერთი ძეგლი, რომლის ზედაპირის ნაწილი ორწყებად განრიგებულს ოთხ ბიუსტს (ორი ერთ ხაზზე და მათ ქვემოთ დანარჩენი ორი) უჭირავს. ბიუსტების ქვემოთ ადამიანის მთლიანი ფიგურაა გამოსახული და გარშემო, ზედაპირის კიდეზე, არშიის ნაცვლად წარწერაა ჩაჭრილი.

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝᲓ სოფელ ჟებოტაში ჩახატულ იქნა ექსპედიციის წევრის მხატვარ ნ. ბრაილაშვილის მიერ ხუთი საფლავის ძეგლი. ამ ძეგლებზე მოთავსებულია შემდეგი შინაარსის წარწერები[1]:

I ძეგლის

მარჯვენა გვერდზე:

1 ამა ლოდ ქვეშ განვისვ
2 ენებს ალექსანდრე ზაქარი
3 ასძე წყლისშვილი
4 დაბადებიდან ვიყავ 22 წ.
5 გარდავიცვალე 1921 წ.

მარცხენა გვერდის წარწერა გადასულია.

II ძეგლის

მარცხენა გვერდზე:

1 ცოდუა მოკვდეს ვაჟკაცი გაბოჯან შენისთანაო
2 დაჰყარე წვრილი ობლები ბებერი დედამამაო
3 იყავი კარგი ვაჟკაცი ვერც გასძელ დიდიხანაო
4 ცოცხალს გიყვარდა სალამი ხალხშიც იმისთანაო.

თავთან:

1 გაბო ნინიკას ძე
2 გედეშური გ. 1928
3 შობით 32 წ.

მარჯვენა გვერდის წარწერა გადასულია.

---

[1] წარწერები მოგვყავს ზუსტად ისე, როგორც საფლავის ძეგლებზეა მოცემული, ორთოგრაფიის დაცვითურთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

I

II

III ქვის ჯაჭვების ბალათი ტაძრისგან - წიფლიანი, ლიანდაგი ...
ფოთლის ნახატიანი ნაწილი - ყვავილები.
თავი და ფეხები, ეგზეთეს ფანჯრები ფაქვის

III

ტაძრის ფასადი
თაბაშირის ხატვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ძეგლის

ზ ე დ ა პ ი რ ზ ე ბიუსტების ქვეშ:
ანიკო ფრუშკი ნიკო არჩილა.
კ ი დ ე ე ბ ი ს გ ა რ შ ე მ ო:
აქ განვისვენებ ჩემი შვილებით გაგა კაციას ძე ზაქაიძე გარ 1919 წ.
თებერვლის 22 სა შობით 55 წლისა.

მ ა რ ც ხ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 ვიყავ დიდი მოამაგე დამრჩა ცხოვრება
2 ოხრათა ძმა დამრჩა მეპატრონეთა

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 ჩატარებს მუქთათ დამადებს ლოდსა
2 მაგარსა ესა ღირს ჩემთვის ფასადა

IV ძეგლის

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 ბადურაშვილის მეუღლე გარ 1910 წელ
2 გიორგობისთვის 28-ში შობით 26 წლისა
3 წამკითხველნო შენდობა მიბძანეთ

მ ა რ ც ხ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 უბედურმა სიკვდილმა რა უდროოთ მიგდო მახე
2 წუთისოფელს მამაშორა შავს მიწაში დავიმარხე
3 მარტო გაგიას ტუშურელის ასული არჩილა

ჩვენს ჟებოტელ მთხრობელს ორი სახელი აქვს და ორი გვარი. ერთი სახელია ნათლობისა, მიხეილი, და მეორე მამისაგან მასზე გადასული, ჩიტა, გვარად კი დარჩიაშვილიც არის და მათურელიც. მიხეილის განმარტებით, მისი წინაპრები გურიაში ცხოვრობდნენ და გვარად დარჩიაშვილები იყვნენ. შემდეგ ისინი არაგვის ფშავში გადასახლებულან და იქ მათურელის გვარად წოდებულან და ძველი გვარიც შეუნარჩუნებიათ. დაბოლოს, ერთ-ერთი დარჩიაშვილი-მათურელი მოსისხლეობას გამორიდებია, ივრის ფშავში გადმოსულა და სოფელ ჟებოტაში დასახლებულა.

მეტად საყურადღებოა თიანეთის რაიონის მოსახლეობის მოძრაობის საკითხი. აქ, როგორც ირკვევა, ძველი დროიდან დღემდე ადგილი აქვს მოსახლეობის დიდ დენადობას. გუშინ ალმასკომში გადმოგვცეს, რომ ახლა ხანს ხევსურეთიდან 10 ხევსური გადმოსულა, თიანეთის მახლობლად ტყე გაუკაფავთ და იქ დასახლებულან. მეორე ფაქტი ახლო წარსულიდან: სოფელ ბაჩალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხოვრები ფშავლები კახეთში გადასახლებულან და მათი ბინები და მიწა-წყალი ხევსურებს დაუჭერიათ. ამ დილით, ჟებოტაში რომ მივდიოდით, გზაში შეჩერება მოგვიხდა. ხშირი წვიმებით გამოწვეულ წყალდიდობას იორზე გადასასვლელი ხიდი წაულია და ამიტომ ჟებოტისაკენ მიმავალ ურემს დაველოდინეთ. ამ დროს გავიცანით ქვემო-თიანეთის მოსახლე ღრმად მოხუცებული გონჯიაშვილი. ის ყოფილი ჰევისბერია. ჩვენ გონჯიაშვილები,—გვიამბო მან,—„ჰმალას ხატის“ ყმები ვიყავით. უწინას თიანეთში სამი ძმა ხევსური მოსულა: უშიშა, გონჯა და თურჭა. ერთი ძმიდან ჩვენი გვარი გონჯიაშვილები წარმომდგარა, მეორედან კი თურქაშვილებიო.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი ფშავლების კახეთში გადასახლების მიზეზად სთვლიან თიანეთის რაიონის ნიადაგის სიმწირეს კახეთთან შედარებით. ასევე ხევსურებიც თავის ძველ სამშობლო კუთხის მიწა-წყალს უკეთესზე სცვლიან და ფშავლების ნამოსახლარზე სახლდებიანო. სხვაგვარად ხსნიან ფშავლების გადასახლებას თიანეთის რაიონიდან დღევანდელი ჩვენი თანამგზავრები, ჟებოტელი „აგრონომი“ და ქვემო-თიანეთის ძველი პედაგოგი. მათი აზრით, აქედან აყრას და კახეთში გადასახლებას ფშავლებს ხევსურები აიძულებდნენ, ისინი ქურდობას ეწეოდნენ და გარდა იმისა, რომ თვით აწუხებდნენ ფშავლებს, მიუძღვებოდნენ ფშავლების საზღვრამდე ქისტებს, ადგილობრივ მოსახლეობას უსევდნენ და აწიოკებდნენო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12 ივლისი. დღეს არტნის ხეობაში ვაპირებთ გამგზავრებას. განათლების განყოფილების გამგემ საბარგო ავტომანქანის მოცემა აღგვითქვა. ვიდრე ავტომობილი მოვიდოდა ვინახულეთ ქვემო-თიანეთის სასაფლაო. იგი მოთავსებულია ზემო-თიანეთისაკენ მიმავალი შარაგზის პირად. საფლავის ძეგლების უმრავლესობა და მათი ორნამენტების ძირითადი ელემენტები ისეთივეა, როგორიც სოფელ ჟებოტას სასაფლაოზე: გათლილი გრძელი ქვა, დაბალი რელიეფით შესრულებული და შემდგომ ფერადი საღებავებით შეღებილი მიცვალებულის გამოსახულებანი ძეგლის ზედაპირის მთელ სივრცეზე, ზედაპირის კიდეებზე გეომეტრიული ან სტილიზებული მცენარეულის არშია, გვერდებზე წარწერა და თავით ჯვრისა და ბოლოს ლამპრის გამოსახულებანი. ექსპედიციის მხატვარმა ძეგლების რამდენიმე ნიმუში ჩახატა. ამ ძეგლებზე მოცემულია შემდეგი შინაარსის წარწერები:

I ძეგლის

მარცხენა გვერდზე:

1 ტიალმა გლოვის სიკვდილმა უდროოთ მიგდო მახე
2 მეწვივა შავი ყვავილი სიცოცხლე გამიმწარა მე
3 ამინაოხრა სახლკარი მეუღლე დამრჩა მგლიარე
4 დედაც წუხდება ჩემთვისა თვალცრემლიანი დავაგდე.

მარჯვენა გვერდზე:

1 1917 წ. ენკენისთვის 7-სა დღესა გარდავიცვალე
2 ნინო ბატონას ასული მესაბლიშვილი შაქრო კვნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 წაშვილის მეუღლე შობიდგან 28 წლისა გებრა-
4 ლებოდეთ სწორებო ყველამ შენდობა მაღირსეთ.

II ძეგლის

მარცხენა გვერდზე:

1 უდროვთ მაკლა სიკვდილმა არ დამაცალა ხანია.
2 შავს მიწას ამამაფარა ოცდა ორი წლის ქალია.
3 დედა წუხდება შვილისთვის ვაი დაუდგა თვალია.

მარჯვენა გვერდზე:

1 ერთი წლის შესრულებაზე დაკარგა ორი ქალია.
2 თებრო ბატონას ასული მესაბლიშვილი.
3 გარ 1918 ღვინობისთვის 20-სა შობით 22 წლისა.

ამ სასაფლაოზე, ისევე როგორც სოფელ ჟებოტაში, შორიდან (თელავიდან, თბილისიდან) მოტანილი საფლავის ქვებიც მოიპოვება. ამ ქვებს აშკარად ატყვია უცხო მოხელის ხელი. განსხვავება ფიგურების, განსაკუთრებით მათი კიდურების—ხელების, ფეხებისა და თავის სამკაულის გამოყვანასა და ჩაცმულობაში მდგომარეობს. ამას გარდა ზოგიერთი ამგვარი ძეგლის ცენტრალური ადგილი (ზედაპირი), ადამიანის (მიცვალებულის) გამოსახულების ნაცვლად, მცენარეულის ორნამენტს უჭირავს. ოდნავი სხვაობა არსებობს აგრეთვე თიანეთურსა და შორიდან მოტანილ ძეგლებს შორის მათი ფორმის მხრივაც. თიანეთური საფლავის ქვა სხვა კუთხეების საფლავის ქვებთან შედარებით გვერდებში უფრო ცერად არის გათლილი და ამის გამო ბოლოსაკენ იგი შედარებით ვიწროა.

ავტომობილის მოლოდინში საფლავის ქვების ოსტატის ნახვაც მოვასწარით. თიანეთის რაიონს საფლავის ქვებით ამარაგებს ორი ძმა მარტია და იოსებ ჯაშიაშვილები, რომლებიც ქვემო-თიანეთში სახლობენ. მივედით იოსებ ჯაშიაშვილის სახლში. ოსტატი შინ დაგვიხვდა. იგი 47 წლისაა, დაბადებულა და აღზრდილა თელავის მახლობლად მდებარე სოფელ ვარდისუბანში და ამავე სოფლის სკოლაში 3 კლასის ცოდნა მიუღია. იოსებს ქვის დამუშავების ხელობა ძმისაგან შეუსწავლია. 20 წელიწადია რაც ის ამ ხელობას ადგია.

მისი თქმით, ქვის მთლელობის შესწავლა მოითხოვს ორი-სამი წლის მუშაობას შეგირდად და შემდეგ ქარგლად. სწავლის დასრულება უწინ ე. წ. „საოსტატო"-თი აღინიშნებოდა—მასწავლებელი თავის შეგირდს სილას გაარტყამდა. ეს ხდებოდა საგანგებოდ გამართულ წვეულებაზე, ქეიფის დროს, უხვად გაშლილი სუფრის წინ.

მარტია და იოსებ ჯაშიაშვილები ბოლო ხანებში ცალ-ცალკე მუშაობენ, მაგრამ როდესაც საშური საქმეა შეერთდებიან ხოლმე და სამუშაოს ინაწილებენ. საყურადღებოა, რომ შრომის ამგვარი დანაწილება ერთდაიმავე გამოსახულების გამოყვანის დროსაც-კი ხდება. მაგალითად, როცა საჭიროა სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრაფოდ გაკეთდეს ქვის ზედაპირის ორნამენტი, მაშინ ერთი ძმა ადამიანის გამოსახულების სახეს აქანდაკებს, ხოლო მეორე ძმას ამ დროს ტანი ან ფეხსაცმელები გამოჰყავს.

ქვაზე სახეების გამოყვანა, რომელსაც მოხელე „დახატვას“ და „დაწერას“ უწოდებს („მიცვალებულს დავხატავ“ ან „მიცვალებულის სახეს დავწერ“), შემდეგნაირად ხდება: დასახატად გამზადებული ქვის ზედა სიბრტყის ნაპირზე ოსტატი პირველად ნახშირით არშიას შემოავლებს და შემდეგ ამ ზოლს „კალმით ამოიღებს“ (ჩაჭრის). დასახატავი არე ამგვარად ჩარჩოში ჩაისმება, რის შემდგომ ადამიანის სახისა და ტანის გამოყვანა იწყება. თიანეთელი ოსტატისათვის ცნობილია ის პირი, რომლისთვისაც ის საფლავის ქვას ამზადებს. ამიტომ იშვიათად სჭირდება ხოლმე დამკვეთისაგან მიცვალებულის სქესისა და ხნოვანების გაგება იმისათვის, რომ საფლავის ქვაზე შესაფერისი გამოსახულება გამოიყვანოს. ეს გამოსახულება, რათქმაუნდა, მიცვალებულის პორტრეტს არ წარმოადგენს. მოხელე არც ცდილობს ინდივიდუალურ თავისებურებათა ასახვას. ის იძლევა გარკვეული ხნოვანებისა და სქესის ადამიანს და ცდილობს გამოსახულება „ლამაზი“ გამოვიდეს. ხოლო ლამაზი, ოსტატის გაგებით, ისეთი გამოსახულება არის, რომელსაც „სწორად გამოყვანილი ნაწილები აქვს—მრგვალი თავი, სწორი ცხვირი, ზედა ტანი და ქვედა ტანი შესაფერისებია, ხელები ხელებს უგავს და ფეხები ფეხებს“. ერთი სიტყვით, თიანელი ოსტატის იდეალს წარმოადგენს ადამიანი გამოსახოს რეალისტურ ფორმებსა და პროპორციებში. გარდაცვლილის კუთხურ თავისებურებას ის ასახავს იმით, რომ ქვაზე აღბეჭდავს ადამიანს იმდაგვარი თავსაბურავითა და ტანსაცმლით, როგორსაც ხმარობს მოსახლეობის ის ფენა, რომელსაც მიცვალებული ეკუთვნის—მიცვალებულ ფშავს ფშაურად ჩაცმულ გამოსახულებას გაუკეთებს ქვაზე, კახელს კახურად ჩაცმულს და ასე სხვ. დამკვეთისაგან ოსტატი ღებულობს ცნობას მხოლოდ მიცვალებულის დაბადება-გარდაცვალების ზუსტი თარიღის შესახებ (წელიწადი, თვე, რიცხვი) და მისადმი მიძღვნილ ლექსს ან პროზაულ ტექსტს საფლავის ქვის გვერდებზე აღსაბეჭდავად.

ადამიანის „დახატვა“ და ორნამენტების სხვადასხვა ელემენტებისა და აგრეთვე ასოებისა და ციფრების გამოყვანა პირველად ნახშირითვე ხდება. შემდეგ ნახშირით დანიშნულ ადგილებს ოსტატი კალმით ამოჭრის. კალამი მარცხენა ხელში უჭირავს. ჭრის დროს კალმის პირს ქვაზე ცერად მიადებს და მის ყუაზე მარჯვენა ხელით ხელკვერს არტყამს. როდესაც ქვის ზედაპირზე ნახატის ამოღარვა დამთავრდება, ოსტატი ქვას გვერდზე წააქცევს და გვერდის დასახატავ არეს ჯერ ნახშირით და შემდგომ კალმით ამოკვეთის საშუალებით სწორსა და სადა ზოლს ან კუწუბიან ტეხილ ხაზებსა თუ სამკუთხედების არშიას გაავლებს ჰორიზონტალურად ქვის ზედა და ქვედა ნაპირებზე და ან (იშვიათად) ოთხკუთხედ ჩარჩოში ჩასვამს გვერდის ქვაზე დასახატავ არეს. ასოების ამოკვეთის წინ ქვის გვერდის სიგრძეზე ოსტატი „შიმშას“ დაადებს და ნახშირით სამ ზოლს გააყოლებს. შემდეგ ზოლებში ნახშირითვე ასოებსა და ციფრებს გამოიყვანს, ამ ადგილებს „საწერი კალმით“ ამოჭრის და, ბოლოს, „ბატის ფრთას“ შავ საღებავში ავლებს და ამოჭრილ ასოებში, ციფრებში ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნამენტში (თუ ორნამენტია გამოყვანილი) გაატარებს. ასევე სრულდება ქვის მეორე გვერდისა და თავ-ბოლო ნაწილების ორნამენტები, რის შემდგომ ქვას კვლავ ზედაპირზე გადააბრუნებს და შეუდგება გამოსახულების შეფერადებას. სახეზე პირველად „შიფიროს“ წაუსვამს, შემდეგ წითელ საღებავს და ამგვარად პირისფერი (ვარდისფერი) მიიღება. წითელი საღებავითვე ღებავს ტუჩებს და სამოსისა თუ სამკაულის იმ ნაწილებს, რომლებიც ამ ფერს მოითხოვს. შავი საღებავით გამოყავს თვალ-წარბი, თმა და ფეხსაცმელი, აგრეთვე სამოსი ან მისი ნაწილები, თუ მათი შეღებვა შავად არის საჭირო (როდესაც მიცვალებული მოხუცი ქალია ან მამაკაცი). კახელი ქალის გამოსახულებას ლეჩაქს თეთრი საღებავით შეუღებავს, ყვითელი ფერის არშიას შემოუვლებს და ბასმას გამოსაყვანად ლეჩაქზე ყვითელ წინწკლებს დაასხამს. ასევე სხვადასხვა ფერის საღებავებით აფერადებს სამოს-სამკაულის სხვადასხვა ნაწილებსა და იარაღებს.

თიანეთელი ოსტატი საფლავის ქვის მოჭრას, გაკოპიტებას, შინ მოტანასა და დამზადებას, თუ მარტოხელად მუშაობს, ე. ი. მუდმივი დამხმარე არ ჰყავს, ათი დღე უნდება. რევოლუციამდე თითო საფლავის ქვა რამდენიმე თუმანი ღირებულა, მენშევიკების დროს, როცა ფულის ანგარიში მილიონებით იყო, თითო ქვაში ორი მილიონიც კი მიუღიათ, ხოლო ამჟამად იგი ორასი მანეთი ფასობსო.

იოსებ ჯაშიაშვილი იცნობს საფლავის ქვის მოხელეობის ცენტრებს თელავში, დუშეთში, მცხეთაში და თბილისში. მისი განმარტებით, თითოეულ ამ ცენტრს ორნამენტების ამოკვეთის ტექნიკა და მხატვრობა თავისებური აქვს. მაგალითად, თბილისის ოსტატები სახეებს ღრმად ამოჭრიან და ამის გამო რელიეფი მკვეთრი გამოდისო. ამას გარდა ყოველი ცენტრი თავისი რაიონისათვის დამახასიათებელი სამოსითა და სამკაულებით ამკობს მიცვალებულის გამოსახულებასო. თიანეთის რაიონში მიცვალებული ფშავია, ან კახი თუ ხევსური და ამიტომ მის გამოსახულებას ქვაზე ფშაური, კახური ან ხევსურული სამოსი აცვიაო. იოსებს თავისი და თავისი ძმის საამაყო მიღწევად მიაჩნია თავისებური ფეხსამოსი, რომელსაც ისინი საფლავის ქვებზე ხატავენ. ჩვენი გაკეთებული ფეხსაცმელი თავისი ლამაზი მოყვანილობით სხვებისაგან თვალსაჩინოდ გამოირჩევაო, აღნიშნავს ოსტატი.

შეგვატყობინეს, რომ ავტომანქანა ჩვენს ბაზასთან გაჩერებულა და შოფერი მოუთმენლად გველის. გამოვეთხოვეთ ქვის მთლელს და გავეშურეთ სასტუმროსაკენ.

არტნის ხეობაში მივემგზავრებით. გზაში ავარია შეგვემთხვა. სოფელ თეთრაძეებთან შევნიშნეთ, რომ ბენზინს გამოუჟონავს და ავტოს წინა ნაწილი ცეცხლის ალშია გახვეული. საბედნიეროდ ეს ამბავი დროზე იქნა შენიშნული და კატასტროფას გადავურჩით.

ვიდრე შოფერი დაზიანებულ მანქანას უვლიდა, ვისარგებლე შემთხვევით და ავტოს გარშემო შეკრებილ ბავშვებთან (სოფ. თეთრაძეები), წავიმუშავე. ამის შედეგად შემდეგი საბავშვო თამაშობათა ჩაწერა მოხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვკატაობა. გოგონები და ბიჭები წრეს დააბამენ. წრის გარეშე ორი ბავშვი დარჩება,—ერთი თაგვია, მეორე კატა. კატა თაგვს დაედევნება. თაგვი და კატა წრის გარშემო და წრის შიგნით დარბიან იმ დრომდე, ვიდრე კატა თაგვს არ დაიჭერს. თუ კატას თაგვის დაჭერა გაუჭირდა, მაშინ მას წრეში ჩაბმული ბავშვები დაეხმარებიან: როცა თაგვი წრის შიგნით მოექცევა, მას გარეთ აღარ გაუშვებენ, წრეში-კი კატა თაგვს ადვილად იჭერს. ამის შემდეგ ეს ორი ბავშვი წრეში ჩაებმება და წრიდან სხვა ორი ბავშვი გამოვა. ახლა ისინი იქნებიან თაგვი და კატა და ისევე ერთი მეორეს დაედევნება. ასე თამაშობენ ვიდრე არ მოსწყინდებათ.

ქორწიწილაობა. ვთქვათ მე დედა ვარ, სალომე ქორია. მე უკან მომებმის „სიყმიშვილი", სიყმიშვილს მოებმიან სხვა ბალღები. მერე მე ქორსა ვკითხავ: „სად მიდიხარ?" ქორი მეტყვის—ჯბოებს ბალახს მოუტან. მე კიდევ ვკითხავ: „ჩემებს კი არა?" ქორი მეტყვის—არა. მაშინ მე ვეტყვი: „მაშ მგელმა დაგიჭამოს [ჯბოები]". ამაზე ქორი გაგულისდება, გამოუდგება ჩემ შვილებს და უნდა დაიჭიროს. მაგრამ მე ქორს წინ ავეფარები და შვილებისაკენ არ ვუშვებ. თუ მოახერხა და ყველა დაიჭირა, უკანასკნელად სიყმიშვილს გამეეკიდება. როცა იმასაც დაიჭერს, სიყმიშვილი დაცოფდება, ყველას დაერევა და დასცოფავს: პირში შეუბერავს—ჰუუ-ო და ასე ყველა დაცოფდება.

ამ ნაამბობს იწუნებს ერთ-ერთი ბავშვი. ის მიხსნის: ემაგათ „ქორწიწილაობას" ბოლოში „ცოფიანაობა" მოაბესო. ცოფიანაობას კი ასე ვთამაშობთო:

ცოფიანაობა. ბალღები „სიყმიშვილს" აირჩევენ. მერე სიყმიშვილს ეკითხებიან და ისიც ამაზე ეტყვის ხოლმე.

ეკითხებიან: „წუხელ სად იყავ?".
ეტყვის: — ღვდლიანთასა.
„რა გაჭმიეს?"
— გველ-ბაყაყი.
„თავით რა დაგიგეს?"
— გაბერილი კატა.
„ქვეშ რა დაგიგეს?"
— დათვის ტყავი.
„ზეით რა დაგხურეს?"
— გლის ტყავი.
„აბა, ენა გადმოყა".

სიყმიშვილიც ენას გადმოყოფს; მერე „ჰუუ"-ო, დაიძახებს და გამოუდგება ბალღებს. ვისაც დაიჭერს, პირში სულს შეუბერავს და დაჭერილი დაცოფილი იქნება. ერთს რო დაცოფავს, მერე სიყმიშვილი და დაცოფილი ორივ გამოუდგებიან სხვა ბალღებს და უნდათ ისინიც დაცოფონ. ვისაც დაცოფავენ ახლა ისენიც ცოფიანებთან ერთად სხვებს დაედევნებიან და ასე ყველა დაიცოფება.

ქუდმაურაობა. ბალღები წრეს გააკეთებენ და მიწაზე დასხდებიან. ერთი ბალღი ადგება, წრეს შემოურბენს, ვინმეს უკან ქუდს დააგდებს და გაიქცევა. თუ ამ ბალღმა დაინახა, რომ ქუდი დაუგდეს, წამოვარდება და წრეს მეორე მხრიდან შემოურბენს. ვინც მიასწრებს იმის ადგილზე პირველად მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვლას იქ ის დაჯდება. ვინც ფეხზე დამრჩალია ის ისევ წრეს შემოურბენს და ახლა ქუდს სხვას დაუგდებს. თუ ამ ბალღმა ქუდის დაგდება ვერ გაიგო, მაშინ ვინც დაუგდო ის წრეს შემოურბენს და, ქუდდაგდებულ ბალღთან რო მივა, ხელს დაარტყამს თავზე ან ბეჭზე და ეტყვის—კურდღელს დეეძინაო. მაშინ „კურდღელი“ ამოფრინდება და წრეს შემოურბენს ქუდის დასაგდებათ. მეორე ბალღი კი იმის ადგილზე დაჯდება.

ლიშხა-ლიშხა. ორი მწკრივი გაებმის, ერთი აქეთ, მეორე იქით. ერთი უფროსი ბალღი დაიძახებს აქედან „ლიშხა-ლიშხა“. იქედან ერთი ბალღი ეტყვის „ბარბალუკა“. ეხლა პირველი ბალღი კითხავს—„ქალი ვინა?“ ეხლა მეორე ეტყვის—აქ მობძანდიო. მერე აქეთა წრიდან ერთი ბალღი გაიქცევა. იმან მეორე წრე უნდა გაარღვიოს. თუ გაარღვია, ერთ ბალღს თითონ წაიყვანს და თავის წრეში ჩაბამს. თუ ვერ გაარღვია იქვე დარჩება, იმათ წრეში. მერე ისევ თავიდან დაიწყებენ თამაშობას.

კეკემალულობა. ერთი ბალღი გამოვა. იმის გარშემო სხვა ბალღები დადგებიან. ეს ბალღი ამბობს და თან თითს იშვერს თითო ბალღისაკენ:

„კე-კე მა-ლულა“
ტყი-დან გამო-პარულა,
დაი-ჭირა ღა-მურა,
შეწვა შეა-ხრა-მუნა,
წი-თელი ვა-შლი ვის უნ-და—
შენ თუ მე, შენ დაი-ხუჭე“.

ვისაც „ხუჭე“-ს თქმის დროს თითს მიადებს, ის უნდა დაიხუჭოს. ეს ბალღი ხელებს თვალებზე მიიფარებს და დაიწყებს თვლას ორმოცდაათამდე ან ასამდე. ამ დროს სხვა ბალღები იმალებიან,—ზოგი ხეს ამოეფარება, ზოგი რას. მერე ის ბალღი თვალს აახელს და დაუწყებს დამალულებს ძებნას. თუ დაინახა ვინმე, მაშინ ორივენი ერთ დანიშნულ ადგილისკენ გაიქცევიან. ვინც პირველი დაასწრებს მისვლას, დაიძახებს მეორეს სახელს და თან იტყვის „ზავსეხ“. ასე იტყვის, შაგალითად: „ზავსეხ სალომე“, „ზავსეხ ქალთათავი“. ვინც დაასწრებს მისვლას, ეხლა ის „დათვლის“ (ე. ი. თვალებს დახუჭავს და თვლას დაიწყებს ვიდრე სხვები იმალებიან).

ჩილიკობა. ამას მარტო ორი ბალღი თამაშობს. მოიტანენ ორ ქვას, დადებენ ერთი მეორის ახლო, ზემოდან კორას[1] დაადებენ. ერთი ბალღი გრძელ ჯოხს აიღებს, კორას გამოსდებს და მას შორს გადაისვრის. მეორე ბალღი კორას მიაკვლევს და როცა მოხელავს იმ ადგილიდან კორას ქვებისაკენ ისვრის. თუ კორა ქვებშუა მოხვდა, მაშინ „დაჭრილია“. თუ მოშორებით მოხვდა, მაშინ ქვებიდან კორა რო დეეცა იმ ადგილამდე მანძილს დაითვლიან გრძელი ჯოხით და ჯოხის დადება რამდენიც ექნება, ის რიცხვი მსროლელს მიეთვლება. ასე თა-

---

[1] მოკლე ჯოხი. შდრ. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, სიტყვასთან „კორა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშობენ ვიდრე ერთ-ერთ ბალღს ორმოცდაათი, ასი ან ასორმოცდაათი მიეთ-ვლებოდეს. ვინც ამ რიცხვს პირველად შეისრულებს ის ნაჯობნია (?!). მაშინ ნაჯობნი გაეკიდება დამარცხებულს და, როცა დაიჭერს, ხელს ყურში წაავ-ლებს და მანამდე არ გაუშვებს, სანამ დამარცხებული არ იტყვის „წიაო-და-წოწო“.

ავტომობილი შეაკეთეს, სოფელ ზემო-არტანს მშვიდობით მივაღწიეთ და საექიმო პუნქტის ორ ოთახში დავბინავდით.

სოფ. ზემო-არტანის თავში უზარმაზარი იფნის ხეებია, რომლებიც უწინ ად-გილობრივი მოსახლეობის სალოცავს წარმოადგენდა. მას „ჭიჩველ-ხატი“ ეწო-დება. ვერავითარი კვალი ნიშის ან სხვა სახის ნაგებობისა ჩვენ იქ ვერ შევნიშნეთ.

„ჭიჩველ-ხატის“ მახლობლად დგას ბაზილიკური ტიპის პატარა ეკლესია, რომლის გარშემო სოფლის სასაფლაოა მოთავსებული. ამ სასაფლაოზე საფლა-ვის ძეგლების უმრავლესობა მარტია და იოსებ ჯაშიაშვილების მიერ არის გა-თლილი და დახატული. მოიპოვება აგრეთვე შორიდან შემოტანილი საფლავის ქვებიც. ექსპედიციის მხატვარმა ჩახატა ამ ძეგლების რამდენიმე ნიმუში, რომ-ლებზეც შემდეგი წარწერებია მოთავსებული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 პატარ ქეთევანი მიხა
2 გულია შვილის ასული

მარჯვენა გვერდზე:

1 გარ 1926 თებე 1-სა
2 ერთი წლისა

II **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 აცხონე უფალო თამარი ბაიდო
2 გულია შვილის ასული 18 წ.

მარჯვენა გვერდზე:

1 გარ 1905 წ. მაისის 7-სა ეს ლო
2 დი მაღირსა დედა ჩემა ბაბალემ

III **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 აქ განისვენებს ნინო ფოცხვერის
2 ასული ჯერვალიძე ჯიმშიტა ბატაპა

მარჯვენა გვერდზე:

1 შვილის მეუღლე გარ 19 წ
2 შობით წლისა გთხოვთ შენდობას.

IV **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 აქ განისვენებს მარიამი მამუკას
2 ასული გიორგი მეფარია-შვილის მეუღლე.

მარჯვენა გვერდზე:

1 გარ 1936 წ. თიბათვის 27-სა შობით 55 წლისა
2 წამკითხველნო გთხოვთ შენდობასა.

V **საფლავის ქვის**

ზედაპირის კიდეებზე:

მოიხსენე უფალო ბერო წარიას ძე ბუჭყურაშვილი გარ 1918 წ. 9 მარტის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

V. ესაფლავის ქვა ჭოლმარლია
თეთრისა. თმა წვრილი, ჩოხა და ნიკაპი
აბრეშუმი და
ჩოხის მაყუჩისთვის წითელი.

VI. 58.142.49. ნასაფლი ხაზეკანია. ფეხთან, იდაყვის
და მხრების ქვეშ ფანი კიდია
ლალადგლეულია.
ხოლ. ზოგან ფრანი
ნაცვალ ესაფლავანთ.

ტაბ. IV
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოთხნი ანგელოზნი. ანგელოზთა ფრთანი ლიერნი. ეკლესიანი ანგელოზი, ფარა, ძირანი და ჩაფრიანების ფაფარი ბაძვარული ფაფუკაძისეული - წერილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარცხენა გვერდზე:

2 სა შობით 55 წლისა.

მარჯვენა გვერდზე:

წამკითხველო გთხოვთ შენდობასა.

VI **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 ვერ გავიხარ დედასთან ძმაკაცთან წორამხანა
2 გთანა ამოვეფარე შავსა მიწას მე ხთისო

მარჯვენა გვერდზე:

1 ბახალას ძე გულიაშვილი გარ. 1918 წელსა
2 ღვინობის თვის 25-სა შობით 27 წლისა

VII **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 საფლავსა შინა მდებარე ვარ მე ბოიგარი გიორ
2 გისძე ხევსურელი, წაველი ტყეში შეშისათვის ხე
3 ზედ დამეცა იმან მამიღო ჩემი ბოლო, დამრჩა

მარჯვენა გვერდზე:

1 მეუღლე და ერთი ქალი ღმერთო კარგათ შემი-
2 ნახე, გარდავიცვალე 15-სა მარტსა 1902 წელსა
3 შობიდგან ვიყავი 50 წლისა, წამკითხველნო

ბოლო გვერდზე (ფეხებთან):

1 გთხოვთ თითო
2 პირი შენდობა
3 მაღირსოთ.

VIII **საფლავის ქვის**

მარცხენა გვერდზე:

1 აქ განისვენებს მიხა გეჯუ
2 რასძე ჭყრუნაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VII—ეკა ბხვა ჩიაანიდანია ძაკანილ

14. VII 39

ზეძა ანტანი
ანარ სასაფლაოლან IX

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 გარ 1927 წ მარიამობისთვის 8-სა შობით
2 43 წლისა მხილველნო გთხოვთ შენდო
3 ბასა

IX **საფლავის ქვის**

მ ა რ ცხ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ ლევანი
2 ბაჭყიასძე ხიზანაშვილი წუთისოფელს
3 გამოვესალმე 1919 წ. მარტის 7 სა შობით

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 60 წლისა მხილველნო გთხოვთ შენდობასა მზეზე
2 დამრჩა მარტო მეუღლე ღმერთო კარგათ
3 შამინახე.

X **საფლავის ქვის**

მ ა რ ცხ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 ღმერთო და ჩემო გამჩენო ჩემფერა ბევრი გყოლია
2 ცოდვანი შემიმსუბუქე სამარეს ჩასაყოლია
3 ძე არვინ დამრჩა მამგონე გაქრა ცეცხლი და ბოლია
4 სამზეოს გამუესალმე სიკვდილს არ ვინა ბრძოლია

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა გ ვ ე რ დ ზ ე:

1 დამბადებელო მანიჭე განათლება და ცხონება
2 მამკვიდრე სასუფეველი შემისუბუქე მონება
3 თამარი მიხეილის ასული ლევან ხიზანაშვილის მეუღ
4 ლე გარ 1936 წ. თებერვლის 15-სა შობით 68 წლისა



13 ივლისი. სოფ. ქუშხევი (ანუ **ქვაშხევი**). ზემო-არტნიდან $3^1/_2$ კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთისაკენ სოფელი ქუშხევი მდებარეობს. არტნიდან ამ სოფლამდე გზა მთის ფერდობზე მიდის ვიწრო ბილიკით. ჩვენმა გამყოლმა სოფელში მისვლისას პირველად სოფლის ჭევისბერთან დიმიტრი კ—თან მიგვიყვანა. ჩვენ მხოლოდ შემდგომ გავიგეთ, რომ ის ჭევისბერი იყო. მასთან მივედით როგორც ისეთ მოსახლესთან, რომელსაც ძველებური კარმიდამო ჰქონდა შერჩენილი. მართლაც ამ მხრივ ჩვენი მისვლა უნაყოფო არ გამოდგა. უდგია ნახევრად კლდეში გამოკვეთილი შუაცეცხლიანი და ნამჯით გადახურული სახლი. სახლის მოწყობილობაც ძველებური და საყურადღებო აქვს. გამყოლის თქმით, ჭევისბერი არტანის მახლობელ სოფლებში ერთადერთი მოსახლეა, რომელსაც სახლთან უდგია სპეციალური ქოხი მენსტრუაციის დროს ოჯახის მანდილოსნების საცხოვრებლად.

პირადად ჩემი მიზნებისათვის ეს ოჯახი უსარგებლო გამოდგა. დიმიტრი და მისი მეუღლე მეტად სიტყვაძვირი აღმოჩნდნენ. მათთან საუბარი თითქმის შეუძლებელი შეიქნა. ჭევისბერისგან მიღებული მცირე მასალა „ბატონების“ კულტის საკითხს შეეხება.

წ ი თ ე ლ ა ს დიდი სიფრთხილე უნდა. წითელათი დაავადებულს ლოგინზე ახალ წითელ ფართალს გადააფარებენ, ყველა საქმეს დააგდებენ, სხვადან გულხელდაკრეფილები. სახლში ვერც კერა აინთება, ვერც ლამფა,—საზოგადოდ ცეცხლის ანთება არ შეიძლება, პურს მეზობლებთან აცხობენ. არც რას მოხარშავენ სახლში, არც გარეცხავენ, არც თავს დაიბანენ. ჩემ შეკითხვაზე—ვის ევედრებიან ავადმყოფის და ოჯახის შვებისათვის—მთხრობელმა მიპასუხა: „არც ვის, ისე არიანო“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლის აღმოსავლეთით, წიფელისა და იფნის ბეჭერი ხეებით შეფენილ გორაკზე, ე. წ. „დევთნასოფლარი“ და „კოპალას ხატია“ მოთავსებული. ამ ადგილის შესახებ ფშავლები შემდეგ თქმულებას გადმოგვცემენ.

იქ, სადაც ამჟამად კოპალას ხატი და ძველებური შენობების ნანგრევებია, ძველ დროს დევებს უცხოვრიათ,—მათ აქ სოფელი ჰქონიათ გაშენებული. წამოსულა კოპალა დევების საძებნელად და ამ სოფლის ჩრდილოეთით აღმართულ მთაზე დამდგარა. ჩაუხედია ქვევით და დევთ სოფელი დაუნახავს. იმისა-



თვის რომ ყველაფერი კარგად გაერჩია, კოპალა ლოდზე წაჩოქილა, მისი მუხლის სიმძიმისაგან ლოდი შუა ადგილზე ჩაზნექილა და ჯამის სახე მიუღია. ამბობენ, ეს ლოდი ეხლაც იქვე დევსო. ლოდის გამოსახულების გამო ამ მთას „ქვაჯამა“ დარქმევია. კოპალა რომ დარწმუნებულა აქ მართლაც დევები მოსახლეობენო, მოუვლია მთა-მთა დასავლეთისაკენ და გადასულა კოპალას ხატის პირდაპირ, დასავლეთის მხარეს აღმართულ მთაზე, რომელსაც „საყუჩია“ ეწოდება. აქ კოპალას სანგალი აუგია და იქიდან დევებისათვის ლახტი უსროლია. სულ ამოსწყვიტა თურმე დევები, მხოლოდ ერთი დევი გაექცა. ეს დევი მირბოდა სამხრეთისაკენ და კოპალას ხატიდან მოშორებით ერთ მთაზე, რომელსაც „ნაყორები“ ჰქვია, ყორე აიგო და დასახლდა. კოპალამ ამ დევსაც მიაგნო და მოჰკლა. რადგან კოპალას დევები ამოუჟლეტია ხალხს მის პატივსაცემად დევების ნამოსახლარზე „კოპალას ხატი“ დაუფუძნებიაო.

7. ენიმკი-ს მოამბე, ტ. XI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ბაზრის ნაგებობა
ბაზრის ეზო
ბაზრის ქვაბი
ბაზრის ნაგებობა
ბაზრის ეზოს
ბაზრის ეზოს
ბაზრის ეზოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთია ლეგენდა კოპალას და დევების ნამოსახლარის შესახებ. მაგრამ, ეს საკუთრებით საყურადღებოა თვით მატერიალური ძეგლი, ან, უკეთ, მატერიალური ძეგლები, რომლებიც „დევთნასოფლარის“ სახელით იწოდება.



ტყით დაფენილი გორაკის დავაკებას, რომელზეც „დევთნასოფლარი“ და „კოპალას ხატია“ მოთავსებული, სამი მხრიდან მაღალი მთები აკრავს: ჩრდილოეთით—ქვაჯამა, დასავლეთით—საყუჩია, საყუჩიასა და ქვაჯამას შუა—მთაწმინდა, რომლის თავზე მოთავსებული ყოფილა წმ. გიორგის საზარე-ნიში ზარითურთ დასავლეთით, გორაკის დავაკებასა და მთა საყუჩიას შორის, ხევში ჩაწოლილია პატარა ნაკადი, რომელსაც ჯვართხევი ეწოდება, ხოლო სამხრეთით ჩამოუდის მდინარე ქუშხეურა და შორს მთა ნაყორები მოჩანს.



დევთნასოფლარი ოდესღაც მჭიდროდ დასახლებულ სოფლის ნანგრევების კომპლექსის შთაბეჭდილებას სტოვებს. აქ მოცემულია დანგრეულ შენობათა კედლები და საძირკვლები. ექსპედიციამ დაითვალა დაახლოებით 21—23 ასეთი ნანგრევის ერთეული. შენობათა კედლები ნაგებია ნატეხი ქვისაგან მშრალად, მაგრამ ისეთი დიდი ოსტატობით, რომ უზარმაზარი კედლის ქვების მშვენიერი წყობა და ფორმა გათლილ ქვისგან აგებულს მიაგავს. კედლებში ჩატანებული ქვის მოცულობის წარმოსადგენად საკმარისია გავითვალისწინოთ, მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ზომის ქვა: განი 93 *cm*, სიგრძე 69 *cm*, სიბრტყე 91 *cm*.



„კოპალას ხატის“ შენობები იმავე ჯიშის ქვისგან არის ნაგები, რომლითაც „დევთნასოფლარისა“, მაგრამ ეს ქვა აქ ზომით გაცილებით უფრო პატარაა და უსწორმასწორო. საერთოდ ფშავლების საკულტო ძეგლების კომპლექსი თვალსაჩინოდ უფრო მდარე ხელობისაა პირველზე. „კოპალას ხატი“ ორი ძირითადი ნაგებობისაგან შესდგება: ერთია „სალუდე“ და მეორე—„საზარე-ნიში“. სალუდე მოგრძო ოთხკუთხი ფორმის შენობაა, სამ მხარეს მიწაში ჩაფლული და ნაგლეჯი ქვით მშრალად ნაგები. მეოთხე მხარე ფასადია, ხისა. მას მარჯვენა გვერდზე კარი აქვს და ზემოდან ოდნავ გამოწეული ხისავე ფარდული ხურავს. სალუდეს სახურავი ორწახნაგოვანია, კრამიტით გადახურული. ფასადზე დაკრულია ირმის ორი რქა და ხარის თავის ქალა რქებითურთ. კარიდან ფასადის გასწვრივ ქვებზე შეყენებულია ბრტყელი ფიცრის საჯდომი. სალუდეში, კარის პირდაპირ, ჩრდილოეთის კედელზე მიშენებულია მთური ტიპის ქურა, შიგ ჩადგმული დიდი ზომის სალუდე ქვაბით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვაბის გვერდზე, ჩრდილოეთის კედელშივე, დატანებულია ორი თახჩა, ერთ-ურთისადმი ვერტიკალური მიმართულებით მდებარე. სამხრეთის კედელთან, კარიდან კუთხემდე, დგას ბეღელი—ხის ოთხკუთხი მოყვანილობის დგამი, მოკლე ფეხებით. მის სახურავზე დაყრილია ჯამ-ჭურჭელი: ტარკოში (გატეხილი), ირმის რქა, მოჩარხული ბარძიმი—3 ცალი, ხის თას-ჯამი—3 ცალი, ფეხიანი ჯამები თითბრისა—2 ცალი, ხის კულა თითბრით მოჭედილი, 2 ხონჩა, რომელთაგან ერთს მოკლე და კოპლების მსგავსი ოთხი ფეხი ჰქონია (ორი ფეხი მომტვრეულია), საწვნე სპილენძისა, მოკალული—2 ცალი, ქაფქირი სპილენძისა, მოკალული, ხის სახინკლე კოვზი. დასავლეთის კედლის გასწვრივ ბეღელზე მიდგმულია ორი დიდი ზომის სალუდე კოდი, ორი ჩხუტი, სპილენძის თუნგი და სპილენძისავე სურა. სურაში ყრია ბამბის დაგრეხილი თეთრი ძაფი და დაცობილია ოდესღაც თეთრი, მაგრამ ამჟამად ჭუჭყისაგან განაცრისფრებული ნაჭრით.

სალუდეს აღმოსავლეთის კედელზე იქ, სადაც ქვის ნაგებობა თავდება და ხის დირე იწყება, დალაგებულია რკინის ორი შამფური და სპილენძის საწვნე. სალუდეს ცენტრში აღმართულია ბოძი, რომელზეც სპილენძის თუნგი ჰკიდია. კარიდან ქურამდე პირდაპირი მიმართულებით გადებულია ბრტყელი ფიცარი; ცალი ბოლო მას კედლის გამოწეულ ძირა ნაპირზე აქვს დაყუდებული, მეორე ბოლო კი ქვებზეა შედგმული. ეს საჯდომი სკამია. ამის გარდა აქვეა ხის ორი სკამი პატარა და დაბალი, სამფეხა, მთური ტიპისა. ამ სკამებს უკანა ფეხზე მიბმული აქვს ბამბის გრეხილი თეთრი ძაფი—შეწირვის ნიშანი. სალუდეში მოთავსებული სასმისები უთუოდ ძველი და ხმარებიდან გამოსული უნდა იყოს; ისინი ნაგავით, ხავსით, ხმელი ფოთლებითა და ობობას ქსელითაა სავსე და ჭიისაგან დახრული და გატეხილია.

სალუდეს ფასადის წინ პატარა დავაკებაა. მის შუაზე დამწვარი დანახშირებული ადგილია, ეტყობა აქ ცეცხლი უნთიათ. მის გარშემო მიწაზე ოთხკუთხედად ფიცრებია საჯდომებად გაწყობილი. სალუდედან მარცხნივ ვაშლის ხეზე ირმის ოთხი რქა ჰკიდია. სალუდეს ფასადის მარჯვნივ მიწაში ჩარჭობილია ორი „ჩხა“—კაპიანი სარი, რომლებზეც საკლავებს ჰკიდებენ ხოლმე მათი გატყავების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გმირთნასოფლარის“ ნაშთებით დაფენილია სალუდედან აღმოსავლეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის არე. როგორც აღნიშნული იყო, ზოგან ნაგებობათა საძირკვლები მოჩანს და ზოგან დაქცეული შენობების კედლებია აღმართული. ერთ-ერთ ასეთ ნაგებობის ნანგრევში, სალუდეს მახლობლად, მოთავსებულია ქვა-კირით ნაგები კოპალეს საზარე-ნიში, რომელიც შესდგება ოთხი სვეტისა და ამ სვეტებზე აღმართული კონუსის ფორმის სახურავისაგან. „საზარეში“ ზარი ჰკიდია. ზარის ენის ნახვრეტში დამაგრებულია ძველი ყვითელი და თეთრი ფერის „საკადრისები“. ზარის გარშემო ორ ზოლად ამოკაწრული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება:

ზ ე დ ა ზ ო ლ ი:

„ქ ღთით შემოგწირეთ კოპალს ეს ზრი ერთობით გაბიდურებმ [1] ეთობით სულ ასე რომ კოპლის მამოული გვიჭერია თვის ბეგრით“

ქ ვ ე დ ა ზ ო ლ ი:

„ჩვენ ძებნიურნი [2] მშენიაო ეს ბუქურაულები ვ უშლ ჯურ ვქვს შევლ ქსას წმნდს კოპალის ეკლესიას დამიწერია მასრიშვილმ [თუ ბასრიშვილმ?] [3] ბთლსა დიწარმთვეს ქორ ფთ“

კოპალეს საზარეს მახლობლად, ჩრდილოეთის მიმართულებით, „გმირთნასოფლარის“ ნანგრევებშივე, მდებარეობს „პირქუშის ნიში“ — მომრგვალებული ფორმის ქვის ძეგლი, მშრალად ნაგები, ძირთან განიერი და ზევით დავიწროვებული. მას დასავლეთის მხრიდან დატანებული აქვს პატარა თაღჩა, ნამწვარი სანთლისაგან გაქონილი. ნიშს თავზე ირმის რქა ადევს.

---

[1] გაბიდაურები სოფელ ქუშხევის ძირითადი მოსახლეობაა.

[2] ძებნიაურთ გვარის შესახებ იხ. აქვე, გვ. 70.

[3] ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ამ გვარის ხალხი ახლო-მახლო სოფლებში არავინ ცხოვრობს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



14 ივლისი. სოფ. ზემო-არტანი. ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილ მორწმუნე კახელებს დღეიდან ლაშარობა ეწყობათ. დღესასწაულობენ სამ დღეს: ხუთშაბათ საღამოდან მომდევნო ორშაბათ დილამდე. და აი დღეს დილით ჩვენს ექსპედიციის ბაზას (ზ.-არტნის საექიმო პუნქტი) რამდენიმე მოჩარდახული ურემი უახლოვდება. ურმები დატვირთულია ლოგინით, სანოვაგით, ჯამ-ჭურჭლითა და მისთანათი. მლოცველთა ერთი ნაწილი ურმებს უკან მოსდევს, ხოლო მეორე ნაწილი წინ მოუძღვება; ამათგან ვაჟები შესაწირავ ცხვრებსა და ხბოებს მოერეკებიან. ყველა ფეხშიშველია. ურმები ჩვენი ბაზის წინ ჩერდება. ახალგაზრდა ქალებს მხრებიდან წელამდე ცერად ან ჯვარედინად შემოკრული ვარდისფერი და წითელი ატლასის ლენტები უკეთიათ. ერთ ქალს მიტკლის თეთრი ტანსაცმელი აცვია. თითქმის ყველა ქალსა და ზოგ კაცსაც თავზე მიტკლისავე თეთრი ან წითელი თავსაფრები ხურავთ. მამაკაცებს ქამრის ნაცვლად ან ქამართან ერთად წელზე თეთრი ნაჭრები აქვთ შემოკრული. ამასთან ერთად ზოგიერთ ქალს ზედატანზე დაკერებული აქვს სამკუთხა მოყვანილობის წითელი ნაჭერი. ერთ-ორ მანდილოსანს თეთრი ან წითელი ნაჭრისაგან ბადის მსგავსად მოწნული ოთხკუთხედი მკერდზე აფენია. ერთ ჭაბუკს შარვლის ზემოდან აცვია მიტკლის თეთრი მეორე შარვალი, რომელიც მუხლებამდე სწვდება. მას მიტკლისავე თეთრი ხალათი აქვს ჩაცმული და თავზე ამავე ნაჭრის ქუდი ხურავს.

ვიდრე ურმები ხატისაკენ დაიძროდა, ჩვენ აივანზე ცეკვა გაიმართა. დაუკრეს ფანდური და მლოცველმა მეურმე ქალმა ჩამოუარა. ეს ქალი ყრუ-მუნჯია და ფსიქიურადაც დაავადებული უნდა იყოს, თუმცა ამ უკანასკნელ ფაქტს მისი თანამგზავრები უარყოფენ და გვარწმუნებენ, რომ ეს დედაკაცი დიდი მშრომელია, ვაჟკაცის საქმეს აკეთებს და, საერთოდ, კაცური საქმეები ემარჯვებაო; ენა ჩავარდნია და დაყრუებულა ბავშვობისას იმის გამო, რომ მის დედას მძინარე ბავშვი მეტად უხეშად გაუღვიძებია. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა თით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოს მლოცველებს ეს ქალი, მისი ყრუ-მუნჯობის გამო, არაჩვეულებრივ ბედნიერად მიაჩნიათ.

მლოცველი კახელები—სოფელ შილდას, ენისელისა და ყვარელის მოსახლეები არიან. მეოთხე დღეა რაც გზაში ვართო. დღეს ნაშუადღევს ჯატკევში, თამარისა და ლაშარის სალოცავებში, მივლენ.

ამ მლოცველებზე ადრე მატნელებს აუვლიათ, აგრეთვე ჩარდახიანი ურმებით. ეს გუშინ მომხდარა. დღეს-კი მატნელების რამდენიე ჩარდახიანი ურემი უკანვე მოდის. მათ ღამე ჯატკევში უთევიათ, თამარისა და ლაშარის ხატები მოულოცავთ და შინ მიდიან—მეტ ხანს ვეღარ დავრჩით, მოუცლელათ ვართ და სავალი გზა კი დიდი გვაქვსო. შეიძლება მართლაც ასე იყოს, მაგრამ შეიძლება მათი აჩქარების მიზეზი სხვაა. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ ხანს ერთმა საყურადღებო მოვლენამ იჩინა თავი: მორწმუნეთა ნაწილი თავის მორწმუნეობას ეჭვის ქვეშ აყენებს, ხატში სიარულს უკვე უხერხულად მიიჩნევს, მაგრამ, ვინაიდან მლოცველთა ეს ჯგუფი ჯერ კიდევ მთლად ვერ განთავისუფლებულა ძველი ტრადიციებისაგან, არამორწმუნე მეზობლების დაცინვისა და გაკიცხვის თავიდან აცილების მიზნით, ხატობის კალენდარულ დღეს არღვევს და ხატში სალოცავად ხატობის წინ, ან ხატობის რამდენიმე დღის შემდეგ მიდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14 ივლისი. სოფ. ზ.-არტანი, ღორღაში. არტნის თემსაბჭოს მდივანი თამარ არდაზიანი მიამბობს ერწოს დასახლების ლეგენდას, რომელიც მას თავისი პაპისაგან სმენია. ლეგენდა სინკრეტულია: ბიბლიური მოთხრობა ნოეს შესახებ უძველეს მითიურ სახეებს შერწყმია და მათგან მწყობრი მოთხრობა შემუშავებულა.

ერთხელ თურმე ერწოში გველეშაპი მისულა. მას თან წყალი მიუტანია და მთელი ერწო წყლით დაუფარავს. ხალხი დაღუპულა, წყალში დამხრჩვალა. მხოლოდ ერთი კაცი გადარჩენილა. ამ კაცს სახელად ნოე რქმევია. წყალი რომ მოდიოდა ნოე თურმე კიდობანში ჩაჯდა. კიდობანი წყლის ზედაპირზე მოექცა და ცურვა დაიწყო. ადიდდა წყალი, მთები დაფარა, მაგრამ ერთი მთა ძალიან მაღალია და მის წვერს ვერ მიაღწია. იცურა ნოეს კიდობანმა, იცურა და იმ მთის წვერს მიადგა. ნოეს თურმე ერთი შინდისფერი მოზვერი ჰყავდა და, როცა ნოე კიდობნით წყალზე დაცურავდა, ეს მოზვერი უკან მისდევდა. გადმოვიდა ნოე კიდობნიდან მშრალ მიწაზე და მოზვერიც მასთან მივიდა. ამასობაში დაღამდა კიდეც და ნოეს დაეძინა. დილით რომ გამოეღვიძა, ხედავს საწყალი მოზვერი დასისხლიანებული გდია: იმ ღამეს თურმე წასულა და გველეშაპს შებრძოლებია. ეს რომ ნოემ გაიგო, რქებზე რკინა გადააკრა —გველეშაპი ველარას დააკლებსო. მეორე ღამეს მოზვერი ისევ წასულა, გველეშაპს შებმია, უჯობნია, რკინის რქებით დაუფათრავს და გაუქცევია. ცოცხალ-მკვდარი გველეშაპი ჭალა-ჭალა მიდიოდა და წყალიც თან მისდევდა. ასე თანდათან ერწოს არემარე წყლისაგან დაცლილა, მხოლოდ იორს შერჩენია წყალი. მაშინ ნოე ბარში ჩასულა და ერწოც დასახლებულა.

გუშინ და დღეს ჩვენი ექსპედიცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის რაიონის მოსახლეობის ყოფის მახასიათებელ ობიექტებს აგროვებს. ამ ობიექტებიდან განსაკუთრებით საინტერესოა დაჭრელებული სკივრები, დედა-ბოძები და ჩუქურთმიანი ხის სხვა საგნები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15 ივლისი. სოფ. ზემო-არტანი. მოხუცი ფშაველი გვიამბობს ლიტერატურაში ცნობილი თქმულების ვარიანტს ლაშარის ჯვარის შესახებ. ამ თქმულებით, არაგვის ფშავში ერთი დიდი მუხა მდგარა, მუხის წვერზე ოქროს შიბი ყოფილა ჩამოკიდებული. ლაშა გიორგი იმ შიბით თურმე ზეცაში ადიოდა და მუხაზე ჩამოდიოდა.

ერთი მთიული, გვარად აფციაური, ფშავლებსა მტრობდა და ამიტომ მან გადაწყვიტა ლაშარის მუხა მოეჭრა. ამ მიზნით აფციაურმა მუხასთან ხალხი მოდენა და უბრძანა—ხე მოჭერითო. დაუწყეს ჭრა, მაგრამ ვერც ერთის ცული ვერ გამოდგა, დაკვრისთანავე ის ტყდებოდა, მუხას კი რაც უფრო მეტ-ჯერ მოხვდებოდა ცული, მით უფრო სქელდებოდა. არ იქნა და მუხის მოჭრას არა გაეწყო რა. გაბრაზებულმა აფციაურმა კიდევ უფრო მეტი ხალხი მოდენა და რომ წადილს ვერ ისრულებდა ამის მიზეზად ფშავლებსა სთვლიდა. ზოგ მათგანს თავები დასჭრა, ზოგი მოკლა. თან ამას გაიძახოდა: თქვენ იცით რად არ იჭრება ეს მუხა და არ ამბობთო.

ხალხმა მართლაც იცოდა, რად არ იჭრებოდა მუხა, მაგრამ არ ამჟღავნებდა. ბოლოს, ერთმა მოხუცმა ფშაველმა ვეღარ გაუძლო ამდენი ხალხის დაღუპვას და სთქვა: (უკაცრაულ პასუხია) ერთი ციცა დაჰკალით, მუხაზე იმისი სისხლი მიასხით და ხე მოიჭრებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰკლეს ციცა, იმისი სისხლი მუხას მიასხეს და ხეც მოიჭრა. მუხა ... ცეულა და ოქროს შიბი კი ზეცას წასულა. ამ დროს მუხას სამი ნაფოტი მოვარდნია. ერთი იქავ დამრჩალა, მეორე ჭატკვევში გადმოვარდნილა და მესამე კი წყალში ჩავარდნილა; ამ მესამე ნაფოტს რა მოუვიდა არავინ იცის. ლაშარის პატივისცემით უკანაფშავსა და ჭატკვევში ნიშები აუგიათ. ამ თქმულებაზე ასეთი ლექსიც უთქვამთ:



„მენა ვარ აფციაური,
რად არ ამბავსა მკითხავო.
—შენ რეტიანი ყოფილხარ,
არა ვარ შენი ჭკვისაო.
ლაშარელაის მუხასა
შენ თუ უთხრიდი ძირსაო.
უპირობ ჩამაგდებასა
მაღლაით ოქროს შიბსაო,
განა შენ მამამ შაჰკიდა,
ჩამოსულიყო ცითაო?!“[1]

დღეს ნაშუადღევს ჭატკვევში გავემართენით. ზემო-არტნიდან ჭატკვევის ლაშარისა და თამარის ხატამდე გზა სულ მდინარე იორის ნაპირს მიჰყვება. ჭატკვევის ხატი ზემო-არტანს ხუთიოდე კილომეტრით შორავს, თუმცა ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობით ეს მანძილი 3—3½ კილომეტრს უდრის.

არტნიდან მიმავალი პირველად მიადგება თამარის ხატის ხეივანს, რომელიც იორის გასწვრივ არის გაშლილი. იორი მას აღმოსავლეთით საზღვრავს, ხოლო ხეივნის დასავლეთით გორაკია „ჭატკვეურკი“-ს სახელწოდებით ცნობილი. ამ გორაკზე თამარის

[1] ჩაწერა ექსპედიციის წევრმა მეცნ. თანამშრ. ფაფალა გარდაფხაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხატია გაშენებული. აქედან ერთი კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთის მიმართულებით, თამარის ხატის გასწვრივ გორაკზევე მეორე ხატი მდებარეობს ლაშარის სახელობისა.

ჯატჯევის ხეივანში მისვლისას ჩვენ ღამისმთევლები შევნიშნეთ. უმრავლესობა ფშავლები იყვნენ, რომლებსაც ცხენები საძოვრად მიეშვათ და თვით ხეების ძირში დაბანაკებულიყვნენ. იქვე იდგა ჩარდახიანი ურემი, რომელიც, როგორც გაირკვა, კახელებს, სოფელ მატანის მცხოვრებთ, ეკუთვნოდა; ისინი ამ ღამეს თამარის ხატის ძირში ათევდნენ.

ხეივანი გავიარეთ და მივაშურეთ ლაშარის ჯვარს. იგი მოთავსებულია მთის ფართო დავაკებაზე, რომელსაც თხელი ტყე სარტყელივით აკრავს. ვაკის დასავლეთის მხარე კახელების ჩარდახიან ურმებს უჭირავს. ხარებიდან განთავისუფლებული ურმის მხრები მიწაზეა დაშვებული და ამგვარად დაყირავებულ ურმების ქვეშ, ჩრდილში, დიასახლისები ფუსფუსობენ: მახლობლად ცეცხლის სანთები ადგილი მოუწყვიათ და საჭმელს ამზადებენ. ურმები ყვარელსა, მატანსა, ენისელსა და შილდაში მცხოვრებ მორწმუნეებს ეკუთვნის. დამსწრეთა შორის ბევრია არამორწმუნეც. დღეს შაბათია. ლაშარში ფშავლები თითქმის არ ჩანან.

მლოცველებს თავის პირველად სამშობლოდ არტნის ხეობის სოფლები — ყვარა და სხვ. მიაჩნიათ. ჩვენი მამა-პაპა აქედან გადასახლებულა კახეთში და ამიტომ არის, რომ სოფელ ყვარას მიხედვით კახეთშიც ჩვენს სოფელს ყვარელი ეწოდაო, ამბობენ სოფელ ყვარლის მცხოვრებნი და სხვა აქ დამსწრე კახელებთან ერთად აღნიშნავენ — აქედან წასულები რომ ვართ, ამიტომ გვმიზეზობს აქაური ხატი და ჩვენგან სამსახურს მოითხოვსო.

ჯერ კიდევ გუშინწინ გაირკვა და დღეს კვლავ დაგვიდასტურეს, რომ ჯატჯევში დღეობა ლაშარობაზე წამოსული კახელები გზაში 4 დღე-ღამეს უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიან. მლოცველებს გუშინწინ ნაშუადღევს მიუღწევიათ თამარის ...
ორი ღამე იქ უთევიათ, დღეს დილით ლაშარში გადმოსულან, ამაღამ და ხვალ აქ გაატარებენ და ორშაბათს დაიშლებიან.

ლაშარის ხატს აღმოსავლეთიდან მდინარე იორი და მის გადაღმა აზიდული მაღალი მთები საზღვრავს, ხოლო სამხრეთიდან—მცირე ხევი და ტყით დაფენილი მთა. ტყიანი მთით არის იგი შემოზღუდული აგრეთვე დასავლეთიდანაც. აქ, ამ მთის ფერდობზე, ლაშარის ხატის მახლობლად ღვთისმშობლის ხატია გაშენებული. ჩრდილოეთის მხარეს ჰორიზონტი შედარებით გაშლილია—მახლობლად მთის დაბალი ფერდობები და შორს მაღლა აზიდული მთები მოჩანს.

ლაშარის ხატი ანუ ჯვარი ეწოდება „საზარესა“ და „სასანთლე“ ნიშებს გარშემოვლებული ყორის გალავნითა და ტყით. გალავანი ამჟამად მორღვეულია. მისი ქვებით ხატის მახლობლად რძის ფერმისათვის შენობა აუგიათ. გალავნის ნაშთი მიწის პირადღაა დარჩენილი და მხოლოდ ადგილ-ადგილ მისი სიმაღლე დაახლოებით ნახევარ მეტრამდე ადის. ეს გალავანი მრგვალი ყოფილა.

ლაშარის „საზარე“ ქვა-კირით ნაგები და გარედან კირითვე შელესილი შენობაა, მიწიდან შუა წელამდე ოთხკუთხი ფორმისა, შუა წელზე აღმართული ოთხი სვეტით, რომლებიც ერთმანეთს კამარით უკავშირდება, და სვეტებზე დაყრდნობილი სახურავით. საზარე-ნიშის სახურავი ოთხწახნაგოვანია, თუნუქით გადახურული. სახურავის წვერზე მოთავსებულია რკინის ჯვარი, რომლის თავზე თეთრი ლითონის მოელვარე ბურთია წამოცმული. სვეტებ შუა ზარი ჰკიდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზარედან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს, გალავნის შიგნით, დგას ბუ-რითა და კირით ნაგები ოთხკუთხი ფორმის „სასანთლე“. ეს ნიში საზარეზე გაცილებით მცირეა. აქვს ორწახნაგოვანი გადახურვა. „სასანთლეს“ დასავლეთის კედელში დატანებულია ერთურთისადმი ვერტიკალურად მიმართული ორი თახჩა. თახჩებში ჭევისბერები და დასტურები მლოცველთა მიერ მიტანილ სანთლებს ანთებენ და მათ წინ ქადებსა „კლავენ“ (შესაწირავი ქადა ფშავლების გამოთქმით „დაიკვლის“, ე. ი. ხატის მსახურის მიერ დანით დაიჭრება შესაფერისი ლოცვა-ვედრების შესრულების შემდეგ).

ხატის გალავანში რამდენიმე ხე დგას. ამ ხეების ტოტებზე ჩამოკიდებულია მლოცველთა მიერ შეწირული მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები, ვარდისფერი და წითელი ლენტები და სხვ.

ხატის გალავნის შიგნით მხოლოდ ჭევისბერები, დასტურები, ხატის მონები და ხატის მიერ „დაჭერილი“ პირები შედიან.

ჭატჭევის ლაშარობას მორწმუნე კახელები სამ დღე-ღამეს დღესასწაულობენ: პეტრე-პავლობის მომდევნო ხუთშაბათიდან ორშაბათამდე. მამაპაპური ჩვეულების თანახმად, ხუთშაბათ საღამოდან შაბათ დილამდე თამარის ხატთან უნდა დარჩნენ, ხოლო დანარჩენი დრო ლაშარში გაატარონ.

კახელ მლოცველთა უმრავლესობა ჭატჭევში ფეხშიშველია და თავზე მიტკლის ან მარლის თეთრი თავშლითაა წაკრული. კაცების ნაწილს, თეთრის ნაცვლად, წითელი ფერის თავშლები ახვევიათ. ამას გარდა თითქმის ყველა მამაკაცს წელზე, ქამრის ნაცვლად ან ქამართან ერთად, მიტკლის თეთრი ნაჭრები შემოუკრავთ. ახალგაზრდა ქალებს და ბავშვებს მხრებზე გადაგდებული და მკერდსა და ზურგზე ცერად გაყოლებული აქვთ წითელი ან ვარდისფერი ლენტები, რომლებიც თეძოს თავთან გაუნასკვამთ. ზოგ შუახნისა და მოხუც მანდილოსანს კაბის გულისპირზე სამკუთხი მოყვანილობის წითელი ნაჭერი დაუკერებია. ზოგის გულმკერდს-კი ოთხკუთხი ფორმის წითელი ან თეთრი ნაჭერი, ან ზოლებად დაჭრილი და ბადის მსგავსად მოწნული ამავე ფერის „სამკაული ამკობს“. მკითხავი თავით-ფეხამდე მიტკლის თეთრ სამოსშია გამოწყობილი. „ხატის დაჭერილებს“ მიტკლისა მხოლოდ ზედატნები აცვიათ. ამ მხრივ მათგან გამოირჩევა დარიკო ა-შვილი, რომელსაც, თეთრი ფერის ზედატნის გარდა, ხატის სახელზე შეთქმული ყვითლით დაფოთლილი წითელი ქვედატანი აცვია. აგრეთვე გამორჩევითაა ჩაცმული 17-18 წლის ვაჟი. მას შავი შარვლის ზემოდან მიტკლის თეთრი მოკლე შარვალი და ამავე ნაჭრის ხალათი გადაუცვამს და თავზე მიტკლისავე თეთრი, ნაჩქარევად შებლანდული, ქუდი ხურავს.

ამ სამოსს და „სამკაულებს“ მლოცველები ხატში სტოვებენ. დღეობის განმავლობაში ვისაც როდის უნდა, მაშინ მოიშორებს მათ და წმინდად მიჩნეულ ხეების ტოტებზე დაჰკიდებს.

კახელ მლოცველთა შორის ორსულ ქალებსა და „დაჭერილებსაც“ ვამჩნევთ. როგორც გავიგეთ, გუშინ და დღეს დილით ზოგი მათგანი ქადაგად დაცემულა.

ამჟამად კახელ მლოცველთა უმრავლესობა ხატის გალავნის მახლობლად
დაა შეჯგუფებული. „მებუზიკე“ ფშაველი გარმონზე უკრავს და სხვები რიგ-რიგობით ლეკურს უვლიან. ყველაზე უკეთ და ყველაზე დიდხანს 23 წლის შილდელი დარიკო ცეკვავს. დარიკო შავგვრემანი, ფერმკრთალი, მუქი წაბლისფერთვალება, ამავე ფერის ხუჭუჭთმიანი, ეშხიანი ქალია. ის ფეხშიშველი ცეკვავს, მსუბუქად, შნოიანად და გატაცებით. უკანასკნელად მისი პარტნიორია მიტკლის ქუდა და მიტკლის შარვლიანი ვაჟი.

უეცრად დარიკო გან-გან წავიდა, წრე გაარღვია და პირაღმა მიწაზე დაეცა. პირველი შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს მან გრძნობა დაჰკარგა. მაგრამ

დაცემისთანავე დარიკომ მორთო ყვირილი და გორვა დაიწყო. ასე გორვით ის ხატის გალავნის ჩრდილოეთის კიდეს მიადგა და იქ გაიჭიმა თავით ჩრდილოეთისაკენ და ფეხებით სამხრეთისაკენ. დარიკოს მუხლებზე შალი წააფარეს. მან დაიწყო სწრაფად თავის აქეთ-იქით ქნევა და ძახილი: „ეეი, ეეი, ტანჯულო, ტანჯულო, შვილო, შვილო“ და სხვ. დარიკო ქადაგობდა. მას თითქოს ხატები ალაპარაკებდნენ თავის ცოდვებს და მისივე პირით ემუქრებოდნენ. „აბა რა გეგონა, განა შეგარჩენდი ძელი ჭეშმარიტის დანგრევას, ჩემ საბრძანებელში ძვლების შეყრას, ნეკრესის დახურვას... ეეი, ეეი, ტანჯულოო“—ყვიროდა დარიკო, თან თრთოდა, ბეჭებს ნერვიულად ჭიმავდა, თავს მიწაზე ახეთქებდა და მთელი ტანით იკლაკნებოდა. ასე გასტანა რამდენიმე ხანს და, ბოლოს, დაყუჩდა. მორწმუნენი შიშით მიჩერებოდნენ გაფითრებულ, თვალდახუჭულსა და გაუნძრევლად მიგდებულ დარიკოს. მისმა დედამ, გამხდარმა და ტანმაღალმა 60 წლის ნინომ, რომელსაც სახეზე მოკრძალებასა და შიშთან ერთად სიკერპის ბეჭედი ესვა, წამოავლო ხელი ფანდურს და საცეკვაო დაუკრა. შემდგომ გავიგეთ, რომ ფანდურზე დაკვრას უნდა გამოეწვია „ანგელოზების“ გამხიარულება, რასაც ქადაგად დაცემულის წამოდგომა და ლეკურის თამაში მოჰყვებოდა. მაგრამ დარიკო არ ინძრეოდა. ნინომ ფანდური ჩააჩუმა და ნელის ხმით გალობა დაიწყო.

ძველად ქადაგად დაცემის დროს შემდეგ საგალობელს მღეროდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
გამარჯვებულო ჩვენო ლაშარო,
იავ ნანინაო.

ია და ვარდი გაშლილი ჰქონდეს,
ია-ვარდ გაშლილი გებძანებოდეს ლაშარსა.

ნანა და ნანა, იავ ნანას გეტყვი,
გაუმარჯოს შენ სიძრიელეს,
ჩვენ სათავეში იარეო.

გაუმარჯოს შენ სიძრიელეს, გადმოხედეყე,
პატარები არიან შენი ტანჯულები.

გეხვეწებით, გევედრებით, იავ ნანინაო,
გადმოჰხედე, დამწუხრებული პატარა ქორფები არიან,
გაუმაძღრები არიან, იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანას გეტყვი,
ჩვენო დედა ღვთიშობელო,
იავ ნანინაო.

დედა, დედა ღვთიშობელსა,
მფარველი ხარ ტანჯულების,
პატარა ქორფებზედა ია-ვარდი გეფინოსა.

ნანა და ნანა, გაუმარჯოს თამარ დედოფალს!
იავ ნანით მოვიხსენიოთ,
იავ ნანინაო.

გაუმარჯოს ჩვენ თამარ დედოფალს, სათავეში რომ ბრძანდება,
ტკბილათ და შაქრათა, ია-ვარდ გაშლილი დამტკბარიყოს,
იავ ნანინაო.

გადმოჰხედე, გადმოჰხედე ტანჯულებსა,
პატარები არიან, დამწუხრებული,
იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
გამარჯვებულო ჩვენო ნეკრესო გავაზისთაველო,
შენი სახელის ჭირიმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა და ნანა, იავ ნანა!
გაუმარჯოს წყაროს თავსაცა,
ფშავლების თავში რომ ბრძანდება, იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
ალავერდო, შარიანო და გამარჯვებულო,
იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ჩვენო დედა ბარბარე,
ქვეყნის გადმომხედავო, ყველას მფარველო,
ყველა დამწუხრებულებისა, იავ ნანინაო.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს დედა ბარბარეს,
გადმოჰხედეყე, ძალიან დამწუხრებულები,
პატარა ქორფები არიან, იავ ნანინაო.

საკმარისია იავ ნანით მოგიხსენოთ,
საკმარისია პატარა ქორფებმა გაიხარონ
თავის ტოლ-ამხანაგებში, იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
ჩვენო მინგრეულ-მონგრეულო ძელო ჭეშმარიტო ღვთაება,
იავ ნანით მოგიხსენოთ, იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
გადმოჰხედე ტანჯულებსა, ტანჯულები არიან
პატარა ახალგაზრდები, იავ ნანინაო.

ნანა და ნანა, ნანა და ნანა!
სამას და სამოცდასამ წმინდა გიორგის
გაუმარჯოს, იავ ნანინაო.

გაუმარჯოს იმათ ია-ვარდ გაშლილ გზავრობას,
ტანჯულებს უღელი აერთოთ,
იავ ნანინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს, გაანთავისუფლოს,
იმათ ტანჯულებს უღელი აერთოს,
იავ ნანა, იავ ნანინაო“.

ქადაგად დაცემის მომენტიდან დარიკოს ირგვლივ ხალხი ნახევარწრედ არის შემოვლებული ისე, რომ თავისუფალი არე ხატის გალავნისაკენ მოუდის. მონაწილეთაგან ზოგნი მიწაზე სხედან და ზოგნი მუხლის თავებზე, ან ზეზე დგანან.

გალობა დამთავრდა და დარიკო ჯერ კიდევ გაუნძრევლად ეგდო, როდესაც წრეს მოსწყდა, დარიკოსაკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მახლობლად დაეცა მეორე „დამიზეზებული“ შილდელი ელიკო. მასაც მუხლებზე შალი წააფარეს. ელიკო ფართხალებდა, თავს მიწას ახლიდა, მხრებს ნერვიულად არხევდა და გაიძახოდა: „ეეი, ეეი, ლაშაროო, ხევსურთ ბიჭოო“... შემდეგ დაბალი ხმით განაგრძო რაღაცის ბუტბუტი, რამდენჯერმე დაიკვნესა, ამოიოხრა და, ბოლოს, დაიწყო ხატის სახელით გაბმულად ლაპარაკი ვითომ ხატები მას თავის ცოდვებზე ალაპარაკებდნენ. ჩემს გვერდით მდგომი ცრუ რწმენით გონებადახშული კახელი მამაკაცები მიხსნიან—ამას დარიკოზე ნაკლები ცოდო აქვს ჩადენილი. ხატები პირდებიან მალე გაგანთავისუფლებთო. ელიკოს პირით გავიგეთ, რომ მისი ბიძა ხატებს „დაუჭერიათ“. აი ორი დღეა რაც ის კაცი დაცემულა. ჯერ გაჰყვიროდა თურმე თავის ცოდვებზე (ის დასცინოდა თავის ძმისწულსა და სხვა დაჭერილებს—გიჟები ხართო და ლაშარობაზე არ უშვებდა), დღეს დილიდან კი გაუნძრევლად დევსო.

მცირე ხნის შემდეგ ჩვენც გავიგონეთ ელიკოს წამოძახილი: „ბიძა შენი გაუნძრევლად დევს, მაშ რა ეგონა, შევარჩენდი განა“.

ელიკოს ქადაგობა არ იყო დარიკოს ქადაგობის მსგავსად მჭევრმეტყველური და ხანგრძლივი. ის ხშირად ერთსადაიმავე სიტყვებს იმეორებდა გაბმით, მონოტონური ხმით. განსაკუთრებით ხშირად ყვიროდა: „ეეი, ეეი, ლაშაროო, ხევსურთ ბიჭოო“ და თან ოხვრასა და კვნესას აყოლებდა. ბოლოს, ერთი უსიტყვოდ რაღაც წაიღიღინა, გაჩუმდა და მარჯვენა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჰაერში ასწია. მას სასწრაფოდ ხელში ფანდური ჩაუდეს. საკრავი თავისკენ მიიზიდა, გულზე დაიდო და დაუწყო დაკვრა. ასე უკრავდა რამდენიმე წუთს თვალდახუჭული. შემდეგ ფანდურს ხელი უშვა და მიიბნიდა. სრული სიჩუმე ჩამოვარდა მიწაზე გაჭიმული ორი „დამიზეზებული“ ქალის ირგვლივ. ბოლოს, დარიკო შეინძრა, წამოიწია. მას დედა მისი დასწვდა და წამოსვა. დარიკომ აწეწილი თმა გაისწორა, შუბლზე ხელი გადაისვა და თავი დახარა. დედამ დაუძახა — ადე, ადე, დარიკოო, და თან წამოაყენა. ამ დროს ფანდურზე ლეკური დაუკრეს. ფეხზე ამდგარმა დარიკომ წყნარად მიიხედ-მოიხედა, გასწორდა წელში, გაშალა ხელები და მსუბუქად და ნელი ნაბიჯით ცეკვა დაიწყო. მის მიერ ერთხელ წრის შემოვლის შემდგომ ელიკოც შეინძრა, თვალები გაახილა, გაიღიმა. სხვებმაც გაიცინეს, მიუახლოვდნენ და მხიარულად წამოაყენეს. ელიკო ჩემს პირდაპირ მდგომ წრის ხალხს შეუერთდა. ერთი წუთით მისი თვალები ჩემსას შეხვდა. მან მორცხვად და დაბნეულად გამიღიმა, უეცრად გვერდზე მიტრიალდა, ერთ-ერთ ამხანაგს რაღაც წასჩურჩულა და ორივენი ურმებისაკენ გაიქცნენ. ცოტა ხნის შემდეგ ელიკო და მისი ამხანაგი უკანვე დაბრუნდნენ—ელიკოს კაბა გამოეცვალა და ფეხსაცმელი ჩაეცვა.

დარიკო კი განუწყვეტლივ ლეკურს უვლიდა. მან რიგ-რიგობით აცეკვა ყველა იქ მყოფი—მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი და კაცი, მათ შორის მკითხავი, ორსული ქალები და სხვ.

ამით დასრულდა „ლხინი“. მლოცველები დაიშალნენ და თავ-თავის ურმებისაკენ გაეშურნენ. მალე ხეების ჩრდილში სუფრები გაიშალა და ხალხი სასამხროდ დალაგდა. ფაფალა გარდაფხაძემ და მე წყლის დასალევად ღელესაკენ მივაშურეთ.

წყლიდან მონაბერმა გრილმა სიომ ცოტა ხნით ადგილზე დაგვაყოვნა, ქვაზე ჩამოვსხედით და ერთმანეთს ახლად მიღებულ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ამ დროს ჩვენთან მოვიდნენ ჯერ ელიკო თავისი ამხანაგი მარგოთი და შემდეგ დარიკო. გაიმართა საერთო საუბარი, რომლის შედეგად შემდეგი გაირკვა. დარიკო ამჟამად 5 თვის პატარძალია. რამდენიმე წლის წინათ მას სხვა ახალგაზრდებთან ერთად დავალება მიუღია სოფელში უტილ-ნედლეული შეეგროვებინა. გადაუწყვეტიათ უტილ-ნედლეულისათვის თავი მოეყარათ „ძელი ჭეშმარიტის“ სახელობის გაუქმებულ და ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში, რომელიც სოფელ შილდაში მდგარა. გალავანში კი შევიტანეთ ნაყარ-ნუყარი, მაგრამ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ბედავდა იგი ეკლესიაში პირველად თვითონ შეეგდო—გვიამბობს დარიკო. მაშინ გადავწყვიტე სხვებისათვის მაგალითი მეჩვენებინა, შევედი ეკლესიაში, დაუმიზნე ხატს ძვლები და ვესროლეო. ერთი კვირის შემდეგ დარიკოს ცუდი სიზმარი უნახავს, მალე მადაც დაჰკარგვია, გამხდარა, ბოლოს მოსვლია ის, რაც შემდეგში ხშირად ემართებოდა და დღეს ჩვენ თვალწინ დაემართა. ხატისა არაფერი მწამდა—განაგრძობს დარიკო, ვიდრე „ძელ ჭეშმარიტში“ ძვლებს შევყრიდი, ამ შენობის მინგრევ-მონგრევაში და ნეკრესის ეკლესიის დაკეტვაში მხურვალე მონაწილეობას ვიღებდიო. შემდეგ გაუბედავად დასძინა: ხატისა არც ეხლა მწამს რამე, ჩემი ბრალი არ არის, რომ ასე მემართებაო. აქ მდგომმა მარგომ მას სიტყვა გააწყვეტინა და ჟინიანად წამოიძახა: ხატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიცა მწამს, ღმერთიც მწამს, ვინც რა უნდა თქვას, მე მაინც მწამდა, მწამს და ვიწამებო. ამაზე მესამე ამხანაგმა, ელიკომ, ნერვიულად გაიცინა და უპასუხა—ძალიანაც რომ გწამს, აკი იმისათვის არ დაეცემი და ყვირილს არ გააბამ ხოლმეო?! ამხანაგებს გაეცინათ. მე და გარდაფხაძემ კი გაკვირვებით შევხედეთ მარგოს. ბაასის შედეგად გაირკვა, რომ მარგოც „დაჭერილი“ ყოფილა! შენ რაღად „დაგამიზეზეს“ მეთქი, შევეკითხე.—ჩემი მშობლების ცოდო ჩემზე გადმოვიდა. ჩვენი სახლი რომ დგას იქ ხატის მარნები ყოფილა ძველად დაფლული და ჩემ დედ-მამას ზედ უვლიათ და „დაულახავთ“. ამაზე ხატი გამწყრალა და მე დამამიზეზაო, მიპასუხა მან. ელიკოს კი ხატები იმიტომ სჯიან, რომ ის ურწმუნო იყოო.

ჩვენმა საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ელიკო იპყრობდა. ის წარა-მარა და უმიზეზოდ იცინოდა ან დარცხვენილად იღიმებოდა, ცქმუტავდა, ხშირ-ხშირად ადგილს იცვლიდა, ხან მარგოს ზურგს ეყრდნობოდა, ხან დარიკოს ეხვევოდა. ამავე დროს ის გულმოდგინედ უსმენდა საუბარს და თვითონაც ლაპარაკში ებმებოდა ისევ სიცილით, ან მორცხვად მოღიმარე. ბოლოს, ელიკო მოულოდნელად პირალმა დაეცა და აქადაგდა. ყველანი წამოვცვივდით. ელიკო რიყის ქვებზე გაიჭიმა და ღელესაკენ ხოხვა დაიწყო, თან ოხრავდა, კვნესოდა და გაიძახოდა—ეეი, ეეი, ლაშაროო, ხევსურთ ბიჭოო, ეეი, ეეი, ტანჯულო შვილო, ტანჯულო შვილო, შენი ბიძა დილიდან გაუნძრევლად დევს, აბა რა ეგონა, დაუსჯელად იქნებოდა?! და ისევ ოხვრა, ისევ კვნესა. „შენ მალე გაგანთავისუფლებ... დარიკოს არ ვანთავისუფლებ, დიდი ცოდო მიუძღვის...“ მოცვივდნენ მლოცველები, მოიტანეს ფანდური. ყველა ღელავდა, რადგან ელიკო არ წყნარდებოდა, ქვებზე თავს ახლიდა და წყლისაკენ მიხოხავდა. ერთ-ერთი დედაკაცი მის თავთან გაჩერდა, მაგრამ მახლობლად მდგომმა მანდილოსანმა მას ხელი წაავლო, გვერდზე მისწია და ჩუმად უთხრა—აქეთ დადექ, შვილო, თავთან ნუ გაუჩერდები, იქნება ავი ანგელოზები ჰყავდეს, შენთვის ცუდიაო. მლოცველები ელიკოს ეტანებოდნენ, ტანსა და ფეხებს უჩერებდნენ—ეშინოდათ წყალში არ ჩავარდესო. ბოლოს, ელიკო დაყუჩდა, დაწყნარდა. მლოცველები მას გარშემო რკალივით შემოერტყნენ. თეთრ შარვლიანმა დაავადებულმა ვაჟმა ფანდურზე დაუკრა. ყველა ელიკოს მისჩერებოდა. განსაკუთრებით აშტერდებოდა მას იქვე ქვაზე ჩამომჯდარი დარიკო, რომელსაც გვერდზე დედა მისი ედგა და დაჟინებით სთხოვდა—წავიდეთ, შვილო, აქედან, რიყეა, ქვებია, ვაი თუ დაეცე, ნუ გამამწარებო. დედას სხვებიც წაეხმარნენ, მოჰკიდეს ხელი დარიკოს და წაიყვანეს. ელიკო კიდევ რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ეგდო. შემდეგ თვალდახუჭულს გაეღიმა. ყველა გამხიარულდა, სიცილი დააყარეს. „ადე გოგო, ადე, რას დაგდებულხარო“, მიაძახეს და ზეზე წამოაყენეს. ელიკო იცინოდა. წყნარი ნაბიჯით დავტოვეთ სახიფათო ადგილი. ავიარეთ პატარა აღმართი და ახალი ამბავი შემოგვაგებეს: ხატის მახლობლად რუსის ქალი დაცემულიყო. ის ყვარლის მცხოვრები ყოფილა, ქართველზე გათხოვილი. მიწაზე ეგდო და უსიტყვოდ ღმუოდაო. ცოტა ხნის შემდეგ დაწყნარებულა, შემდეგ თვალები გაუხელია, მშვიდად წამომდგარა და ხალხში გარეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ამბავს რომ ვისმენდით, ურმების სადგომიდან ხმაური მოგვესმა. ხალხი იქით გაეშურა. ჩვენც გავყევით. შორიდანვე გავარჩიე მიწაზე გაჭიმული ჩვენი ნაცნობი მარგო. მისთვის თავქვეშ მუთაქა ამოედოთ და მუხლებზე შალი წაეფარებინათ. ახლო მივედით. მარგოს ღრმა და ჩქარი სუნთქვა ჰქონდა. როგორც სხვა „დაჭერილებს“, მასაც ქადაგად დაცემის დროს თვალები დახუჭული აქვს. მოშორებით კახელი მლოცველების ნაწილი შეკრებილა, გარმონზე უკრავენ და „ილხენენ“. მარგოს გულზე ფანდური დაადეს. მან ფანდურს ხელი მოჰკიდა და აწყობა დაუწყო. ფანდურის ხმა არ მოსწონს, სახე ეღრიჯება. ბოლოს, საკრავი შორს გადაისროლა და ხელები მიწაზე დაუშვა. „შეხედე ღელისაკენ რომ მამაკაცი მიდის, ის მარგოს ქმარია“, წამჩურჩულა ჩემს გვერდით მდგომმა შუახნის ქალმა და დასძინა: ის ვერ უყურებს ცოლის ასეთ დღეში ჩავარდნას და გაერიდება ხოლმეო. მალე მარგოს სუნთქვა დაუწყნარდა და სრულიად გაშეშდა. ხანი მიდის და მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ უბრუნდება, ფერმკრთალი და გაჭიმული გდია. დამსწრეთ აღელვება დაეტყო.—მომიტათ ფანდური, მაგას ხელათვე ავახტუნებო—წამოიძახა ღიმილით ერთმა მანდილოსანმა. ამ ქალს თეთრწინწკლებიანი შავი კაბა აცვია, გულზე მიტკლის თეთრი „ბადე-სამკაული“ აქვს ჩამოკიდებული და თავზე შავი მოსახვევი ხურავს; 65 წლისა იქნება, ჯმუხია, შავგრემანი და შუატანზე დაბალი. მოუტანეს ფანდური. მან წრეში საჯდომი ქვა გამონახა, ზედ მოთავსდა და ფანდურზე საცეკვაო დაუკრა. ჩემს გვერდით მდგომი კახელი ქალი მიჩურჩულებს—ამას კარგი ხელი აქვს, რაც უნდა ავი ანგელოზი ბრძანდებოდეს, მაინც გაამხიარულებს და დაცემულს წამოაყენებსო. ფანდურის დამკვრელთან ზის დაახლოებით მისივე ხნის მკითხავი სონია. სონიას თეთრი მიტკლის ჭუჭყიანი კაბა აცვია და ასეთივე თავსაფარი ხურავს. ის საზარელი შესახედავია—ცხვირჩავარდნილი, ამოწირპლული პატარა თვალებით, დაბალი და კოჭლი. სონია, როგორც მან შემდგომ მიამბო, სომეხია, იმპერიალისტური ომის დროს ალექსანდროპოლიდან გამოქცეული. 1918 წლიდან შილდაში ცხოვრობს. სრულიად უთვისტომოდ არის დარჩენილი, ოჯახი თავის სამშობლოში ამოსწყვეტია.

კარგა ხანია რაც ფანდური მოცეკვავეს იწვევს, მაგრამ მარგო არ ინძრევა. უეცრად ფანდურის კილო შეიცვალა, დამკვრელმა თავი მაღლა ასწია, თვალები ზეცას მიაპყრა და რიხიანი ხმით საშაიროს ყაიდაზე შემოსძახა. „ქადაგად დაეცა, აძრახდა“, მომესმა აქეთ-იქიდან ჩურჩული. მახლობლად მდგომმა ქალებმა ჩემსკენ წამოიწიეს და საიდუმლო ხმით განმარტებას მაძლევენ—ეს ქალი ხატის მონაა; ისეთ ანგელოზებს ჰყავთ დაჭერილი, რომ მუდამ ფანდურზე ალაპარაკებენო. ამ დროს მარგო შეინძრა, თვალები გაახილა, მიიხედ-მოიხედა. მას მახლობლები დასწვდნენ და წამოაყენეს.

ფანდურზე ქადაგობა დიდხანს გაგრძელდა. ქადაგობის ტექსტს, სამწუხაროდ, ვერ ვიწერ.

ქადაგობა ლექსად აგებული იმპროვიზაციაა. ადგილ-ადგილ ლექსი მოიკოჭლებს, ზოგჯერ ქადაგი რითმას ეძებს. ფანდურზე ლექსს აყოლებს მოლუშული, მრისხანე სახით. ჩვეულებისამებრ „ხატმა მასაც მისი ცოდვები აღიარებინა“. ქადაგობის ამ ადგილს დაერთო ჩემი მეზობლების ვრცელი განმარტება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგ ქალი ხატებს არაფრად მიიჩნევდა. მოუკვდა ქმარი, დაეხოცა ვაჟკაცი შვილები. არ გატყდა. ვენახში ხატის ნიში ედგა და ის დაანგრია, ნიშის ადგილზე ვაზი ჩაყარა. კაპუეტია, მაგრამ ხატმა მაინც დაამიზეზა, თავის მონად გაიხადაო.

რელიგიური ექსტაზით შეპყრობილ ქადაგს იმ მომენტში, როდესაც ის ერთ ადგილზე მჯდომარე მთელი ტანით ზემოთ იწევდა და მოელვარე თვალებით ცაში ერთ წერტილს აკვირდებოდა, ირაკლი ქავთარაძემ ფოტოაპარატი დაუმიზნა გადასაღებად. ქადაგმა აპარატს თვალი მოჰკრა, უცებ თავი გაიქნია, ელვისებრი სისწრაფით მიწაზე დაეცა, დახუჭა თვალები და გაიჭიმა. ამავე დროს ის განაგრძობდა ფანდურის დაკვრას და კიდევ უფრო რიხიანი ხმით ქადაგობის შაირს მოსთქვამდა. შემდეგ ფანდური შორს გადააგდო და დაიწყო საშინელი ბორგვა და ყვირილი. ხალხი შეინძრა, აქეთ-იქიდან დაიძახეს „შეჰკარით, შეჰკარითო“. მძლავრი ტანის მოქნევით და არაჩვეულებრივი სისწრაფით ხატის მონამ ხატის გალავნისაკენ გორვა დაიწყო. გალავნამდე მანძილი საკმაოდ დიდია. გზაში აქა-იქ ქვები ყრია. ქადაგი ეხლება ქვებს, ზედ გადადის, მას მისდევენ ქალები, ქალებს ბავშვები და კაცები. ქალები ცდილობენ ქადაგის მსვლელობა შეაფერხონ, გზიდან ქვებს აცლიან, აწეულ კაბას და ქვედა საცვალს უსწორებენ და თან კივიან—ჩვენ ვერას გავხდებით, კაცებო, მოგვეხმარეთო. მიეშველენ კაცებიც, მაგრამ მოკრძალებულობისა გამო ხატის მონის შეჩერება ვერ მოახერხეს. მონა, რომელსაც გორვის დროს კაბა შემოეხა, მხოლოდ ხატის გალავნის წინ შეჩერდა. აქ მან დაიწყო ერთ ადგილზე ფართხალი, მხრების ძლიერად რხევა, თავის ქნევა, თვალების ტრიალი და საზარელი ღმუილი.

მლოცველები კვლავ ქადაგის გარშემო შეჯგუფდნენ და ნახევარწრედ შემოერტყნენ. ქადაგი განაგრძობს ფართხალს და ღმუილს. უეცრად მან ზედატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნით წამოიწია, ხელები ხატისაკენ მიაპყრა და მერე ისევ მიწაზე დაეცა. ამ დროს წრეში დარიკო შევარდა, წრის შუაგულ ადგილზე შებარბაცდა და დაეცა. დარიკო თავს მიწაზე ახეთქებს, მხრებს ჭიმავს და მთელი ტანით იკლაკნება. აუტყდა საშინელი სლოკინი, რომელსაც თან სდევს გულ-მკერდის ქვედა ნაწილიდან უცნაური ბაყი-ბუყი. სლოკინსა და თავისებურ ბოყინთან ერთად მას ამოხდება ხოლმე გაბმული ხმოვნები და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები: „ეე, ეე... ტანჯულო შვილო, ტანჯულო შვილო, ტანჯულო დედა... არ განთავისუფლებ... არ განთავისუფლებ... რა გეგონა ძელი ჭეშმარიტი რომ დაანგრიე... ძვლები რომ შეყარე... ნეკრესი ვარ... ეე, ეე... გაწვალებ... გტანჯავ... თეთრი გიორგი... ალავერდი... ეე, ეე, ტანჯულო შვილო... ეე, ტანჯულო, ტანჯულო... ტანჯულოო... ლაშაროო“... და სხვ. ბოლოს, დარიკო დაყუჩდა. ხატის მონაც წყნარად იწვა და თვალდახუჭული რაღაცას ბუტბუტებდა. დაუკრეს ფანდური. დარიკომ მიწის პირად მხრები აათამაშა თითქოს ცეკვავსო და ცოტა ხნის შემ-

დეგ კვლავ გაშეშდა. მისმა დედამ „ნანა და ნანას“ სადიდებელი წამოიწყო. მას აჰყვნენ სხვები და დასაწყისში წყნარი მოძახილი მძლავრ მრავალხმიან გალობად გადაიქცა. დარიკო არ ინძრეოდა. გალობა დასრულდა და გამეფებული სიჩუმე ისევ ხატის მონამ დაარღვია. ის წამოვარდა ფეხზე ისე სწრაფად, რომ თავიდან თავშალი წასძვრა და მიწაზე დაეცა. ქადაგს თმა გადაპარსული ჰქონდა. კვლავ მესმის მეზობლის განმარტება: ამას ისეთი ძრიელი ანგელოზები ჰყავს, რომ თმას არ უჩერებენ; რომ არ გადაიპარსოს ცეცხლის ალად მოედებიან და დასწვამენო.

ერთმა ქალმა ხელი წამოავლო მიწაზე დავარდნილ თავშალს და მონას მიაწოდა. უკანასკნელმა დახედა თავის შავ თავმოსახვევს, დასწვდა მას გაბრაზებით და შორს გადაისროლა. მაშინ მეორე ქალმა თეთრი თავშალი მიაწოდა, მაგრამ ქადაგმა ისიც გადააგდო. თავშიშველი, შემოძარცული სამოსით, ზეცაში ხელებ და თვალებ აპყრობილი ხატის მონა მთვარეულის მსგავსი სვლით ხატისაკენ გაემართა. მან გადააბიჯა გალავნის ზღუდეს, მივიდა სასანთლე-ნიშთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიღო თაროდან სანთელი, დაანთო, მიაკრა თაროზე, პირჯვარი გადაისახა და მოუბრუნებლივ უკან-უკან წამოვიდა, თან პირჯვრის წერას განაგრძობდა. ასე გადმოაბიჯა კვლავ გალავანს, ერთხელ კიდევ პირჯვარი გადაისახა და გალავნის მახლობლად გაჩერდა. ამ დროს მას კვლავ თეთრი თავშალი მიაწოდეს, რომელიც მონამ თავზე წაიკრა და ბუტბუტით მიიხედ-მოიხედა. მან თვალი მოჰკრა მიწაზე დაგდებულ დარიკოს, მოწყდა ადგილიდან, მივარდა ამ ქალს და ფეხზე წამოაყენა, შემდეგ გაშალა ხელები და ლეკური დაუარა. საჩქაროდ ფანდური ააჟღერეს. დარიკო მონას გაჰყვა. თვალდახუჭულმა გაშალა ხელები, წყნარად აათამაშა ფეხები და დაუარა. მონამ წრეს ერთხელ შემოუარა, შეჩერდა გალავანთან, ნიშის პირდაპირ ერთ ადგილზე ოდნავ ფეხები შეათამაშა, პირჯვარი გადაისახა, კვლავ გალავნის შიგნით შევიდა, სასანთლე-ნიშის წინ დაიჩოქა, წელი დახარა, თავი მიწაზე დაახეთქა, შემდეგ გასწორდა, კვლავ პირჯვარი გადაისახა, წამოდგა ფეხზე, ბარბაცით გარეთ გამოვიდა, ერთი წუთით კიდევ შეჩერდა გალავანთან, დაბნეულად მიმოიხედა და შემდეგ სირბილით დაეშვა თავქვე, ურმებისაკენ. სულ მალე ის უკან დაბრუნდა; მოდიოდა ისევ ბარბაცით და თან ხბო და ცხვარი მოჰყავდა. ერთ ხელში საბელით ხბო ეჭირა, მეორეში ცხვარი. უკან მამაკაცი მოსდევდა და ხბოსა და ცხვარს სახრით მოერეკებოდა. ამოვიდა მონა თავის საკლავებით ხატში, მიიყვანა ისინი სასანთლე-ნიშთან, მამაკაცის დახმარებით ცხვარს და ხბოს შუბლთან სანთლით ბალანი შეუტრუსა, რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა, პირჯვარი გადაისახა, შემდეგ იმავე მამაკაცის თანხლებითა და დახმარებით ხატის გალავანს სამჯერ გარს შემოუარა თავისი საქონლით, ბოლოს, საკლავები მამაკაცს გადასცა და თითით ანიშნა—ესენი გალავნის გარეთ, სამხრეთის მხარეს, მთის დავაკების კიდეზე დაჰკალიო და თვით კი იქაურობას განშორდა. ასე გახსნა ხატის მონამ საკლავების დაკვლა-შეწირვის პროცესი ლაშარში. მას შემდგომ რაც მისი საკლავები დაიკლა, კახელმა მლოცველებმა დაიწყეს მორეკვა თავისი ცხვრებისა და უკანასკნელებს აკვლევინებდნენ იმ ადგილას, რომელზეც მონამ მიუთითა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში დარიკო ცეკვავდა. პირველად რამდენიმე წრე მან თვალდახუჭულმა შემოუარა. შემდეგ ცეკვას თვალახილული განაგრძობდა. როგორც პირველი დაცემის დროს, ისე ეხლაც ის დიდხანს ცეკვავდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით დიდხანს თეთრ-შარვლიან ვაჟთან. „საწყალ დარიკოს ბევრი ცოდვები მიუძღვის ხატების წინაშეო“, ლაპარაკობენ წრეში. „ყველა ხატები პირდება გაგანთავისუფლებთო, მაგრამ თეთრი გიორგი არ ეშვება, ჩემი ქადაგი უნდა იყოო“, მეუბნებიან დარიკოს სოფლელები.—კაცო, რა მოხდა! კაცო, რა ამბავია! ასეთი არაფერი მინახავს,—ცბიერი პათოსით გაიძახის შეზარხოშებული ფშაველი „მებუზიკე“, რომელიც, თუ არ ვცდები, ერთადერთი ფშაველია ამ დღეს ლაშარში.

თეთრ შარვალ-ხალათა და თეთრ-ქუდა 17-18 წლის ვაჟი, როგორც გადმომცეს, სოფლის სკოლის მე-6 კლასის მოწაფეა. ისიც ხატის მიერ „დაჭერილი“ ყოფილა. ხშირად სკოლაში გაკვეთილების დროს ეცემა ხოლმეო. ავზნიანი ავადმყოფი უნდა იყოს, რადგან, მთხრობლების თქმით, მას ისეთი ანგელოზები ჰყავს, რომ არ ალაპარაკებენ, მარტო **დოუს ადენენ პირიდან.** მასწავლებლებმაც იციან, ყველამ იცის მისი მდგომარეობა, ექიმებთანაც დაჰყავთ, მაგრამ აქამდე ვერაფერმა უშველაო.

განცალკევებით დგას „დაავადებულთა“ მცირერიცხოვანი ჯგუფი.—ეს თავწაკრული ქალი, კაცი და ლენტებიანი გოგონაც,—გვეუბნება ერთ-ერთი ხნიერი მანდილოსანი—ხატის დამიზეზებულნი არიან. კარგი, მაგრამ რატომ არის, რომ თქვენ, ხანში შესული მანდილოსნები, ჩვენ თვალწინ თავისუფლად დაბრძანდებით და თქვენი შვილები კი „დაავადებულები“ არიან?—შევეკითხეთ იქ მყოფ ქალებს ხუმრობით. ამაზე მათ სერიოზული ტონით გვიპასუხეს: დაილოცოს იმათი სამართალი, ხატებს ჩვენ აღარ უნდივართ; გამოგვიცხადეს—ახალგაზრდები გვინდაო, ახალგაზრდებს უნდა ვაწამოთ ჩვენი ძალაო. სამი კვირა არ იქნება რაც ერთი კაცი მოჰკლეს. ღმერთისა და ხატის იმას არაფერი სწამდა, ნეკრესი მიგვიკეტა, ძელი ჭეშმარიტი მიგვინგრ-მოგვინგრია. დაიჭირეს ხატებმა, მიიყვანეს ეკლესიის კარზე და თავისი პირით ათქმევინეს—ეკლესია შენი ხელით ააგეო, თორემ არ გაგახარებთო. ბევრი იწვალა საწყალმა, ბევრჯერ ააძრახეს ხატებმა, მაგრამ არა და არ გატყდა. გონზე რომ მოვიდოდა, ისევ ხატებს დასცინოდა. იმისი ცოლი ხომ ქმრის აძრახების დროსაც კი გაიძახოდა—მირჩევნია ჩემი ქმარი პატიოსნად მოკვდეს, ვიდრე ამ უბედურ ყოფაში იყოს და სამარცხვინოდ იცოცხლოსო. აუსრულდა კიდეც თავისი ნატვრა. უკანასკნელად რომ დაიჭირეს, საწყალი კაცი ძელ ჭეშმარიტში გაიქცა და იქ დაეცა. იყვირა, ილაპარაკა—შენი ხელით მოიტანე ქვა და საძირკველი დამიდგიო,—მერე ჩაჩუმდა და, ჯვარი აქაურობასა, გათავდა.

ცეკვა დასრულდა. მოქანცული დარიკო წარბებშეკრული დგას. მის გვერდით ელიკო ღიმება. ვეკითხები დარიკოს—შენს გვარში, დედის ან მამის მხრივ, ყოფილა ვინმე შენსავით ავადმყოფი, თუ არა? თავი გააქნია, არაო. მაგრამ ცოტა ხნის საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ მისი ბიძაშვილი ერთხანს „ეცემოდა“, ეხლა კი მორჩენილიაო.

გაირკვა აგრეთვე ისიც, რომ „დაჭერილები“ თურმე საჭმელ-სასმელს ერიდებიან. დარიკო და ელიკო კი თითქმის სრულიად შიმშილობენ—არ გვინდა საჭმელი, ვერა ვჭამთო, გაიძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც დავიქანცეთ. მძიმე და აღმაშფოთებელმა სურათებმა განვლო ჩვენ თვალწინ. სულ ხუთიოდე საათია რაც აქ ვართ და ამ მოკლე ხნის განმავლობაში რამდენი ამბის მოწამენი ვიყავით! ხალხის მონათხრობს რომ თავი დავანებოთ, დღეს ნახულიც საკმაოდ თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმის, რომ კახელ მორწმუნეთა ნაწილი უძველესი რელიგიური იდეების გადმონაშთებითაა შეპყრობილი და ამავე დროს, როგორც ჩანს, ფსიქო-ნერვული სნეულებითაც უნდა იყოს დაავადებული.

ჩვენს მიერ დამოწმებული მოვლენები ადამიანში სულების შესახლებისა და რელიგიური რჩეულობის უძველესი იდეების გადმონაშთებს უნდა წარმოადგენდეს. ეს გადმონაშთები დღეს ლაშარობაზე მეტად თვალნათლივ გამომჟღავნდა ე. წ. თეოფანიის მომენტებში, როდესაც ხატის მონას და „დაჭერილებს“ ანუ „დამიზეზებულებს“ ცხოველი სახით, ასე ვთქვათ, ხორცშესხმულად ხატი გამოეცხადა და მათი პირით ამეტყველდა. სულების თუ ღვთაებების ხილვისა და მათთან ურთიერთკავშირის არსებობის განცდები, როგორც ცნობილია, მორწმუნეთა შორის შესაფერისი ფსიქიკის მქონე პირებს ახასიათებთ, ისეთ სუბიექტებს, რომელნიც განსაკუთრებული ნერვულობით, ისტერიულობით, ჰალუცინაციებისადმი მიდრეკილებით გამოირჩევიან. სწორედ ასეთი ფსიქო-ნერვული ტიპები უნდა იყვნენ ჯატჯევის ლაშარობაზე მოსული ხატის მონა და ხატის მიერ „დამიზეზებული“ კახელები.

რელიგიის დარგში ამ მეტად საყურადღებო, თითქმის უნივერსალური კონცეფციის—სულების შესახლებისა და რელიგიური რჩეულობის—გადმონაშთები ლაშარობაზე მოცემული ფაქტებით არ ამოიწურება. მათი ფიქსაცია ჯერ კიდევ არის შესაძლებელი კახელებისა და ქართლელების ძველ ყოფაში და აქა-იქ შემორჩენილ სახატო დღეობებზე, მათგან ყველაზე უკეთ დღეობა თეთრ-გიორგობაზე.

მზე დასავლეთის ჰორიზონტს მიადგა. მახლობელი არე-მარე მოიღუშა და წვიმის რამდენიმე წვეთიც დაგვეცა. ექსპედიციის ხელმძღვანელი მოგვიწოდებს წასვლას. გამოვეთხოვეთ კახელებს, შევსხედით ცხენებზე და თამარის ხატისაკენ გავეშურეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოა. კვლავ „თამარ დედოფლის“ ხეივანში ვართ. ჩვენს აქ პირველად ყოფნის შემდგომ მლოცველთა რიცხვი გაზრდილა. ხეივნის გასწვრივ ფშაველი ღამისმთევლები განლაგებულან. ხეების ქვეშ გაშლილია სუფრები. აქეთ-იქიდან მოისმის მუსიკის ხმა და სიმღერები. შევაჩერეთ ცხენები და იქვე მდგომ რამდენიმე შეზარხოშებულ ფშაველს ვთხოვეთ ხატში ასავალი გზა ესწავლებინა. არ ვიცითო, გვიპასუხებენ სიცილით. ცხენები მთის აღმართისაკენ წავრეკეთ, გადავწყვიტეთ გზა დაუხმარებლად გაგვეკვლია. ჩემ ცხენს წინ მთვრალი ფშაველი გადაეღობა. ცხენს მოეცალე და ხატი საით არის მიჩვენე მეთქი, ვუთხარი. გვერდზე წაბარბაცდა და თავი გაიქნია—ხატისა არა ვიცი რაო. მთიელ კაცს ტყუილის თქმა ეკადრება, ფშაველო?—შევეკითხე ხუმრობით. ამის გაგონებაზე წელში გასწორდა და მტკიცე ნაბიჯით ბინდში ოდნავ შესამჩნევ ბილიკზე გადავიდა—გამომყევ გზას გიჩვენებო, და რატომღაც დაო მარო მიწოდა. ავყევით ამ წვრილ, საცალფეხო ბილიკს და ავედით ჯატჯეურჯის გორაკის დავაკებაზე.



ჯატჯეურჯის გორაკის ფერდობები და დავაკების კიდურები დაფენილია ხშირი ტყით, რომელიც შესდგება (ფშაური ტერმინოლოგიით) კირცხილას, დგნალის, თელას, იფნის, კემერჩხალის, მსხლისა და მაჟალო ვაშლის ხეებისაგან. ამ გორაკს სამხრეთით და აღმოსავლეთით მდინარე სოფლოვნისჯვეი ჩაუდის, დასავლეთით იორი და მის გადაღმა ამართული მაღალი მთა კორსავი საზღვრავს, ჩრდილოეთით შედარებით დაბალი, ტყით შემოსილი მთებია, რომელთა ერთ-ერთ მახლობელ დავაკებაზე ჯატჯევის ლაშარის ჯვარი მდებარეობს.

ლაშარის ჯვარის ანუ ხატის მსგავსად, „თამარ დედოფლის“ სალოცავი საზარის, სასანთლისა და მათ ირგვლივ წრედ შემოვლებული ყორის გალავნისაგან შესდგება. ხატის კომპლექსს ეკუთვნის აგრეთვე ჯატჯევის „წმინდა“ ტყე და გალავანში მოთავსებული ხეები, რომელთა ტოტებზე ჩამოკიდებულია ფშავლების მიერ შეწირული აბრეშუმის ფერადი—თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი ფერის—„საკადრისები“, კახელ მლოცველთაგან დატოვებული მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები, თავსაფრები და ვარდისფერი და წითელი ლენტები.

თამარის საზარე-ნიში სავსებით ისეთივეა როგორიც ლაშარისა, ოღონდაც აქ ნაგებობათა კომპლექსი (საზარე, გალავანი) უკეთ არის დაცული, ვიდრე ლაშარში. როგორც ჯევისბერები გადმოგვცემენ, ჯატჯევის თამარისა და ლაშარის სალოცავი ძეგლები ერთდროულად ყოფილა აგებული ამ 30 წლის წინათ [1].

[1] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს აღწერილობის მიხედვით, მის დროს ჯატჯევში მდგარა „სამონასტრო შენობა“, რომელიც „ფშავლის ჩვეულებრივს სახლ-კარს მოგაგონებთ; კალო-საბძელი, ფიცრული სადგური, ერთი პაწია ქვიტკირის მოაჯირიანი ოთახი და ქვემოთ შარა-გზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარის ხატს უწინ თავისი ადგილ-მამული ჰქონია—თვით ჭატკევში სახნავ-საძოვრები, სათიბები და სოფელ ახმეტაში ზვარი და მარანი. ამას გარდა მას თურმე მრავალი მსხვილფეხა, განსაკუთრებით მეწველი, საქონელი და ცხვრის ფარა გააჩნდა. ეს ქონება მლოცველების მიერ ყოფილა შეწირული. ხატის უძრავ და მოძრავ ქონებას პატრონობდნენ ხატის მსახურნი, კაცები და ქალები, რომლებიც მუდმივად ჭატკევშივე ცხოვრობდნენ. ქალები ხატის მსხვილფეხა საქონელს უვლიდნენ და უმთავრესად ქალურ ხელსაქმეს მისდევდნენ. კაცები კი ადგილ-მამულს ამუშავებდნენ და მეცხვარეობდნენ, ხატის ცხვრის ფარას უდგნენ. რაც შეეხება ზვრებს ახმეტაში, მათ დამუშავებაში ხატის მსახურებს ივრისა და არაგვის ფშავლები ეხმარებოდნენ მორიგეობით, ყოველწლიურად თითოეული თემიდან გარკვეული რაოდენობის მუშა-ხელის გამოყოფის საშუალებით. ღვინოს იქვე ხატის მარანში აყენებდნენ. დღეობის დროს ხატის მსახურნი გაემგზავრებოდნენ ახმეტაში და იქიდან ღვინო მოჰქონდათ. ეს ღვინო ხმარდებოდა დღეობაზე მისულ მლოცველებს ღელეში, არაგვის ფშავში, სადაც „თამარ დედუფლის“ მთავარი ხატია, და ჭატკევში (ივრის ფშავში) [1].

ამ ათიოდე წლის წინათ ჭატკევის ხატს კიდევ გააჩნდა თურმე პატარა ადგილ-მამული, 10—15 ძროხა და 40-მდე წვრილფეხა საქონელი. იმ ხანად იქ მკვლელობა მომხდარა—ერთ ჭევისბერს მეორე ჭევისბერი მოუკლავს. მას შემდგომ ხატის აღარც ერთი მსახური ჭატკევში აღარ სახლობს და ხატს აღარც საქონელი და მამული მოეპოვებაო, მოგვითხრობენ ფშავლები.

მორწმუნე ივრის ფშავლები და ერწოელები ლაშარობას პეტრე-პავლობის მომდევნო შაბათსა და კვირას იხდიან, თუმცა თითო-ოროლა ოჯახი ჭატკევში მოსალოცავად სიარულს პეტრე-პავლობის მეორე დღიდანვე იწყებს. არაგვის ფშავში-კი ეს დღეობა უფრო გვიან მოდის [2], ყოველ შემთხვევაში მას შემდგომ, რაც თიანეთის რაიონში „იხინჭობას“ გადაიხდიან ხოლმე.

ჩვენ არაფერი გვსმენია ჭატკევის თამარის ხატის სპეციალური დღეობის შესახებ, რომელიც ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით თითქოს აღდგომის მესამე დღეს იციან[3]. დღეს, დღეობა ლაშარობის შაბათ საღამოს, მორწმუნე ფშავლები და ერწოელები თამარის ხატში არიან ამოსული. პირველად აქ მოსულან, აქ ათევენ ღამეს, სწირავენ ცხვრებს და ქადებს, სვამენ არაყს და ქეიფობენ. ხვალ კი,

---

პირად სიპი-ქვის ნიში“. როგორც ვხედავთ, ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს დროს თამარის სალოცავის შენობათა კომპლექსი სხვაგვარი ყოფილა, ვიდრე ამჟამადაა. ე. წ. სამონასტრო შენობა დღეს აღარ არსებობს; სალოცავი ნიში-კი (უკეთ, ნიშები—საზარე და სასანთლე გალავნითურთ), როგორც აღვნიშნე, კატკეურკის გორაკზეა გაშენებული და არა ქვევით, შარაგზის პირად.

გარდა ამისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ავტორი არას ამბობს კატკევში ლაშარის ნიშების არსებობაზე. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს მის დროს (წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში) ლაშარის ხატი კატკევში არ არსებობდა. იხ. ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (ურბნელი), ჩემის რვეულიდგან, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, 1940 წ., გვ. 96, 97 და შემდ.

[1] შდრ. ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 95—101.

[2] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ლაშარობა, ეთნოგრაფიული წერილები გ. ქიქოძის წინასიტყვაობით და რედაქციით, ტფ. 1937 წ., გვ. 142.

[3] ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახელ. ნაშრომი, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, ნაშუადღევს გადავლენ ლაშარში, სადაც მლოცველთა უმრავლესობა საღამომდე დარჩება და შემდგომ დაიშლებიან.

საყურადღებოა, რომ დღეობაზე არც ერთი ხევსური არ მოსულა მიუხედავად იმისა, რომ ისინი სულ მახლობლად, არტნის ხეობის სოფლებში: ბაჩალსა, ბაბხისკევსა, ხილიანასა და საშუბში, მოსახლეობენ. ფშავლები გვიხსნიან—თამარისა და ლაშარის ხატი ხევსურებს არა სწამთ და ამიტომ ლაშარობაზე არასოდეს არ მოდიანო. მაგრამ ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა საწინააღმდეგო ცნობას გვაწვდის: ხევსურები საგანგებოდ გადადიოდნენ ლაშარობაზე დასასწრებად არაგვის ფშავში, სადაც ლაშარის მთავარი ხატია მოთავსებულიო[1]. ამასთანავე მოვიგონოთ დღევანდელი ქადაგობა ლაშარის ჯვარში: კახელები ხომ ქადაგად დაცემის დროს ლაშარს „ხევსურთ ბიჭოს“ ეძახიან. ხევსურების ლაშარობაზე არდასწრება ყოველ შემთხვევაში ბოლო ხნის ამბავი უნდა იყოს.

მლოცველი ფშავლების სარწმუნოებრივი წარმოდგენები და მათი ხატობა თვალსაჩინოდ განსხვავდება კახელ მლოცველთა სარწმუნოებრივი წარმოდგენებისა და ხატობისაგან ჭატკევში. ერთი მხრივ, ჩვენ თვალწინ ისახება მიტკლის თეთრ სამოსში გახვეული, თავზე თეთრი ან წითელი თავშლებითა და წელზე, მხრებზე და ყელზე თეთრივე ნაჭრებით ან ფერადი ლენტებით „შემკული“ კახელები, რომლებიც საკუთარ ჩარდახიან ურმებს ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მეტწილად ფეხდაფეხ ფეხშიშველნი მისდევენ. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ თავით ფეხამდე საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილ ფშავლებს, რომლებიც ჭრელი ხალიჩის ასალითა და ხურჯინით დამშვენებულ ცხენებზე შემსხდარან, წინ შესაწირავი ჭედილა წაუგდიათ და თავმომწონედ ჭატკევისაკენ მიეშურებიან.

ცრუმორწმუნე კახელი თავს იმართლებს—ჩემი მამა-პაპა არტნის ხეობიდან კახეთში გადასახლებულა, აქაური ხატი ამიტომ მამიზეზებს და ჩემგან სამსახურს მოითხოვს, თორემ ასე რომ არ იყოს აქ რა წამომიყვანდაო. ფშაველი კი ეშმაკური ღიმილით და უდარდელად გვეუბნება—თქვენ თვეობით „დაჩაზე“ მიდიხართ ხოლმე, მე კი ჩემ თავს ორი დღით „ოტპუსკი“ მივეცი და ჭატკევში საქეიფოდ წამოვედიო.

რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი კახელი მლოცველები მოკლე ხნით გაშლილ სუფრებს უსიცოცხლოდ უსხედან, საჭმელ-სასმელს უხალისოდ შეექცევიან,ხატის სახელით ფანდურზე უკრავენ, ლეკურს უვლიან, მხოლოდდამხოლოდ ხატის საგალობელს მღერიან და ისიც სასოწარკვეთილების მომენტში, როდესაც ქადაგად დაცემულს, მათი რწმენით, ანგელოზებისაგან საფრთხე მოელის. ფშავლებს კი სუფრები აუღებლად წინ უფენიათ, ერთი მეორეს პატიჟობენ და უმასპინძლდებიან, თავშეუკავებლად სვამენ, ჭამენ, თვრებიან, უკრავენ გარმონზე და მხიარულობენ.

ამავე დროს მორწმუნე ფშავლები რელიგიურ წესებსაც ასრულებენ. ჭატკეურკის გორაკზე, „თამარის საბრძანებლის“ მახლობლად, მხოლოდ ჭევისბერები, დასტურები და მათი ჯალაბობაა დაბანაკებული. მლოცველები კი ქვევით, ჭატკევის ხეივანში დაბინავებულან. მლოცველი ოჯახის წარმომადგენელი ერეკება გორაკზე თავის შესაწირავ ცხვარს, ამოაქვს საზედაშე არაყი და ქადები,

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველივე ამას დასტურებს გადასცემს და თვითონ გალავნის წინ ქუდმოხდილი გაჩერდება. დასტურები ჭედილას ჭევისბერს წაუგდებენ და ისიც სხაპასხუპით ამბობს „სადიდებელსა“ და „ხუცობას“ და მსხვერპლს შუბლზე ანთებული სანთლით ბალანს შეუტრუსავს. ამის შემდგომ იგივე დასტურები (ორი კაცი) ჭედილას ფეხებს გაუკრავენ და მიწაზე წააქცევენ. ჭევისბერი მარცხენა ხელით კისერს გადაუწევს, მარჯვენაში დანას მოიმარჯვებს, მსხვერპლს ყელში გამოუსვამს და თავს წააგდებინებს. „გწყალობდეს, გწყალობდეს“, დაიძახებენ ამ დროს დასტურები, დაკლულ ცხვარს განზე წაათრევენ და გაატყავებენ. უკანასკნელის თავი და შიგნეული გალავნის წინ რჩება და უამრავი ცხვრის თავებისა და შიგნეულის სუნი საკმაოდ დიდ მანძილზე არემარეს ეფინება. ჭევისბერების ნაცვლად ქადების „დაკვლას“ აწარმოებენ დასტურები, რომელთა რიცხვი ჭატჭევში რამდენიმეა. ქადებს სასანთლე-ნიშის თაროზე ან მის მახლობლად „ჰკლავენ“. დასტური წაიბუტბუტებს „მოსაჭსენებელს“, ქადას ჯვარედინად დანას დაუსვამს და ოთხ ნაწილად გასჭრის. მამაპაპური წესის თანახმად, ცხვრის ბეჭი ან კანჭი და ქადის მეოთხედი ხატიონსა რჩება. უხვი შემწირველი ქადის დანარჩენ ნაწილსაც იქვე ხელზე ჩამოარიგებს, საზედაშე არაყით სავსე ბოთლს თავს წაუქცევს, ისედაც შეზარხოშებულ ჭევისბერებსა და დასტურებს ჭიქით არაყს მიართმევს და, როდესაც ბოთლი გამოიცლება, გატყავებული საკლავითურთ ისევ ხეივანს უბრუნდება. ხატის გალავანთან მისვლა მხოლოდ იმ მანდილოსნებს შეუძლიათ, რომელთაც თვიური აღარ გააჩნიათ. დანარჩენი ქალები, რომლებსაც ხატში შესაწირავი მიაქვთ, გალავნის მოშორებით გაჩერდებიან ხოლმე.

ხატის მსახურთა შორის გამოირჩევა ზემოარტნელი ჭევისბერი გაბრიელა. მას ყასაბივით წელზე თეთრი წინსაფარი გაუკრავს, ხელში ბასრი დანა მოუმარჯვებია და თავის ფუნქციებს გასაოცარი ოსტატობითა და სისწრაფით ასრულებს. გაბრიელა ყველაზე ვრცელ „სადიდებელსა“ და „ხუცობას“ ამბობს და ცხვარს ერთი მარჯვე დაკვრით თავს აგდებინებს. სიტყვის თავისებური ოსტატი და ნამდვილი ორატორია ღრმად მოხუცებული ჭევისბერი სოფლიონიდან, მაგრამ მას ხატის მსახურთა შორის რატომღაც ავტორიტეტი არა აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე ქუშხეველი დიმიტრი კ—შვილი, მეტად უმწეო ჭევისბერი. დანარჩენ ხატიონთაგან ჩვენი ყურადღება მიიპყრეს მორცხვმა, სიტყვაძვირმა და მეტად მორწმუნე მედროშემ და დასტურმა პავლემ. უკანასკნელის ცნობით, მას სამი კლასის ცოდნა აქვს, პირველი იმპერიალისტური ომის დროს ტყვედ იყო გერმანიაში და ნავალია რუსეთის მრავალ ქალაქში. სამი წლის განმავლობაში პავლე გიჟად ყოფილა—თამარ დედუფალმა დამამიზეზა, მაგრამ მას შემდეგ რაც მისი დასტური გავხდი გონზე მოვედიო.

შეზარხოშებული ხატიონნი თავისუფალ დროს ჩვენთან საუბარში ატარებენ. საუბრის საგანი ხატების ძლიერება და მათი ბრძოლის ამბებია. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბების შევსება და მათი საბოლოოდ ფიქსაცია ხვალისათვის გადავდევი, რადგან წვიმამ უხშირა, თავშესაფარი კი არსად ჩანს და ასეთ პირობებში წერა შეუძლებელია. დაღამდა კიდეც. გადავწყვიტეთ ექსპედიციის ბაზაში დაბრუნება და ხვალ დილით კვლავ ჭატჭევში მოსვლა. გამოვეთხოვეთ თამარის ხატიონთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევსხედით ცხენებზე და ზემო-არტნისაკენ მიმავალ გზას დავადექით. ... ხანს თან გვდევდა ჯატკევის ღამისმთეველთა მხიარული ჟრიამული, მუსიკის ხმა, ცხვრების ბღავილი, ცხენების ჭიხვინი და... ნახულითა და განცდილით გამოწვეული ფიქრები.

ხატობისა და საზოგადოდ რელიგიის უარყოფითი ზეგავლენა ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე თავისთავად ცხადია. მაგრამ ეს ზეგავლენა ბარელებსა და მთიელებში (კახელებსა და ფშავლებში) აქ, ჯატკევის ლაშარობაზე, სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი.

დღეობაზე მოსულ კახელებს თეთრი გიორგი, ალავერდი, ნეკრესი, ძელი ჭეშმარიტი და სხვა სალოცავები, მათ შორის „ხევსურთ ბიჭი ლაშარიც"-კი წარმოდგენილი ჰყავთ ძლიერ და მრისხანე ხატებად, რომლებსაც ისინი „დაუჭერიათ" და თავის მონებად გაუხდიათ. ფშავლების მორწმუნე ნაწილიც ქედს იხ-



რის ხატების ძლიერების წინაშე, მაგრამ ისინი თავის თავს ხატების „ყმებად" სთვლიან და არა მონებად. მათი ხატები, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენი მთიელებისა, „გმირული" ბუნებით არიან დაჯილდოებული; ამ ხატების უმრავლესობა ავ სულებსა და ავ ძალებს ებრძვის.

„ეეი, ეეი, ტანჯულოო, ტანჯულოო" თითქმის განუწყვეტლივ ისმოდა ლაშარში კახელი ქადაგ-დაჭერილების გულშემზარავი ყვირილი. შეადარეთ ამას თამარის ხატში სოფლიონელი ჯევისბერის მიერ დარბაისლურად ნათქვამი სიტყვები: „პირქუში ოქრომჭედელია, კვირია კიდევ სხვა არის, სხვა ხატია. კოპალეზე თუ მკითხავთ, კოპალე გმირია, ის კერპებსა და დევებს ებრძოდა. კოპალე, ჩემო ბატონო, ისეთი გმირია, როგორებიც იყვნენ ყარამანი, ამირანი, უსუფი და ბადრი. საქართველოსი რა მოგახსენოთ და საფშავლოში კი—თიანეთთან, ვერჯველის უკან, ყვარას თავზე, ბაჩალის ფერდებში და სხვა ადგილებში—ყველგან დევთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასოფლარებია. ეს დევები სულ კოპალეს უხოცია. ემანდ ყვარას თავზე ერთ-ერთ დიდი მთა მოჩანს, იმას ქუდიელს ეძახიან. იმ მთის წვერზე კოპალე ასულა, იქიდან დაუნახავს ქუდიელის ფერდებიდან ჯევში მიმავალი ბეღელა მდევ-კერპი, ორკაპა ისარი უსვრია მისთვის და მოუკლავს. ამაზეა ნათქვამი:

„ქუდიელ ზევით ნასროლი,
სისხლის წყალ გამოდიოდაო“.

სად არ უვლია კოპალას, რა გმირობა არ ჩაუდენია! აბა, კაცო, ამას ვინ მოსთვლის“...



ეროვნული ბიბლიოთეკა

16 ივლისი. ლაშარობის კვირა დღეა. დილიდანვე თამარის ხატის კარზე მლოცველები ცხვრებს მიერეკებიან და ქადები, საზედაშე არაყი და სანთელი მიაქვთ. ჯატჯევის ხეივანში და ჯატჯეურჯის გორაკზე გუშინდელზე კიდევ უფრო მეტი სმა, ქეიფი, მხიარულება სუფევს და მეტი მთვრალი ხალხი ირევა. აქეთ-იქიდან ხშირად ისმის წამოძახილები: „გაუმარჯოს ღელეს აქიმ-დედუფალს“, „გაუმარჯოს დიდ ჯელმწიფე თამარს!“.

მორწმუნე ფშაველთა წარმოდგენით, „თამარ, ღელეს აქიმ-დედუფალი“ მკურნალია. როდესაც ფშაველი ავად გახდება მფარველობასა და შველას თამარისაგან მოელის, მას მიმართავს ლოცვა-ვედრებითა და შესაწირავებით. მაშინაც კი, როდესაც ის ქალაქის აქიმის მიერ გამოწერილ წამალსა სვამს, თამარის სახელს ახსენებს—წამალი შემარგეო, თან ვერცხლის აბაზიანს თავზე შემოივლებს და თამარის სახელზე შეინახავს. ამას „წამლის საჯსარი“ ეწოდება. წლის განმავლობაში დაგროვილ წამლის საჯსარს თამარის დღეობაზე ხატში წაიღებენ და იქ შესწირავენ. თამარს განსაკუთრებით ადამიანის გაგიჟებას და ჭკუაზე გადამცდარის მოჭკვიანებას მიაწერენ. მოხუცი ჯევისბერების თქმით, თამარ დედუფლის მთავარი შესაწირავი ძველად ძროხა იყოო.

ამავე დროს ხალხში გავრცელებულია თამარ მეფის შესახები ნახევრად ისტორიული და ნახევრად ლეგენდარული ცნობები.

„ბრძანებდაო თამარ ქალია,
მამის სანეფო დამზადებული“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსძახა ფანდურზე ფშაველმა და ამას შემდეგი ამბები მოაყოლა. თამარი მდიდარი ჯელმწიფე ყოფილა. იმ დროს საქართველოს ბევრი მტერი ჰყოლია, მურგვლივ ურჯულო ყოფილა შემოსეული.

თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა თურმე. ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანაფორა დაუგავ და ისე დავალა ზღვაზე და ჰაერში. მაშინ თამარს ზღვაში სამანად ისარ ჩაუგავ და ხმელეთი ჩვენკე დაუგდიაო.

თამარისა და ლაშარის ნათესაური დამოკიდებულების შესახებ ორი ვერსია არსებობს. ერთი ვერსიით, რომელიც ისტორიულ ცნობებს უნდა ემყარებოდეს და ნაწილობრივ ხევსურულ ვარიანტს უდგება, თამარი და ლაშარი ანუ ლაშა გიორგი დედა-შვილი იყო. მეორე ვერსიით კი ისინი და-ძმა თუ დაძმობილები ყოფილან.

ლაშარი წმინდა გიორგის მთავარი ხატის ადგილის სახელია არაგვის ფშავში. ამიტომ წმინდა გიორგი ლაშარობით მოიხსენიებაო. წმინდა გიორგი ლაშარისა თამარ ნეფის დროსა ცხოვრობდა და ის სულ ურჯულოებზე ლაშქრობდა, ქისტსა, ლეკსა და სხვა მტრებსა სტეხდაო. ამისათვის საფშავლო იმედოვანი იყოო საქართველოზე.

ლაშარის გიორგის ლურჯა ცხენი ჰყოლია. ამ ცხენს მხრებზე მტრედივით ფრთები სხმია და გიორგის თავისი ლურჯათი ხშირად ჰაერში უფრენია. ურჯულოებთან ლაშქრობის დროს კი ის ამ ცხენზე შეჯდებოდა ხოლმე და ლაშქარს წინ მიუძღოდა. ამეებს თურმე მარტო წმინდა კაცები ხედავდნენო.

საფშავლოსაც მაშინ თურმე ბევრი მტერი ჰყოლია. მათ შორის სახელგანთქმული ყოფილა ქისტების წინამძღოლი თილისძე[1]. ერთხელ თურმე ის ქურდულად მისულა ლაშარის ჯვარში სალოცავად. ამაზე ლექსად არის ნათქვამი:

ლაშარს მოიდა თილისძე,
გულდიდა დაჯდა ჯარია.
შამეეხვივნეს ფშავლები,
როგორც ბატონსა ყმანია.
—შენ აქ არ მოგეევალოდა,
დიდი ჰქენ ცოდვა-ბრალია,
დასწვი, დასდაგე ჯოშარა,
ცასა სწვდებოდა ალია,
გასწყვიტე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ გაჰლეწე მკვდარია.
—დადეგით ფშავლი შვილებო
თუ გწამს ლაშარის ჯვარია.
სახვეწრად მამიყვანია
თეთრი ქორაი ჯარია.

[1] გადმოცემის ეს ვარიანტი წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში ფიქსირებულთან შედარებით განსხვავებულია. უკანასკნელის მიხედვით თილისძე თუშების წინამძღოლი იყო და არა ქისტებისა. იმ ხანად თუშები ფშავლებს ებრძოდნენ და დაამარცხეს კიდეც. მოყვანილი ლექსიც ლიტერატურაში ცნობილი ლექსის ოდნავ შეცვლილსა და შევსებულ ვარიანტს წარმოადგენს. იხ. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, დასახ. ნაშრომი გვ. 144—147; ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, კიდევ ლაშარობაზედ, დასახელ. ნაშრომი, გვ. 105.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის უფრო ჭეხდეს თოფები,
ვის უფრო ჭრიდეს ჭმალია
ეგ მაშინ გავარიგოდეთ
როცა გამოვლენ მთანია...
უბისთავს დანათდებიან
თილისძის ცხენის ნალნია!

ნაშუადღევის 1 საათია. ხალხი სუფრების ალაგებას იწყებს და ლაშარში წასასვლელად ემზადება. თამარის ხატის კარის წინ ერთხელ კიდევ გვესმის ნაგვიანევად მოყვანილ შესაწირ ცხვარზე, სანთელზე და ქადებზე ჭევისბერის „ჭ ს ე ნ ე ბ ა“:

„დიდებითა და გამარჯვებითა ჭსენება თქვენ სახელსა! ჭმელზეით, ჭორციელთანა ნუმც ჩამოგვეყრებიან შენ[ი] დაარსებულნი. წმინდა ანგელოზები ეგ შენი მოწაფენია, სახელით გამარჯვებული თამარი დედუფალია. სახელით გამარჯვებული წმინდა გიორგი ლაშარის ჯვარია. რასაც მე თქვენ დიდებ-ჭსენებას გაკლებდეთ, თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ თქვენ ყმათა. თუ რამე ეხედვებოდეს ქუდოსან-მანდილოსნისთვინა, კაცისა და საქონისთვინა სასჯელი, საზიანო, საზარალო საქმე—თქვენავ გადაუფარეთ, წმინდაანებო ანგელოზებო; გადაუქარვეთ, გადააცილეთ, გადეეცით თქვენსა უწამებელსა, უყვარებელსა და გამგმობარესა.

რაც მე თქვენ, წმინდა ანგელოზებო, დიდებ-ჭსენებას გაკლებდეთ—თქვენ ერთგულთ ყმათ წყალობას ნუ დააკლებთ, წყალობა ღმერთსაც, კვირაესაც გამოუთხოვეთ, თავადაც თავის წყალობით დაეხმარენით, წმინდა ანგელოზებო.

კვირა ცხოველო, ღვთის კარზე მდგომელო, პასუხის შემტანელო, წყალობის გამამტანელო, გამაუწერე უფალთანითა საკეთილო, სამშვიდობო ფურცელი და წყალობა.

ღირსად მიიღე, ღირსეულადა მოჭსენებული სანთელ-კელაპტარი, შემოწირული მა ცხოვარი, ე დაჭვრეთილი სეფე, დადგმული ბარძიმი! ღირსად მიიღეთ, სამეშვლოდ, სამწყალობნოდა ამ შამამწირველთა პირთათვის“.

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს“, დაიძახეს დასტურებმა და ჭევისბერს წინ ცხვარი წაუქციეს დასაკლავად...

გავიდა ცოტა ხანი. დასტური პავლე საზარესაკენ გაეშურა და შვიდჯერ ზარს ჩამოჰკრა. ზარის ხმის გაგონებაზე ხატის კარის წინ შეჯგუფდნენ ხატის მსახურნი და „ფერჭისული“ დააბეს. მეორედ დაირეკა ზარი. ფერჭისულის საგალობელი შესწყვიტეს და საზარედან მედროშემ დროშა „გამოაბრძანა“. დროშას წინ ჭევისბერი დიმიტრი მოუძღვება. ხატის კართან დროშა შეაჩერეს და ჭევისბერმა მლოცველები დაამწყალობა. დამწყალობების ტექსტი მეტად მოკლე და ნაწილობრივ უჩვეულო შინაარსისა იყო. ჭევისბერი დიმიტრი მეტად ღელავდა, მას ხმა უკანკალებდა და წარა-მარა ერთსადაიმავე სიტყვებს იმეორებდა.

დამწყალობების შემდეგ ხატიონნი ლაშარისაკენ დაიძრნენ. წინ ჭევისბერი გაბრიელა მიუძღვით, რომელსაც შორი-ახლო მისი დასტური მისდევს საჭევისბრო შემოსავლით დატვირთული ცხენით. გაბრიელას უკან მედროშე დროშას

ეროვნული ბიბლიოთეკა



„მიაბრძანებს“, უკანასკნელს ხატის მსახურნი მისდევენ და, ბოლოს, მიჰყვებიან მლოცველები თავისი ჯალაბობით, ცხენებით და ბარგით. ზოგ მლოცველს თან შიჰყავს ცოცხალი ცხვარი ლაშარში დასაკლავად.

ხატის მსახურნი დროშას უკან მწკრივად გაწყობილნი მისდევენ და თან შემდეგი შინაარსის „ფერეისულს“ გალობენ:

„პირველად ღმერთი ვაჴსენოთ,
ეგ უფრო დიდებულია.
მემრ თამარ ნეფე ვაჴსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია.
ლაშარის ჯვარიც ვაჴსენოთ,
ეგ ყმაზე თავდებულია.

ბრძანებდა დამბადებელი:
—მე დავდგი მიწა მყარია,
ზედ გადავხურე ზეცადა
სინა, ჭიქა და რვალია;
შიგ გავაცინე მზე, მთვარე
მავალი დღე და ღამეა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურგვალთ მოვარტყი სამი ზღვა
თეთრი, წითელი. შავია;
შიგ გავაჩინე დუნია
რჯულად ათასი გვარია.

ბრძანებდა მამა უფალი:
—თამარ განეფდეს ქალია,
დაიგდოს მამის საკელო,
შაირტყას მამის ჯმალია.

სახელით გამარჯვებული
თამარი დედუფალია!
ზღვასა გადაჰკრა ჩიქილა,
გადააქანა ზღვანია;
შუა ზღვას ჩადგა სამანი,
სამანი, რკინის სარია,
ჯმელეთი ჩვენკე დაიგდო,
—ღმერთო, მიმრავლე ყმანია!
ქრისტიანთ სალოცავადა
თვითო[ნ] ჯმელგორზე ბრძანია.

პირდაპირ უდგა გორზედა
ლაღი ლაშარის ჯვარია.
მიეშველების საყმოთა,
არ იყოს მისთვის ხანია
ნახანის გაემართება,
კოტორ გაჰყვება ნისლისა.

გაიგო ლაშარის ჯვარმა
ქისტეთს გაბევრდა ცხვარია,
გადაიკიდა მათრახი,
წელზე შაირტყა ჯმალია,
შაჰკაზმა თავის ლურჯაი,
ზედ თითონ შაჯდა ჩქარია,
შამაუარა საყმოსა,
ცხენ მოდის როგორც ქარია.

დალაღდნენ ფშავლი შვილები,
იყრება მძიმე ჯარია,
შამოჯდენ ლაშრის გორზედა
ქვეითნი, ცხენოსანნია.
მრავალთ ეკიდნა მჯარზედა
სამკლავე, საფუჯარია;
ყველას თან ედგა საგზაო,
საჩქაროდ ნადულარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხუცობდა ბერი ლუკუმი,
ჭმატკბილად მაუბარია.
ჯერ თამარ ნეფე აკსენა,
მემრ ლაშარისა ჯვარია,
მემრე მკვდრებს უთხრა შანდობა,
ვინც ველზე დარჩა მკვდარია.
ჩამააყოლეს თასები,
თამარის ნაჩუქარია!
მიდიან დაჩქარებითა,
საქმეა საწუთარია,
წეერჩევიან თარეშნი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!
ცის ქუხილ გეგონებოდათ
ცხენების ფეკის ჩქამია,
გამაუძღვება დროშაი,
უკრიალებდა ზარია.
ჩაგროვდნენ მაჲსტის ჭალასა,
არ სწვდება წვიმის ცვარია.
თოფი ძიუნას დაგვიკრეს,
ოთხზე დაბრუნდა ჭარია!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭალაზე მიმავალი პროცესია, ლაშარის ღელეზე რომ გადავიდა, მარისაკენ მიიქცა და ფერდობს აჰყვა. ჭევისბერი გაბრიელა დაწინაურდა, შევიდა ლაშარის გალავანში, საზარეზე ახტა და ზარის რეკა დაიწყო. დროშის წინამძღოლობით და „ფერჭისულის“ გალობით პროცესიამ ლაშარის გალავანს სამჯერ წაღმა გარს შემოუარა და ხატის კარის წინ გაჩერდა. ამ მომენტამდე გაბრიელა განუწყვეტლივ ზარს რეკდა. ხატის კართან მომღერლები „ფერჭისულის“ გალობას განაგრძობდნენ. ისინი ნახევარწრედ იყვნენ გაჩერებული, პირით ხატისაკენ. მათ პირდაპირ, ხატის კარზე, მედროშე დროშით იდგა, ხოლო შუაში დასტური პავლე მოექცა არაყით სავსე ლიტრითა და ჭიქით ხელში. ის მღეროდა და თან მომღერლებს პირში არაყს ასხამდა. „ფერჭისულის“ დამთავრებისას ყველამ ერთხმად შესძახა „ვაშა, ვაშაო“, მედროშემ დროშა საზარეზე „ააბრძანა“ და შიგნიდან სვეტზე დააყუდა. მლოცველნი ხეების ჩრდილში დაბანაკდნენ, კვლავ სუფრები გაშალეს და სმასა და მხიარულებას მიეცნენ. არაყის შესმას წინ უძღვის სიტყვები: „გაგიმარჯოს ჩვენო ლაშარის ჯვარო, პირველი შენ იყო და მერე სხვებიო“.



დროგამოშვებით ჭევისბერები და დასტურები შეწირულ ცხვრებსა და ქადებს „კლავენ“. სოფლიონელი ჭევისბერი ლაშარში ყველაზე გვიან ამოვიდა. ის ხატის კართან გაჩერდა და ყვირილი დაიწყო: „ხალხნო, გამცარცვეს! მთელ წელიწადს მეყოფოდა იმდენი სარჩო დავაგროვე თამარის ხატში და ამ უსვინდისოებს სულ კი არ მოუპარავთო!“. ქურდებად დანარჩენ ჭევისბერებს გულისხმობდა. ხალხმა სიცილი დააყარა. დასტურმა პავლემ დაზარალებული ჭევისბერი განზე გაიყვანა, რაღაც წასჩურჩულა და დაამშვიდა.

დროშა, რომლითაც ხატიონნი პროცესიას წინ მოუძღოდნენ, სახელდახელოდ გააკეთეს თამარის ხატიდან ლაშარში წამოსვლის წინ. თამარისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწირული ფერადი (თეთრი, ყვითელი, წითელი და ერთი შავი) „საკადრისებიც“, რომლებიც თამარის ხატის გალავანში ხეების ტოტებზე ეკიდა, ჩამოხსნეს, დროშის ტარზე ააბეს, შემდეგ ტარს ზემოდან პატარა ზარი ჩამოჰკიდეს და თავზე ოქროსფრად მოელვარე ლითონის ჯვარი დაამაგრეს. ასე გაჩნდა ლაშარობაზე ხატის დროშა.

კახელებისაგან კი გუშინდლის შემდგომ ლაშარს სხვაგვარი შესაწირავი შემატებია. ლაშარის „წმინდა“ ხეზე, გალავნის შიგნით, დარიკოს თეთრი ზედატანი და ყვითლით დაფოთლილი წითელი კაბაა ჩამოკიდებული.

დღეს ჩვენ ექსპედიციას კახელები უკეთ შეხვდნენ, როგორც ძველ ნაცნობებს. ხატის საგალობლის „ნანა და ნანას“ შინაარსის თავისებურობის დადგენის მიზნით ჩავიწერე „ბატონების ნანას“ კახური ვარიანტი, რომელიც სოფელ შილდას მცხოვრებმა თაფლო ჭუნაშვილმა მოგვითხრო კახელი მანდილოსნების თანადასწრებით.

ბატონების ნანა

იავ ნანა, ვარდო ნანა,
ვარდო ნანინაო.
აქ ბატონები მობრძანდნენ,
იავ ნანინაო.
შვიდი ჯამი მარგალიტი,
ვარდო ნანინაო,
შვიდ სოფელს გადავაფინეთ,
იავ ნანინაო.
იგრე შაველით ეზოში,
ვარდო ნანინაო,
ძაღლი არ შევაყეფევით,
იავ ნანინაო.
იგრე გავაღეთ კარები,
ვარდო ნანინაო,
კარი არ დავაჭრიალეთ,
იავ ნანინაო.
იგრე ავხადეთ საბანი,
ვარდო ნანინაო,
ძილი არ შაურხიევით,
იავ ნანინაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო.
ეს აკვანი ანწლისაო,
იავ ნანინაო,
შიგ მწოლელი ცხრა წლისაო,
იავ ნანინაო.
იადონის მარანშია,
იავ ნანინაო,
ღვინო დგება ლალი ფრისა,
იავ ნანინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ ალვი ხე ამოსულა,
  იავ ნანინაო,
ნორჩია და ფრთებსა შლისა,
  იავ ნანინაო.
ზედ ბულბული შემომჯდარა,
  იავ ნანინაო,
უსტვენს თავისებურათა,
  იავ ნანინაო.
მოულხინეთ ჩვენს ავადმყოფს,
  იავ ნანინაო.
როგორც მშვიდობით მობრძანდით,
  იავ ნანინაო,
იგრე მშვიდობით წაბრძანდით,
  იავ ნანინაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
  იავ ნანინაო.

საღამო ხანმა მოატანა და ჩვენ სოფელ ბაჩალში წასასვლელად გავემზადენით.

ლაშარიდან ბაჩლისკენ მიმავლებმა შევნიშნეთ ყორით ნაგები პატარა ოთხკუთხი ფორმის ნიში, რომელიც, როგორც შემდეგში გაირკვა, აქაური ხევსურების სალოცავი „პირქუში“ ყოფილა. ეს ნიში მოთავსებულია მდინარე იორის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გორაკზე იმ ადგილას, სადაც იორს ბაჩლისკვევი ერთვის. აქედან აღმოსავლეთით, მდინარე იორის გასწვრივ, ფშავლების დიდი სოფელი ყვარა მდებარეობს, ხოლო ჩრდილოეთის მიმართულებით დაყვება ვიწრო საცალფეხო ბილიკი, რომელსაც ბაჩლის ხეობაში გადავყავართ. ამ ხეობის სოფლებიდან პირველად გვხვდება ბაჩალი. იგი მთის კალთაზე გაშენებული პატარა სოფელია, სულ ოთხი მოსახლის შემცველი. ამათგან სამი მოსახლე ხევსურია და ერთი ფშაველი. ამ ათიოდე წლის წინათ ბაჩალი მხოლოდ ფშავლებსა სჭერიათ. ისინი აყრილან და ერწოსა და კახეთში გადასახლებულან. მათი ადგილ-მამული და საცხოვრებელი ბინები კი ბარისაკოდან, ღულიდან და ბაცალიგოდან მოსულ ხევსურებს დაუჭერიათ. ფშავლების გარდა აქაური ხევსურებიც მთიდან ბარისაკენ მოძრაობენ. ყოველ შემთხვევაში ერთ ბაჩლელ მოსახლეს უკვე მიუტოვებია თავისი შედარებით ახალი საცხოვრებელი ადგილი და ბარში ჩასულა. დანარჩენი ხევსურებიც აქაურ ადგილ-მამულს სწუნობენ და ბარისაკენ იყურებიან.

17 ივლისი. ვიყავით სოფელ კორსავში. გაზომილ, ჩახატულ და ფოტოგრაფიულად გადაღებულ იქნა ფშაური სამეურნეო იარაღები და სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 ივლისი. სოფ. ზემო-არტანი. დავათვალიერეთ „სასვევიათ გორა“, რომელიც სოფელს ჩრდილოეთიდან აკრავს. სასვევიათ გორის წვერზე რაღაც ნაგებობის ნანგრევია. ადგილობრივ მოსახლეობას იგი ხატის ნანგრევად მიაჩნია. მის გარშემო ქვაყუთის ტიპის სამარხები ჩნდება, რომლებსაც ფშავლები ძველ „აკლდამებს“ უწოდებენ.

ამავე მთის ზურგზე, აღმოსავლეთის მხარეს, ზემო-არტნის მიტოვებული სასაფლაოა საყურადღებო ფორმისა და მხატვრობის საფლავის ქვებით. ასეთია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, მამის იმედისძე ვასილის საფლავი. მიწის ზედაპირზე გრძელი ოთხკუთხი მოყვანილობის ყორის ნაგებობა, რომელსაც ზემოდან წარწერიანი გათლილი ქვა ადევს და თავთან ყორითვე ნაგები პატარა სასანთლე-ნიში აქვს დადგმული. გათლილი ქვის სიგრძე 120 *cm*, სიგანე 40 *cm*, სიმაღლე 20 *cm*, ხოლო ყორითურთ საფლავის ძეგლის სიგრძე 60 *cm*, ნიშის სიმაღლე 19 *cm*, სიგანე 13 *cm*, სიღრმე 25 *cm* უდრის. თავთან ქვის კუთხეები მოკვეთილია ცერად და ზემო პირის კიდურებზე ამოღარული ზოლი მიყვება. თავთან ჯვარია ამოკვეთილი და ჯვარის ქვემოთ ჩაჭრილია შემდეგი შინაარსის წარწერა:

1 ესე საფლავ ქეშ განთ მამის იმედისძე
2 ვასილ ლეკთაგან მოკლული მზისაგან
3 გაუმაძღარი თვალი დამრჩა წუთისოფელზედ,
4 მხილველნო შენდობა ბრძანეთ წელსა ჩყაბ.

თიანეთის რაიონის საფლავის ქვების ჩვეულებრივი მხატვრობისაგან განსხვავდება გიორგი ქავთარასძე პოპიაშვილის ძეგლის მხატვრობაც. ძეგლის ზედაპირის ნახევარზე მიცვალებულის ბიუსტია ამოკვეთილი და დანარჩენ არეზე მოთავსებულია წარწერა, რომელიც მიცვალებულის სახელს, მამის სახელს, გვარს და გარდაცვალების თარიღს (1897 წ.) აღნიშნავს.

მიტოვებული სასაფლაოს მახლობლად, ჩრდილოეთის მიმართულებით, მთის კალთაზე დგას სალოცავი ნიში, რომელსაც „ჭიჭიკურის ხატი" ეწოდება.

ჭიჭიკურის ხატიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულ გორაკზე დგას „თაგვა თაღლაურას" ციხე და მის ქვემოთ, მთის დავაკებაზე დაბურული ტყე მოჩანს, რომელსაც „იფნიანთ ჯვარის" ტყე ეწოდება, ხოლო „იფნიანთ ჯვარი" —ჩვეულებრივი ტიპის სასანთლე-ნიში—ტყის შიგნითაა მოთავსებული. ამ ხატის დღეობა აღდგომის ხუთშაბათს მოდის ხოლმეო, გვიხსნის თანამგზავრი ფშაველი და თან დასძენს—„ადგილის დედის" დღეობა კი აღდგომის სამშაბათს იცის. „ადგილის დედას" ასეთი ლექსი აქვსო:

ადგილის დედა ჩიოდა
—სოფლის უფროსი კვდებაო,
ნუ მოჰკლავ, დამბადებელო,
სოფლობა წაგვიხდებაო.

საყურადღებო თქმულება არსებობს ხალხში „თაგვა თაღლაურას" ციხის შესახებ. ეს თქმულება შემდეგი შინაარსისაა:

ყოფილა ერთი თავადი თაგვა თაღლაურა, მეტად სასტიკი კაცი. ხალხს თურმე ის ძალიან ეჯავრებოდა.

ერთ დღეს თაგვა თაღლაურა (ანუ თაღლაური) მოყვრებთან წასულა. შინ ცოლი დაუტოვებია, ჩარგალელი ქალი, რომლისთვისაც დაუბარებია—ციხის კარი არავის გაუღოო. ციხე თურმე შიგნიდან რკინის ურდულით იკეტებოდა.

ამ დროს ივრის ხეობის ფშავლებს არაგვის ხეობის ფშავლებისაგან მაცნე მოსვლიათ—დაგვეხმარეთ, ლეკები დაგვესხენო. წასულან ივრის ფშავლები, დახმარებიან, ლეკები დაუმარცხებიათ და უკან გაუბრუნებიათ. აქაურებს უთქვამთ არაგვის ფშავლებისათვის—ეხლა თქვენ დაგვეხმარეთ, მრისხანე ბატონი გვყავს და ის დაგვამარცხებინეთო. იმათაც დახმარება აღუთქვამთ, თაღლაურის ცოლისძმის შვილი წამოუყვანიათ და ივრის ფშავლებს გამოჰყოლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაგვა თაღლაურის ციხის ზემოთ, ციხიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ადგილია, რომელსაც „ნაკოშკარი“ ჰქვიან. იმ ადგილზე უწინ კოშკი მდგარა და იქ თაღლაურს ცხვრის ბინა ჰქონებია. კოშკიდან ციხემდე მილი ყოფილა გაყვანილი. ამ მილით თურმე ცხვრის რძე ციხეში მოდენილა და თაგვას ყველი შინ უკეთებია.

ფშაველთ ლაშქარი გადმოსულა ივრის ხეობაში და თაღლაურას ციხის კარის მახლობლად ჩასაფრებულა. თაღლაურას ცოლისძმის შვილი კი ციხის დაკეტილ კარს მისდგომია და დაუძახია:—მამიდავ, კარი გამიღე, შენი ძმისშვილი ვარო. მამიდას ძმისშვილის ხმა უცვნია და კარი გაუღია. გაღებულ კარში ფშაველთ ლაშქარი შეცვივნულა. თაგვას ცოლმა რომ ძმისშვილის ღალატი ნახა, დაიძახა თურმე: „ძმისწულ მაუკვდეს მამიდასაო“ და ტყეში გაიქცა. ლაშქარს იქაურობა აუწიოკებია, ყველაფერი მიულეწ-მოულეწია, ციხისათვის ცეცხლი წაუკიდებია და უკან გაბრუნებულა.

მოდის თურმე თაღლაურა თავის მოყვრებიდან სახლში. შორიდან ცეცხლის ალი დაუნახავს და მიმხვდარა რაც უბედურება დატყდომია თავზე. გაქუსლა თურმე ცხენი და თან დაიძახა:

„გადააბიჯე ლურჯაო,
არხალს ხარ, განა არტანსა,
რა ფეჯებს მიაბაკუნებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ბერი კაცი არგანსა,
ვერა ხედავა, ტიალო,
ცეცხლი ედება სახლ-კარსა“.

სწრაფად მიჭრილა სახლში და ცხენიდან არ გადმოსულა ისე დაუყვირია ტყიდან დაბრუნებული ცოლისათვის — დარჩა-ღა რამე კიდევაო? „არაფერი, გარდა ერთი კონა შვილდ-ისრისაო“, უპასუხია ჩარგალელ ქალს. თაგვას მოუტანინებია ეს შვილდ-ისარი, დაუზურგავს ცხენი და ლაშქარს დასდევნებია. მიეწია თურმე თაგვა ფშავლებს, ბევრი ფშაველი დასჭრა, ოცი კაცი მოჰკლა და შემდეგ დაიძახა:

„შასრულდა ოცი, აღარც ვჭოცი,
შაგინდობ, შაბათის ძალო“-ო.

ეს უთქვამს და უკან გაბრუნებულა. გზაში ერთი ნაბდიანი მოხუცი შეხვედრია. ზოგი ამბობს ეს კაცი კოჭლი იყოო, ზოგი კი—თავს იკოჭლებდაო. „შე ძაღლო, შენ რად გამოჭყევ ჩემ სამტროდაო“, დაუყვირია მისთვის თაგვას.—წამომიყვანეს ძალადა, თემობამ გადასწყვიტა და მე რას ღა ვიქმოდი, უნდა წამოვსულიყაო, უპასუხია მოხუცს. „რახან ეგრეაო, უთხრა თურმე თაღლაურამ, არ მოგკლავო“ და თავის გზაზე წასულა. მოხუცი მინდადაურის გვარისა ყოფილა, ელიბო მინდადაურის პაპა. მას ნაბდის ქვეშ შვილდ-ისარი ჰქონია დამალული. შინისკენ მიმავალი თაგვა რომ დაინახა თურმე გულმა ვეღარ გაუძლო, ესროლა ისარი და მოჰკლა. სიკვდილის წინ თაღლაურას ცოლისათვის ანდერძი დაუტოვებია, ქვაზე დაუწერია:

„შენ დიდი ხანი არ მიგლოო, მალე გათხოვდი, ჩემი ოქრო-ვერცხლი მიწაში შეინახე და ზედ მუხის ბოჯოლა[1] დარგეო“. ეხლა იმ ადგილს, დასძინა მთხრობელმა, „დიდმუხას“ ეძახიან, რადგან იქ დიდი მუხა დგას, ძალზე დაბერებული. ხალხი ლაპარაკობს, თაგვას ოქრო-ვერცხლი იმ მუხის ძირში არის დამარხულიო.

[1] მთხრობლის განმარტებით: სანერგე ტოტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 ივლისი. სოფ. ზემო-არტანი. 26 წლის პავლე ბურდული შემდეგ შინაარსის „ფერჯისულს“ გადმოგვცემს[1]:

ვინა თქვა, ენამც გაჰკმება,
ქისტეთს გაბევრდა ცხვარია!
გაიგო ლაშარელამა
წელს შამოირტყა ჯმალია,
შეჰკაზმა თავის ლურჯაი,
ოქროს უნაგირ დაადგა,
ყელზე ჩაუდვა ზარია.
შამაუარა საყმოთა,
მძიმე შაყარა ჯარია,
გამაარჩივნა თარეში,
ღმერთო, დასწერე ჯვარია.
ნაურაზედა[2] შამაჩნდა,
არ დასწვდა წვიმის ცვარია,
მეიდანს ღელეს შამოჯდენ
ქვეითნი, ცხენოსანნია.
ძიუნა პაპუჩელათი
ბალღია, უმეცარია.
წინ-წინ მივარდა ბაკზედა,
არვინ უჭირა მჯარია.
თოფ დაჰკრეს ქისტის შვილებმა,
ოთხზედ შაჰყუდეს ჯარია.
ვაჲ თქვენს ძიუნას, ქისტებო,
რო არა მექნას ცალია,
ვერ მოვიბრუნე ყელჭრელი,
ვერ გამოვავლე თვალია,
ჩემი ყელჭრელის ტყვიასა
ვერ ვაფქვეინე ძვალია.
წყემსიც აღასთან მოკვდება,
არ დაანება თავია,
ცოდვით როგორა ვნახოდენ
აღაის დედა, დანია.
ემაგის მალექსებელი
ალვანში თუშის ქალია.
ქებით გალექსეთ, ფშავლებო,
არ დამელივნენ ძმანია.
სალექსოდ გამომიგზავნენ
თითო შიშაქი ცხვარია.

---

[1] ჩაწერილია ექსპედიციის წევრის ფ ა ფ ა ლ ა გ ა რ დ ა ფ ხ ა ძ ი ს მიერ.
[2] მთხრობლის განმარტებით: ადგილია ქისტეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჯატკვევის ლაშარობის მომდევნო ოთხშაბათია. თიანეთიდან ტელეფონით გვატყობინებენ—ხვალ დღეობა „იხინჭობა“ არისო. მაშასადამე ამაღამ სოფელ ჟებოტას კოპალეს ნიშთან ღამისთევა იქნება.

ნაშუადღევის 3 საათზე რაიონის ცენტრიდან ამოვიდა საბარგო ავტომობილი, რომელიც დავტვირთეთ საქართველოს მუზეუმისათვის შეძენილი კოლექციებით და ჩვენც ზედ მოვთავსდით. ვტოვებთ არტნის ხეობას და ქვემო-თიანეთში ვბრუნდებით.

სოფ. ჟებოტა. ღამისმთევლებს ცუდი ამინდი დაუდგათ—ცა ღრუბლებითაა შეკრული და ცარავს. კოპალეს ნიშის გარშემო შეკრებილან ერწოდან, არტნის ხეობიდან და თიანეთის მახლობელ სოფლებიდან მოსული მლოცველები. ხანში შესულ ქალსა და კაცს თავზე თეთრი თავსაფრები ხურავთ. ღამისმთეველნი გრძლად გაშლილ სუფრებს შემოსხდომიან და დროს ჭამა-სმასა და საუბარში ატარებენ. ზოგ სუფრასთან დოლსა და გარმონს უკრავენ და ცეკვავენ მხოლოდ კაცები, შეზარხოშებულნი კახური ღვინით, რომელსაც აქვე თელაველი გლეხებისაგან ყიდულობენ. კახელები მოსული არიან ღვინითა და ხილით დატვირთული ურმებით. განმარტოებით გაშლილია ე. წ. „კულუხის“ სუფრა. აქ კაცებს გარდა რამდენიმე ქალია, მათ შორის თეთრებში გახვეული და გულზე ჩამოკიდებული ჯვარით მოხუცი ქალი, ხატის მონა.

ხალხი უწინ „კულუხს“ უწოდებდა კოპალეს ხატის ზვარიდან მოწეულ იმ ღვინოს, რომელიც სოფელ ახმეტიდან (სადაც ხატის ზვარი და მარანი იყო) კოპალეს სახელობის დღეობაზე მოსახმარებლად მიჰქონდათ. ამისათვის არაგვის ფშავიდან მოდიოდნენ ცხენოსანი ხატიონნი დროშით. ისინი ჩერდებოდნენ გზადა-გზა ყველგან, სადაც კოპალეს ნიში იდგა, დროშის ზარებს აზრიალებდნენ და ამწყალობებდნენ მორწმუნეებს, რომლებიც ხატიონთ გზაში ხვდებოდნენ ან ზარის ხმის გაგონებაზე ნიშთან იკრიბებოდნენ. ახმეტაში მიმავალ პროცესიას უერთდებოდნენ ხატის მიერ „დამიზეზებული“ პირები და ისეთები, რომელთაც შეთქმული ჰქონდათ კულუხის წაღებაში მონაწილეობა მიეღოთ. ამრიგად გაზრდილი პროცესია განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ახმეტიდან დაბრუნებისას ხდებოდა, ვინაიდან კულუხის წამომღებთ დღეობა „იხინჭობაზე“ მიმავალი ხალხი უერთდებოდა. ახმეტაში ჩასული პროცესიის მონაწილენი იქაურ კოპალეს ნიშთან მოილოცავდნენ და ღამეს იქვე ათევდნენ, იქიდან შემდეგ კულუხით დატვირთულნი სოფელ ჟებოტისაკენ მიემგზავრებოდნენ, დღეობა „იხინჭობის“ წინა საღამოს იქაც კოპალეს ნიშთან ღამეს ათევდნენ, ხოლო მეორე დილით, მზის ამოსვლის ხანს, წინ გაუძღვებოდნენ იხინჭის კოპალეს ხატში მიმავალ მლოცველებს და მათთან ერთად დღეობა იხინჭობაზე კულუხის ღვინოს სვამდნენ და დროს ატარებდნენ. საღამოს, დღეობის დასასრულს, კულუხის ღვინო პროცესიის მონაწილეებს არაგვის ფშავში გადაჰქონდათ და იქაც ამ ხატის დღეობის მონაწილეებს ასმევდნენ.

ამჟამად კოპალეს ხატს ახმეტაში აღარავითარი ზვარი და მარანი აღარ გააჩნია, მაგრამ ხატიონნი მაინც მართავენ პროცესიას არაგვის ფშავიდან ახმეტაში, დღეობა იხინჭობის წინა ღამეს ჟებოტას კოპალეს ნიშთან ათევენ და იხინჭობაში მონაწილეობენ. ხალხიც დღეს „კულუხს“ ამ პროცესიას უწოდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს არაგვის ფშავიდან გადმოსულია „კულუხის“ მონაწილე ხუთი ფშაველი, რომელთაც ადგილობრივი ხატის მონა ქალები და ხატისაგან „დამიზეზებული“ პირები შეუერთდნენ. ამბობენ „კულუხი“ დროშით არის მოსულიო, მაგრამ დროშა ჩვენ არ გვინახავს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ წელს იხინჭობაზე სადღესასწაულო ზეიმი და რელიგიური ზეაღმაფრენა შესამჩნევად მოისუსტებს. დამახასიათებელია ამ მხრივ შემდეგი ეპიზოდი: სოფელ ჟებოტიდან მოვიდა მლოცველთა ოჯახი, რომელმაც კალათით სანოვაგე და ცალკე გობით შესაწირავი ქადა მოიტანა. ოჯახის მანდილოსანმა ამოალაგა სანოვაგე, გაშალა სუფრა, შემდეგ ქადიან გობს წამოავლო ხელი, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და, საჭირო პირი რომ ვერ დაინახა, მეზობლად დაბანაკებულ მლოცველებს შეეკითხა—სად არის ჭევისბერი, ქადა უნდა გავაჭრევინოო. ამაზე მას უპასუხეს—ჭევისბერს სად ნახავ, ჭევისბერები აქ აღარ არიან. ემანდ სუფრასთან სანდრო ზის, მიდი და ქადას ის გაგიჭრისო. დასახელებული სანდრო შუა ხნის კაცია და, როგორც გაირკვა, ის მხოლოდდამხოლოდ მორწმუნეთა რიცხვს ეკუთვნის და არა ხატის მსახურთა კასტას. სანდრო ადგილიდანაც არ დაძრულა, როგორც იჯდა სუფრასთან ისე დამჯდარმა მოტანილ ქადაზე რაღაც წაიბუტბუტა, შემდეგ ქადა ოთხ ნაწილად გასჭრა და პატრონს დაუბრუნა.

ღამის 2 საათია. წვიმამ უმატა. თავშესაფარი არსადაა, მაგრამ მლოცველები არ იშლებიან. სველდებიან მლოცველებიც და მათი სუფრებიც, რომლებზეც ანთებული ჭრაქი ან სანთელი ბჟუტავს. იგი ძუნწად ანათებს სუფრაზე დაყრილ პურისა და ყველის ნაჭრებს, შეწირულ ქადას, არაყს, თითო-ოროლა კიტრს და სხვა ბოსტნეულსა და ხილეულს.

20 ივლისი. დღეობა იხინჭობა. დილით მზის ამოსვლისთანავე ცხენოსანი მეკულუხენი იხინჭის მთისაკენ გაემართნენ. მეკულუხეებს დოლითა და ზურნით დანარჩენი ღამისმთევლები გაჰყვნენ. აიკრიბნენ თელაველი გლეხებიც და თავისი სავაჭრო ურმებით იხინჭაში გადავიდნენ. ჩვენმა ექსპედიციამაც ჟებოტაში ცხენის ურემი იქირავა და იხინჭის გზას დაადგა.

ყარყათუბნის მთის ძირთან ჩვენს მეურმე შალვას ამ მთასთან დაკავშირებული შემთხვევა აგონდება. ამ სამი წლის წინათ, ამბობს შალვა, ყარყათუბნის მთიდან ერთი უზარმაზარი მცურავი ჩამოვიდა, აი ამ ვაკეს ივრის გასწვრივ დაადგა, ყანებზე გადავიდა და იხინჭის წმინდა გიორგში რომ მივიდა, გაქრა. ხალხმა თქვა—ეს ალბათ რიღაცის ნიშანი არისო.

საგულისხმიეროა ხალხური თქმულება თიანეთისა და მდინარე იორის წარმოშობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მის ძველ ფენას ახალი პერსონაჟები (მღვდელი და დიაკვანი) შემატებია. ამ თქმულების მიხედვით, ოდესღაც იხინჭის მთაზე დევებს უცხოვრიათ, რომლებსაც თურმე კოპალე ებრძოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ სძლია. იმ დროს თიანეთის დავაკება სულ წყლით ყოფილა ავსებული. ხალხი თურმე საცხოვრებლად მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. მცხოვრებთა შორის ერთი და-ძმა, თინა და იორამი, იყვნენ. ერთხელ მღვდელს კერაში ცეცხლი ჩაქრობია. გაუგზავნია დიაკვანი დევებთან და დაუბარებია—დევებს ცეცხლი გამოართვი და მომიტანეო. წასულა დიაკვანი იხინჭის მთაზე, დევებისთვის ცეცხლი გამოურთმევია და ამ დროს ყური მოუკრავს მათი საუბრისათვის. ერთი დევი ეუბნება თურმე მეორეს: ხალხი უჭკუოა. ხალხს რომ ჭკუა ჰქონდეს იორამსა და თინას დაჰკლავდნენ და წყალში ჩააგდებდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ბოკონი გაიხსნებოდა, ვაკეში დაგროვილი წყალი წავიდოდა და კოპალეც ჩვენ გვაჯობებდაო. დიაკვანს ეს ნალაპარაკევი აუკრეფია და მღვდლისათვის გადაუცია, მღვდელს კი ხალხისთვის უცნობებია. მაშინ ხალხს გადაუწყვეტია დევების ნათქვამი შევასრულოთო. თინა და იორამი დაუკლავთ და წყალში ჩაუყრიათ. მაშინვე ბოკონი გახსნილა, იქიდან წყალს გასავალი გაჩენია, ვაკე თანდათან წყლისაგან დაცლილა, მისგან მხოლოდ მდინარე-ღა დარჩენილა და მიწა გამოჩენილა. იმ დროს კოპალესაც დევებისათვის უჯობნია და სულ ამოუ-ყლეტია. ხალხი მთის ფერდობებიდან ბარად ჩასულა და იქ დასახლებულა. ასე გაჩენილა თიანეთი და იორი. თიანეთი იმ ადგილს თინასაგან დაერქვა, ხოლო იორი (მდინარეს)—იორამისაგანო.

იხინჭის გორა მდებარეობს მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე, ქვემო-თიანეთიდან 10—12 კილომეტრის სიშორეზე. ამ მთის ფერდობზე მოთავსე-ბულია რამდენიმე ნაშთი ქრისტიანული საკულტო ძეგლისა და მათ შორის წარმართული სალოცავი—კოპალეს ანუ იხინჭის წმინდა გიორგის ხატი.

ამ ხატის ირგვლივ გაშლილი ვაკე ადგილები მდინარე იორამდე ოდესღაც კოპალეს საყანე მამულს წარმოადგენდა. ამ მამულში ითესებოდა ხატის პური და ქერი, რომლისგანაც დღეობა იხინჭობისათვის არაყი იხდებოდა და სახალ-ხოდ იხარჯებოდა.

იქვე ყანებში, ხატის მისავალთან მდგარა ქერისა და პურის შესანახი ხატის ბეღელი, გომური და საბერო—ქვითკირის შენობები, რომელთაგან დღეს ნანგრევებიღაა გადარჩენილი.

კოპალეს ხატს გააჩნდა კურატები (ანუ კურეტები) და ცხვრის ფარა, რომელსაც ზამთრობით შირაქში ერეკებოდნენ. ბოლო ხანებში კურეტს შე-წირვის შემდეგ შემწირველი სახლში აბრუნებდა და 2—3 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღებით უვლიდა, გადაჭარბებით კვებავდა, უღელს არ ადგამდა და არ ამუშავებდა. ხატისათვის შეწირულ ამ მოზვერს ყველა მოწიწებით ეპყრობოდა, ყანაში რომ შესულიყო და ყანა ამოეგდო მას ვერავინ გაუბედავ-და სახრის დარტყმას და გამოგდებას. სამი წლის შემდეგ მორწმუნე მოსახლეს კურეტი კვლავ ხატში მიჰყავდა და იქ სათანადო ლოცვა-ვედრების შემდგომ ჰევისბერს დააკვლევინებდა.

კოპალეს მთავარი სალოცავი შენობები—დარბაზი და საზარე, იხინჭის მთის ფერდობზეა მოთავსებული. დარბაზი წარმოადგენს ქვითკირის მოგრძო შენობას ფასადით დასავლეთის მხარეს, ორწახნაგოვანი სახურავით, რომელიც კრამი-ტითაა გადახურული. კოპალეს დარბაზს აღმოსავლეთით აკრავს მიწაში შე-თხრილი პატარა სენაკი, თაღისებურად გადაყვანილი ჭერით. დარბაზთან იგი დაბალი კარით არის შეერთებული და სრულიად ბნელია. კარის პირდაპირ კედელში დატანებული აქვს თარო, რომლის მარჯვენა კუთხესთან კედელშივე ჯვარის ოთხი გამოსახულებაა ამოკვეთილი. ამ კედელზე მიყუდებულია (პირდა-პირ მიწაზე მოთავსებული) ბრტყელი სიპი ქვა. სიპის სიბრტყეზე ზეთის ფერადი საღებავებით დახატულია შუახნის ჯმუხი ქალის სახე, რომელსაც თავზე ვარ-დისფერი, ცისფერი (თუ გადახუნებული ლურჯი) და შავი თავსაფრები ხურავს. ამ გამოსახულებას მორწმუნეები ხატს უწოდებენ. ეს „ხატი“ ჩამოტანილი ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილა იხინჭის მთის წვერზე მოთავსებული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიიდან ამ ათიოდე წლის წინათ. ქვაზე გამოსახული „წმინდანის“ შესახებ ხალხში სხვადასხვა შეხედულებაა გავრცელებული. ზოგიერთების აზრით, რომელსაც ჭევისბერების ნაწილიც იზიარებს, იგი სურათია „კოპალეს დედისა“, რომელიც, იხინჭის გორაზე რომ ნაციხვარი და ეკლესიაა, იქ მარხიაო. სხვები კი ამ ხატს უწოდებენ „კოპალეს ღვთიშობელს“, „დედა ღვთისას“, „დედა მარიამს“, ან „მარიამ ღვთიშობელს“. არსებობს აგრეთვე ისეთი აზრიც, თითქოს იგი ხატის მონა ქალის სურათია. თვით სენაკს, სადაც ეს „ხატია“ დასვენებული, ჭევისბერმა სოსიკო ტ-შვილმა „სასუფეველი“ უწოდა.

დარბაზის ფასადზე გარედან ბრტყელი ფიცრის საჯდომია მიდგმული და მის წინ ათიოდე ნაბიჯზე მიწა ხელოვნურად დავაკებული და დატკეპნილია. ამ დავაკების ნაპირებზე დგას იფნის, რცხილისა და თელის ხეები, რომელთა ტოტებზე მლოცველთაგან შეწირული მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები და „საკადრისებია“ ჩამოკიდებული.

კოპალას დარბაზის გვერდით საზარე-ნიშია, უზაროდ. ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ზარი ახალსოფლის მასწავლებელს წაუღია და სკოლისათვის გამოუყენებია. საზარე ჩვეულებრივ ფშაური ტიპისაა: ძირიდან ქვითკირით ნაგები, ყუთის მოყვანილობისა, რომელზეც აგურის ოთხი სვეტია აღმართული. სვეტები ერთმანეთს კამარებით უკავშირდება და ზემოდან მას კრამიტის ოთხწახნაგოვანი სახურავი ხურავს. სახურავის თავზე აღმართულია მოგრძო და ოთხწახნაგოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიზის წოწოლა, რომელშიც რკინის ჯვარია დამაგრებული. საზარე გარედან კირითაა შელესილი.

დარბაზის უკან ეკლესიის ნანგრევია, რომლის საკულტო დანიშნულება დღეს აღარავის ახსოვს.

კოპალეს სალოცავის პირდაპირ, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, მცირე ხევის გაღმა, გორაკის ფერდობზე თამარისა და ლაშარის ხატები მდებარეობს.

ლაშარის სალოცავი გრძელ ოთხკუთხი ფორმის მშრალად ნაგებ გალავანს წარმოადგენს. გალავნის შიგნით, აღმოსავლეთის კუთხეში, მშრალადვე ნაგები ოთხკუთხი მოყვანილობის სასანთლე-ნიში დგას. ნიშის სამხრეთის კედელში



დატანებულია თარო, რომელშიც ჭევისბერები მლოცველების მიერ შეწირულ სანთლებს ანთებენ და ქადებს „ჰკლავენ“. ნიშის გვერდით ამოსულ კუნელის ტოტებზე ჩამოკიდებულია ირმის რქები, თეთრი ფერის ნაჭრები და რკინის ულელი.

ლაშარის ჯვარის მახლობლად დგას პატარა ბაზილიკი ქვის კანკელით, შიგნიდან და გარედან კირით შელესილი. ეკლესიას ყორით ნაგები მრგვალი, ამჟამად ნახევრად მორღვეული, გალავანი არტყია. მის გვერდით, აღმოსავლეთის მხარეს ხეებზე (კუნელა) შეწირული თეთრი ნაჭრები და სანთლის რგოლებია („თვალის კაკლები“) ჩამოკიდებული. ეს კომპლექსი „თამარ მეფის ხატს“ წარმოადგენს.

ამ ხატიდან რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე, ჩრდილოეთის მხარეს, მდებარეობს „თამარ მეფის კალო“—პატარა მრგვალი დავაკება გორაკზე. მორწმუნეთა აზრით, ამ „კალოზე“ თამარი, ლაშარი და კოპალა გამოდიან და თამაშობენ ხოლმე. უწინ დღეობის დროს ხატიონნი აქ „ფერჯისულს“ აბამდნენ.

თამარისა და ლაშარის სალოცავების ასწვრივ მთაზე მოთავსებულია ერთმანეთის მახლობლად ორი პატარა ბაზილიკის ნანგრევი. ამგვარივე ნანგრევები, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, იხინჭის გორაზე მრავალია.

„იხინჭობა“ აღდგომის მეცხრე კვირას აუცილებლად ხუთშაბათ დღეს მოდის ხოლმ . ჭევისბერების თქმით, ეს დრო არ ასცდება 7-10 ივლისს ძვ. სტილით. თუმცა იხინჭობა ივრის ხეობაში კოპალეს მთავარ დღეობად ითვლება, მაგრამ მორწმუნე ფშავლები ამ დროს ლოცულობენ და შესაწირავებს სწირავენ იხინჭის გორაზე მდებარე თამარისა და ლაშარის ხატებსაც. როგორც გაირკვა, წელს ხატობაზე ნაკლები ხალხია მოსული, რაც ყველაზე მეტად თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაველ გლეხებს აწუხებს, რადგან მათ გაუყიდავი რჩებათ ღვინო, ხილი, ფეი-ზი, ხინკლები, რომლებსაც იქვე ხარშავენ, და სხვა. სავაჭროდ ჩამოუზიდიათ აგრეთვე ნამგლები და თელაველ სომეხ მოქალაქეს უამრავი ფანერის უმსგავსო კოლოფები და ყუთები, რომლებსაც სკივრებს უწოდებენ.

ლაშარის და თამარის ხატებს პატრონობენ უმთავრესად ჩვენი ნაცნობი ჭატჭეველი ჭევისბერი გაბრიელა და მისი დასტური. ისინი არ შორდებიან ამ ხატებს, ხვდებიან მლოცველებს და ქადებს „უკლავენ". წელს იხინჭობაზე საკლავი საქონელი ნაკლებია. უმთავრესად ქადებს, არაყს და სანთლებს სწირავენ. მლოცველთა შორის კახების, ფშაველებისა და ერწოელების გარდა მოსული არიან ხევსურებიც, რომელნიც დანარჩენი მლოცველებისაგან განცალკევებით დგანან. ერთ-ერთი მოხუცი ფშაველი ქალი იგონებს ძველ დროს და გვეუბნება —დალოცოს კოპალე იხინჭისამ, თამარ დედუფალმა და ლაშარის გიორგიმ ჩვენი მთავრობა! ის რომ არ იყოს ხევსურები აგვიკლებდნენ. უწინ ქისტებს ჩვენსკენ გზას ხევსურები ასწავლიდნენ, წინ მოუძღოდნენ და ორივენი გვაწიოკებდნენ ხან ერთად და ხან ცალცალკეო. მოზარდი თაობაც კი კუთხური მედიდურობის გრძნობით ყოფილა გაჟღენთილი. ფშაველი ბავშვი იწყენდა თურმე თუ მას შეცდომით კახელად შეიცნობდნენ, კახის ბავშვი კი დასცინოდა ფშაველს— ერთი ამის ჭროღა თვალებს უყურე, ეს კახი როგორ იქნებაო, ხოლო ხევსური გულდიდობდა და დამოუკიდებლად ეჭირა თავი.

კახელი
(ლოკბა იხინჭობა)

იხინჭობაზე ჭიდაობა გაიმართა. ფშაველმა ხევსური დასცა. ხევსური გაშმაგდა, როგორ თუ ჩობანმა მეტობა გამიბედაო. ის სასიკვდილოდ არ დაინდობდა მოწინააღმდეგეს, რომ ამ დროს გვერდით წესრიგის დამცველი მილიციელები არ სდგომოდნენ.

იხინჭობა ჩხუბითა და აყალმაყალით არის სახელგანთქმული. როგორ შეიძლება ამ დღეობამ ისე გაიაროს, რომ კაცი არ დაიჭრას და სისხლი არ დაიღვაროსო, გაიძახიან მლოცველები. მაგრამ წელს იხინჭობაზე მრავალი წარმომადგენელია რაიონული ხელისუფლებისა —აღმასკომის, შინსახკომის, მილიციისა. ისინი აფრთხილებენ დამსწრეებს—ჩხუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყოსო და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს წესრიგის დაცვას. მიუხედავად ამისა წლევანდელ იხინჭობასაც ერთი მთვრალი ფშაველი დაიკეჭნა. ინცინდენტის ადგილზე სწრაფად მოსულ მილიციელებს სახე-დასისხლიანებულმა ფშაველმა და მაყურებლებმა განუცხადეს—ვხუმრობდით და ამ დროს ერთი ჩვენგანი დაიკაწრაო. საზოგადოდ დღეობა იხინჭობას დაჭრილი ან მოკლულის ოჯახი არ იჩივლებდა თურმე და არ გასცემდა დამზარალებელს—ამას ხატი კრძალავსო.

კოპალეს დარბაზში თავი მოუყრიათ ჭევისბერებსა და ხატის მონა ქალებს. უკანასკნელებს თავზე თეთრი თავსაფრები ხურავთ, ტანსაცმელიც მიტკლისა აცვიათ და მკერდზე ჯვარი აქვთ ჩამოკიდებული. დანარჩენი ქალები დარბაზში ვერ შედიან—იქ შესვლა ხატისაგან აღკვეთილი გვაქვსო. მონა ქალი უმრავლეს შემთხვევაში მკითხავ - ქადაგიც არის, ხატის ნებასურვილის მამჟღავნებელი. აგერ გამოვიდა დარბაზიდან ერთი მათგანი და მოხუცი მამაკაცის თანხლებით გამოეშურა ჩემს მახლობლად მდგომ ქალისაკენ, რომელსაც გვერდით ორი ბავშვი ამოსდგომია. მონა ქალი მოხუცია და ძლიერ მთვრალი. მოგვიახლოვდა თუ არა, მან მიწაზე ჩაიკეცა და მრისხანე ხმით შეეკითხა ახალგაზრდას—ვინ ხარ, რა დაგმართიაო? ეს ქალი აღელვებით უამბობს: „დედი, წუხელ იორზე გადმოვდიოდი, იმ ტიალ იორისა ძალზე მეშინია. წყალში რო შეველით, თვალი ამიჭრიალდა და ეს ბალღები კინაღამ

წყალში ჩამიცვივდნენ, კინაღამ დამეღუპნენ. დედი, გამიგე რა მიზეზია, მე თვალდამდგარს ხატი ხომ არას მიწყრებაო“. ამის გაგონებაზე მონა ქალმა ხმამაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუტია—კერპნი ხართ, გაუტეხელნი ხართ! როცა გაგიჭირდებათ მაშინ მო-ხვალთ. ისე არც ხატი გაგონდებათ, არც ღმერთი. ხატი მაინც ბევრს ითმენს თქვენგან, დაილოცოს იმის სამართალი! აი იქ მიდი და ქადა დაჰკალიო—თან თამარის ხატზე მიუთითა, შემდეგ რის ვაი-ვაგლახით ფეხზე წამოდგა და ბარ-ბაცით კვლავ დარბაზისაკენ წავიდა. ეს ცრუმორწმუნე ქალი კი თავქვე დაეშვა, თამარის ხატისაკენ. მას ხელში შესაწირავი ქადა ეჭირა, ხოლო ბავშ-ვებს—ერთს თაფლის სანთელი და მეორეს საზედაშე არაყით სავსე ბოთლი.

მლოცველთა უმრავლესობამ საკლავებისა და ქადების შეწირვა შუადღემ-დე მოათავა, რის შემდგომ გაშალეს სუფრები სოფლების, ნათესაური ჯგუფე-ბისა და ცალკეული ოჯახების მიხედვით და ჭამა-სმასა და მოლხენას მიეცნენ. გახურდა დოლისა და გარმონის დაკვრა და ცეკვა-თამაში. ხატიონნიც კოპალეს დარბაზს განშორდნენ და მიაშურეს თავ-თავის ოჯახების სუფრებს, რომლებიც დარბაზის მახლობლად იყო გაშლილი.

დარბაზისა და საზარეს გვერდით, ხეების ჩრდილში, მეკულუხეთა ბანაკია და მათაც სუფრა აქვთ გაშლილი. მეკულუ-ხენი არაყს ეძალებიან და წყნარად საუბ-რობენ. მათ ემსახურებათ რამდენიმე მო-ხუცი მანდილოსანი, მათ შორის ხატის ორი მონა ქალი. „კულუხის“ პროცესიის მონაწილენი გამოწყობილი არიან ტყა-ვებში, ნაბდებში და თავზე ბოხოხა ქუ-დები ხურავთ. იქვე ბალახის საძოვრად მათი ცხენებია მიშვებული. მეკულუხეებს დიდი სასიარულო გზა უძევთ, მთის გადასავალი აქვთ დასაძლევი და ამიტომ შესაფერისად მოკაზმულან.

მზე რომ დასავლეთისაკენ გადაიხარა, მლოცველები სუფრებიდან წამოიშალნენ და დაიწყეს შინ წასასვლელად მზადება. საღამოს 6 საათზე მეკულუხენიც დაიძრ-ნენ, ცხენებზე ხურჯინები გადაჰკიდეს და შეუდგნენ გზას „თამარის კალოსაკენ“. მე-კულუხენი „კალოზე“ ააცილეს ადგილობრივმა ჯევისბერებმა, დასტურებმა, ხატის მონებმა და ზოგიერთმა მლოცველმა. პროცესია „კალოზე“ შეჩერდა. მისმა ერთმა წევრმა ამოალაგა ქადის ნაჭრები, ჩამოასხა არაყი და დაიწყეს ერთმა-ნეთის დალოცვა იხინჭის ხატების სახელით. არაყი რომ შესვეს მეკულუხეებმა განაცხადეს—მამაპაპური წესის მიხედვით ეხლა აქ ფერხული უნდა დაგვე-ბა, მაგრამ გვიან არის, ჩვენ კი შორი გზა გვაქვს სავალი და ამიტომ გვე-შურისო. გამცილებლები დაეთანხმნენ, ფერხულის ნაცვლად კიდევ ერთხელ არაყი შესვეს სათანადო ლოცვა-ვედრების წარმოთქმით, დამხდურები და წამ-სვლელები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთურთს გზა დაულოცეს და გან-შორდნენ. მეკულუხენი ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ, გამცილებლებმა კი პირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბრუნეს თიანეთისაკენ და ვაკეზე დაეშვნენ. ასე დამთავრდა წელს ბინეკოთა. სხვა დროს დღეობის დასასრულის ჟამს მეკულუხენი, ადგილობრივი ხატიონნი და მლოცველები, „თამარის კალოზე“ ასვლამდე, იხინჭის მთის წვერზე ადიოდნენ და იქ „კოპალეს დედის საფლავს“ და კოპალეს მთავარ სალოცავს (ივრის ფშავლებისას) მოილოცავდნენ ხოლმე. წელს რიტუალის ეს მომენტიც გამოტოვებულ იქნა.

როგორც გადმოგვცეს, იხინჭიდან მეკულუხენი შემდეგი მარშრუტით მიემგზავრებიან: პირველად მივლენ სოფელ ბაჩალში, სადაც ორი ხატი აქვთ მოსალოცავი, შემდეგ—ბეღელთანაში, სადაც სალოცავი „დევის სკამია“; იქ ღამეს გაათევენ და დილას აჰყვებიან გზას ფადლაურას მწვერვალისაკენ, ფადლაურას მწვერვალით გადავლენ ჭიჩოში, ჭიჩოდან მათურაში და, ბოლოს, მიადგებიან უძელაურთკარს, სადაც კოპალეს მთავარი ხატია და ამ ხატის დღეობა იმართება ამ დროს არაგვის ფშავში. იქ „კულუხის“ პროცესიის მონაწილე ივრის ფშავლები ხატს მოილოცავენ და შემდეგ უკან, შინისაკენ ბრუნდებიან. პროცესიის დანარჩენი წევრები კი (არაგვის ხევის ფშავლები) ხევსურეთის გზას დაადგებიან, ჯაჯაბოში გადავლენ და ხევსურეთის ისეთ სოფლებს მოივლიან მოსალოცავად, სადაც კოპალეს სახელობის ხატები მოიპოვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

21 ივლისი. ქვემო-თიანეთი. დილიდანვე ვეწვიეთ 51 წლის მ ა რ ტ ი ა მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე ჯ ა შ ი ა შ ვ ი ლ ს, საფლავის ქვების პირველ ოსტატს თიანეთის რაიონში. 33 წელიწადია რაც ის ამ ხელობას ეწევა. მარტიას გადმოცემით ამაზე ადრე თიანეთის რაიონში საფლავის ქვებს არავინ არ აკეთებდა და ადგილობრივი მოსახლეობა ამგვარ ძეგლებს მაშინ თელავიდან და თბილისიდან ეზიდებოდა.

მარტია ჯაშიაშვილი კახელია, თელავის მახლობელ სოფელ ვარდისუბანში დაბადებული. ის თურმე ერთი წელიწადი ამ სოფლის სკოლაში სწავლობდა. ამის შემდეგ წვრილშვილსა და ღარიბ მამა მისს სწავლისათვის თავი დაუნებებინებია, 9 წლის მარტია თელავში წაუყვანია და მიუბარებია მოჯამაგირედ კერძო ოჯახში, სადაც მას 4 წელიწადი დაუყვია. 13 წლისა რომ შესრულებულა, მამას მარტია შეუკედლებია ქურციკაშვილის ოჯახში იმისათვის, რომ ქურციკაშვილს მისთვის თავისი ხელობა, მეჭურჭლეობა, შეესწავლებინა. აქ ქურციკაშვილის შეგირდობისა და მოჯამაგირეობაში მარტიას დაუყვია 5 წელიწადი, რის შედეგად ქაშანური ჭურჭლის მოხელეობა შეუთვისებია. მაგრამ ამ ხელობას ის საბოლოოდ ვერ დაუკმაყოფილებია და 18 წლის მარტია გადასულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურციკაშვილის ძმასთან, სოსიკოსთან, რომელიც საფლავის ქვების ოსტატად ყოფილა. ამ დროს თელავში თურმე საფლავის ქვების მკეთებელი სამი ოსტატი ცხოვრობდა, რომელთაგან მარტიას უმჯობინებია სოსიკო ქურციკაშვილს მიბარებოდა შეგირდად, ვინაიდან ის საუკეთესო ქვის მთლელი ყოფილა და ამასთანავე მარტიას ნათლიაც.

ქვის დამზადების საქმე მარტიამ ექვს თვეში შეისწავლა, მაგრამ სოსიკოსთან დაჰყო 4 წელიწადი და მას უსასყიდლოდ ეხმარებოდა როგორც შეგირდი. სამაგიეროდ მარტია ცხოვრობდა ქურციკაშვილის ოჯახში და საჭმელ-სასმელით უზრუნველყოფილი იყო. ამ ვადის შესრულების შემდეგ ჯაშიაშვილმა მიიღო ქარგლის სახელწოდება და გადაყვანილ იქნა ქვის სამუშაოზე თიანეთში. მისი თიანეთში გადაყვანა შემდეგ გარემოებას გამოუწვევია.

სოსიკო ქურციკაშვილს ერთი ამხანაგი ჰყოლია სოფელ თეგერანებიდან (ყ. თიანეთის მაზრა), გვარად თეგერაშვილი. თეგერაშვილი შეძლებული კაცი ყოფილა. ის თურმე თელავში ცხოვრობდა, ღვინით ვაჭრობდა და სოსიკოს წარმოებაში ფულად დახმარებას უწევდა. 1910 წლის ახლო ხანებში თეგერაშვილს რუსეთის პოლიციამ დევნა დაუწყო. მას აბრალებდნენ ძველი (1905 წლის) რევოლუციონერების მფარველობასა და შენახვას და მოითხოვდნენ მისგან ამ რევოლუციონერების გაცემას. თეგერაშვილი კარგა ხანს აცდენდა პოლიციას, მაგრამ ბოლოს გაუგეს თვალთმაქცობა და დაჭერა დაუპირეს. მაშინ თეგერაშვილმა სასწრაფოდ ლიკვიდაცია უყო თავის სავაჭროს თელავში და საცხოვრებლად თიანეთში გადასახლდა. სოსიკო ქურციკაშვილმა მას თან ახალგაზრდა მარტია გააყოლა. ქურციკაშვილმა და თეგერაშვილმა თიანეთში დააარსეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფილიალი თელავის საფლავის ქვების სახელოსნოსი და ამ ფილიალს ორი წლის განმავლობაში მარტია უძღვებოდა. ის, როგორც ამხანაგობის ქარგალი, თეგერაშვილისაგან ჯამაგირს იღებდა. ამ ხანად მარტიას ცოტაოდენი ფული დაუგროვებია, ორი წლის თავზე ქარგლობისათვის თავი დაუნებებია და დამოუკიდებელი მუშაობისათვის მიუყვია ხელი. ამიერიდან მარტია ჯაშიაშვილი ქვის მთლელი ოსტატი გამხდარა.

თიანეთში საბოლოოდ დასახლების შემდგომ მარტია ფიქრობდა თავისი ძველი ხელობა, ქაშანური ჭურჭლის კეთება, განეახლებინა, მაგრამ თიანეთის რაიონში სათანადო ნიადაგი (თიხა) არ აღმოჩნდაო. ამიტომ მან ისევ საფლავის ქვების ოსტატობას მიჰყო ხელი. საფლავის ქვის ოსტატი, ისევე როგორც ჭურჭლის მოხელე, დასამუშავებელ მასალას თვითვე სჭრის და საბადოებიდან ეზიდება. საზოგადოდ ქვის მოხელეობა მძიმე საქმეა და მას მარტოხელა კაცი ვერ აუდის. ამიტომ მარტიამ დამოუკიდებელ მუშაობაში ფეხი მოიკიდა თუ არა ვარდისუბნიდან თავისი უმცროსი ძმა გაიწვია, თიანეთში თავისთან დაასახლა, თავისი ხელობა შეასწავლა და ამგვარად მუდმივი დამხმარე ცოცხალი ძალა გაიჩინა. ამ მუდმივი დამხმარე ძალის გარდა დრო გამოშვებით, მაშინ, როდესაც მუშაობა ქვის საბადოებში წარმოებდა, მარტია სხვა მუშა-ხელსაც იხმარიებდა, ქირით.

პირველ ხანებში საფლავის ქვად გამოსადეგ მარაგს ოსტატი ეზიდებოდა გლდანის მახლობლად მდებარე სოფელ მამკოდიდან, რომელიც თიანეთს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლოვებით 40 ვერსით შორავსო. შემდეგში მარტიამ მიაკვლია საფლავის ქვის საბადოს თელავის რაიონში, ადგილ ილდაკანში, რომელიც თიანეთიდან 15-დე ვერსით არის დაშორებული, ახმეტაში მიმავალი გზის პირად ძევს, და ამ ქვის ექსპლოატაციას მიჰყო ხელი.

მარტიას თქმით, მამკოდისა და ილდაკნის ქვები განსხვავებული ჯიშებია. მამკოდის ქვა ფერად ორი ჯურაა: მტრედისფერი და მოყვითალო. ამ ჯიშის ქვა იმით ყოფილა კარგი, რომ იგი „ფიცხი არ არის, მალე არ ტყდება და ბანდია: ამ ქვიდან როგორი ქანდაკებაც გინდა, ისეთს გამოიყვან და საღებავებსაც კარგად იღებსო“. ილდაკნის ქვა კი, პირიქით, სამუშაოდ ძნელია, „ძალიან ფიცხია, შუშასავით იბზარება და იმტვრევა, ფერად ჭრელია—გარედან მოყვითალო და შიგნიდან მოლურჯო“. ილდაკნის ქვა უფრო მძიმეც ყოფილა მამკოდის ქვაზე. სანიმუშოდ რომ ავიღოთო, განმარტავს მარტია, ერთიდაიგივე ზომის ქვები, ერთი ილდაკნიდან და მეორე მამკოდიდან, თუ ილდაკნის ქვა 60 ფუთს აიწონის, მაშინ მამკოდისა დაახლოვებით 50 ფუთამდე იქნებაო. გარდა ამისა მამკოდის ქვა ოსტატისათვის გაცილებით უფრო საადვილო ბუნებრივ პირობებში ყოფილა მოცემული, ვიდრე ილდაკნისა. იგი თურმე მიწის ზედაპირზეა, კლდიდან იჭრება და ადამიანის დაუხმარებლად ვაკეზე მიგორავს. ილდაკნის ქვა კი მიწით დაფარულია. მის ამოსაღებად ოსტატს უხდება ნიადაგის ჩაჭრა ორი მეტრის სიღრმეზე, რის შემდეგ მოჭრილი ქვა რის ვაი-ვაგლახით მიწის ზედაპირზე ამოაქვთ. ამ საქმისათვის გადაჭარბებული მუშა-ხელი და შრომის გაწევაა საჭირო. ერთი სიტყვით, მამკოდის ქვა ყოველმხრივ უკეთესი ყოფილა ილდაკნის ქვაზე და ოსტატისათვის დასამუშავებლად უფრო ადვილი. მაგრამ ილდაკნის საბადო თიანეთელ ქვის მოხელეს თავისი სიახლოვით იზიდავს.

მამკოდაში მგზავრობას—ურმით წასვლასა და იქიდან ქვის მოტანას, სულ უკანასკნელი სამი დღე-ღამე მაინც დასჭირდება მაშინ, როდესაც ერთ დღეში ოსტატი ილდაკანში ჩავა, იქ ქვასაც მოსჭრის და მის თიანეთში მიტანასაც მოასწრებს.

საფლავის ქვის ზიდვა მხოლოდდამხოლოდ ურმის საშუალებით ხდება. ერთი ურემი საშუალოდ 50-60 ფუთიან ქვას დაიდებს. იმისდა მიხედვით თუ როგორია მოთხოვნილება—დიდი საფლავის ქვისაა, თუ პატარის—ოსტატი თითო ურმით ეზიდება 40-50 ფუთიან ქვას, ან ორ ცალს 20-20 ფუთიანსა და ან ოთხ ცალს 10-10 ფუთიან ქვებს.

საბადოებში წასვლა, იქ ქვის მოჭრა და მოტანა შემდეგი წესით სრულდება: ილდაკანსა ან მამკოდას მიმავალი მოხელე შეაბამს ურემს და დატვირთავს მას საჭირო სამუშაო იარაღებით—ბარით (თუ ილდაკანში მიდის), „სათხრელი და სათლელი (წვერიანი) წერაქვით“, „სახეთქი სოლებით“, „ლამფარებით“, „ურითი“, „რკინის კეტებით“ და სხვა ხელსაწყოთი, და თავის გამოსაკვებად საჭირო რაოდენობის სურსათ-სანოვაგით.

ილდაკანში მისული ოსტატი იწყებს უწინარეს ყოვლისა ბარით ნიადაგის ზედაპირის გადახსნას და მიწის ჩათხრას კლდის გამოჩენამდე. შემდეგ შეუდგება შიშველი კლდის „ჩაჭრას“. მამკოდას საბადოებშიც და ილდაკნისაშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდის ჩაჭრა ხდება „სათლელი წერაქვით“, რომელსაც აქვს „ტარი“, ფოლადის „წვერი“ და რკინის „ყუა“ („ყუა“ რკინისა კეთდება და არა ფოლადისა, ვინაიდან ფოლადი ფიცხია და წყალში ნაწრთობი მალე ტყდება. „ყუა“ გამძლე უნდა იყოს, მას მუშაობაში დიდი ძალა ადგია). კლდის ჩაჭრილ ადგილებში ოსტატი „ლამფარებსა“ და „სახეთქავ სოლებს“ არჭობს. „ლამფარები“ მსხვილფეხა საქონლის, უმთავრესად კამეჩისა და ხარის, ძველ ნალებს ეწოდება. „ლამფარები“ სოლების დასამაგრებლად იხმარება. მათი შემწეობით სოლები კლდე-



ში მაგრად იჭედება და დარტყმის დროს აღარ ამოცვივა. ჩაჭრილი კლდის ყოველ თითო მეტრის სიგრძეზე 8-10 სოლია საჭირო. სოლს ზემოდან „ურის“ არტყამენ იმ დრომდე, ვიდრე ჩაჭრილი კლდე არ გასკდება. „ურის“ აქვს „ტარი“, „ნარიკი“ და „პირი“. კლდიდან მოხეთქილი ნაწილი ადამიანის დაუხმარებლად მიწაზე ეშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მომენტამდე მუშაობის პროცესში ჩაბმულია ჩვეულებრივ ერთი პირი — თვით მარტია ან მისი ძმა. რამდენიმე კაცის ხელი საჭირო ხდება მოჭრილი ქვის ვაკეზე გადასატანად. ამ საქმისათვის და ურემზე ქვის დასადებად ოსტატი ქირით გარეშე პირებს იხმარიებს. ისინი ქვას „რკინის კეტებით“ ეზიდებიან. ვაკეზე, მოხერხებულ ადგილას ქვის მოთავსების შემდგომ ოსტატი იწყებს ამ ქვის „გაკოპიტებას“—„სათლელი წერაქვით“ ზედმეტი ნაწილების გაცლას. ის უნდა დააყენოს საფლავის ქვის ჩვეულებრივ ზომაზე. საფლავის ქვის ზომა თიანეთის მოხელეებისათვის არის: სიგრძე—2 არშინი, სიმაღლე—3 ჩარექი და ბოლო—2 ვერშოკით ნაკლები. ამ ზომაზე დაყენებულ ქვას „გაკოპიტებული ქვა“ ეწოდება. „გაკოპიტებული“ ქვა ურემზე იდება. ის უკვე მზადაა შინ წასაღებად.

საფლავის ქვის სპეციალური დამუშავება შინ (თიანეთში) ხდება. აქ მას პირველად „ბრტყელი კალმით“ „გათლიან და ჩაასწორებენ“, შემდეგ გათლიან, ე. ი. „სათლელი წვერიანი წერაქვით“ და ფოლადის „ბრტყელი კალმით“ ქვის უსწორ-მასწორო ამობურცულ ადგილებს ააცლიან, და კვლავ „ბრტყელი წერაქვითა“ და ფოლადის „ბრტყელი კალმით“ კუთხეებს გაუკეთებენ. კუთხეების სწორად გამოყვანისათვის „გონიო“ იხმარება. გონიო 3×2 ჩარექიანია და მთლიანად ფოლადისაა იმისათვის, რომ ხმარების დროს არ მოიხაროს ან, პირიქით, არ გაიშალოს. გათლილ და კუთხეებგამოყვანილ ქვაზე ოთხკბილა „საქეჟი წერაქვით“ მაღალ და დაბალ ადგილებს ასწორებენ. ამ სამუშაოს მოსდევს ქვის „დაქეჟვა“ თექვსმეტკბილიანი „საქეჟი ჩაქუჩით“, რომელიც მთლიანად ფოლადისაა, შემდეგ „მოკოდვა“ ფოლადისავე „საკოდელით“ და, ბოლოს, „გახეხვა“ ქვის ნაჭრით, რომელსაც „ქასური“ ეწოდება; დამუშავებულ ქვას წყალს გადაავლებენ და ქასურით ისე ხეხავენ. ამით თავდება ქვის ოსტატის მძიმე სამუშაოს მეორე ნაწილი. ქვა მზად არის მასზე წმინდა და სუფთა ხელობის შესასრულებლად—სახატავად და საწერად.

ქვაზე „დახატვა“ და „დაწერა“, ასოების გამოყვანა, თავის მხრივ შეიცავს ერთი მეორის მიმდევნო ორი სახის სამუშაოს. პირველია, ქვაზე სახეების ამოკვეთა და ასოების ამოღარვა; მეორეა, ქვის სხვადასხვა ფერის საღებავებით შემკობა.

ეს მუშაობა მოითხოვს შემდეგ იარაღებსა და ხელსაწყოს: ფოლადის „საწერ კალმებს“ და „ხელკვერს“, „კვერს“ ანუ „ხელის ჩაქუჩს“ (რომელსაც აქვს ფოლადის „ყუა“ და შვინდისგან გათლილი „ტარი“) გამოსახულებათა ამოსაკვეთად და ასოების ამოღარვისათვის, ხოლო გასაფერადებლად—„ბატის ფთის ფუნჯს“, „ნაყიდ ფუნჯებს“, ნახშირს და საღებავებს, რომელთაგან თითქმის მუდმივად იხმარება წითელი, ყვითელი, შავი, თეთრი და „მტრედისფერი“—შავი და თეთრი საღებავების შენაერთი. ქვის შესაღებავ არეს ოსტატი პირველად მთლიანად თეთრად შეღებავს და შემდეგ სხვა ფერად საღებავებს ხმარობს.

აღნიშნულ ხელსაწყოსა და იარაღების გარდა ქვის მოხელე იხმარიებს ადამიანის გამოსახულების სწორად გამოყვანისათვის ფოლადის „ფარგალს“ და სწორი ხაზების ნახშირით გასახაზავად „შიმშას“ (იარაღების სურათები იხ. გვ. 155)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტია ჯაშიაშვილი იცნობს საფლავის ქვების მოხელეობის სამ სკოლას: თბილისისას, დუშეთისას და თელავისას; უკანასკნელის ტრადიციების გამგრძელებლად თავისი სახელოსნო მიაჩნია, რის საბუთად მარტიას სხვათა შორის ხალხური ანდაზაც-კი მოჰყავს. ნათქვამიაო, ამბობს ის, რომ „ნათლულს ნახევარი გვერდი ნათლიისა აქვსო". თელაველი სკოლის საუკეთესო ოსტატი კი ჩემი ნათლიაც იყო და მასწავლებელიც. ამიტომ ნახევარი გვერდი თუ მისმა ნათლობამ მომცა, მეორე ნახევარი მასთან შეგირდად ყოფნამ შემმატაო.

მარტიას შეხედულებით, დასახელებული სამი სკოლის მოხელეობა ერთურთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. თბილისის სკოლიდან, ზოგადად რომ ითქვას, კარგი ხელობის საფლავის ქვები გამოდისო. ამ სკოლის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ სახეები ქვაზე ღრმად არის ამოკვეთილი, რის გამო სურათი მეტად რელიეფურია და ამიტომ მას მეტი სიცხოველე ახასიათებს. სილამაზის გარდა ამგვარი ხელობით გაკეთებული მხატვრობა გამძლეც არის, ვინაიდან ღრმა რელიეფი დიდი ხნის განმავლობაში არ იშლებაო. მარტია ფიქრობს, რომ ამგვარი ხელობის განვითარებას ხელს უწყობს თბილისელი ოსტატების მიერ ხმარებული ქვის ჯიში: ის მეტის-მეტად „ბანდია" და ოსტატს როგორც უნდა ხელში ისე მოსდევსო.

დუშეთური სკოლა მეტად სუსტიაო, გვარწმუნებს მარტია. ის მდარე ღირსების საფლავის ქვებს უშვებს, მის მხატვრობაში მოცემულია კლანჭებივით მოკლე და წვრილი თითები, გრძელი და სწორად გადაჭრილი ნიკაპი და ცუდად მომრგვალებული თავიო.

თელავის სკოლა არსებითად სოსიკო ქურციკაშვილმა შექმნა, თუმცა ორი-სამი თაობით მასზე ადრე იქ ქვის მოხელეობა არსებობდაო. მარტიას სმენია, რომ თელავში საფლავის ქვების გათლა და მათზე წარწერების ამოღარვა პირველად „საბერძნეთიდან" მოსულმა ერთმა მოხუცმა „ბერძენმა" შემოიტანაო. ქვაზე სურათების ამოკვეთა და მათი ფერადებით შეღებვა ამ მოხუცს არ სცოდნია. თელავში ოსტატობის დროს მას გამოუზრდია კახელი სანდრო ალიაშვილი, რომელიც თურმე თავის საქმიანობაში ზედმიწევნითი სიზუსტით ასახავდა მასწავლებლის ხელობას, მაგრამ ახალი ამ ხელობაში არაფერი შეუტანია.

მარტიას მიერ დიდ ხელოვანად მიჩნეული სოსიკო ქურციკაშვილი, მარტიას ოსტატი, აღნიშნული სანდრო ალიაშვილის ნაშეგირდალი ყოფილა. ვიდრე ქურციკაშვილი ქვის ხელობას შეისწავლიდა, მას დაუფლებული ჰქონია ქაშანური ჭურჭლის კეთების საქმე. ამის წყალობით სოსიკომ თურმე კარგად იცოდა დახატვის ხერხები და ფერების შეხამება, რამაც ხელი შეუწყო მის ნოვატორობას საფლავის ქვების მოხელეობის საქმეში.

სოსიკო ქურციკაშვილს, ქვის ოსტატად გახდომის შემდგომ, „ბერძნისაგან" მომდინარე მოხელეობაში კარდინალური ცვლილება შეუტანია: მას დაუწყია ქვებზე სახეების ამოკვეთა და ზეთის ფერადი საღებავებით მათი შეფერადება. მხატვრობის ეს ხერხი გადაუღიათ თელავის დანარჩენ ქვის ოსტატებს და ამგვარად თელავში საფლავის ქვების კეთების ახალი სახე დამკვიდრებულა.

როგორც აღვნიშნეთ, მარტია ჯაშიაშვილი თელავის სკოლიდანაა გამოსული და ის თავისი ძმითურთ თიანეთში ამ სკოლის ტრადიციებს აგრძელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ხელობის თავისებურება მხოლოდ ისეთ დეტალებში მჟღავნდება როგორიცაა, მაგალითად, ქვაზე გამოსახული მიცვალებულის შემოსვა და შემკობა თიანეთის რაიონის მოსახლეობის მიერ ხმარებული ტანისამოსითა და სამკაულებით. რაც შეეხება თვით მხატვრობის მიმართულებასა და ქვის გათლის ტექნიკას, ისინი, თელავის ოსტატების მსგავსად, ცდილობენ ადამიანის რეალისტური გამოსახულების მოცემას და არ ამახინჯებენ ადამიანის სხეულის ნაწილებს, რაც თითქოს დუშეთის სკოლისათვის ყოფილა დამახასიათებელი. თბილისის სკოლისაგან კი თელავისას და მის თიანეთის „ფილიალს“ ასხვავებს სახეების ამოკვეთის ტექნიკაში მცირე რელიეფი. ეს ვითარება გამოწვეულია უმთავრესად იმით, რომ თელავსა და თიანეთში ხმარებული საფლავის ქვების ჯიში შედარებით ფიცხია და მაგარი და ამიტომ ოსტატი ვერ ახერხებს სახეების ღრმად ამოკვეთასო.

დაბოლოს, აღსანიშნავია ერთი საყურადღებო გარემოებაც. საფლავის ქვების კეთების დროს სახმარებელი იარაღების დიდ უმრავლესობას, მარტიას თქმით, თვით ქვის ოსტატი ჰედავს, ვინაიდან მჭედელი, რაც უნდ კარგი მცოდნეც არ უნდა იყოს თავის ხელობისა, ვერ ახერხებს ამ იარაღების, მათი ნაწილებისა და დეტალების შესაფერისად გამოყვანას და მათთვის საჭირო გამძლეობის მინიჭებასო. ამავე მიზეზით ქვის ოსტატი თურმე თავის გაცვეთილსა და გატეხილ იარაღებსაც თვითვე შეაკეთებს ხოლმე.

„ბატონების“ კულტის გადმონაშთები ივრის ხეობის ფშავლებში მკრთალადღაა შემონახული. სამაგიეროდ აქაურ კახებში ეს გადმონაშთები ჯერ კიდევ გვხვდება. 64 წლის პელო მიდელაური გვიამბობს: ყვავილს, წითელას, ქუნთრუშას, ყივანახველას „ბატონები“ ეწოდება. ისინი ანგელოზები არიან. როდესაც რომელიმე ოჯახის ბავშვს წითელა ან ყვავილი ეწვევა, ამ ბავშვს სამი დღე-ღამის განმავლობაში გააცხელებს და მეოთხეზე გარედან დააყრის. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს „ბატონების“ მობრძანების ნიშანია, ამისათვის მკითხავი საჭირო არ არის; ამ დროს მკითხავის დაძახება არც არის მიღებული—„ბატონებს“ სწყინთო.

ყვავილბატონებიან ბავშვს თეთრები უნდა; ნათქვამია, ყვავილს თეთრი თავები აქვსო. ხოლო თუ ბავშვს წითელბატონები შეეყარა, მაშინ მასაც და იმ ოთახსაც, სადაც ის წევს, წითლით ამკობენ.

ბატონებიანი ავადმყოფის ლოგინზე შაქარს გადააყრიან და მისი ლოგინის მახლობლად კედლის თახჩაში სუფრას გაუფენენ. სუფრაზე აწყობენ ჩამიჩს, ფოჩებიან კამფეტებს, ვაშლს და სხვა ხილეულს, საზოგადოდ ყოველგვარ ხილეულსა და ტკბილეულს, გულამოჩვრეტილ პატარა მრგვალსა და თხელ კვერებს და სხვ. თუ ბატონები ყვავილობის დროს მობრძანდნენ, მაშინ სუფრას მინდვრის და ბაღის სხვადასხვაგვარი ყვავილებით შეამკობენ. ამბობენ, ამ სუფრაზე ბატონები ისიამოვნებენო.

იმ სახლში, სადაც ბატონები ბრძანდებიან, საქმის გაკეთება არ შეიძლება. მხოლოდ დედაკაცები „ტარს“ თუ დავაბრუნებთ—ბატონებს ელხინებაო. არც ქათმის დაკვლა და არც რისამე დულება, ან სარეცხის გარეცხვა ბატონებიან ოჯახში არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის პირები, რომელთაც ბატონები არ უხდიათ, ბატონებიან ოჯახს ერიდებიან, ასეთ სახლში არ შევლენ—ბატონები გაგვყვებაო. მხოლოდ შინაურები და მახლობლები ართობენ ავადმყოფს—ფანდურზე უკრავენ, „იავ-ნანას“ მღერიან და თამაშობენ. განსაკუთრებით „დაგიჟდებიან“ დედები და ბებიები. ოღონდაც ბატონებმა ჩვენ შვილს ან შვილიშვილს ულხინოსო და ხტიან, ბუქნაობენ, სასაცილოდ იმანჭებიან და იგრიხებიან. როდესაც ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია, მაშინ ისინი სრულიად გაშიშვლდებიან და ისე თამაშობენ. ცოლქმრული კავშირის დაჭერა ბატონებიან ოჯახში არ შეიძლება.

ბატონებიან ოჯახში ყოველ საღამოს კერაში ბაზმას ანთებენ—ნიგოზს ცეცხლს წაუკიდებენ და კერის პირად დადებენ.

როდესაც ავადმყოფი მორჩება ბავშვის სუფრას „ქერქეჭელაზე“ (ხის ქერქზე) გადაიტანენ, „გზაჯოროდინზე“ გავლენ და ამ ქერქეჭელას ღობეში შეარჭობენ—ამას „ბატონების გადალოცვა“ ჰქვია. ქერქეჭელაზე გაწყობილ საჭმელს ჩვეულებრივ ფრინველები შესჭამენ, მას ადამიანი არ გაეკარება, ეშინია—ბატონები არ გამომყვესო.

ბატონებმა ხშირად თვალის სისნეულის დატოვება იციან. „კვირიაობა“ დღეს ასეთი ავადმყოფის სახელზე კვირიაში ქათმის მამალს შეუფრენენ—თვალით ავადმყოფს თვალები მოურჩებაო.

პელო მიდელაურს „იავ-ნანას“ საგალობლის მთლიანი ტექსტი აღარ ახსოვს. მისგან ჩავიწერე ამ საგალობლის შემდეგი ფრაგმენტი:

იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავ ნანინაო.
ბატონების მამიდასა,
იავ ნანინაო,
ქვეშ გაუშლი ხალიჩასა,
ვარდო ნანინაო.
ფარჩის საბანს წამოვასხამ,
იავ ნანინაო.
ჩვენს ყმაწვილებს ულხინევით,
ვარდო ნანინაო.
შვიდობითაც მაჯბრძანდებით,
იავ ნანინაო.
შვიდობითაც წაჯბრძანდებით,
ვარდო ნანინაო.
გაუმარჯოს თქვენ მოსვლასა,
იავ ნანინაო.
გაუმარჯოს თქვენ წასვლასაც,
ვარდო ნანინაო.
ჩანგურითაც გაგისტუმრებთ,
იავ ნანინაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფრასათამც მოგართმევთა,
ვარდო ნანინაო.
იას და ვარდს გაგიფენთა,
იავ ნანინაო.

აღსანიშნავია, რომ ივრის ხეობის მოსახლეობაში (ფშავლებში, ხევსურებში და კახებში) ბარბალეს სახელწოდებით ამ ღვთაების თუ წმინდანის კულტის გადმონაშთები არ მოწმდება.



ჩაჩარები და შიგნითა
სამკაულები, მძივები და
საყურები ოქროსა;
კაბა, ბალთი და გარეთა
სამკაულები მაუბრეშუმისა-
ნი;
სანდალები, ხელები, და ფეხე-
ბი კანისფერი;
თმა, წარბები, ქუთუთო,
მაჩვალი და ბეჭ-
ნი შავია;
თვალი ფაფარებულია:
და ისევე შელებილ

ეროვნული ბიბლიოთეკა



22 ივლისი. სოფ. ზემო-თიანეთი, ტუშურები. ზემო-თიანეთი დიდი სოფელია, რომელიც მრავალი უბნისაგან შესდგება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ უბნების უმრავლესობას ცალკეულ სოფლებად მიიჩნევს და მათ ასეც უწოდებენ. ეს უბან-სოფლები, მცირედი გამონაკლისის გარდა, გვარის სახელებს ატარებს. ასეთებია:

ჯერგალიძეები	ღვინიაანები
უშკიანეები, ანუ ხოფცა	წიკლიაანთკარი
ზარიძეები	მგელიანები, ანუ ალაჭანი
იარაჯულები	ბიჩელაანები
ჯანგირაანი	კახუაანები.

დანარჩენების სახელებია: ტუშურები, ჯიჯეთი და ვერხველი.

თითქმის ყველა უბან-სოფელს თავისი სალოცავი ხატი გააჩნია. ეს სალოცავები კვირიას, ჭმალას და კოპალეს სახელობისაა. ამათგან ყველაზე გავრცელებულია კვირიას სალოცავი, რომლის ნიში თითქმის ყველა ჩამოთვლილ სოფელში დგას.

საკულტო ძეგლებით განსაკუთრებით სოფელი ტუშურებია მდიდარი. ისინი მოთავსებული არიან გორაკზე, რომელიც სოფელს სამხრეთიდან აკრავს. ეს ძეგლებია: „ლაშარის ჯვარი“, „ღვთისმშობლის ბეღელი“, „კვირია“, „ღვთისმშობელი“, „ვაჩნაძეების ხატი“, „თეთრი გიორგი“ და „ფუძის ანგელოზი“.

ლაშარის ჯვარი ოთხკუთხი ფორმის ნიშია აგურითა და ქვა-კირით ნაგები. სახურავი ორწახნაგოვანი აქვს, ქართული კრამიტით გადახურული. სამი მხრით—დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით—ნიშში ოთხკუთხი მოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილობის თახჩებია დატანებული. ფასადი აქვს დასავლეთით, სადაც აღმოჩენილი თახჩა თაღიანია. ფასადის კედელში აგურის სათანადო წყობის საშუალებით გამოყვანილია ჯვარის გამოსახულება, რომლის თავზე ქვისაგან გამოქანდაკებული ადამიანის გამოსახულებაა ნაწილობრივ კედელში დატანებული. ამ გამოსახულებას ადგილობრივი მოსახლეობა „ლაშა გიორგის“ ანუ „ლაშარს“ უწოდებს. „ლაშა გიორგის“ თავი ნიშზე აღმართული რკინის ჯვარის საყრდენს წარმოადგენს. ლაშარის ნიშის გვერდზე გარეული ვაშლის ხე დგას. ნიშს გარშემო ჰქონია საკირე ქვისაგან ნაგები მრგვალი გალავანი, რომელიც ამჟამად დანგრეულია.

ხალხის გადმოცემით, ლაშარის ჯვარის ადგილზე უწინ რაღაც ძველი შენობის ნანგრევი ყოფილა. აქ ერთხელ თურმე „ლაშარი“ მობრძანებულა თავისი ლაშქრით და მათ ამ ადგილზე შეუსვენიათ. „ლაშარის“ პატივსაცემად და ამ ამბავის ნიშნად ხალხს იქ ლაშარის სალოცავი აუგია.

მოსახლეობის რწმენით, „ლაშარი“ „თამარ-დედუფლის“ შვილია. „თამარ-დედუფალი“ თურმე ქალწული იყო და გათხოვებას არ აპირებდა. ხალხს ძალიან სწყინდა ეს ამბავი—ჩვენი მეფე უძეოდ გადაშენდებაო. ერთხელ ვაზირები შეყრილან და გადაუწყვეტიათ—ერთი ჩვენგანი თამარს უნდა შეეუღლოსო. კენჭი უყრიათ და „დედუფალთან“ მისვლა ერთ ვაზირს რგებია. ის ღამით მისულა თამართან, მძინარეს მიჰპარვია და „ლაშარიც“ მაშინ ჩასა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულა. „ლაშარი“ მეტად უშნო დაბადებულა, დიდი ლაშებიანი. დედას არ მიუღია ასეთი შვილი და უბრძანებია—წადით, სადმე გადააგდეთ, მოჰკალითო. ხალხს ბავშვი სასიკვდილოდ ვერ გაუმეტებია და ის ფარულად გაუზრდიათ. დიდი რომ გამხდარა, დედასთან მიუყვანიათ და უთქვამთ—აი ეს არის შენი განწირული შვილიო. თამარს შვილი მიუღია. „ლაშარ გიორგი“ თურმე, თუმცა მეტად ულამაზო სახისა იყო, მაგრამ ტანად ახოვანი და გულადი ვაჟკაცი ყოფილა. მას ყველგან ლაშქარი დაუდიოდა თავისი ხალხის მტრების წინააღმდეგო.

ლაშარობა ამ ხატში აღდგომა დღესა და შემოდგომის გიორგობას სცოდნიათ. იგი სასოფლო დღეობაა. საზოგადოდ ტუშურების ხატების დღეობები ყველა სასოფლოა. ასეთი სასოფლო დღეობები აქ წელიწადში რამდენიმეა—ზემოაღნიშნულის გარდა, მარიობა, კვირაცხოვლობა და სხვ. თითოეულ დღეობაზე მორწმუნე სოფლელები ყველა ხატს ჩამოიოლოცავდნენ ხოლმე. ამ დღეობებზე მოდიოდნენ ტუშურებიდან შორს გათხოვილი ქალებიც და თან შესაწირავები მოჰქონდათ. მორწმუნენი ამ დროს თავის სალოცავებს სწირავდნენ ქადებს, თეთრი ფერის თავსაფრებსა და ნაჭრებს, ვერცხლის ფულს, საკლავებს (ვერძებს) და სხვ.

ხატების გარშემო გორაკზე მოთავსებული საყანე ადგილები უწინ ყველა ამ ხატებისა ყოფილა. მათ მაშინ თურმე მთელი სოფელი ამუშავებდა და მოწეულ ხორბლეულს სახატო ბეღელში ინახავდა. მოჰყავდათ უმთავრესად ქერი და პური, მათგან არაყსა და ლუდს ხდიდნენ და დღეობებზე სასოფლოდ ხარჯავდნენ. თუ კერძო პირი გაბედავდა ამ მამულის მოხვნას, მას, ხალხის რწმენით, ხატი გააგიჟებდა.

ზემოაღნიშნული „ღვთისმშობლის ბეღლის“ ნანგრევები ლაშარის ჯვარის მახლობლად მდებარეობს. მოსახლეობა გადმოგვცემს, რომ „ბეღლის“ აგებამდე ამ ადგილზე რაღაც ძველი შენობის ნაშთი იყოო.

ლაშარის ჯვარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, კირცხილისა და მუხის ხეებს შუა, დგას „კვირიას ხატი“—აგურითა და ქვა-კირით ნაგები ოთხკუთხი ფორმის ნიში, კრამიტით გადახურული ორწახნაგოვანი სახურავით, ფასადით დასავლეთის მხარეს და ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებში დატანებული თახჩებით, რომელთაგან დასავლეთის თახჩა თაღიანია, ხოლო ჩრდილოეთისა ვიწრო და მაღალი, სპარსული ყაიდის ტეხილი წვერიანი თაღით.

მორწმუნეთა წარმოდგენით, კვირია შუამავალია ღმერთსა და ადამიანებს შორის და ის ღვთის კარზე დგას. კვირია პირველად ადამიანი ყოფილა და მხოლოდ შემდეგში გამხდარა ანგელოზიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი დღეობა კვირაცხოვლობას და აღდგომას მოდის. დღეობების გარდა, კვირიას ნიშთან ცალკეული ოჯახებიდან მლოცველები ყოველ კვირაძალზე მიდიოდნენ და ღამეს ათევდნენ ხოლმე.

კვირიას ხატის ზემოთ, გორაკის წვერზე, იფნის, კირცხილას, მუხის, ნეკერჩხლის, წიფლის, პანტისა და მაჟალო ვაშლის ბებერი ხეებისაგან შემდგარ ტყეში მოთავსებულია „ღვთისმშობლის ხატი", რომელიც „საზარეს", „ტრაპეზს", მლოცველთა თავშესაფარ „დარბაზს" ანუ „საჯარეს" და თვით ამ ტყეს მოიცავს. „ტრაპეზი" აგურითა და კირით ნაგებ კვადრატული ფორმის პატარა სამლოცველო შენობას წარმოადგენს. მას აქვს კვადრატულივე მოყვანილობის აგურის



იატაკი, დასავლეთით კარი, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში თითო პატარა და მოგრძო სარკმელი და აღმოსავლეთის კედელში კვადრატული ფორმის თახჩა, რომელშიც რუსული ხელობის ხატები ასვენია: ღვთისმშობლისა (4 ცალი), წმ. ნინოსი, წმ. გიორგისა (2 ცალი) და თამარ მეფისა. თახჩის ნაპირებზე შემოყოლებულია ხის ჩარჩო, რომელიც შემკულია მლოცველთა მიერ შეწირული მარლისა და მიტკლის თეთრი ნაჭრებით, სხვადასხვა ზომის მომცრო ზარებით (სულ 5 ცალია), საგულე ჯვარით ძეწკვითურთ, ბეჭდით და პატრუქად სახმარი ბამბის თეთრი გრეხილი ძაფით. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ დგას ორი დაბალი სუფრა, ერთი კვადრატული ფორმისა, მეორე მოგრძო. უკანასკნელს აქვს სამი მოჩარხული ფეხი (რომელთაგან ერთი სუფრის ცენტრალური ნაწილის საყრდენს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ფეხები სუფრის ცალ ნაპირს ამაგრებენ). სამხრეთის კედლის გასწვრივ გაკეთებულია ფიცრის ბრტყელი თარო, რომელზეც აწყვია: თიხის პატარა ქვევრი, რკინის მოგრძო ოთხკუთხი ფორმის ყუთი, დიდი ზომის გატეხილი ზარი რუსული და უფრო გვიანი დროის ამოკაწრული ქართული წარწერებით, 16 ცალი ქაშანური ჯამი, დროშის ტარი—2 ცალი, რკინის 4 შამფური, ბოთლი და რკინის პატარა მრგვალი კოლოფი. რკინის ყუთში ჩაწყობილია მლოცველთა მიერ შეწირული მიტკლის თეთრი თავშლები, მიტკლისავე თეთრი შარვლები ბავშვისა, მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები, ბამბის თეთრი გრეხილი ძაფები პატრუქისათვის და სხვ. თახჩის წინ დგას ნამწვარი სანთლისგან გაშავებული ქვის პატარა „საკურთხეველი", რომელზეც რკინის წყვილი შანდალია მოთავსებული.

ტაბულა VIII



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაპეზად წოდებულ სამლოცველო შენობაში ტუშურელი მღვდელი სწირავდა ხოლმე. ხალხი ამ მღვდელს დაცინვით იხსენიებს. ის თურმე ადგილობრივ ჭევისბერებს ღვთის მსახურებას უწუნებდა და ამ ნიადაგზე მათთან მუდმივი უსიამოვნება ჰქონია.

„ტრაპეზის“ სამხრეთ-დასავლეთის კუთხესთან „ღვთისმშობლის საზარეა“ ქვით, აგურით და კირით ნაგები. მისი ოთხწახნაგოვანი სახურავი თუნუქითაა გადახურული. სახურავის წვერზე ვერტიკალურად დადგმულია მოგრძო და გვერდებზე მომრგვალებული თიხის წოწოლა, რომელშიც რკინის ჯვარია დამაგრებული. „საზარე“ მიწიდან შუაწელამდე ოთხკუთხი ფორმისაა, ჩრდილოეთის კედელში დატანებული სასანთლე თახჩით; შუაწელიდან-კი იგი ოთხ სვეტადაა აყვანილი, სვეტების თავებში შიგნიდან დამაგრებულია ჯვარედინად გადებული წყვილი ხე, რომლის ცენტრში ამ რამდენიმე წლის წინათ ზარი ყოფილა ჩამოკიდებული. ამჟამად ამ ხეებზე შეწირული მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები ჰკიდია. „ტრაპეზი“ და „საზარე“ კირითაა შელესილი.

მათ ირგვლივ ტყეს „ღვთისმშობლის ტყე“ ეწოდება. ეს ტყე დღესაც შეუვალია: მორწმუნეები იქიდან ნაფოტის გამოტანასაც-კი ერიდებიან — ხატი გვიკრძალავსო. მხოლოდ დღეობების დროს მლოცველთ შეუძლიათ ცეცხლის ასანთებად ტყეში წაქცეული ხეებითა და ფიჩხით ისარგებლონ. ამ ტყეში, „საზარესა“ და „ტრაპეზის“ მახლობლად, საღვინე ქვევრებია უხსოვარი დროიდან მიწაში ჩაფლული. ჩვენ ექვსი ასეთი ქვევრი ვნახეთ. ადგილობრივ მოსახლეობას ეს ქვევრები სახატო ღვინის ჭურჭლად გამოუყენებია. აქაურ ხატებს კახეთში ზვრები ჰქონდა, საიდანაც დღეობებისათვის ღვინოს ვეზიდებოდით და ამ ქვევრებში ვინახავდითო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყის ნაპირზე, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, დგას მლოცველთა — თეთრეკა შესაფარი ე. წ. „საჯარე“ ანუ „დარბაზი“—ქვითკირის გრძელი შენობა, კრამიტით დახურული ორწახნაგოვანი სახურავით. მას ფასადი სამხრეთით აქვს. შენობა ორი ოთახისგან შესდგება: ფასადიდან მარჯვნივ ქალების სადგომია და მარცხნივ კაცებისა. თითოეულ მათგანს თითო კარი აქვს ფასადის მხარეს. კაცების ოთახში აღმოსავლეთის კედელში მოწყობილია ბუხარი და ბუხრის გვერდებზე ოთხი—ორი დიდი და ორი პატარა—თახჩა. ჩრდილოეთის კედლის გასწვრივ ერთმანეთზე მიწყობილი ფიცრებისგან შეკრული განიერი ტახტი დგას. თახჩები დანარჩენ სამ კედელშიცაა დატანებული, თითო კედელში თითო თახჩა. საქალებო ოთახს-კი ერთადერთი სარკმელი მოეპოვება ფასადის მხარეს; არც ბუხარი და არც თახჩები მას არ გააჩნია. მთხრობელთა ცნობით, მლოცველ ქალებს კაცების ოთახში შესვლა აკრძალული ჰქონდათ.



ეს „დარბაზი“ ანუ „საჯარე“ აგებული ყოფილა ამ 30-ოდე წლის წინათ ტუშურელი ნევიბერის ძმის მიერ. ამაზე ადრე აქ ხის „დარბაზი“ მდგარა, რომელსაც ხანძარი გასჩენია და გადამწვარა. ვინაიდან ეს მომხდარა აღნიშნული ნევიბერის ძმის მიზეზით (რომელსაც „დარბაზში“ ანთებული სანთელი დარჩენია და ამის გამო ხანძარი გაჩენილა), მას სამაგიეროდ ახალი ქვითკირის შენობა აუგია.

გორაკის პირზე, საჯარედან დასავლეთის მიმართულებით, დგას „ვაჩნაძეების ხატი“—ქვითკირით ნაგები და კირით შელესილი ოთხკუთხი მოყვანილობის დაბალი ნიში, რომლის თავი ორწახნაგოვანია ქვის თავისებური წყობის წყალობით. მასზე რკინის პატარა ჯვარია აღმართული. ნიშს ფასადი დასავლეთით აქვს. ფასადის მხარეს და ჩრდილოეთის კედელში (თითქმის მიწის პირად) თახჩებია დატანებული—თითო კედელში თითო, ხოლო აღმოსავლეთის კედელში წყვილი თახჩაა ერთი მეორის თავზე მოწყობილი. ნიშის გვერდით მიწაში ჩასმულია „ჩხა“—გათლილი კაპებიანი ხე, რომელზეც დაკლულ სამსხვერპლოებს გასატყავებლად ჰკიდებენ ხოლმე. ამჟამად ჩხაზე შეწირული თეთრი ნაჭრებია ჩამოკიდებული. ამგვარივე ნაჭრები დიდი რაოდენობით შემოხვეული აქვს ხის გამხმარ ტოტს, რომელიც ნიშის წინ გდია.



„ვაჩნაძეების ხატი“ ახალი დროის ნაგებობაა. იგი ამ ორმოციოდე წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა







წინათ კახეთიდან გადმოსახლებულ ორ მეკომურ ვაჩნაძეს აუშენებია. გადმოსახლების დროს მათ კახეთიდან ერთი კენჭი თან გამოუყოლებიათ და ამ ნიშის აგების დროს მის კედელში ჩაუტანებიათ. ეს ხატი მხოლოდ ამ ვაჩნაძეების სალოცავს წარმოადგენს.

ლაშარის ჯვარის გასწვრივ, დასავლეთის მხარეს, „თეთრი გიორგის ხატია“ დაფუძნებული. ამ ხატის კომპლექსს „წმინდა“ ხე და ორი ნიში შეადგენს. იშვიათი ჯიშის ბებერი „წმინდა“ ხე წაქცეულია და გამხმარი. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ხეშავს“ უწოდებს (რადგან ამ ხემ შავი ნაყოფის მოსხმა იცოდაო). „თეთრი გიორგის“ კომპლექსიდან ხალხის მთავარ სალოცავს ეს „წმინდა“ ხეშავი წარმოადგენს. „წმინდა“ ხის ტოტები შეწირული მიტკლის თეთრი ნაჭრებითა და ბრინჯაოს ძველი (მწვანე პატინით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკრული), საყურადღებო ფორმის პატარა ზარითაა შემკული. ხესთან მიწის პირად ძველი ნაგებობის ნაშთია, რომელიც გეგმაში ელიპსის მოყვანილობისა ჩანს.

ხეშავის გვერდით დგას ქვით, აგურით და კირით ნაშენი უჩვეულოდ მაღალი და ვიწრო ნიში, მიწიდან შუაწელამდე ოთხკუთხი ფორმისა, მასზე აღმართული და ზემო ნაწილში კამარებით შეკრული ოთხი სვეტით, აგურით გადაყვანილი ოთხწახნაგოვანი სახურავით და მთლიანად კირით შელესილი. ნიშის დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებში (მიწიდან ოდნავ დაშორებით) დატანებულია თითო-თითო თანაბარი ზომის თახჩა, ხოლო ჩრდილოეთის კედელში—ერთი დიდი და მეორე მცირე, ერთურთისადმი ვერტიკარულად მიმართული, თახჩებია. ჩრდილოეთის კედელშივე ჩადგმულია თიხის მილი პატრუქისა და სანთლების შესანახად. ნიშს გარშემო ბამბის თეთრი ძაფი აქვს (მლოცველთაგან) შემოხვეული. გადმოგვცემენ, რომ ეს ნიში ჯვისბერებს აუშენებიათო.

„თეთრი გიორგის“ მეორე ნიში პატარაა, მშრალად ნაგები. იგი სოფლის ბავშვებს დაუდგამთ და ცდილან დიდების მიერ ნაშენები ნიშისათვის მიემსგავსებინათ.

ტუშურების კიდევ ერთი ხატი, ე. წ. „ფუძის ანგელოზი“, განმარტოებით დგას, ღვთისმშობლის სალოცავიდან დასავლეთის მიმართულებით. ამ ხატის დაარსების შესახებ შემდეგს გადმოგვცემენ. 35-40 წლის წინათ ერთი ტუშურელი კაცი აძრახებულა, დაუწყია ხალხში ქადაგობა—ამადაამ ადგილას ფუძის ანგელოზი ბრძანდებაო. ის იმ ადგილზე მისულა და ჯერ თავის ხელით ყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რე აუგია ხატის „სასანთლედ“, შემდეგში-კი მოხელესათვის ქვითკირის „საზარე“ აუშენებინებია. ამის შემდგომ იქ ხალხი „ფუძის ანგელოზს“ ლოცულობდა. ფუძის ანგელოზი ადგილმდებარეობის მფარველი ხატიაო, განმარტავენ მორწმუნენი.

ფუძის ანგელოზის „სასანთლე“ პატარა ბორცვზეა აგებული, გარშემო თხილის ბუჩქებით და ნეკერჩხლისა და კუნელის ხეებით შემორტყმული. იგი მეტად პრიმიტიული ნაგებობაა—ერთმანეთზე უბრალოდ მიყრილი ქვები წრის სახედ და ზემოდანაც ქვებით გადახურული. თხილისა და კუნელის ტოტებზე ჩამოკიდებულია მიტკლისა და მარლის თეთრი ნაჭრები, მათ შორის მარლის თეთრი პერანგიც. თხილის ტოტებზევე ჰკიდია პატარა ძველებური ზარი, ნახევარსფეროს ფორმისა, მწვანე პატინით გადაკრული. ნეკერჩხლის ტოტებზე ჩამოცმულია და იქვე მიწაზეც ყრია ძველად შეწირული კურატებისა და ცხვრების რქები.

ფუძის ანგელოზის „საზარე“ ჩვეულებრივი ფშაური საზარე-ნიშის ტიპისაა—მიწიდან შუაწელამდე ქვა-კირით ნაგები, ოთხკუთხი ფორმისა, მასზე აღმართული აგურ-კირით ნაგები ოთხი სვეტით, რომლებიც ერთმანეთს კამარებით და კამარებში ჩადგმული ნახევრად ოვალური ფორმის ფიცრებით უკავშირდება. სახურავი აგურითა და კირით არის გადაყვანილი; შიგნიდან იგი დარბაზული სახლის გუმბათის მსგავსია, გარედან კი ოთხწახნაგოვანი. სახურავის თავზე ვერტიკალურად დადგმულია თიხის პატარა და ოდნავ წახნაგოვანი წოწოლა, რომელიც რკინის ჯვარის საყრდენს წარმოადგენს. „საზარე“

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარედან კირით ყოფილა შელესილი (ამჟამად გადარეცხილია). მის კედლებში თახჩებია დატანებული, თითო კედელში თითო თახჩა. ორ თახჩაში შეწირული თიხის დოქებია შედგმული, მესამეში ფუტურო ხის ნაჭრები და ნაფოტებია შეყრილი, მეოთხე, აღმოსავლეთის კედლის თახჩა, გამოყენებულია სასანთლედ— გაქონილი და გაბოლილია მასში ნანთები სანთლებისაგან. აქ, თახჩის ზემოთ, მარცხენა მხარეს, კედელში ჩატანებულია თიხის ქოთანი, რომელშიც მლოცველთაგან შეწირული ორი ყანწი დევს. ერთ ყანწში ვერცხლის წვრილი ფული აწყვია, მეორეში-კი—ფულთან ერთად პატრუქი და ბამბის დაგრეხილ თეთრ ძაფზე ასხმული წყვილი სანთლის „მძივი“ ანუ „თვალის კაკლები“. „საზარეს“ ზარი არა აქვს, თუმცა სვეტების თავებში დამაგრებულია ორი ერთმანეთზე ჯვარედინად გადასული ხე ზარის ჩამოსაკიდებლად. სვეტებს შუა, ნიშის კვარცხლბეკზე დაწყობილია შეწირული თიხის ჯამ-ჭურჭელი: ქაშანური ჯამები 21 ცალი (ზოგი გატეხილია), თავმომტვრეული ქაშანური დოქი, თიხის წყვილი დოქი აგრეთვე თავმომტვრეული, ქაშანური ჩარექა, ფინჯანი, კულას მსგავსი, მაგრამ ფართოპირიანი ქაშანური პატარა სასმისი, ქაშანური სურა და თიხის პირფართე დოქი.

„ფუძის ანგელოზი“ ტუშურების ერთ-ერთ უძლიერეს ხატად ითვლებოდა. მის დღეობაზე ზოგჯერ შორეულ სოფლებიდანაც მოდიოდნენ და მლოცველები მას კურატებს (ანუ კურეტებს—ხარებს) სწირავდნენ.



საღამო ხანია. ცხენის ურემში ჩაჭედილი ექსპედიცია ქვემო-თიანეთს უახლოვდება. გორაკზე, რომელიც ამ სოფელს ჩრდილოეთიდან საზღვრავს, მოჩანს „წმინდა“ ხეებით შემოზღუდული „ცხრაკარას ხატი“, „ფაშათციხე“ და, გორაკის ძირში მდებარე, სოფლის სასაფლაო.

მათ პირდაპირ სამხრეთ-დასავლეთით აღმართული მთის ფერდობი თხელი ტყითა და ბუჩქნარითაა შეფენილი. ამ ტყის ზოლის პირად დგას „იაკსრის ხატი“, რომელიც შესდგება ქვა-კირით ნაგები პატარა ეკლესიისა და „საზარე“ და „სასანთლე“ ნიშებისაგან. სამივე შენობა კირითაა შელესილი. ეკლესიას აქვს კრამიტით დახურული ორწახნაგოვანი სახურავი, რომელზეც

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რკინის მცირე ჯვარია აღმართული. ეკლესიის ჭერი ხისაა. აღმოსავლეთის კედელში შიგნიდან განიერი საყურადღებო მოყვანილობის თახჩაა დატანებული, სამხრეთისაში—ვიწრო სარკმელი და კარი და ასეთივე სარკმელი და პატარა თახჩა ჩრდილოეთის კედელშია. ეკლესიის წინ დგას ბებერი რცხილა, რომლის ტოტებზე ჩამოკიდებულია მლოცველთა მიერ შეწირული თეთრი ნაჭრები (ზოგ მათგანში ფულია გამოკრული) და ზარი.

საზარე-ნიში მიწიდან შუაწელამდე ოთხკუთხი ფორმისაა აგურით და ქვაკირით ნაგები. ამ კვარცხლბეკზე აღმართულია აგურ-კირით აშენებული ოთხი სვეტი, რომლებიც ერთმანეთს კამარებით უკავშირდება. ნიშს თუნუქით გადახურული ოთხწახნაგოვანი სახურავი აქვს. აღმოსავლეთის კედელში მიწის პირად თახჩაა დატანებული. „საზარეს“ არც ზარი და არც ჯვარი არ მოეპოვება.

სასანთლე-ნიშიც ოთხკუთხი ფორმისაა აგრეთვე აგურით და ქვა-კირით ნაგები. მისი სახურავი ორწახნაგოვანია. აღმოსავლეთის კედელში ბუხრის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მაგვარი თახჩაა დატანებული, ხოლო დასავლეთის კედელში მომცრო თახჩებია (წყვილი), რომლებიც ურთიერთის მიმართ ვერტიკალურადაა განრიგებული; ზედა თახჩა თაღიანია, ქვედა-კი ოთხკუთხი ფორმისა.

„ცხრაკარას ხატი", „ფაშათციხე" და „იავსრის ხატი", ქვემო-თიანეთის სალოცავებია. იქ (შუა დაბაში) კიდევ ერთი ხატი მდგარა, მაგრამ იგი რამდენიმე წლის წინათ დაუნგრევიათ და ამჟამად ხატის ნაადგილევზე ნანგრევების კვალიც კი აღარ ჩანს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



23 ივლისი. იხინჭის ხატისა და დღეობა იხინჭობის შესწავლისას გაირკვა, რომ კოპალეს წარმართული კულტი წმ. გიორგის კულტთან არის შეერთებული და მორწმუნეთა წარმოდგენაშიც იხინჭის გორის წმ. გიორგი და კოპალე გაიგივებულია. მსგავს მოვლენას ჩვენ ვამოწმებთ იხინჭის წმ. გიორგისა და ღვთისმშობლის სალოცავების მიმართაც: იხინჭის წვერზე მოთავსებულ ქრისტიანულ საკულტო ძეგლთა კომპლექსს ღვთისმშობლის სალოცავსაც უწოდებენ და ,იხინჭის წმ. გიორგის ანუ კოპალეს მთავარ ხატსაც. ხოლო იხინჭის ფერდობზე რომ კოპალეს სალოცავია, ის ამ მთავარი ხატის ნიშიაო.

ცნობილი ფაქტია, რომ ძველ საქართველოში წარმართული საკულტო ძეგლების ადგილზე ქრისტიანული სალოცავები იქნა აღმართული (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 191). მაგრამ, როგორც ირკვევა, პირუკუც ხდებოდა: ძველი ტრადიციული რწმენით შეპყრობილი მოსახლეობა ქრისტიანულ ძეგლს წარმართულ სალოცავად ნათლავდა. და აი ამ ფაქტის აშკარა ილუსტრაციას წარმოადგენს იხინჭის წმ. გიორგი-კოპალესი და წმ. გიორგი-კოპალე-ღვთისმშობლის ზემომოყვანილი მაგალითები. უნდა ითქვას, რომ ანალოგიური მოვლენები საქართველოს სხვა კუთხეებშიც მრავალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩვენში მეორე საყურადღებო მოვლენაც მოწმდება. ორი სხვადასხვა უზენაესი არსების, წარმართული „ხატისა“ და ქრისტიანული წმინდანის, შეხვედრა-გაიგივების გარდა, ორი სხვადასხვა წმინდანი (არსებითად: ქრისტიანული სახელწოდებით შემონახული წარმართული ბუნების ღვთაებანი), მარიამი ანუ ღვთისმშობელი და წმ. გიორგი მორწმუნეთა რწმენა-წარმოდგენებსა და წესჩვეულებებში ერთმანეთთან რაღაც, თითქოს ინტიმური, კავშირით არიან დაახლოვებული. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ, მაგალითად, კახეთში სახელგანთქმული „თეთრი გიორგის“ მთავარი დღესასწაული მაინცდამაინც მარიობას მოდის. შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ეს ვითარება გამოწვეულია ორი სხვადასხვა წმინდანის სახელობის დღესასწაულთა უბრალო შეხვედრით. მაგრამ ეს რომ შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს, ამას სხვათა შორის ხევსურეთის მაგალითებიც გვიჩვენებს. ხევსურეთში ერთიდაიგივე საკულტო ძეგლი ხშირად ორი წმინდანის (ადგილობრივი ტერმინოლოგიით: „ხატის“ ანუ „ჯვარის“) სახელობისაა. ასე, მაგალითად, არდოტში ღვთისმშობლის ხატის (ჯვარის) „დარბაზი“ ამავე დროს წმ. გიორგის „დარბაზიცაა“, შატილში ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ხატებს ერთი „საქვაბე“ აქვთ და სხვ. რით აიხსნება ეს მოვლენა? შესაძლებელია აქ უძველესი ტრადიციის ძალა მოქმედებდეს. ვგულისხმობ იმ ტრადიციის ძალას, რომელიც უნდა შემუშავებულიყო ჩვენში იმდაგვარ წყვილად ღვთაებათა კულტის არსებობის საფუძველზე, როგორიც ხმელთაშუაზღვის აუზის უძველესი ხალხების რელიგიებს ახასიათებდა (ძველ ეგვიპტურს ისიდა—ოზირისის, ასურეთ-ბაბილონურს იშტარი—თამუზის, სირიულს კიბელა—ატისის, ძველ ბერძნულს აფროდიტე—ადონისისა და სხვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხინჭის წვერის კომპლექსი ქრისტიანული ხასიათის საკულტო ძეგლებისაგან შესდგება: ეკლესია, ორსართულიანი სამლოცველო შენობა და სამრეკლო. პირველ ორ შენობას, ამჟამად ნახევრად მორღვეული ქვის გალავანი აქვს შემოვლებული. შენობები ნაგლეჯი ქვითა და კირითაა ნაგები.

ეკლესია ბაზილიკური ტიპისაა, მეტად დაზიანებული, განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის კედლებში სარკმლებია დატანებული, თითო კედელში თითო სარკმელი. კარი დასავლეთით აქვს. შემონახულა ქვის კანკელის ნაშთები. ეკლესია ფრესკოვანი ყოფილა; ფრესკების კვალი აღმოსავლეთის კედელს შერჩენია. იქვეა ასომთავრული წარწერა; იკითხება მხოლოდ: „გვა კო რათა ძლიერება“. ჩრდილოეთის კედელზე მოცემულია სულის მოსახსენებელი წარწერები (აღაპები) აგრეთვე ასომთავრულით შესრულებული. თითოეული წარწერა შავი საღებავის ზოლითაა გამოყოფილი. იკითხება შემდეგი:

I 1 ან-ნიაშ-ლსა
2 ---- ლეს შ ----
3 -- რთმ --რსჯა -- შეშ
4 ვსა-[შეონ]დოს
5 ღერთმა

II 1 ------ ა ----- სლისა
2 ა --- [შეონდო] (?)
3 სღე [რ] თმ [ა]

III 1 ა-რა-რამა-ახ-მტძესა
2 ჯაბშანასა შეო[ნ]დოს ღერ
3 თმა იოველთა წყდრიშ
4 შვლსა შ [ეონ] დოს ღმერთმა



მეორე სამლოცველო კოშკის მსგავსი ორსართულიანი შენობაა. ქვემო სართული უკარ-სარკმლო, ბნელი ოთახისაგან შესდგება. ჭერი შუა ადგილას ოთხკუთხედათაა ამოჭრილი. ამ გზით პირველი სართული მეორე სართულს უკავშირდება. მეორე სართულიც ერთოთახიანია. ეს ოთახი პატარა სამლოცველოს წარმოადგენს, აღმოსავლეთის კედელში დატანებული საკმაოდ დიდი სარკმლით, რომლის წინ ქვის საკურთხეველი დგას. უფრო პატარა და ვიწრო თითო-თითო სარკმელი სამხრეთისა და დასავლეთის კედლებშია დატანებული. ჩრდილოეთის კედელში პატარა თახჩა და დაბალი კარია. ჭერი თაღის მოყვანილობისა და იატაკი ქვისა აქვს. ეს სამლოცველოც ფრესკოვანი ყოფილა; ფრესკების კვალი საკმაოდ მკაფიოდაა შერჩენილი. კოშკში შესვლა მხოლოდ მეორე სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულიდან შეიძლება, ვინაიდან პირველ სართულს, როგორც აღვნიშნე, კარ-სარკმელი არ აქვს. მეორე სართულში ადიოდნენ კედელზე მიყუდებული ხის კიბის საშუალებით და მეორე სართულიდან პირველშიც ასევე ჩადიოდნენ.

ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ „კოპალეს დედის საფლავად“ მიჩნეული ადგილი ზუსტად დაგვედგინა, ვინაიდან ღვთისმშობლის ანუ იხინჭის წმ. გიორგის მთავარ ხატში არც ერთი ფშაველი არ გვახლდა. ამას წინათ, დღეობა იხინჭობაზე ფშავლები გვიხსნიდნენ—„კოპალეს დედა“ იქ მარხია, სადაც იხინჭის მთაზე, კოპალეს ხატში ნაციხვარი და ეკლესია არისო. უფრო ნიშანდობლივი ცნობები ვერც „კოპალეს დედის საფლავისა“ და ვერც „ნაციხვარის“ შესახებ ვერ მივიღეთ. ხოლო აქ არავითარი „ნაციხვარი“ არ ჩანს. ამიტომ იბადება კითხვა: ხომ არ გულისხმობენ „ნაციხვარისა“ და ეკლესიის სახელით ზემოაღწერილ კოშკს და, მაშასადამე, „კოპალეს დედის საფლავს“ ამ კოშკის ქვემო ბნელ სართულში ხომ არ ათავსებენ?

სამრეკლო ორსართულიანი შენობაა. ქვემო სართული წარმოადგენს ოთხკუთხი ფორმის ნაგებობას, რომელსაც თაღისებური ჭერი და აღმოსავლეთის კედელში დატანებული კარი აქვს. მეორე სართული მრგვალია და შესდგება რვა სვეტისაგან, რომლებზეც გუმბათია დაყრდნობილი.

ხატის მიდამო ტყითაა დაფარული. შენობების მახლობელ ხეებზე ჩამოკიდებულია მლოცველთაგან შეწირული მიტკლისა და მარლის ნაჭრები, ბამბის თეთრი ძაფები და სხვა; ერთ ხეზე ქალის გადახუნებული ლურჯი ზედატანი ჰკიდია.

გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთით უზარმაზარი წიფელის ხეებია, რომლებზეც ხის კანის ამოკვეთის საშუალებით სხვადასხვა ცხოველებია (ირმები, ჯიხვები და მისთანანი) გამოსახული.

ამჟამად ამ ხატში მხოლოდ შობას დღესასწაულობენ. უწინ-კი იხინჭობასაც აქ იხდიდნენ და კურატებს, ცხვრებს, ქადებსა და სხვა შესაწირავებს აქვე სწირავდნენ. მაგრამ ბოლო ხანებში ამ დღეობის გადახდა იხინჭის მთის ფერდობზე დაუწყიათ. და იმ დროიდან მლოცველები და ჯვისბერები იხინჭის წვერზე მოსალოცავად მხოლოდ დღეობის დასასრულს ამოდიან ხოლმე.



ნიკოლოზის დროს აქ რუსის ჯარი იდგა, მოგვითხრობს ჩვენი გამყოლი, მაშინ ერთმა რუსის ჯარისკაცმა ქვაზე ღვთისმშობელი დახატა და ეს „ხატი“ ხალხმა იხინჭის ფერდობზე ჩაიტანაო. უთუოდ ეს ის „ხატია“, რომელიც კოპალეს დარბაზის ე. წ. „სასუფეველში“ ასვენია და რომელსაც ფშავლები „კოპალეს დედას“ უწოდებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხინ ჭის მთიდან მოჩანს მახლობელი სოფლები და მათ შორის ტიღანაანი, მამადაანები და ჭურჭელაურები. ამ სამი სოფლის ძირეული მოსახლეობა, ჩვენი გამყოლის ცნობით, თავის თავს სათათრეთიდან მოსულად სთვლის. საქართველოს რომ თათრების ჯარი შემოესია, ჩვენი წინაპრები ამ ჯარს მოჰყოლიან და შემდეგ აქ დარჩენილან, ქართველების მიწა-წყალზე დასახლებულან და მაჰმადიანობა ქრისტიანობაზე გაუცვლიათო.

თვით ჩვენი გამყოლი სოფელ გოჯიანების მოსახლეა. მისი წინაპრები მარაბდიდან ყოფილან გადმოსახლებული. გადმოსახლება დიდი ოჯახის გაყოფის შემდგომ მომხდარა. მარაბდაში რომ ვიყავით 33 სული ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდითო. მაშინ მათი სალოცავი ხატი თბილისის ქაშუეთის ეკლესია ყოფილა.

მთხრობელი იცნობს მრავალ სხვა გვარის ხალხსაც, რომელთა წინაპრები ივრის ხეობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან გადმოსახლებული. ასეთებია, მაგალითად, ქსნიდან მოსული ქსნელაშვილები, ჭართალელი ანუ სეთურის გვარისანი და სხვანიო. ჭართალელების შესახებ მას სმენია, რომ მათი წინაპარი ჭართალიდან ჯერ სოფელ ყვარაში ასულა, შემდგომ თიანეთის მახლობლად დასახლებულა და ბოლოს, ჭართალელები შირაქში გადასულან და ამჟამადაც იქ მოსახლეობენო.



24 ივლისი. დღეს ვინახულეთ დიდებული ძეგლი კვეტერი. მას შესანიშნავი მდებარეობა აქვს. ორ წყალ შუა მოთავსებული იგი ამაყად გასცქერის ხეობებს ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. ეს ციხე-სიმაგრე, ოდესღაც მრისხანე ფეოდალის საბრძანებელი, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გალავნითა და კოშკებით, სასახლითა და ეკლესიით. გალავანი ადგილ-ადგილ მეტად მასიური და მაღალია, კოშკები გიგანტური. ორსართულიანი სასახლე შესანიშნავია ფანჯრების თვლებით და საბუხრე მილით, ხოლო ეკლესია მრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალ წახნაგოვანი და სტალაქტიტებიანი თაღების სტრუქტურით ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათ ძეგლს წარმოადგენს. კვეტერის ეკლესიაში და მის მახლობლად ამჟამად არ მოიპოვება წარმართული რელიგიის გადმონაშთები (სხვადასხვა სახის შეწირულებანი თუ სხვა).

ჩანს ფეოდალის პირადი სარგებლობისათვის აგებული საკულტო ძეგლი ხალხის ფართო მასებისათვის დახშული ყოფილა. ამჟამად კვეტერის კომპლექსი; ნანგრევებად ქცეული, დრო-ჟამის გამანადგურებელ გავლენას განიცდის. თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები სასახლე, ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ეს იშვიათი ძეგლი, მალე სულ დაინგრევა, კოშკებიც დაიქცევა და ეკლესიაც დაირღვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვეტერიდან გამობრუნებისას ვინახულეთ თიანეთის ქვისმთლელების ექსპლოატაციო ადგილი ილდაკანში, რომელიც ახმეტა-თიანეთის გზის პირად მდებარეობს.

კვლავ ქვემო-თიანეთში ვართ. ამით დამთავრდა ჩვენი მოკლევადიანი ექსპედიცია. დღესვე გზა თბილისისაკენ გვიდევს. სასტუმროს წინ ენიმკი-ს ავტომანქანა გველის.



ეროვნ. მწერლების ბიბ. ბიბ. ბ. ბ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი